

საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიასთან არსებული  
კულტურისა და საეკლესიო ერთიანობის კომისია

Comission for Culture and Church Unity  
at the Roman Catholic Church in Georgia

# **Catholic Heritage in Georgia**

## **5**

**The 5<sup>th</sup> International Symposium  
(June 7-8, 2022)**

**Proceedings**

**Tbilisi  
Sulkhan-Saba Orbeliani University Press  
2023**

# კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში

5

მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი  
(7-8 ივნისი, 2022)

მასალები

თბილისი  
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
2023

რედაქტორი  
მერაბ ლალანიძე

Edited by  
Merab Ghaghanidze

ყდაზე: წმიდა ქალწულ მარიამის შობის ტაძარი ბათუმში, 1898-1903.  
Cover: Catholic Church of the Nativity of the Blessed Virgin Mary in Batumi, 1898-1903.

კრებულში დაბეჭდილი სტატიების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელი არიან ავტორები.

The authors are responsible for the contents and the style of the articles printed in the collection.

ISBN 978-9941-8-5413-2

© საქართველოში რომის კათოლიკე  
ეკლესიასთან არსებული კულტურისა  
და საეკლესიო ერთიანობის კომისია, 2023  
© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2023

## სარჩევი

### **რევაზ აფრიაშვილი**

ურთიერთობა საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის:  
კულტურული მემკვიდრეობა 9

### **Revaz Apriashvili**

Relations Between Georgia and the Holy See:  
Cultural Heritage 15

### **ნუგზარ ბარდაველიძე**

საუკუნეებით განმტკიცებული თანამშრომლობა:  
წმიდა საყდარი და საქართველო 16

### **Nugzar Bardavelidze**

Centuries-Old Cooperation:  
the Holy See and Georgia 36

### **გაბრიელე ბრაგანტინი**

ნატალე გაბრიელე მორიონდოს  
პირველი სამოძღვრო წერილი 38

### **Gabriele Bragantini**

Natale Gabriele Moriondo:  
the First Pastoral Letter 58

### **ელდარ ბუბულაშვილი**

უნიატისმის იდეა XX საუკუნის  
პირველი ოცნლეულის საქართველოში 60

### **Eldar Bubulashvili**

The Idea of Uniatism in the First Twentieth  
of the XX Century in Georgia 69

### **დიმიტრი გეგენავა**

შეთანხმება საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის:  
დადების მცდელობა და პერსპექტივა 71

**Dimitry Gegenava**

Agreement between Georgia and the Holy See:  
Attempt to Sign and Perspective

84

**ნინო დობორჯგინიძე, მაია დამენია**

XVII-XIX საუკუნეების ევროპული რელიგიური მისიების  
წყაროთა ინტერპრეტაციისათვის საქართველო  
ადრეული გლობალური ისტორიისა  
და მოდერნულობის პერსპექტივიდან

85

**Nino Doborjginidze, Maia Damenia**

For the Interpretation of the textual legacy of the 17th-19th  
Centuries European Religious Missions. Georgia from the  
Perspective of Early Global History and Modernity

94

**თეა თათენაშვილი**

საოჯახო ცნობები მამა პეტრე ტატალაშვილზე  
(მასალები ბიოგრაფიისათვის)

96

**Tea Tatenashvili**

Family Information about Fr. Petre Tatalashvili  
(Materials for Biography)

102

**დავით თინიკაშვილი**

კათალიკოს-პატრიარქ ბესარიონის (1724-1737)  
ანტიკათოლიკური ტრაქტატის „გრდემლის“  
კრიტიკული განხილვისთვის სხვადასხვა  
არადოგმატურ საკითხთან დაკავშირებით

104

**David Tinikashvili**

The Critical Analysis of Patriarch Bessarion's  
Anti-Catholic treatise *The Anvil* regarding the  
Nondogmatic Issues

114

**ნათია კენტჩიაშვილი**

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა  
საგამომცემლო საქმიანობა XIX საუკუნეში

115

**Natia Kentchiashvili**

Publishing Activity of Georgian Catholics Working  
Abroad in the 19<sup>th</sup> Century

135

<b>გურამ ლურსმანაშვილი</b> საბჭოთა კავშირი და ანტიკათოლიკური ნარატივი 1950-1980-იან წლებში (ზოგადი კონტურები)	137
<b>Guram Lursmanashvili</b> The Soviet Union and the Anti-Catholic Narrative 1950-1980's (General outlines)	147
<b>მარიამ მარჯანიშვილი</b> იოსებ ოცხელის მოგონება ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე	148
<b>Mariam Marjanishvili</b> Memoirs of Ioseb Otskheli on the pages of "Kavkasioni"	155
<b>ავთანდილ ნიკოლეიშვილი</b> კათოლიკე მღვდელმსახური ივანე გვარამაძე და სტამბოლის ქართული სავანე	157
<b>Avtandil Nikoleishvili</b> Catholic Priest Ivane Gvaramadze and the Istanbul Gergian Cloister	168
<b>ოთარ ნიკოლეიშვილი</b> ერთი იტალიური წყარო საქართველოში არსებული რელიგიური მდგომარეობის შესახებ	169
<b>Otar Nikoleishvili</b> An Italian Source about Religion Conditions in Georgia	173
<b>მურმან პაპაშვილი</b> თეატინელი მისიონერის აქამდე უცნობი ერთი ინფორმაციის ანალიზი	175
<b>Murman Papashvili</b> Analysis of a hitherto unknown single piece of information from a Theatin missionary	183
<b>ნატო ყრუაშვილი</b> ზოგი რამ სტამბოლის ქართველ დედათა მონასტრის შესახებ	185

<b>Nato Kruashvili</b> Some Information about the Georgian Mothers' Monastery in Istanbul	194
<b>ანა ჭკუასელი</b> ემანუელე და იგლესიასის მოკლე გრამატიკა და ქართულ-იტალიური ლექსიკონი	195
<b>Ana Chkuaseli</b> Emmanuele Da Iglesias' Short Grammar of the Georgian Language and Georgian-Italian Dictionary	202
<b>დანართი</b> საარქივო საბუთები ნატალე გაბრიელე მორიონდოს შესახებ	203



## ურთიერთობა საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის: კულტურული მემკვიდრეობა

საქართველოს სახელმწიფოსა და რომის წმიდა საყდარს შორის ურთიერთობის ისტორია სათავეს უმეტესად XIII საუკუნიდან იღებს. იმის გათვალისწინებით, რომ 1054 წლის დიდი საეკლესიო სქიზმის შემდეგ, საქართველომ ბერძენთა მხარე დაიჭირა, ქართველებსა და დასავლელ ქრისტიანებს შორის, მართალია, ბოლომდე არ გამწყდარა კავშირი, თუმცა ურთიერთობები დროებით შეჩერდა, რასაც აღმოსავლეთში თურქების გამოჩენა და გაძლიერებაც უწყობდა ხელს. თუმცა, მას შემდეგ, რაც თამარ მეფის ეპოქიდან მოყოლებული, საქართველო წინა აზიის ნამყვან ქვეყნად და ჯვაროსნებისათვის აღმოსავლეთში ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ იქცა, წმიდა საყდრის მხრიდანაც დიდად გაიზარდა დაინტერესება და დიპლომატიური ურთიერთობების გაჩენაც საჭირო გახდა. საკუთრივ თამარ მეფესაც ჰქონდა კავშირი დასავლურ საქრისტიანოსთან, მაგრამ უშუალოდ ურთიერთობები მხოლოდ მისი შვილების მეფობიდან იღებს სათავეს, როდესაც მეფე ლაშა-გიორგი აქტიურად ემზადებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის და ამის გამო რომის პაპთანაც ჰქონდა დიდი მიმონერა. როგორც ცნობილია, მისი ეს განზრახვა საქართველოში მონღოლთა ურდოების მოულოდნელმა გამოჩენამ შეაჩერა.

მას შემდეგ, რაც მეფე ლაშა-გიორგი მისმა დამ, რუსუდან დედოფალმა ჩაანაცვლა, წმიდა საყდართან ურთიერთობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. გარდა იმისა, რომ რუსუდანის სახელს უკავშირდება საქართველოში პირველი კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლა და 1240 წელს თბილისის პირველი კათოლიკური ეკლესიის აშენებაც, რასთან ერთადაც დაიწყო ქვეყანაში კათოლიკობის გავრცელება, არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება იმისა, რომ რუსუდან დედოფალი პაპის უპირატესობას ღიად აღიარებდა და ამის გამო მას ხშირად ფარულ კათოლიკესაც უწოდებდნენ, რაც შეგვიძლია დავასკვნათ მისი პაპ ჰონორიუს III-სთან გაგზავნილი შემდეგი წერილის შესავლიდან:

„უწმიდესო პაპო, მამაო და ყველა ქრისტიანის მეუფევე, ნეტარი პეტრეს ტახტის მპყრობელო, საქართველოს თავმდაბალი დედოფა-

ლი რუსუდანი, ერთგული მსახური და შენი ასული ფერხთა წინაშე შენთა თავსა ვხრი და მოგესალმები“ (ტაბალუა 1984, 176).

ამასთან ერთად, წერილის ბოლოს დედოფალი პაპს მის წმიდა ლოცვებში მოხსენიებასაც სთხოვდა, რაც კიდევ უფრო ნათელს ჰფენს მის დამოკიდებულებას. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოში კათოლიკე მისიონერთა და ორდენთა ჩამოსვლა გრძელდებოდა, კერძოდ კი, ფრანცისკელთა და დომინიკელთა ორდენების, რის შემდეგაც ისინი ქვეყანაში ქადაგებასა და მოსახლეობის მოქცევას იწყებდნენ, ამასთან ერთად, სწორედ კათოლიკე მისიონერთა ჩანაწერებს უკავშირდება მრავალი ფაქტის ცოდნა საქართველოს ისტორიიდან და მათვე შემოგვინახეს არაერთი გამოჩენილი ქართველის პორტრეტი.

XIII საუკუნის მეორე ნახევარი და XIV საუკუნის პირველი ნახევარი, საკმაოდ ბნელი ეპოქა იყო საქართველოსათვის, თუმცა მეფე გიორგი V ბრწყინვალემ მოახერხა ქვეყნის დამპყრობელთაგან გამოსხნა და საქართველოს კვლავ საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანა, რითაც მას და რომის წმიდა საყდარს შორის დროებით მინელბებული ურთიერთობების გამოცოცხლება მოჰყვა. დღემდე მოღწეულია გიორგისა და რომის პაპ იოანე XXII-ს შორის არსებული მიმოწერა, ისევე, როგორც საქართველოში ჩამოსულ კათოლიკე მისიონერთა მაშინდელი ცნობები, რომელთა მიხედვითაც, ქართველ მეფესა და რომის პაპს შორის ურთიერთობა იმდენად დათბა, რომ შეთანხმდნენ 1322 წელს აღმოსავლეთის კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა საბერძნეთის ქალაქ სმირნიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისში გადმოიტანეს. ამას ორი მიზეზიც უძღვოდა წინ: 1. სმირნა მუსლიმ თურქების მხრიდან ძლიერი წნეხის ქვეშ იყო მოქცეული და 2. თბილისში უკვე მომრავლებულიყვნენ კათოლიკეები, როგორც მისიონერები, ისე – მრევლი. ამ პერიოდის საქართველოში კათოლიკობის გავრცელებასა და იმაზე, რომ ეს სახელმწიფო მართლაც მოექცა რომის პაპის ყურადღების ცენტრში, მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1318 წელს პაპმა სებასტოპოლის, იგივე ცხუმის კათოლიკური საეპისკოპოსოსი შექმნა. წმიდა საყდართან ამრიგად დაახლოვებამ საქართველო დასავლეთსაც დაახლოვა, რის გამოც მეფე გიორგი საფრანგეთის მეფე ფილიპე VI-სთან ერთად გეგმავდა ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობას, ამ პირობებში კი 1332-33 წლებში საქართველოში მისი ელჩობაც ჩამოვიდა რიშარ მერსიესა და ალექსანდრე ინგლისელის თაოსნობით. ამავე პერიოდში მეფე გიორგი თავის ერთადერთ ასულს, სოლდანას კილიკიის სომეხთა რეგენტად დასმულ ფრანგ კათოლიკე თავადზე – ჟან დე პუატიე-ლუზინიანზე აქორწინებს, მათი ვაჟი, მეფე ლევონ V კი სომეხთა

უკანასკნელი მეფე ხდება, რომელიც, მას შემდეგ, რაც კილიკია მამლუქებმა დაიპყრეს, ჯერ ესპანეთში შეიფარეს, შემდეგ კი საფრანგეთში და დღესაც სენ-დენის კათოლიკურ სააბატოში განისვენებს. წმიდა საყდართან დაახლოვება გიორგის ასევე დაეხმარა, რომ სავაჭრო კავშირები დაემყარებინა ორ უმნიშვნელოვანეს იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოსთანაც: გენუასა და ვენეციასთან.

აღსანიშნავია, ასევე, გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგი VIII-ის აქტიური ურთიერთობა წმიდა საყდართან. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა იმაშიც, რომ 1444 წლის ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე კათოლიკე ევროპელი მონარქებისა და ბიზანტიის იმპერატორის ელჩობასთან ერთად, ქართული ელჩობაც ესწრებოდა. ამავე პერიოდს მიეკუთვნება სწორედ ლუდოვიკო ბოლონიელის ელჩობა საქართველოში, რომელიც რომის პაპმა პიუს II-მ 1460 წელს თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსადაც დაადგინა. მეფე გიორგი პაპს ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობას ჰპირდებოდა და დახმარებისათვის მან ელჩობაც მიავლინა საფრანგეთის მეფესთან, რომის პაპთან, ბურგუნდიის ჰერცოგთან და სხვა პირებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ მას შემდეგ, რაც XV საუკუნეში დაიწყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის პროცესი, რომის პაპი აქტიურად აკვირდებოდა მიმდინარე მოვლენებს და არაერთხელ მოუწოდა ქართველ მთავრებს მათი მეფის ერთგულებისა და ოსმალთა გაძლიერების ფონზე ერთიანობის შენარჩუნებისაკენ, თუმცა, ცხადია, პაპის მოწოდებებს შედეგი არ გამოუღია და XV საუკუნის დამლევს საქართველო საბოლოოდ დაიშალა სამ სამეფოდ და საათაბაგოდ.

XVI საუკუნიდან ქართველთა მდგომარეობა საგრძობლად დამძიმდა, რაც აისახა აქ მცხოვრებ კათოლიკეთა მდგომარეობაზეც. უკვე 1507 წელს თბილისში არსებული კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა გააუქმეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისიები მაინც არ წყდებოდა და მეტ-ნაკლებად განაგრძობდა კათოლიკობა საქართველოში არსებობასა და გავრცელებას. ეს უმეტესად დასავლეთ საქართველოში აღინიშნებოდა, სადაც XVI-XVII საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია-მონასტრები და სამრევლოები გამოჩნდა ქუთაისში, იმერეთში, გურიაში, აჭარასა და სამეგრელოშიც, რომ აღარაფერი ითქვას აფხაზეთზე. ამასთან ერთად, სწორედ ამ პერიოდში საკმაოდ აქტიურად იწყო კათოლიკობამ გავრცელება მესხეთში, რომელიც უკვე ოსმალეთის იმპერიის ხელში იყო, თუმცა ქართველი ქრისტიანები ისლამის ნაცვლად კათოლიკობას იღებდნენ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ გურიელი მთავრები და მეგრელი დადიანები დიდად ებრძოდნენ თავიანთ სამფლობელოებში კათოლიკობის გავ-

რცელებას და ამკარად უპირისპირდებოდნენ მისიონერებსაც, რაც აფერხებდა კონფესიის გაფართოვებას, თუმცა ბოლომდე არ ჩერდებოდა.

XVII საუკუნიდან ქართველ მეფეებსა და წმიდა საყდარს შორის ურთიერთობა ახლდება. აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართლისა და კახეთის მეფე თეიმურაზს დედამისის, წმიდა წამებულ დედოფალ ქეთევანის ნაწილები სწორედ პორტუგალიელმა კათოლიკეებმა ჩამოუტანეს სპარსეთიდან, რის გამოც მეფემ მათდამი მადლობის ნიშნად გორსა და მის შემოგარენში დიდი მიწები გადასცა წმიდა საყდარს იქ კათოლიკური ეკლესია-მონასტრების ასაშენებლად, ამ პერიოდიდან კი ჩნდება სწორედ გორის კათოლიკური სამრევლოებიც. 1620-იანი წლებიდან პაპმა საქართველოში საქადაგებლად გამოაგზავნა თეატინელთა ორდენის წევრი – ქრისტეფორე კასტელი, მასთან ერთად კი ანტონიო ჯარდინი და ბერი კლაუდიო, რომლებიც თავდაპირველად სწორედ გორში ჩავიდნენ და შეხვდნენ თეიმურაზსა და მის სამეფო ოჯახს, სადაც კასტელმა შექმნა დღემდე ცნობილი პორტრეტები მეფე თეიმურაზის, მისი ცოლის, დედოფალ ხორეშანისა და მათი ასულის, იმერეთის დედოფალ დარეჯანის. ამის შემდეგ მისიონერები გურიაში ჩავიდნენ, სადაც ისინი ვახტანგ II გურიელმა განდევნა და ამის გამო სამეგრელოში გადავიდნენ, სადაც მიმდინარე პროცესების შესახებ კასტელი მნიშვნელოვან ისტორიულ მასალებს გვანვდის და ასევე შემოგვინახა მთავარ ლევან დადიანისა და მისი ცოლის, თამუნია აფხაზის პორტრეტებიც. საინტერესოა ასევე XVII საუკუნის საქართველოში მოღვაწე მისიონერ პიეტრო დე ლა ვალეს წერილი რომის პაპ ურბან VIII-ისადმი, რომელშიც იგი ქართველებზე იწერებოდა:

„ქართველებთან კი ყველაფრის გაკეთებაა შესაძლებელი, რადგან აქვთ სახელმწიფო, ჰყავთ თავისი ერის წარმომადგენელი მეფე, აქვთ სარწმუნოება და მეფე მართავს აღმოსავლური წესის მიხედვით, გაცილებით დესპოტიურად და უფლებამოსილებით, ვიდრე ჩვენი, ევროპის მეფეები. ამიტომ თუ მეფის მხრიდან გვექნება მხარდაჭერა, ვიმედოვნებთ დიდ შედეგებს მივალწვთ ამ ქვეყანაში. ამრიგად, მათი გარდაქმნა ადვილია თუ თვითონაც შეეცდებიან მგზნებარედ და თან ჩვენგან გაგზავნილი შესაფერისი ადამიანები გაანათლებენ, რომლებიც ნავლენ, იცხოვრებენ იქ და მათ ენას შეისწავლიან“ (ფაენლინიშვილი, 2019, 26).

XVIII საუკუნიდან ქართველებსა და წმიდა საყდარს შორის არსებული ურთიერთობა კიდევ უფრო დათბა და გააქტიურდა. აღნიშნული უმეტესად სწორედ ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი კათოლიკეს – სულხან-საბა ორბელიანისა და მისი აღზრდილის,

მეფე ვახტანგ VI-ის საქმეებს უკავშირდება. ცნობილია ისიც, რომ 1708 წელს ქართლის მეფე ვახტანგ V-ის ძემ, ლევან ბატონიშვილმა პაპ კლემენტ XI-ს მორჩილება გამოუცხადა, რის გამოც მასაც ხშირად კათოლიკედ აიგივებენ, რაშიც მალევე მიბაძეს ძმებმა, მომავალი ქართლის მეფეებმა: ქაიხოსრომ და ვახტანგ VI-მ. აღსანიშნავია მათი ბიძაც, მეფე გიორგი XI, რომელიც ასევე ცნობილი იყო კათოლიკური რწმენით, რის გამოც რომის პაპი ინოკენტი მას კათოლიკე მონარქთა შორის იხსენიებდა. უკვე ვახტანგ VI-მ კიდევ უფრო დააახლოვა ქართლი კათოლიკურ სამყაროს და გარდა იმისა, რომ ორბელიანი ელჩად მიაგვლინა პაპის, საღვთო რომის იმპერატორისა და საფრანგეთის მეფის კარზე, ასევე იტალიელ კათოლიკეთა მეოხებით დააარსა პირველი ქართული საბეჭდი დაზგა, რომელზეც დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი და სხვ.

აღნიშნული ფაქტები მოწმობს, თუ როგორ უწყობდა კათოლიკობა და წმიდა საყდრის მისიონერები საქართველოში განმანათლებლობის შემოსვლა-გავრცელებას. ცნობილია, რომ პაპის უპირატესობა აღიარა აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონი I-მაც, რომელიც ამის გამო მკაცრად დაისაჯა. თუმცაღა, 1750-55 წლების კათოლიკურმა მისიონმა შეძლო და კათოლიკობაზე მოაქცია მრავალი ქართველი მღვდელი, სამოცი თავადის ოჯახი და ასევე დასავლეთ საქართველოს პატრიარქი ბესარიონიც კი. ცნობილია, რომ სწორედ ამის შემდეგ მიიღო კათოლიკობა ანტონმაც.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისა და საქართველოში კათოლიკე პოლონელთა მასობრივი ჩამოსახლების პირობებში კიდევ უფრო გაძლიერდა წმიდა საყდართან ურთიერთობა. XIX საუკუნის საქართველოში ქართველმა კათოლიკეებმა მასობრივად დაიწყეს დიდი კათედრალებისა და ეკლესიების შენება. სწორედ ამ დროს აშენდა ქუთაისის, ბათუმის, გორის, სამცხისა და თბილისის კათოლიკური ეკლესიები. ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი კათოლიკეები: მიქელ თამარაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, პეტრე ოცხელი და სხვანი, რომელთაც უდიდესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვეს საქართველოს, მსგავსად ორბელიანისა.

ამასთან ერთად, საქართველოში ჩამოსული მისიონერები და თავად ქართველი კათოლიკეები დიდად უწყობდნენ საქართველოში განათლების, წერა-კითხვისა და სამედიცინო ცოდნის გავრცელებას ხელს. მართალია, XX საუკუნეში, საბჭოთა კავშირის პირობებში, კათოლიკობა, ისევე, როგორც სხვა რელიგიური მიმდინარეობები,

ძლიერი დევნა-შევიწროვების ქვეშ იყო, თუმცა არსებობა არ შეუწყვეტია, თუმცა, წმიდა საყდართან ურთიერთობა დროებით განწყდა. საბჭოთა კავშირში ასევე დაიწყო კათოლიკე სასულიერო პირთა მასობრივი დევნა, რომლებიც დახვრიტეს ან გადაასახლეს. ამ რეპრესიებს შეეწირა არქიმანდრიტი შიო ბათმანიშვილი, ისევე, როგორც საბჭოთა პერიოდის ბოლო ქართველი კათოლიკე მღვდლები: ემანუელ ვარდიძე და კონსტანტინე საფარიშვილი.

საქართველოსა და რომის საყდარს შორის ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, 1991 წელს განახლდა, 1993 წლიდან კი უშუალოდ დამყარდა ქართულ მთავრობასა და წმიდა საყდარს შორის დიპლომატიური ურთიერთობა. მართალია ხელისუფლების პირობებში ქუთაისის, გორისა და ბათუმის კათოლიკური კათედრალები გადაეცა მართლმადიდებლურ ეკლესიას, თუმცა აჭარის იმდროინდელმა ხელისუფალმა აბაშიძემ ბათუმელ კათოლიკეებს სახსრები გამოუყო ახალი კათედრალის ასაშენებლად, ქუთაისელ და გორელ კათოლიკეებს კი სამლოცველოები გადაეცათ. ამასთან ერთად, სამცხესა და ქვემო ქართლში (რუსთავში), ასევე კახეთში, აშენდა რამდენიმე კათოლიკური ეკლესია. ასევე გაიხსნა ვატიკანის სამოციქულო სადესპანო. 1999 წელს რომის პაპი იოანე პავლე II თავადაც ეწვია საქართველოს, 2000 წელს კი მან კავკასიის ლათინ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დაადგინა ჯუზეპე პაზოტო, მასვე ემორჩილება აფხაზეთში, სოხუმში მოქმედი კათოლიკური სამრევლოც. 2016 წელს კი საქართველოს მეორე რომის პაპი, ფრანცისკეც ეწვია.

გარდა ზემოთ განხილული უდიდესი კათოლიკური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა, ქართველი კათოლიკეები განაგრძობენ წმიდა საყდართან ურთიერთობას და ამ პირობებში დღეისათვის საქართველოში მოღვაწეობენ კამილიელთა და დედა ტერეზა კალკუტელის გულმონყალების ორდენები, ასევე სტიგმელთა კონგრეგაცია, სილუზელთა საზოგადოება და სხვა. ასევე, ფუნქციონირებს კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასი“, თბილისის კათოლიკური საავადმყოფო „კაცთა მაცხოვარი“, ლათინ კათოლიკეთა მიერ დაარსდა და აქტიურად ფუნქციონირებს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, ასევე გამოიცემა ქართველ კათოლიკეთათვის ყოველთვიური მაცნე „საბა“ და ჟურნალი „დიალოგი“. ამასთან ერთად, საქართველოსა და წმიდა საყდრის ახლო ურთიერთობებზე მოწმობს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტიც რომის პაპთან.

## ბიბლიოგრაფია

ტაბაღუა, ი. „საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში (XIII–XVI სს.)“ თბილისი, 1984, გვ. 176-177.

ფავლენიშვილი, ე. „კათოლიკობა საქართველოში (XIX საუკუნე)“, 2019, თბილისი.

ლალანიძე, მ. (რედ.) „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“, 2017, თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Revaz Apriashvili

### Relations Between Georgia and the Holy See: Cultural Heritage

Main aim of this article is to research and spread information about great history of relations between Georgia and the Holy See of the Roman Catholic Church from XIII century till modern times, to show that relations between this country and Holy See counts centuries, not only 30 years. This is historical research and review about history and cultural heritage of Georgian Catholics, also relations between Catholic missionaries, popes and ambassadors and Georgian kings, local Orthodox church and noblemen during different eras of Georgian history. Aim of given article also is that to show heritage of famous Georgian Catholics, such as Sulkhan-Saba Orbeliani, Petre Otskheli, Mikheil Tamarashvili and Zakaria Phaliashvili, and their influence on this country. Therefore, article start with golden era of Georgia, 13<sup>th</sup> century and continues till modern days history, which means it's following the chronology of history. Survey is based on historical letters and sources, given by authors such as I. Tabagua, E. Pavlenishvili and M. Ghaghanidze. This helped our survey to be historically more accurate. With help of these sources it was revealed in this research that Georgia and Georgians have strong connections and relations with holy see since 13<sup>th</sup> century which has great cultural heritage in this country.

## საუკუნეებით განმტკიცებული თანამშრომლობა: წმიდა საყდარი და საქართველო

ექვსეტი წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის  
დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავს

2022 წელი, გამორჩეული საქართველოს უახლესი ისტორიისათვის, საზეიმოდ აღინიშნა ჩვენს არაერთ მეგობარ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ოცდაათი წლისთავი. ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყანისათვის, სხვა სახელმწიფოების მიერ გამოცხადებული აღიარება და დიპლომატიური მისიების გახსნა, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დონის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აქტია. როგორც წესი, საერთაშორისო აღიარება, პირველ რიგში, მეგობრულად განწყობილი ქვეყნებიდან მომდინარეობს. ის მოვლენა. თუ ოფიციალურად როდის განხორციელდა ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური და მეგობრული კავშირების დამყარება, ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანია და ერთგვარი საჯარო დადასტურება ქვეყნებს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობებისა. ამიტომაც არ გასაკვირი არ ყოფილა, როდესაც გერმანიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, გერმანიის ელჩმა თავის გამოსვლაში საგანგებოდ აღნიშნა ის ფაქტი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ავტომობილების სანომრე ნიშანი "01-ით" იწყება, რაც უდავო დამონმებაა იმისა, რომ 1992 წელს, პირველმა სწორედ გერმანიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისი დიპლომატიური მისიაც დააფუძნა.<sup>1</sup> ამ აღიარებას მოჰყვა აშშ-ის, ჩვენი მეზობელი ქვეყნების, გაეროს, ეუთოს და იმავე წლის 23 მაისს, წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება<sup>2</sup>.

1993 წლიდან თბილისში ამოქმედდა წმიდა საყდრის საელჩო, რომელიც ცოტა ხანში უკვე მთელ სამხრეთ კავკასიას მოიცავდა, ხოლო

1 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებაც, სწორედ გერმანიის მხარდაჭერით განხორციელდა.

2 <https://mfa.gov.ge/bilateral-relations/va>



2004 წლიდან წმიდა საყდართან საქართველოს საელჩოც დაფუძნდა. მართალია ოფიციალურ დონეზე წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წელს გაფორმდა, მაგრამ ამ თანამშრომლობას ხანგძლივი წინაისტორია გააჩნია.

საქართველოს ურთიერთობა წმიდა საყდართან, ისტორიული, წყაროების თანახმად, ქართლში ქრისტიანობის გამოცხადებისთანავე მყარდება: ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო და მეფე მირიანი კურთხევის წერილს იღებენ რომის პაპის სილვესტრე I-ისაგან. 596 წელს კათალიკოსი კირიონ I მსაჯულად რომის პაპს გრიგოლ დიდს მიმართავს<sup>3</sup>.

XIII საუკუნიდან საქართველოში, მეფე რუსუდანის თხოვნით, პაპი გრიგოლ IX თბილისში აფუძნდება რომის კათოლიკე ეკლესიის (ლათინური წესის), პირველ მონასტერს. 1328 წელს მეფე გიორგი ბრწყინვალის თხოვნით, პაპ იოანე XXII-ს ქალაქ სმირნიდან თბილისში გადმოაქვს ლათინური წესის საეპისკოპოსო კათედრა<sup>4</sup> (ეს ფაქტი თავისი მნიშვნელობით შეიძლება საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების ტოლფას მოვლენადაც კი განვიხილოთ). ამ პერიოდში შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მძლავრი კათოლიკური მისია მოქმედებდა ქალაქ ცხუმშიც (სოხუმი). საქართველოს სატახტო ქალაქში კათოლიკე ეკლესიის საეპისკოპოსო კათედრის არსებობა, ცხადია, ხელს უწყობდა წმიდა საყდართან პირდაპირი და ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებას. ამ საეპისკოპოსო კათედრამ საუკუნენახევრს იარსება და შემდგომ უალრესად გამწვავებული საერთაშორისო და საშინაო ვითარების გამო 1507 წელს არსებობა შეწყვიტა<sup>5</sup>.

თბილისიდან საეპისკოპოსო კათედრის გადატანის შემდგომ წმიდა საყდართან ურთიერთობები კვლავ გრძელდებოდა და მტრულ გარემოცვაში აღმოჩენილ საქართველოს საერო თუ სასულიერო მესვეურებს, ერთადერთ მხარდამჭერად ქრისტიანული ევროპა ესახებოდათ, ხოლო ამ ქრისტიანული ევროპის სულიერ ლიდერად ცხადია მხოლოდ რომის პაპებს მოიაზრებდნენ. ამიტომაც სწრაფვა წმიდა საყდართან ორმხრივი და მუდმივი ურთიერთობის შენარჩუნებისა საუკუნეების მანძილზე, საქართველოს მეფე-მთავართა პრიორიტეტულ სურვილად რჩებოდა.

გვიან შუა საუკუნეებში საქართველოსა და წმიდა საყდართან დიპლომატიურ ერთიერთობებს წინააღმდეგობებს უქმნიდა ერთი –

3 პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი 1995, გვ.58.

4 თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, რეპრინტი, თბილისი 2011, გვ.33.

5 დასახ. ნაშრ. გვ.50

ოსმალეთის იმპერია და მეორეს მხრივ – მოსკოვის სამთავრო. თუ დროთა განმავლობაში ოსმალეებმა წმიდა საყდართანაც და ევროპასთანაც, განსაკუთრებით კი საფრანგეთის სამეფოსთან ორმხრივი ურთიერთობები ააგეს, მოსკოვის ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან და წმიდა საყდართან სულ უფრო ნეგატიურ ელფერს იძენდა, რაც პირდაპირ პროპორციული იყო მოსკოვის, როგორც “მესამე რომის” ექსპანსიონისტური ამბიციების ზრდასთან.

წმიდა საყდართან თანამშრომლობა XVII საუკუნეში კვლავ აქტიურდება, 1622 წელს პაპ გრიგოლ XV-ს მიერ დაფუძნებული რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციის მხარდაჭერით, 1628 წელს რომში “შეიქმნა მსოფლიოში პირველი ქართული სტამბა, სადაც მალე წიგნი დაიბეჭდა”<sup>6</sup>.

მარადიულ ქალაქში, პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების გამოცემა ემთხვევა თეიმურაზ I-ის მიერ საგანგებო დიპლომატიური მისიით რომში მივლინებული ელჩის ნიკიფორე ირბახის (ირუბაქიძე) საქმიანობას. ნიკიფორე ირბახის ელჩობის შედეგად ქართლში, შემდგომ კი სამეგრელოსა და გურიის სამთავროებში ამოქმედდნენ თეატინელთა ორდენის მისიები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს წმიდა საყდარსა და საქართველოს მეფე-მთავართა შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაგრძელებასა და საქართველოში დასავლური განათლების კერების აღმოცენებაში.

XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში უკვე კაპუცინთა ორდენის მისიები აგრძელებენ აქტიურ საქმიანობას. კაპუცინი მამები, თავიანთი ორდენის სპეციფიკიდან გამომდინარე, სულიერებასა და განათლებასთან ერთად, სამედიცინო სფეროშიც მოღვაწეობენ, რაც ძალზე მნიშვნელოვან სტიმულს მატებდა მათი პოპულარობის ზრდას ადგილობრივ მოსახლეობაში. იმ ხანად ხომ საქართველოში ევროპული განათლების მქონე არცერთი ექიმი არ იყო. კაპუცინთა მიერ რომში გაგზავნილი მრავალრიცხოვანი რელაციების კი საუკეთესო დოკუმენტურ მასალად გვევლინებიან იმ ეპოქის ისტორიულ-ეთნოლოგიური, თუნდაც დემოგრაფიული სურათის აღსადგენად. რომიდან მოვლენილი კათოლიკე სასულიერო პირები ქართველ მეფე-მთავართა განსაკუთრებული პატივისცემითა და ნდობით სარგებლობდნენ. ისინი უმთავრეს როლს თამაშობდნენ წმიდა საყდართან და მისი მეშვეობით კი დასავლეთ ევროპის კათოლიკე მონარქებთან ურთიერთობების დამყარებაში, საგანგებო ვითარების დროს, როდესაც საჭირო იყო სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო დოკუმენტების ევროპაში გაგზავნა, თეატინელი და კაპუცინი

6 ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებში. ტ. II, გვ. 195.

მამები ქართველ მეფეთა ელჩების ფუნქციასაც კისრულობდნენ და ამგვარად საქართველო-ევროპის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს მისიას ასრულებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მოქმედი კათოლიკე ეკლესიის კაპუცინთა ორდენის მისიები, რომელებიც უშუალოდ წმიდა საყდარს ექვემდებარებოდნენ, საქართველოში 1845 წლამდე აგრძელებდნენ მოღვაწეობას. 1844 წლიდან რუსეთის იმპერიული ხელისუფლება იწყებს რეპრესიებს კაპუცინთა მიმართ, უკრძალავს მათ საქართველოს ტერიტორიაზე (იმხანად თბილისის და ქუთაისის გუბერნიები), საქმიანობას, რის გამოც კაპუცინთა მისია, დიდის გულისტკივილით, იძულებული ხდება დატოვოს მათთვის უკვე მეორე სამშობლოდ ქცეული ქვეყანა, რომელიც რუსეთის კოლონიურ-ასიმილაციური პოლიტიკის რეპრესიული წინების ქვეშ იყო მოექცეული.

კაპუცინთა მისიის წინააღმდეგ რუსეთი ქმედებანი განპირობებულ იყო ორი ფაქტორით, პირველი – გაენწყვიტათ ქართული მისიონის წმიდა საყდართან პირდაპირი კავშირ-ურთიერთობა და ამგვარად დაექვემდებარებინათ კაპუცინები რუსეთში მოქმედ ტირასპოლის ეპარქიისათვის, მეორე – საეკლესიო მსახურებიდან სრულად ამოეღოთ ქართული ენა<sup>7</sup>.

კაპუცინ მამებს საქართველოდან შორს წასვლა არც უცდიათ და ისინი მეზობელ ოსმალეთის იმპერიას შეეხიზნენ, სადაც კათოლიკე სამღვდელოებას ბევრად თავისუფალი მოქმედების საშუალება ჰქონდა, ვიდრე რუსეთის იმპერიაში. საქართველოდან გახიზნული კაპუცინი მამები ტრაპიზონში დამკვიდრდნენ, იმ იმედით, რომ როდესმე შეძლებდნენ საქართველოში დაბრუნებას<sup>8</sup>.

საქართველოში კათოლიკე მისიონერებისა და ადგილობრივი სამრევლოების რაოდენობა მრავალრიცხოვანი არასდროს ყოფილა და ისინი ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ქალაქებში ან მთავართა კარზე მოქმედებდნენ. მცირერიცხოვნობის მიუხედავად, კათოლიკეებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში, ასევე, ევროპასთან სუსტი, მაგრამ თუნდაც საიმედო კავშირის შენარჩუნებაში. თავისი მხრივ, წმიდა საყდარიც იმედოვნებდა, რომ საქართველოს-

7 რუსეთის ადმინისტრაციის მოთხოვნით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქართულ კათოლიკურ სამრევლოებში საეკლესიო მსახურებიდან ამოღებული ქართული ენა უნდა ჩანაცვლებული ნებისმიერი სხვა ენით, რომელიც ნებადართული რუსეთის იმპერიაში მოქმედი კათოლიკური ეპარქიებისათვის.

8 ჟანენ რ. საქართველო, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 1996, გვ.86.

თან აღდგებოდა გარეშე ფაქტორების გამო იძულებით დარღვეული კავშირი<sup>9</sup>.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) წმიდა საყდარსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის საფუძველი ჩაეყარა ორმხრივ ურთიერთობას, გადაიდგა დიპლომატიური თანამშრომლობის დამყარებისათვის აუცილებელი პირველი ნაბიჯები, თუმცა ბოლშევიკური ოკუპაციისა და საბჭოთა რეჟიმის პერიოდში ეს თანამშრომლობა ველარ განვითარდა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დაინტერესებული იყო წმიდა საყდართან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით. ქვეყნის ლიდერები იმედოვნებდნენ, რომ მასთან საერთაშორისო კავშირების მხარდაჭერით, ევროპის ქვეყნების მთავრობებთან მოკლე დროში დაამყარებდნენ მეგობრულ ურთიერთობას. თავის მხრივ, წმიდა საყდარსაც სურდა ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში, სადაც მცირე მაგრამ აქტიური კათოლიკური თემი არსებობდა, აღედგინა სამოციქულო ადმინისტრაცია.

წმიდა საყდართან მჭიდრო ურთიერთობების დამყარების მომხრე იყო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიაც, რომელიც ავტოკეფალიის გამოცხადების შემდგომ ინტენსიურად ცდილობდა ვატიკანთან ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებას. „ქართველი სამღვდლოების ზედაფენის ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა რომთან მოლაპარაკების გამართვა, რასაც კეთილი თვალთ უყურებდა საქართველოს მენშევიკური მთავრობაც. ისინი ცდილობდნენ მოსახლეობაში პოპულარული გაეხადათ ის აზრი, რომ რუს და ქართველ ხალხებს შორის არავითარი საერთო არ იყო, გარდა მართლმადიდებლობისა, და რომ ამ ურთიერთობის შედეგი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა“<sup>10</sup>.

ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდგომ წლებში, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება კათოლიკე ეკლესიის მიმართ მეტად მტრულად იყო განწყობილი და მასთან არანაირ თანამშრომლობაზე არ მიდიოდა, გასული საუკუნის 20-იან წლებში, წმიდა საყდარი ცდილობდა, დახმარება აღმოეჩინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც და ეზრუნა ადგილობრივ კათოლიკურ საკრებულოებზეც.

9 ქართველი კათოლიკეებისათვის განსაკუთრები რთული ვითარება შეიქმნა რუსული ცარიზმის ბატონობის დროს.

10 კვესელავა ი. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990, გვ. 96.

ოკუპაციის შემდგომ უცხოეთში ემიგრირებული ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ვატიკანთან ურთიერთობების გაგრძელებას და კათოლიკე ეკლესიის დიდი ავტორიტეტის გამოყენებას საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ემიგრაციის ერთ-ერთ ასეთ ცენტრს წარმოადგენდა სტამბოლის ფერიქიოს უბანში არსებული ქართველ კათოლიკეთა მონასტერი. ეს სავანე ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო წლებიდანვე იქცა საზღვარგარეთ გადახვენილ მამულიშვილთათვის ძირითად თავშესაფარად, მათთვის სტამბოლის კათოლიკური სავანე „მიწნეული იქნა როგორც ქართული კულტურის კერა უცხოეთში, რომელსაც დიდ ეკონომიკურ დახმარებას უწევდა ვატიკანი. პირველი მსოფლიო ომის დროს აქ ბინა დაიდო „ქართული ლეგიონის კომიტეტმა“, მიხაკო წერეთლის მეთაურობით, რომელიც ისახავდა „საქართველოს განთავისუფლებას“ მეფის თვითმპყრობელობისაგან. 600 ლტოლვილმა ქართველმა მონასტერს მიაშურა და „საქართველოს დემოკრატიული მთავრობა“ პარიზში გადასვლამდე აქ იმყოფებოდა... სტამბოლის ქართული მონასტერი იყო 1924 წლის აგვისტოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, მისი დამარცხების შემდეგაც ემიგრანტულ მთავრობას არ შეუწყვეტია კავშირი ვატიკანთან და მთელ იმედებს პაპზე ამყარებდა”<sup>11</sup>.

ემიგრაციაში ყოფნისას ლტოლვილი მთავრობის წევრები განაგრძობდნენ წმიდა საყდართან ურთიერთობას და ცდილობდნენ კათოლიკე ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვებას, რაც ევროპის სახელმწიფოთა დახმარების მტკიცე გარანტიად მიაჩნდათ. საქართველოს პარტიულ არქივში დაცულია მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ნოე რამიშვილის მიერ საქართველოში არალეგალურად მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილი დირექტივა, საიდანაც ირკვევა, რომ პარიზში მყოფი ლიდერები, კერძოდ კი ემიგრანტული მთავრობის წევრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ვატიკანთან. მათ რომის პაპთანაც ჰქონდათ მიმონერა და საკუთარი წარმომადგენელიც კი ჰყოლიათ. საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ „ნ. რამიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული ეკლესიის მეთაურები ფიქრობდნენ რომთან კავშირზე. იგი (ნ. რამიშვილი, ნ.ბ.) თხოულობდა ყოველნაირი ცნობის მიწოდებას, რაც ეკლესიას შეეხებოდა და მიიჩნევდა, რომ ევროპაში ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა”<sup>12</sup>.

11 დასახ. ნაშრ. გვ. 98.

12 კვესელავა ი. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1990, გვ.98.

ოკუპაციის შემდგომ, პირობებში პოლიტიკური ვითარება ისე შეიცვალა, რომ წმიდა საყდარმა ველარ შესძლო სამოციქულო ადმინისტრატორის მოვლინება. ეს მაღალი ფუნქცია ფარულად მღვდელ იმანუელ ვარდიძეს დაეკისრა, რომელიც წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების სახელობის თბილისის ტაძრის წინამძღვარი იყო. „ვარდიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის, გერმანიის და იტალიის საკონსულოებთან თბილისში. მათი დახმარებით მან შესძლო საქველმოქმედო საქმიანობის გაშლა, სკოლების, ბავშვთა სახლები-სა და უსახლკაროთა თავშესაფრების გახსნა“<sup>13</sup>.

მღვდელ იმანუელ ვარდიძის აქტიური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას და სულ მალე მას საერთოდ აუკრძალეს საქველმოქმედო საქმიანობა, შემდგომ კი დააპატიმრეს კიდევ. სულ საერთო ჯამში მ. იმანუელ ვარდიძე 6-ჯერ იყო დაპატიმრებული რელიგიური მოღვაწეობისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი არალოიალური დამოკიდებულების გამო<sup>14</sup>.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში წმიდა საყდართან საბჭოეთის ანტიკათოლიკური განწყობა, მწვავე იდეოლოგიური დაპირისპირების გარდა, განმტკიცებული იყო აგრესიული ანტიპოლონური პოლიტიკით. კათოლიკურ პოლონეთს რუსები ერთ-ერთ პირველ მტრად მოიაზრებდნენ და საბჭოთა კავშირში მცხოვრებ კათოლიკე პოლონელებს მტრულ ძალად განიხილავდნენ. სწორედ ამიტომ, არცთუ უსაფუძვლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა კავშირის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ფელიქს ძერჟინსკი ადრეულ ასაკში, რომ არ გარდაცვლილიყო, მასაც კი 1930-იან წლების დასაწყისში პოლონეთისა და ვატიკანის აგენტობის გამოგონილ ბრალდებით დააპატიმრებდნენ. ამგვარი რუსულ-ბოლშევიკური ქსენოფობიური ვითარების გათვალისწინებით, ადვილი წარმოსადგენია თუ რა მძიმე რეპრესიების ქვეშ იმყოფებოდა კათოლიკე ეკლესია და მისი მრავალეროვანი მრევლი, საბჭოთა რეჟიმის დროს. თავის გამონათქვამებში აშკარა ანტიკათოლიკური განწყობებით გამოირჩეოდნენ საბჭოთა ლიდერები იოსებ სტალინი და ნიკიტა ხრუშჩოვი. ბრეჟნევის „უძრაობის ეპოქაშიც“, ვატიკანი და კათოლიკე ეკლესია, „ამერიკის იმპერიალიზმთან“ ერთად, საბჭოთა პროპაგანდისტების ნომერ პირველ იდეოლოგიურ სამიზნეს წარმოადგენდა.

13 სკპ ცკ-ს პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი(თბილისი), ფ. 13, არნ. 1, ნან. II, ს. 2305, ფ. 70.

14 ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2019. გვ. 52.

წმიდა საყდართან და რომის პაპებთან საბჭოთა კავშირის ლიდერების უარყოფითი განწყობა გორბაჩოვის მიერ დაწყებულ გარდაქმნებამდე გრძელდებოდა, მხოლოდ „პერესტროიკის“ დაწყების შემდგომ შეიცვალა, ისიც უმნიშვნელოდ, ვატიკანისადმი დამოკიდებულება. 1990 წლის 15 მარტამდე, საბჭოთა კავშირს ვატიკანთან მუდმივი წარმომადგენლობა საერთოდაც არ გააჩნდა. მხოლოდ 1970-იან წლებში საბჭოთა საელჩო იტალიაში, იწყებს უმნიშვნელო, დროებითი კონტაქტების მოძიებას წმიდა საყდართან<sup>15</sup>.

იმ პოლიტიკურ რეალობაში, როდესაც კრემლის ახალი და დასავლეთში პოპულარული ლიდერი გორბაჩოვი მარადიულ ქალაქში რომის პაპს ხვდებოდა, მოსკოვში დედა ტერეზას ინვეცდა, ასეულობით რეპრესირებულ კათოლიკე მღვდელს რელიგიური მსახურების ნებას აძლევდა<sup>16</sup> და როდესაც საბჭოეთის უმთავრეს მონინალმდევესთან – აშშ-თან პოლიტიკური ვითარების დათბობას იწყება, რუსი იდეოლოგები ვატიკანის კრიტიკას, შეფარულად, მაგრამ ინერციით, მაინც აგრძელებდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გარემოება იყო, რომ „პერესტროიკისა“ და დასავლეთთან, მათ შორის ვატიკანთან ურთიერთობების დათბობის ფონზე, ანტიკათოლიკური კრიტიკის მთავარი მედროშეობა კრემლისაგან უკვე რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გადაიბარა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, მოსკოვის საპატრიარქოს დამოკიდებულება კათოლიკე ეკლესიასთან კიდევ უფრო აგრესიული გახდა. მიზეზი პირველი სლავი რომის პაპის იოანე პავლე II-ს აღმოსავლური პოლიტიკა გახლდათ, რომელსაც შედეგად აღმოსავლეთ ევროპის კათოლიკეთა გააქტიურება მოჰყვა, როგორც პაპის მშობლიურ პოლონეთში, ასევე საბჭოთა კავშირშიც. მოსკოვის განსაკუთრებული რისხვას კი დასავლეთ უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური მრევლის გააქტიურება იწვევდა. უკრაინელი ბერძნული წესის კათოლიკეები კატეგორიულად მოითხოვდნენ მათთვის წართმეული და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემული ტაძრების დაბრუნებას. მეორე მხრივ, რომის პაპმა წინა პლანზე წამოიწია წმიდა საყდრის როლი რუსეთის ნათლისღებაში (რომლის მე-1000 წლისთავის საიუბილეო აღნიშვნისათვის ოფიციალური კრემლის ღია მხარდაჭერით მასშტაბურად ემზადებოდა მოსკოვის საპატრიარქო). გარდა ამისა, პაპმა სლავთა განმანათლებლები – წმიდა კირილე და წმიდა მეთოდე, რომელთა „პრივატიზაციასაც“ დიდი ხანია ცდილობდა მოსკოვის საპატრიარქო, ევროპის

15 <https://ed-glezin.livejournal.com/1212595.html>

16 1988 წლის მონაცემებით მხოლოდ ლიტვის სსრ-ში ასამდე მღვდელი იყო .

მფარველებად გამოაცხადა. ამ სიმბოლური შესტით იოანე პავლე II-მ ხაზი გაუსვა კათოლიკე ეკლესიის როლს აღმოსავლეთ ევროპელი სლავების გაქრისტიანებაში.

რუსეთის ეკლესიის გავლენით, გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, დაიძაბა ვითარება ქართველ მართლმადიდებლებსა და კათოლიკე მორწმუნეებს შორის. ეს დაპირისპირება, კიდევ უფრო შეუქცევადი გახდა მას შემდეგ, რაც 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლებამ ხუთი ისტორიული კათოლიკური ტაძარი, რომელთა დაბრუნებას ითხოვდნენ ქართველი კათოლიკეები, მართლმადიდებელ სამრევლოებს გადაცა. მიუხედავად რუსეთიდან მომდინარე სხვადასხვა წინააღმდეგობებისა, წმიდა საყდარი ემზადებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად აღმოცენებულ ქვეყნებთან, ისტორიული კავშირებისა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისათვის<sup>17</sup>.

1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე თვეებში, ჩვენს ქვეყანას სტუმრობდა წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანი კარდინალი აგოსტინო კაზაროლი, რომელიც შეხვდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. ამგვარად გადაიდგა პირველი ნაბიჯი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისათვის.

1992 წელს, როდესაც დაიწყო საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესი, წმიდა საყდარი უკვე მზად იყო დიპლომატიური მისიის მოვლინებისათვის. ასე რომ როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ვატიკანი იმ სახელმწიფოთა (მათ რიცხვში შედიან გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლობებიც), პირველ ათეულშია, რომლებმაც 1992 წელს თბილისში თავიანთი ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლობა აამოქმედეს.

ჩვენს ქვეყანაში კათოლიკე ეკლესიის მრევლი რაოდენობით მე-4 ადგილზეა მართლმადიდებელი ქრისტიანების, მუსლიმების და სომხური სამოციქულო ეკლესიის რელიგიური თემის შემდეგ. კათოლიკე ეკლესია სამი რიტით (წესი) არის წარმოდგენილი: ლათინური (30 საკრებულო), სომხურ-კათოლიკური (18 საკრებულო) და ასურულ-ქალდეური (2 საკრებულო). 2014 წლის მონაცემებს, 1897 წლის სტატისტიკურ მონაცემებს თუ შევადარებთ საქართველოში ლათინური წესის კათოლიკე მორწმუნეების რაოდენობა 1,5%-დან 0,8-მდე შემცირდა. ტრადიციულად საქართველოს მცხოვრები კათოლიკეები საკმაო აქტიურობით გამოირჩევიდნენ და ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და ჰუმანიტარულ სფეროში მნიშე-

17 ბარდაველიძე ნ. კათოლიკე ეკლესია საქართველოში, კრებ.რელიგია და საზოგადოება, N III, 2004, გვ. 65.



ნელოვანი წვლილი შეჰქონდათ, ეს ტრადიცია ჩვენს დღეებშიც ნარმატებით გრძელდება<sup>18</sup>.

წმიდა საყდართან საქართველოს ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია, ამ ურთიერთობას უფრო მეტი პერსპექტივა ექნება და საკმაოდ მიმზიდველიც შეიძლება აღმოჩნდეს ორივე მხარისათვის, თუ მიზანდასახულად და მეთოდურად განახორციელებენ ისინი, ვისაც ხელენიფება ამ პოლიტიკის გატარება. და მაინც რა ძირითადი მიმართულებები შეიძლება გამოიყოს ამ კუთხით?

პირველი და უმთავრესი ფაქტორი, ეს იყო ვატიკანის მხარდაჭერა საქართველოსათვის საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ეს მხარდაჭერა მას შემდეგ, რაც რუსეთის ზენოლით ლათინური ამერიკის ორმა სახელმწიფომ ვენესუელამ და ნიკარაგუამ აღიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. შესაძლებელი იყო საქართველოს ამ სახიფათო ტენდენციას განვითარება მოჰყოლოდა, მით უმეტეს, რომ რუსეთის აქტიურად ცდილობდა სხვადასხვა სახის ზენოლით გავლენა მოეხდინა ლათინური ამერიკის სახელმწიფოებზე, რათა მათ დიპლომატიურ დონეზე ეცნოთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტებმა ლათინურ ამერიკის ქვეყნებში და გარდატეხა შეიტანა და თვითგამოცხადებული რეგიონების აღიარების პროცესი შეჩერდა. ამ კუთხით ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტმა 2010 წლის მაისში ვატიკანში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა რომის პაპს ბენედიქტე XVI-ს. ამ შეხვედრის შესახებ რომლის ყველა დეტალი არ არის გამოქვეყნებული, უდავოდ დადებითი როლი ითამაშა შემდგომ ეტაპზე, საქართველოს პრეზიდენტის ლათინური ამერიკის ლიდერებთან გამართულ მოლაპარაკებებზე. ყოველ შემთხვევაში შედეგი სახეზეა, ამ რეგიონის სახელმწიფოებს აღარ გამოუთქვამთ სურვილი საქართველოს სეპარაციული რეგიონების ცნობაზე. და ეს ყველაფერი ხორციელდება რუსეთის მხრიდან აშკარა მატერიალური დახმარების აღმოჩენის შეთავაზებების ფონზე. ოფიციალური ვატიკანის პოზიცია, რომელიც ცალსახად დაგმო 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ გაჩაღებულ აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი ყურადსაღები მესიჯი გახდა მთელი მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი კათოლიკური ქვეყნებისათვის. შემთხვევითი არ არის პრეზიდენტ სააკაშვილის სამადლობელი სიტყვები ბენედიქტე XVI-ის მიმართ: „განსაკუთრებული მადლობელი ვარ, რომ ვატიკანი განუზრელად

18 ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2019. გვ. 5.

უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამის შესახებ პირადად ვუთხარი რომის პაპს, მასთან შეხვედრისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი რომის კათოლიკე ეკლესია საქართველოს ინტერესების მხარდამჭერია; ამისათვის მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებს, რადგან იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ დააყენეს, რომის წმიდა საყდრის საკმაოდ გავლენიანი მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსა და ჩვენი მომავლისათვის”<sup>19</sup>.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველო ვატიკანის ურთიერთობებში ესაა კათოლიკე ეკლესიის მხარდაჭერა საქართველოსათვის საერთაშორისო ვალების ჩამოწერაში. წმიდა საყდრის პოზიცია, რომ განვითარებად ქვეყნებს ჩამოეწეროს საერთაშორისო ვალები დიდი ხანია გაცხადებული არის საჯაროდ და კათოლიკე ეკლესიის მღვდელმთავრები არაერთ მონოდებაში აღნიშნავენ ამ აქციის აუცილებლობაზე<sup>20</sup>.

მნიშვნელოვანია ეკლესიათშორისი თანამშრომლობა და ვატიკანის უცვლელი პოზიცია დემოგრაფიული პრობლემათა დაძლევის კუთხით. იმ უთანასწორობის დაძლევა რაშიც მილიარდობით ადამიანს უწევს იძულებითი ცხოვრება. უღარობეს ქვეყნებზე ვალების ჩამოწერა, ათვლის ის ნერტილია, რომელიც სწორ გეზს აჩვენებს შექმნილ ვითარებაში, – აი ის პრობლემა რომლის დაძლევაშიც რომის კათოლიკე ეკლესია აქტიურადაა ჩაბმული<sup>21</sup>.

მესამე ფაქტორია კულტურულ-საგანმანათლებლო თანამშრომლობა, ვატიკანსა და საქართველოს შორის. სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების ორგანიზება წამყვანი ევროპის წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით, ქართველ მკვლევართა ხელშეწყობა, წიგნების თარგმნა და გამოცემა, ნიჭიერ ხელოვანთა მხარდაჭერა და საზღვარგარეთ გასტროლოების ორგანიზება, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობის სასწავლებლად გაგზავნა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დაფუძნება, საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასის“ დაფუძნება, აი, მოკლე ჩამონათვალი წმიდა საყდრის მხარდაჭერით განხორციელებული საქმიანობისა.

19 არქივისკოპოსი გუჯეროტი კ. ინტერვიუ ჟურ. „საბა“ 2008. N10. გვ. 2.

20 ბრავანტინი გ. „ალბათ ყველამ არ იცის“, ჟურ. „საბა“, 2009. N3. გვ. 2.

21 ბარდავლიძე ნ. „გლობალიზაცია და ქრისტიანობა, კრებ. რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი, 200905. გვ. 103.

მეოთხე ფაქტორია სოციალურ-ჰუმანიტარული თანამშრომლობა რომელსაც კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციები თავიანთი დონორების მხარდაჭერით ანხორციელებენ საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში და რაც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი დოლარით განისაზღვრება. პოლიამბულატორიის, სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრებისა და საავადმყოფოს ფუნქციონირება, მოზარდებისათვის გამაჯანსაღებელი ბანაკების ორგანიზება და სხვ. მრავალი აქცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოდნავ განსხვავებულია საქართველოში მკვიდრი ადგილობრივი კათოლიკე მორწმუნეების და ოფიციალური ვატიკანის პოზიცია. თუ ქართველი კათოლიკეები ჯიუტად მოითხოვენ თავინთი ყოფილი ტაძრების დაბრუნებას, რომლების დაკარგვაში ნაწილობრივ მათაც მიუძღვით ბრალი, თავის დროს გამოჩენილი ინერტულობის გამო, სულ სხვაა ოფიციალური ვატიკანის პოზიცია. წმიდა საყდრისთვის ბევრად მნიშვნელოვანია მართლმადიდებლურ ეკლესიებთან, კონკრეტულ შემთხვევაში კი საქართველოს საპატრიარქოსთან ურთიერთობის ნორმალიზება. ვატიკანი ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით (მას მსოფლოს ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოში გახსნილი აქვს თავისი სადესპანოები) ცდილობს გაატაროს ურთიერთდაახლოების, მეგობრული თანამშრომლობის, ურთიერთგაგების პოლიტიკა, რომელიც ქრისტიანობის ეკუმენურ პრინციპებს ეფუძნება. ამრიგად, ოფიციალური ვატიკანისთვის პრიორიტეტის მართლმადიდებლურ ეკლესიებთან მჭიდრო და ურთიერთნდობაზე დამყარებული თანამშრომლობა. წმიდა საყდარი სავსებით პოზიტიურად უყურებს მართლმადიდებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და დაახლოების პერსპექტივებს.

30 წლის განმავლობაში საქართველოში წმიდა საყდრის უკვე მეხუთე დესპანი აგრძელებს დიპლომატიურ საქმიანობას<sup>22</sup>. პირველი დესპანი იყო არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი (1993-1998). იგი ჯერ კიდევ 1992 წელს ეწვია საქართველოს და უშუალოდ სადესპანოს ამოქმედებამდე მან დიდი ორგანიზაციული საქმიანობა ჩაატარა. შემდგომ უკვე დესპანის რანგში აქტიურად იყო ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში: დააფუძნა "საქართველოს კარიტასი", მსოფლიო მასშტაბით უდიდესი კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია "კარიტასის" ფილიალი<sup>23</sup>. გასული საუკუნის 90-იანი წლები, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალი-

22 <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations.aspx>

23 „კარიტასი“ თავისი მასშტაბით აჭარბებს „ნითელი ჯვრის“ ორგანიზაციას.

ბება მრავალ პრობლემასთან მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ გაჭირვებასთან იყო დაკავშირებული. ამ პრობლემათა გადანყვეტა უცხოეთის მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელი იყო. დამოუკიდებლობის პირველი წლების განმავლობაში საერთაშორისო “კარინტასის” დახმარებით ათეულ ტონობით კვების პროდუქტები იქნა შემოტანილი და განაწილებული სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე, ამოქმედდა უფასო სასადილო. არქიეპისკოპოს ჟან-პოლ გობელი უშუალოდ იყო ჩართული დონერების მოძიებაზეც და ჰუმანიტარული ტვირთების სამართლიან გადანაწილებაზეც. უცხოეთიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეძენა და საქართველოში ტრანსპორტირება დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ჟან-პოლ გობელმა მართებული გადანყვეტილება მიიღო და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა უშუალოდ ქართველი გლეხებიდან დაიწყო. ამით ორი სასარგებლო საქმე გაკეთდა, უფრო მომჭირნედ ხდებოდა სურსათის შეძენა და ჰუმანიტარული დახმარების თანხა, უცხოეთში დარჩენის ნაცვლად ადგილობრივი მეურნეების ნახალისებას ხმარდებოდა.

წმიდა საყდრის სადესპანოს ამოქმედების პირველ წელს, პაპმა არქიეპისკოპოს **ჟან-პოლ გობელს**, ელჩის მოვალეობის შესრულება-სთან ერთად, სამხრეთ კავკასიაში (იგულისხმება რეგიონის სამივე სახელმწიფო) სამოციქულო ადმინისტრატორის ფუნქციაც დააკისრა. როდესაც ადმინისტრაციის ორგანიზება და მისი ქმედითი ფუნქციონირების მოგვარება შესძლო, ჟან-პოლ გობელმა სამოციქულო ადმინისტრაციის მართვა, ქუთაისში სტიგმელთა კონგრეგაციის მისიონის ხელმძღვანელს მამა ჯუზეპე პაზოტოს გადააბარა, რათა თავად მთელი ყურადღება რეგიონში წმიდა საყდრის დიპლომატიური საქმიანობის გაძლიერებისათვის დაეთმო. ელჩობის ვადაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა ჟან-პოლ გობელმა, ქვეყანაში არსებული უაღრესად მძიმე სოციალური ვითარების გათვალისწინებით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს სურდა კათოლიკე ეკლესიას კიდევ უფრო მეტი ჰუმანიტარული დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის. პრეზიდენტის ამ სურვილის გათვალისწინებით ნუნციუსმა შუამდგომლობით მიმართა წმ. კამილოს ორდენს, რომელმაც მანამდე სომხეთში მინისტვრით დაზარალებულ სპიტაკის რეგიონში საქველმოქმედო საავადმყოფოს დააფუძნა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოშიც გაეხსნათ საკუთარი ფილიალი – უფასო სამედიცინო დაწესებულება.

1998 წელს, სამხრეთ კავკასიაში დესპანობის ვადის ამოწურვის შემდგომ, არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი ჩაანაცვლა არქიეპისკოპოსმა **პიტერ სტეფან ცუბრიგენმა (1998-2001)**. მისი დესპანობის

პერიოდი გამორჩეულია საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის ურთიერთობების გააქტიურებითა და გაღრმავებით.

არქიეპისკოპოსს პიტერ სტეფან ცუბრიგენის საქართველოში დესპანობის დროს ხორცი შეესხა ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვან პროექტს, რომლის განხორციელების სურვილიც წინა წლებში გაცხადდა. კერძოდ კი 1998 წელს აიგო და ამოქმედდა წმ. კამილოს ლილესის ორდენის ავადმყოფთა მომსახურე სამედიცინო დაწესებულება პოლიამბულატორია. ამჟამად კი უკვე უკვე დამოუკიდებელი და გაფართოებული კამილიელთა მრავალფუნქციური სამედიცინო ცენტრია, რომელიც ასეულობით ადამიანს უწევს ფართო პროფილის სამედიცინო მომსახურებას. თითქმის ამავედროულად ავლაბარში აშენდა და ამოქმედდა დედა ტერეზას დების მონაწილეების სახლი<sup>24</sup>.

არქიეპისკოპოსს პიტერ სტეფან ცუბრიგენის საქართველოში დესპანობის დროის ყველაზე გამორჩეულ მოვლენად კი საქართველოში რომის პაპის ოფიციალური ვიზიტი გვევლინება. 1999 წლის ნოემბერში რომის პაპი იოანე პავლე II ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს. ეს იყო რომის პაპის პირველი ვიზიტი არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ ისტორიული ვიზიტის მნიშვნელობა ბევრად მეტია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

პიტერ სტეფან ცუბრიგენი დაინტერესებული იყო საქართველოში მოქმედი კათოლიკური საკრებულოების ცხოვრების, მათი პრობლემების უშუალო გაცნობით. იგი ხშირად სტუმრობდა კათოლიკურ საკრებულოებს და კარგად იცნობდა როგორც მათ, ასევე მთლიანად რეგიონის პრობლემებს. 2000 წლის 31 დეკემბერს განხორციელდა არქიეპისკოპოსის ვიზიტი გორის რაიონის კათოლიკურ საკრებულოებში, ვიზიტის ფარგლებში ნუნციუსი შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. სავარაუდოდ, ამ შეხვედრამ დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მანამდე არსებული დიდი წინააღმდეგობა დაიძლია და სოფელ ახალხიზაში შესაძლებელი გახდა სამლოცველო სახლისთვის ნაკვეთის შეძენა და შემდგომ იქ სამლოცველოს აგებაც. არქიეპისკოპოსს პიტერ სტეფან ცუბრიგენის ელჩობის დროს განხორციელდა საქართველოს კათოლიკეთათვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა: 2000 წლის 6 იანვარს რომში, წმიდა პეტრეს ბაზილიკაში, პაპმა იოანე პავლე II-მ ეპისკოპოსად ხელი დაასხა სამხრეთ კავკასი-

24 დღეს წმ. კამილოს პოლიფუნქციური ცენტრი კიდევ უფრო ფართო პროფილით ეხმარება თავის პაციენტებს.

აში წმიდა საყდრის სამოციქულო ადმინისტრატორს, მამა ჯუზეპე პაზოტოს და თითქმის ექვს საუკუნოვანი წყვეტის შემდგომ, საქართველოს კვლავ თავისი კათოლიკე ეპისკოპოსი მოვევლინა.

2001-2011 წლებში სამხრეთ კავკასიაში წმიდა საყდრის დესპანი იყო არქიეპისკოპოსი **კლავდიო გუჯეროტი**, დიპლომატიურ არენაზე დიდი გამოცდილების მქონე დიპლომატი, რომელიც 1990-იანი წლებიდან ჯერ კიდევ მღვდლის ხარისხში არაერთგზის სტუმრობდა საქართველოს და ყველა ადგილობრივ პრობლემაში საკმაოდ გარკვეული იყო. 1999 წელს, კლავდიო გუჯეროტი აქტიურად იყო ჩართული, საქართველოში პაპ იოანე პავლე II-ის ოფიციალური ვიზიტის მოსამზადებელ საორგანიზაციო ჯგუფში. მისი უშუალო ორგანიზატორობით 2000-იანი წლების დასაწყისში წარმატებით განხორციელდა პაპ იოანე პავლე II-ის ოფიციალური ვიზიტები ერევანსა და ბაქოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაქოს ვიზიტი 2002 წელს, როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა პაპს ოფიციალური შეხვედრის დროს, აზერბაიჯანის კეთილი ნების გამოსახატავად, წმიდა საყდარს ბაქოს ცენტრში საჩუქრად გადასცა ვრცელი მიწის ნაკვეთი, სადაც რამდენიმე წელიწადში აიგო და ეკურთხა თანამედროვე არქიტექტურის გრანდიოზული კათოლიკური ტაძარი. არქიეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის დიპლომატიურ სამსახურის დროს, 2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და საქართველოში არსებული დიპლომატიური კორპუსის დუაიენად განისაზღვრა წმიდა საყდრის ნუნციუსი<sup>25</sup>.

კლავდიო გუჯეროტი აქტიურად იყო ჩაბმული ეკლესიათშორის ურთიერთობებში, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა სხვადასხვა კონფესიების მწყემსმთავრებთან. იგი მონაწილეობდა ქრისტიანთა ერთობის ლოცვებში. 2011 წელს, თბილისში გამართული ერთობის ლოცვის შემდგომ ჟურნალ “საბასთვის” მიცემულ ინტერვიუში ნუნციუსმა აღნიშნა: “მე ხშირად მიწევს სხვადასხვა ქვეყნებში გამგზავრება და ამიტომ მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მივიღე მონაწილეობა თბილისში აღვლენილ ერთობის ლოცვებში, ისე ყოველთვის ვმონაწილეობ ეკუმენურ ლოცვებში. დამერწმუნეთ, ამ ლოცვებს ისევე როგორც ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიმართულ ნებისმიერ აქტიობას დიდი პერსპექტივა აქვს”<sup>26</sup>. არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი აქტიურ სასულიერო მსახურებაშიც იყო ჩართული, სისტემატურად აღავლენდა საკვირაო წირვებს ინგლისურ ენაზე თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში.

25 <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations.aspx>

26 ბარდაველიძე ნ. „ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის 2011“. ჟურ. „საბა“, 2011წ. N 2. გვ. 15.

2008 წელს აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებისთანავე არქივისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი გაემგზავრა იტალიაში და ომით დაზარალებული ქართველი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების შეგროვების ორგანიზებით დაკავდა. უკვე აგვისტოს ბოლოს კლავდიო გუჯეროტმა მილიონ ევროს დახმარება შეკრობა მხოლოდ იტალიის კათოლიკე ეპისკოპოსების მხარდაჭრით. შემდეგი თვეებშიც იგი სისტემატურად სტუმრობდა შიდა ქართლის რეგიონს და ადგილზე ეცნობოდა თუ როგორ ხდებოდა “კარიტასის” მიერ ჰუმანიტარული დახმარების განაწილება<sup>27</sup>.

მნიშვნელოვანია არქივისკოპოს კლავდიო გუჯერეტოს როლი ეკლესიათშორის ურთიერთობების დათბობაში, მისი ნუნციუსობის დროს “საქართველოს კარიტასის” მიერ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მართლმადიდებელი ბენეფიციარებისათვის, აგებულ იქნა მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა. ასევე დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს, კათოლიკე ეკლესიამ ღვთისმსახურებისათვის დაუთმო სატაძრო ნაგებობები.

არქივისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, კავკასიაში მსახურებისას, სასულიერო და დიპლომატიურ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერად მონაწილეობდა სამეცნიერო სფეროშიც. იგი მუდამ ესწრებოდა და მოხსენებებით გამოდიოდა რელიგიათმცოდნეობით სიმპოზიუმებში, თვითმხილველთ დღემდე ახსოვთ მის მიერ წაკითხული საჯარო მოხსენებები შოთა რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. მისი უშუალო მხარდაჭერით გამოიცა სამეცნიერო ლიტერატურა, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლად სტაჟირებაზე გაიგზავნენ სტუდენტები. ნუნციუსი სისტემატურად ეხმარებოდა ქართულ შემოქმედებით კოლექტივებს იტალიაში კონცერტების ორგანიზებაში.

არქივისკოპოს კლავდიო გუჯერეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ღვაწლთაგან აღსანიშნავია მისი დიდი ძალისხმევა სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტის დაფუძნებაში. სწორედ ნუნციუსის დაჟინების შედეგად განათლების სამინისტრომ გასცა ლიცენზია, საქართველოს და მთლიანად კავკასიის ისტორიაში, პირველი დასავლური ტიპის თეოლოგიური ინსტიტუტის გახსნისათვის. ასევე აღსანიშნავია კლავდიო გუჯეროტის დამსახურებაც საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონის მიღებაშიც.

2011-2017 წლებში წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში იყო არქივისკოპოსი **მარეკ სოლჩინსკი**. არქივისკოპო-

---

27 არქივისკოპოსი კ. გუჯეროტი, ინტერვიუ ჟურ. „საბა“ 2008. N10. გვ. 2.

სი მარეკ სოლჩინსკი წმიდა საყდრის დიპლომატიური სამსახურში ეკლესიის საქველმოქმედო მსახურების სფეროდან მოვიდა, თუმცა მალევე აულო ალლო საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობას. მართალია, იგი წინამორბედი ელჩებიდან განსხვავებით შედარებით ნაკლები აქტივობით იყო ჩართული სადესპანოს გარეთ საზოგადოებრივ საქმიანობაში და პიარზეც ნაკლებად ზრუნავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოკრძალებული ფორმით მაგრამ სისტემატურად, ცდილობდა მონაწილეობა მიეღო საქართველოსა და სომხეთში კათოლიკე ეკლესიისა და მასთან აფილირებული ორგანიზაციების საქმიანობაში.

ნუნციუს მარეკ სოლჩინსკის მოკრძალებულობის სამაგალითოდ მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ, 2012 წელს მისი ინიციატივით, თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში ჩატარდა წინა წელს რუსეთში, სმოლესკთან ტრაგიკულად დაღუპული პოლონეთის სამთავრობო დელეგაციის წევრთა (დელეგაცია რომელიც კატინში პოლონელ სამხედროთა მასობრივი დაკრძალვის ადგილზე მიფრინავდა და რომლის ხელმძღვანელიც იყო საქართველოს დიდი მეგობარი, პოლონეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ლეჰ კაჩინსკი), სულის მოსახსენებელი მსახურება. ამ წმ. წირვას ნუნციუსის მონვევით ესწრებოდა საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და სახელგანთმული ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი. მსგავს აქტიობას მრავალი პოლიტიკოსი საკუთარი პიარისა და სამიანობის წარმოსაჩენად გამოიყენებდა და მედიის საშუალებით მთელ ქვეყანას გააცნობდა თავის “დამსახურებას”. ნუნციუსმა, ქრისტიანული რწმენით, გულითადი სიყვარულითა და პატრიოტული მონოდებით აღავლინა წმ. წირვა და მხოლოდ ის საპატიო სტუმრები მოიწვია, ვინც პირადად იცნობდნენ და მეგობრობდნენ პოლონეთის პრეზიდენტთან და მის ოჯახთან. შეგახსენებთ, რომ ლეჰ კაჩინსკი არაერთხელ სტუმრობდა საქართველოს მათ შორის 2008 წლის რუსეთთან ომის დროსაც და თბილისის საკათედრო ტაძარშიც დასწრებია წმიდა წირვას.

არქიეპისკოპოსმა მარეკ სოლჩინსკიმ, საქართველოში ნუნციოსობის პერიოდში შესძლო ელჩის უმთავრესი მოვალეობის წარმატებით განხორციელება. 2016 წელს, დაიგეგმა და მაღალ დონეზე განხორციელდა რომის პაპის ოფიციალური ვიზიტები სამხრეთ კავკასიაში. პაპ ფრანცისკეს სურვილი ჰქონდა, მოენახულებინა სამხრეთ კავკასიის ორი დაპირისპირებული სახელმწიფო აზერბაიჯანი და სომხეთი და თავისი სტუმრობით ხელი შეეწყო ამ ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალწლიანი დაძაბულობის შემცირებისთვის. ამ მშვიდობისმოსურნე ვიზიტის მომზადებაში ცხადია



აქტიურად იყვნენ ჩართული წმიდა საყდრის ნუნციუსები სამხრეთ კავკასიაში<sup>28</sup>.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული არაკეთილმეზობლური ურთიერთობების გამო პაპ ფრანცისკეს ვიზიტი ორ ეტაპად დაიგეგმა, ვინაიდან დიპლომატიური კუთხით მიუღებელი იყო დაპირისპირებულ ქვეყნების ერთი ვიზიტის დროს მონახულება, ვიზიტი ორ ნაწილად გაიყო. თავდაპირველად, ივლისის თვეში პაპი ფრანცისკე სომხეთს ესტუმრა, ხოლო სექტემბერ-ოქტომბრში განხორციელდა პაპ ფრანცისკეს ოფიციალური ვიზიტი საქართველოსა და აზერბაიჯანს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დედაქალაქში პაპის სტუმრობის დროს, პაპთან შესახვედრად, ბაღდადიდან სპეციალურად ჩამოფრინდა ასურულ-ქალდეური კათოლიკე ეკლესიის პატრიარქი. პაპ ფრანცისკეს იმხანად დიდი სურვილი ჰქონდა ერაყში მშვიდობის მისიით სტუმრობისა, მაგრამ ქვეყანასა და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მეტად დაძაბული, საომარი ვითარების გათვალისწინებით ამ ვიზიტის განხორციელება ვერ ხერხდებოდა. თბილისში ასურულ-ქალდეური პატრიარქისა და პაპ ფრანცისკეს შეხვედრამ ფაქტიურად სიმბოლური სამშვიდობო დატვირთვა მიიღო.

პაპის ორდღიან სტუმრობას საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კათოლიკე ეკლესიისა და მრევლისათვის. პაპის ვიზიტთან დაკავშირებით რუსთავის ქალაქის მმართველობა, რომელიც მანამდე წლების მანძილზე არ აძლევდა თანხმობას რუსთავის კათოლიკე მრევლს, რომ მათ საკუთარ მიწის ნაკვეთზე აეგოთ სამლოცველო, იძულებული გახდა, ეს თანხმობა გაეცა და, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ პაპ ფრანცისკეს თბილისში სტუმრობამ მისცა საშუალება რუსთაველ კათოლიკეებს, აეგოთ ტაძარი, რომელიც უკვე ამ ქალაქის ერთ-ერთ არქიტექტურულ მშვენიერებას წარმოადგენს.

2018 წლიდან დღემდე, საქართველოსა და სომხეთში წმიდა საყდრის დესპანია არქიეპისკოპოსი **ჟოზე აველინო ბეტენკური**. მოსვლის პირველი დღეებიდანვე არქიეპისკოპოსი ბეტენკური აქტიურად ჩაერთო დიპლომატიურ, სასულიერო და საზოგადო საქმიანობაში. მოინახულა ყველა კათოლიკური საკრებულო, სისტემატურად მონაწილეობს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფორუმებში, მხარდაჭერას უწევს ჰუმანიტარულ და სამეცნიერო პროექტებს. მისი აქტიური ძალისხმევით გაიხსნა წმიდა საყდრის რეზიდენცია ერევანში. საქართველოში ჩამოსვლის პირველი დღეები-

28 ბოლო ათწლეულია, რაც აზერბაიჯანში წმიდა საყდრმა ახალი სადესპანო დააფუძნა. ამჟამად აზერბაიჯანის, თურქეთისა და თურქმენეთის საგანგებო დესპანია არქიეპისკოპოსი მარეკ სოლჩინსკი.

დანვე ნუნციუსმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მღვდელმთავრებთან, მონაწილეობს ქრისტიანთა ერთობის ლოცვებში, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა კონფესიის ლიდერებთან. მისი ნუნციუსობის დროს, 2019 წლის 29-31 დეკემბერს, დაიგეგმა და განხორციელდა წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივნის პიეტრო პაროლინის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, ხოლო 2021 წლის 17-19 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ოფიციალური ვიზიტი ვატიკანში. ამ უკანასკნელის ფარგლებში გაიმართა პრეზიდენტის აუდიენცია რომის პაპ ფრანცისკესთან და ასევე ხელი მოეწერა ვატიკანთან ორ მემორანდუმს კულტურის და განათლების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ<sup>29</sup>.

არქიეპისკოპოსი ყოზე აველინო ბეტენკურის უშუალო ძალისხმევით 2022 წლის ივნისში განხორციელდა ქართული კულტურისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ვიზიტი, თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა საპატრიარქო გუნდის საკონცერტო გამოსვლა ვატიკანში, 26 ივნისს – სიქსტეს კაპელაში, ხოლო 29 ივნისს, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა დღესასწაულზე, წმ. პეტრეს ტაძარში პაპ ფრანცისკეს მიერ აღვლენილი საზეიმო მსახურების დროს. მნიშვნელოვანია 2023 წლის 13 თებერვალში ნუნციუსის ორგანიზებით სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი დელეგაციის წევრები ვატიკანში პირად აუდიენციაზე მიიღო პაპმა ფრანცისკემ. ეს ორივე ვიზიტი ვატიკანში ძალზე მნიშვნელოვანი ნიშანია იმისა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს წმიდა საყდარი საქართველოსთან ურთიერთობებს, მიუხედავად იმისა რომ საქართველოს კათოლიკური მრევლი მეტად მცირერიცხოვანია და მათი გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს. პირიქით, ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს იგნორირება გაუწიოს საქართველოს კათოლიკეებს და საერთოდ არ ცდილობს გამოიყენოს ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის პოტენციალი ზოგადევროპულ ურთიერთობებში. ამ ფონზე საქართველოსთან წმიდა საყდართან ურთიერთობები გაფართოების კალაპოტში მიედინება და რაშიც გადამწყვეტ როლი სწორედ წმიდა საყდრის სადესპანო თამაშობს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს თანამშრომლობა კულტურის სფეროში, ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის კუთხით. ამ მხრივ, ვატიკანთან თანამშრომლობას შეუდარებლად დიდი წვლილი შეტანა შეუძლია საქართველოს დასავლურ სამყაროში ინტეგრაციის პროცესში.

---

29 <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations.aspx>

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვატიკანი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც 1992 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და განვლილი სამი ათწლეულის მანძილზე რეალური საქმითა და თანადგომით დაადასტურა თავისი მეგობრული დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ. საქართველოში რვაასი წელია, რაც უწყვეტად ფუნქციონირებს ლათინური წესის კათოლიკე ეკლესია და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არაერთგზის დადასტურდა როგორც ქართველი კათოლიკეების ერთგულება ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებისადმი, ასევე წმიდა საყდრის თანადგომაც საქართველოსადმი.

საქართველოს თანამშრომლობა წმიდა საყდრთან, ისევე როგორც სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან, ეფუძნება რა ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და საერთაშორისო დეკლარაციებით აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნდამენტალურ მოთხოვნებს, ვითარდება ორი ქვეყნის თანაბარუფლებიანი პარტნიორული თანამშრომლობის სულისკვეთებით.

წმიდა საყდრის ოფიციალური პოლიტიკა ემყარება როგორც სახარებისეულ სწავლებას, ასევე ვატიკანის II მსოფლიო კრების დეკრეტებსა და პაპების ენციკლიკებში გამოთქმულ იდეებს. ამოძრავებს რა ქრისტიანულ ეკლესიებთან თანასწორი თანამშრომლობის სურვილი, წმიდა საყდარი მოწოდებულია დაიცვას კათოლიკე მორწმუნეთა უფლებები, საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის საერთაშორისო უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთანავე, წმიდა საყდარი ცდილობს საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებულ ნორმებში გაუწიოს საქართველოს მოქალაქეებს ჰუმანიტარული დახმარება, ასევე ქართულ სახელმწიფოს აღმოუჩინოს თანადგომა საერთაშორისო ასპარეზზე. და ამ თანამშრომლობას აქვს ორმხრივ სასარგებლო პერსპექტივები როგორც წმიდა საყდრის ასევე საქართველოსათვის. სხვადასხვა სუბიექტურ წინააღმდეგობათა გამო, სამწუხაროდ, სრულად ვერ ხერხდება წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო ეფექტური ამოქმედება, ამ თანამშრომლობას დიდი პოტენციალი აქვს და მიუხედავად იმისა, რომ ამ სამი ათწლეულის წინათ, სხვათაშორის რუსული იდეოლოგიის ფარული გავლენით, სხვადასხვა წინააღმდეგობებმა იჩინა თავი, საქართველოს დასავლურ კურსს ალტერნატივა არ გააჩნია. ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ საქართველოს დასავლურ ცივილიზაციასთან ურთიერთობა სწორედ კათოლიკური სამყაროს მეშვეობით მოიაზრებოდა. ამიტომაც ევროინტეგრაციის მონიწილმდეგეთა მიზანში უპირველესად წმიდა საყდარი და ქართველი კათოლიკეები ხვდებიან. საბედნიეროდ, უკანასკნელი სამი ათწლეული ანუ

დამოუკიდებელი საქართველოს მთელი უახლესი ისტორია გვარნმუნებს, რომ წმიდა საყდარი და ვატიკანი მყარად დგას ჩვენი ქვეყნის მეგობართა რიგებში და ასე იქნება მომავალშიც.

### *გამოყენებული ლიტერატურა*

1. პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995.
2. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, რეპრინტი, თბილისი 2011.
3. ჟანენ რ. საქართველო, გამომცემლობა “ნეკერი“, თბილისი, 1996.
4. კვესელავა ი. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1990.
5. ბარდაველიძე ნ. “გლობალიზაცია და ქრისტიანობა, კრებ. რელიგიათმცოდნეობითი ძიებანი, 2009.
6. ბარდაველიძე ნ. „ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის 2011“. ჟურ. “საბა“, 2011, N 2.
7. ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2019.
8. ბრეგანტინი გ. “ალბათ ყველამ არ იცის“, ჟურ. “საბა“, 2009. N3
9. არქივისკოპოსი გუჯეროტი კ. ინტერვიუ ჟურ. “საბა“ 2008. N10.
10. <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations.aspx>
11. <https://www.mfa.gov.az/en>
12. <https://www.mfa.am/en/visa/>

**Nugzar Bardavelidze**

## **Centuries-Old Coperation: the Holy See and Georgia**

In 1991, in the first year of the restoration of Georgia's independence, Cardinal Agostino Casaroli, the State Secretary of the Holy See, visited Georgia and met with President Zviad Gamsakhurdia, thus taking the first step to establish diplomatic relations.

In 1992, when the process of international recognition of Georgia began, the Holy See was already ready for diplomatic mission events. So, the Vatican is in the top ten of the states that opened their official representation in Tbilisi in 1992.

In our country, the number of parishes of the Catholic Church ranks 4th, after the congregations of Orthodox Christians, Muslims and

the Armenian Apostolic Church. The Catholic Church is represented by three rites (rules): Latin (30 parishes), Armenian-Catholic (18 parishes) and Assyrian-Chaldean (2 parishes). If we compare the data of 2014 with the statistical data of 1897, the number of Catholics in Georgia has decreased from 1.5% to 0.8%. Traditionally, the members of the Catholic parish of Georgia are quite active and make a significant contribution to the country's cultural-educational and humanitarian sphere.

The Vatican is one of the first states that recognized Georgia's independence in 1992, and has confirmed its friendly attitude towards our country through real actions and cooperation over the past three decades. The Catholic Church of the Latin order has been functioning continuously in Georgia for eight hundred years, and during these eight centuries, the loyalty of Georgian Catholics to the interests of the national state, as well as the support of the Holy See to Georgia, has been proven more than once.

Georgia's cooperation with the Holy See, as well as with other sovereign states, is based on the national state interests and fundamental requirements for the protection of citizens' rights and freedoms recognized by international declarations, and develops in the spirit of equal partnership cooperation between the two countries.

The official policy of the Holy See is based on both evangelical teaching and the ideas expressed in the decrees of the Second Vatican Council and the encyclicals of the Popes. Driven by the desire for equal cooperation with Christian churches, the Holy See is committed to protecting the rights of Catholic believers, taking into account the requirements of the Georgian Constitution, international human rights and freedoms declarations. At the same time, the Holy See tries to provide humanitarian aid to the citizens of Georgia in accordance with the norms accepted in international relations, as well as to find support for the Georgian state in the international arena. And this cooperation has mutually beneficial perspectives for both the Holy See and Georgia.

## ნატალე გაბრიელე მორიონდოს პირველი სამოძღვრო წერილი

### შესავალი

თითქმის შემთხვევით წავეწყდი ამ სახელსა და გვარს და გამიკვირდა კიდევ, რომ მის შესახებ არაფერია ნახსენები XX საუკუნის საქართველოში<sup>1</sup> კათოლიკე ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებულ ქართულ და იტალიურ ტექსტებში. მინდოდა ინტერნეტში დამეწყო მოკვლევა და მიმეწერა მათთვის, ვისაც შეიძლება რამე ინფორმაცია ჰქონოდა მასზე; პასუხებიც მივიღე, ღირებული სიახლეებითურთ, რისთვისაც მადლობელი ვარ; მაგრამ კვლევა ჯერ კიდევ პროცესშია, რადგანაც კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი, განსაკუთრებით იმ პერიოდთან დაკავშირებით, – რაც არ უნდა ხანმოკლე იყოს, – როდესაც იგი საქართველოში იმყოფებოდა (1920 წლის ოქტომბერი – 1921 წლის თებერვალი); ასეთი საკითხებია, მაგალითად: სამოციქულო ადმინისტრატორი იყო თუ მხოლოდ სამოციქულო სტუმარი? რატომ შეარჩიეს საქართველოში ჩამოსასვლელად? კითხვები ბევრია და შესაბამის პასუხებს მოითხოვს; არის სხვადასხვა, ერთმანეთთან შეუსაბამო ინფორმაციები? იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი არ დაიკარგა ან განადგურდა ტრანსპორტირების, ომის გამო, განსაკუთრებით აქ, საქართველოში, იმდროინდელ არქივებში, ბიბლიოთეკებსა თუ პრესაში და საკმაოდ საინტერესო მასალა გველოდება გასაცნობად.

წინამდებარე ნარკვევი ნაჩქარევად და არასრულად შესრულდა, თუმცა უნდა მივიჩნიოთ დასაწყისად, რამდენდაც მცდელობაა ამ პიროვნების გასაცნობად, რომელიც ბევრ მოულოდნელობას გვპირ-

---

1 ამის შესახებ საუბრობს მ. ივანე მარტინი თავის ნიგნში „საქართველოში ლათინური კათოლიკური ეკლესიის მოკლე ისტორია“, გვ.62, მხოლოდ სახელს ახსენებს. სიმართლე ითქვას, მეც მოვიხსენიე იგი სამოციქულო ადმინისტრაციის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე... შდრ. Laura Pettinaroli, LA POLITIQUE RUSSE DU SAINT-SIÈGE (1905-1939), Publications de l'École française de Rome, Rome, 2015. თავი 5. Des structures nouvelles pour refonder une Russie catholique.

2 საკმარისია გავიხსენოთ, როგორ შეუსაბამობაშია მისი ცხოვრების არაერთი თარიღი.

დება! მადლობა პროფესორ ნუგზარ პაპუაშვილს ამ ფიგურაზე გარკვეული ინფორმაციის მოწოდებისათვის, იგი შემდეგს მწერდა: „ეს ადამიანი ცნობილია (აქ, საქართველოში). მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლებთან; ეხმარებოდა ქართველ ახალგაზრდებს, რომლებსაც სურდათ ევროპაში წასვლა სასწავლებლად; ქართულად ნათარგმნია ნიგნი მის შესახებ 1921 წლის პასტორალური წერილით“.

შევძელი მომეძია მისი სამოძღვრო წერილის ასლი, რომელიც დათარიღებული იყო 1921 წლის 18 იანვრით. მოხარული ვიყავი, რომ პროფესორ ემზარ ჯგერენაიასთან<sup>3</sup> თანამშრომლობის წყალობით, ეს წერილი ხელთ აღმომაჩნდა და მისი ნაკითხვა შევძელი.

მსურს ეს ნაშრომი ორ ნაწილად დავყო: პირველი, რომელშიც მოკვლევული მასალის საფუძველზე, გავეცნობით მონსინიორ მორიონდოს და მეორე, რომელშიც წარმოდგენილი იქნება 1921 წლის 18 იანვრით დათარიღებული სამოძღვრო წერილი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სასულიერო პირთა და მორწმუნეთა მიმართ ქრისტიანთა ერთიანობის შესახებ.

## ნაწილი I ვინ იყო ნატალე გაბრიელე მორიონდო?

იგი დაიბადა 1870 წლის 17 დეკემბერს ტურინში, ქრისტიანულ ოჯახში; დაწყებითი და კლასიკური განათლება მშობლიურ ქალაქში მიიღო; კიერის არქიეპისკოპოსის<sup>4</sup> სემინარიის სტუდენტობის შემდეგ, 18 წლის ასაკში შევიდა კიერის დომენიკელთა მონასტერში<sup>5</sup>

---

3 ასლი განთავსებულია თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, კატალოგში (22) 272 მ 854. ეპისკოპოს მორიონდოს პასტორალური წერილი ქრისტიანთა ერთიანობის შესახებ 1921 წლის 18 იანვარი, თბილისი.

4 ასლი განთავსებულია თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, კატალოგში (22) 272 მ 854. ეპისკოპოს მორიონდოს პასტორალური წერილი ქრისტიანთა ერთიანობის შესახებ 1921 წლის 18 იანვარი, თბილისი.

5 ასლი განთავსებულია თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, კატალოგში (22) 272 მ 854. ეპისკოპოს მორიონდოს პასტორალური წერილი ქრისტიანთა ერთიანობის შესახებ 1921 წლის 18 იანვარი, თბილისი.

სემინარიაში, რომელიც დიდ შენობაშია განთავსებული, 1835 წლიდან წმიდა იოანე ბოსკოც სწავლობდა. დღეს მას სულ სხვა მიზნებისთვის იყენებენ.

XIII-ის შუა ნახევარში, კიერიში ჩასულმა დომინიკელმა ბერებმა, დაიწყეს თავიანთი ეკლესიისა და მონასტრის აშენება მიმდებარე კედლებთან: ეს არის დიდი, დღესაც თვალსაჩინო კომპლექსი ქალაქის ცენტრში. ორი სამონასტრო ეზოს ირგვლივ გაშენებულ მონასტერს დღემდე შემორჩენია თავდაპირველი,

და სახელად ებოძა ძმა გაბრიელე, აქვე დაასრულა კიდეც სწავლა; 1888 წლის 3 ნოემბერს მან სამუდამო აღთქმები დადო და 1893 წლის 7 აგვისტოს ხელდასხმულ იქნა მღვდლად. 1900 წლიდან იგი სტამბოლშია, როგორც მისი ორდენის ვიკარი აღმოსავლეთში მყოფი მისიებისთვის<sup>6</sup>. იგი გამოაცხადეს კუნეოს ეპისკოპოსად, აკურთხეს სტამბოლში, 1914 წლის 29 ივნისს, ხოლო 1914 წლის 27 სექტემბერს<sup>7</sup> საზეიმოდ შევიდა თავის ეპარქიაში. პირველი სამწყსო წერილით მან მსახურების დასაწყისშივე მიმართა თავის მორწმუნეებს<sup>8</sup>, რასაც დიდმარხვის დასაწყისში ყოველწლიურად ამზადებდა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით<sup>9</sup>.

---

შუასაუკუნეების დროინდელი შენობის ნაკვალები; საუკუნეების მანძილზე იგი ფართოვდებოდა და იცვლებოდა, XVII ს-ში შეიძინა მეტ-ნაკლებად დღევანდელი სახე: დღესაც მშვენივრად არის შემონახული იმდროინდელი დიდი ბიბლიოთეკა. ეკლესია, საკათედრო ტაძართან ერთად, გოტიკური ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს კიეროში.

- 6 იგი უძღვებოდა ამ მისიას, ხელს უწყობდა მის ზრდა-განვითარებას და კეთილდღეობას. აარსებდა ახალ სახლებს, სამრევლოებს, სკოლებს და ბოლოს, 1906 წელს, შეძლო იტალიის მფარველობის ქვეშ მოექცია ისინი, საფრანგეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, რომლებიც მაშინ მათ მფარველებს წარმოადგენდნენ. ამ დროისთვის, მას საპატიო თანამდებობები ეკავა და მნიშვნელოვანი საქმეები ევალებოდა კონსტანტინოპოლის სამოციქულო დელეგაციაში, წმიდა საყდრის სახელით იგი ეწვია საბერძნეთისა და მცირე აზიის მისიებს. „კაზერტას ეპისკოპოსთა ქრონოლოგიიდან“ ეპისკოპოს მორიონდოს ბიოგრაფიით.
- 7 პირველი მსოფლიო ომის დროს იყო კუნეოს ეპისკოპოსი. 1917 წელს ეპარქიის ასი წლისთავისთვის მან ხელი შეუწყო კუნეოში რელიგიური ისტორიის მასალების შეგროვებას. იქვე აღასრულა სამწყსო ვიზიტი და დააარსა 3 სამრევლო.
- 8 N.B. ვინაიდან მორიონდოს წერილებისა და განცხადებების უმეტესობას არ გააჩნია სათაური ან რაიმე რეკვიზიტი, ალესანდრო პაროლას კატალოგს უნდა მივმართოთ; ბრძანების ნომრები პაროლას სარჩევის შესაბამისად იძებნება. 1914 153. ძმა ნატალე გაბრიელ მორიონდოს პირველი პასტორალური წერილი „კუნეოს ეპისკოპოსის ქადაგებები კლერისადმი, ქალაქის მოსახლეობისადმი და ეპარქიისადმი, ტურინი 8.9.1914, ტიპოგრაფია: Centrale Eynard, f 23 pp., APSMP. „ახალი ეპისკოპოსის ზრახვები და იმედები“ 4, „ქრისტიანული სარწმუნოებისა და ზნე-ჩვეულებების სწავლების ვალდებულება, რომლის ოსტატიც გახლავთ ეპისკოპოსი“ 6, „ქრისტიანული ჭეშმარიტების უფიცობა თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი უდიდესი ბოროტება“ 8, „ე.წ. სოციალური მართვა დღეს უფრო მეტად ცოცხალია, ვიდრე ოდესმე“ 11, „ეპისკოპოსმა უნდა გააღვივოს ღვთის ღვთისმოსაობისა და თავყანისცემის კულტი“ 13 და „იყოს მღვდლების დამზადებელი მამა“ 16, „რეკომენდაციები და ლოცვები“ 22.
- 9 წერილი მარხვასთან დაკავშირებით 1915წ. 154, ომის სწავლებანი. პირველი პასტორალური ვიზიტი, კუნეო 19.1.1915, ტიპოგრაფია: Oggero, f 35 pp.,



APSMP.. ყველაზე დიდი და ყველაზე ბარბაროსული ომი, რაც მსოფლიოს ოდესმე უნახავს 4, ამჟამინდელი ომის წინაშე ჩვენ ნეიტრალური ვართ, როგორც კათოლიკეები და როგორც იტალიელები 4, საყოველთაო მშვიდობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ ღვთის უზენაეს ავტორიტეტზე დამორჩილებით 7. საზოგადოებიდან განრიდებული ღმერთი, იესო ქრისტე და მისი ეკლესია, ამო ილუზიაა ცივილიზაცია, პროგრესი და ძმობა 10, ომი ღმერთის ხელია, რომელიც თავს გვატყდება და სინანულისკენ გვიხმობს 10, ძალიან ბევრი და ძალიან სერიოზული იყო დღევანდელი საზოგადოების ბრალნი 13, იმედი გამომსყიდველ ომში და ღმერთთან დაბრუნება 15, ნუგეში მოდის მსოფლიო კონფლიქტში იტალიის ნეიტრალური პოზიციიდან 18, ღმერთი გამოარჩევს ჩვენს ქვეყანას და იცავს მას ომისგან, რადგან აქ ცხოვრობს ქრისტეს ნაცვალი 19, ბენედიქტ XV - მშვიდობის მისიონერი 21, პირველი სამწყსო ვიზიტი 26, განცხადებები 31/1915 154

1916 155. წერილი მარხვასთან დაკავშირებით 1916. ომის მარხვა, კუნეო 21.2.1916 წ., ტიპოგრაფია: **Oggero, f32pp., APSMP.** არა მხოლოდ რელიგია, არამედ სამშობლოს სიყვარულიც მოგვიწოდებს მარხვის განსაზღვრულად 4. ომმა ჩვენდა საიმედოდ მოიტანა რწმენისა და ღვთისმოსაობის გამოღვიძება 5, ომი მთელი თავისი საშინელებით არის ღვთის სასჯელი ყველა იმ ხალხზე, ვინც მას განიცდის და, შესაბამისად, ძლიერი მოხმობა 8, თუ ომი სამართლიანია, გამოდის ეს ღმერთს სურს და სურს მისი შედეგებიც 10, ცოდვები, რაზეც უნდა ვგოდებდეთ: ღვთის გმობა 12, და პორნოგრაფია 13, მონანიების საქმენი: ლოცვა, მარხვა, მონყალება 15-26, ქრისტიანული მოვალეობის კარგად შესრულება კარგ იტალიელობას ნიშნავს 27, დეიულებები და გაფრთხილებები 28.

1917 წ 156. წერილი მარხვასთან დაკავშირებით 1917 წ.. ჩვენი პირველი პასტორალური ვიზიტი. შთაბეჭდილებები და მოგონებები, კუნეო 2.2.1917, ტიპოგრაფია: **Oggero, f32pp., APSMP.** პასტორალური ვიზიტის დასრულება, რომელიც ორი წელი გრძელდებოდა 5, პროცესის შეჩერება უსაფრთხოების მიზნით 6, წმიდა საიდუმლოთა განაწილება და მორწმუნეთა დიდი მონაწილეობა 8, ეპისკოპოსმა აღნიშნა, რომ ბევრ სამრევლოში მორწმუნეები არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას ცერემონიებში 11, მიროცხნების საიდუმლოდან გამომდინარე პასუხისმგებლობა 13, ბევრი ქრისტიანი დღეს იდეალების გარეშე ცხოვრობს, ანუ ქრისტიანისა და კაცის უღირსი იდეალებისთვის 17, ეპისკოპოსი გვიჩვენებს ლოცვას და წმიდა ზიარებებზე დასწრებას 18, სასაფლაოები არასახარბიელოდ არის მოვლილი, განსაკუთრებით მთებში 27, ზოგიერთი ეკლესია და სამლოცველო ცუდ მდგომარეობაშია და მაღალი მთის სამრევლო მოვლდების უმეტესობა ცუდ პირობებში ცხოვრობს 29, დეპულებები და განცხადებები 37, ეპარქიის ასწლეული 43, სანგარიშო მოხსენება სარწმუნოების გავრცელების, წმიდა ყრმობის და აღმოსავლეთის სკოლების საქმიანობაზე 45

1918 157. წერილი მარხვასთან დაკავშირებით 1918წ. იზეიმეთ აღდგომა!, კუნეო 25.1.1918, ორფანელის სტამბა, **Frat. Isoardi, f30 pp., APSMP.** აღდგომის ზეიმით უნდა დაიწყოთ ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება 4, კაცთა დიდი უმრავლესობა აღარ აკურთხებენ დღესასწაულს 5, პატროტიზმის მსგავსად, რელიგია ვერ იქნება მხოლოდ შინაგანი ფაქტორი 7, რელიგია არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ სოციალური მოვალეობაა 8, ეკლე-

1920 წლის 19 აგვისტოს (?) რომის პაპმა ბენედიქტ XV-მ იგი სა-  
მოციქულო დელეგატად გაგზავნა საქართველოში, კავკასიასა და  
ოქროს რქის რეგიონში; კუნეო იმავე წლის 14 აგვისტოს (?) მან და-  
ტოვა და მასთან ერთად დატოვა "ტკბილი მოგონება თავის თავზე

---

სიის კანონების დაცვის ვალდებულება ღვთიურ კულტთან მიმართებაში 10,  
ბევრი ქრისტიანი არ იცავს მესამე მცნებას, რომელიც ავალდებულებს მათ  
წელიწადში ერთხელ მაინც, აღდგომის უამს, აღსარება ჩააბარონ 12. მიზეზი  
მდგომარეობს იმ ჩვევაში, რომ ცხოვრობ ცოდვაში და მანკიერ ქცევებში 17,  
დებულებები და განცხადებები 21, საანგარიშო მოხსენება რწმენის გავრცე-  
ლების, წმიდა ყრმობის და აღმოსავლეთის სკოლების საქმიანობაზე 26

1919 158. წერილი მარხვასთან დაკავშირებით, 1919 წ. იზეიმეთ აღდგომა!,  
კუნეო 16.2.1919, ტიპოგრაფია: *Fratt. Isaaradi, ფ30 პპ., AP&MP.* ეპისკო-  
პოსი წინა წლის მიმართებით გამოდის, რადგანაც შეიტყო, რომ მისმა მიმართ-  
ვამ მრავალ ქრისტიანში გაუგებრობა გამოიწვია 3, აღსარებაზე დაბრუნების  
მსხვერპლი მათთვის, ვინც დიდი ხანია უგულებელყოფს ამ პრაქტიკას 5,  
აღსარებას ღვთაებრივი ფესვები აქვს და ცოდვილები უნდა აღფრთოვანდ-  
ნენ იესო ქრისტეს უზღვავე წყალობით 9, წმ. საიდუმლოს სიბრძნე მდგომ-  
არეობს ცოდვების მიტევაში, სინდისის მონანიებით 13, შედეგად მოდის ში-  
ნაგანი სიმშვიდე და მსგავსი განმეორებისგან დაცვა 16, აღსარების ორმაგი  
ეფექტურობა კონტარდო ფერინის მსოფლმხედველობით 18, დებულებები  
და განცხადებები 21, საანგარიშო მოხსენება რწმენისა და წმიდა ყრმობის  
გამავრცელებელ საქმიანობაზე 27.

1920 159. წერილი მარხვასთან დაკავშირებით 1920. შესაძლებელია თუ არა  
იყო სოციალისტი?, ჩუენო 2.2.1920, ტიპოგრაფია: *Cuneo 2.2.1920.* გუ-  
ლისტიკვილი სოციალისტების მოძრაობაზე, რომლებიც კუნეოს ქუჩებში  
უბეჭდნენ 3, ეპარქია აქამდე თითქმის ხელშეუხებელი იყო სოციალისტური  
შეხვედრებისგან 4, სოციალისტური დოქტრინების შეუთავსებლობა სახარე-  
ბასთან 5, სოციალური უთანასწორობა ღვთისგან მოდის, ეს აუცილებელი და  
გარდაუვალია 6, მრავალი უთანასწორობა გაცემულა, რომ თავმდაბლობისა  
და სინანულის სულისკვეთებით გამოსყიდულიყო ცოდვები 8, სოციალისტე-  
ბი არიან ათეისტები, როგორც მათი თეორიების მამები: მარქსი, ენგელსი და  
ბებელი 10, ისინი უარყოფენ ქრისტიანული სარწმუნოების ფუნდამენტურ  
მაქსიმებს და სურთ ქორწინების როგორც წმიდა საიდუმლოს გაუქმება 12,  
როდესაც ამბობენ, რომ გაჭირვებულთა ბედზე ზრუნავენ, აცხადებენ ისეთ  
მოვლურებებს, რაც სწორედ ქრისტიანებს აკისრიათ, მაგრამ მათგან მიულე-  
ბელია მისალწვევი საშუალებები 14, ჰარმონიისა და კეთილგანწყობის ნაც-  
ვლად, სოციალისტები მიჰყვებიან კლასობრივი ბრძოლის გზას 17, კერძო  
საკუთრების უფლებას, რომლის გაუქმებაც სოციალისტებს სურთ, ღვთაებ-  
რივი ფესვები აქვს 19, კოლექტიური რეჟიმი, როგორც რუსეთის შემთხვე-  
ვამ აჩვენა, იწვევს სამოქალაქო ომს 22, ქრისტიანი, შესაბამისად, უთუოდ  
სოციალისტი ვერ იქნება 23, *Azione Cattolica* არის საიმედო საყრდენი და  
დამცავი სოციალიზმის გავრცელების წინაშე 25, განკარგულებები და განც-  
ხადებები 27, საანგარიშო მოხსენება რწმენისა და წმიდა ყრმობის გამავრ-  
ცელებელ საქმიანობაზე.

ექვსწლიან ეპისკოპოსობაზე<sup>10</sup>; კონსტანტინოპოლისა და ბათუმის გავლით<sup>11</sup> იგი ჩავიდა ტფილისში, სადაც დამკვიდრდა ღვთისმშობლის მიძინების კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სახლში<sup>12</sup>, რომელიც ეკუთვნოდა კაპუცინელ მამებს<sup>13</sup>; 1921 წლის პაპის წლიურ ანგარიშში ვკითხულობთ: „Cidiesso (Gheuktche-Euyuk), Cydiessus, Cydiessen. – პრ. ფრიგია პაკატინი – მ. ლაოდიკეა. + ნატალე გაბრიელე მორიონდო, მქადაგებლების, ნ. ტურიში 17 დეკ. 1870 წ. ელ. 25 მაისი 1914. ტრ. 28 ივნისი 1920 წ. ტფილისის სამოციქულო ადმინისტრატორი (საქართველო), კავკასიის სამოციქულო სტუმარი, რეზიდენციით ტფილისში, ღვთისმშობლის მიძინების კა-

---

10 კაზერტას ეპარქიის ოფიციალური ბიულეტენიდან, XVII ნელი, ნომერი 7, 28 ივლისი 1939. ნომერი ეძღვნება ეპისკოპოს მორიონდოს საეპისკოპოსო ვერცხლის ქორწინს. გვ. 82

11 რვეულიდან, რომელიც სტამბოლის დომინიკელთა არქივში ინახება, 1854 წლის 22 მაისიდან 1922 წლის ივლისამდე პერიოდის მიმოხილვაში შემდეგს ვკითხულობთ: „ღრმად პატივცემული ძმა პიეტრო გაგნორი... გაემგზავრა როგორც კუნეის ეპისკოპოსის, მისი ყოვლადუსამღველოესობა მეუფე გაბრიელე ნატალე მორიონდოს მდივანი და დაარსა სამოციქულო დელეგაცია ტფილისს, საქართველოში. ორივენი აქ იმყოფებოდნენ 1920 წლის ოქტომბერში, სანამ საქართველოს გაემგზავრებოდნენ თავიანთი ურთულესი მისიის შესასრულებლად, იმ რეგიონში, რომელიც პატარა დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა და რუსეთის მმართველობას გამოეყო. იმ პატარა რესპუბლიკას ეფემერული ცხოვრება ჰქონდა. მეუფე მორიონდოს მისია იყო ამ ლარიზ რეგიონში კათოლიკური ცხოვრების მართვა და ამავე დროს, სასულიერო პირებში გარკვეული იერარქიის და ლიტურგიკულ ფუნქციებში ენის დარეგულირება.

12 ეს ეკლესია აშენდა ხარების ეკლესიის წინ (ალარ არსებობს) 1805-1808 წლებში ძმა ფილიპო ფორანანის მიერ. შენობა მნიშვნელოვანწილად აღდგა და გარემონტდა მორწმუნე დიმიტრი თუმანიშვილის ინიციატივით 1884 წელს. 1998-1999 წლებში ეკლესია კვლავ დაექვემდებარა რესტავრაციას სამოციქულო ადმინისტრატორის ჯუზეპე პაზოტოს დავალებით. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა არქიტექტორი ა. სოლომონიშვილი და ბოლოს, ტაძარი ეკურთხა მარიაშის ზეცად აღყვანების სახელზე.

13 კაპუცინელთა მისია საქართველოში დაარსდა წმიდა საყდრის 1661 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით, მისიონერების პირველი ექსპედიცია შედგებოდა ექვსი მღვდლისა და ორი საერო ძმისგან. პრეფექტად დაინიშნა ძმა ბონავენტურა სორონტოელი, ყოფილი მისიონერი კონგოში, უნარიანი ადამიანი, რომელიც მოგზაურობის დროს მდინარეში ჩავარდა და იქვე გარდაიცვალა, თავი ლოდს დაარტყა. ფათურაკიანი მოგზაურობის შემდეგ, რვა პირიდან თბილისში მხოლოდ ოთხი ჩავიდა, 1663 წელი იდგა. იმ წლიდან, მისიონის საქმიანობა თავისი სხვადასხვა მოვლენებით, შესანიშნავ შედეგამდე მივიდა და ასე გრძელდებოდა 1845 წლამდე, ვიდრე რუსებმა არ განდევნეს. ამ ადგილს ისინი მხოლოდ 167 წლის შემდეგ დაუბრუნდებიან, 2013 წელს, კავკასიის ლათინთა სამოციქულო ადმინისტრატორის, მეუფე ჯ. პაზოტოს მოწვევით.

თოლიკური ეკლესია (კიდიესოს ტიტულოვანი საყდარი<sup>14</sup>)<sup>15</sup>. „მატარებლით გაემგზავრნენ ტფილისს, სტალინის სამშობლოში და საშინელი ქარიშხლის გამო იქ 6 საათის დაგვიანებით მივიდნენ. არავის უფიქრია მათთვის საცხოვრებლის მომზადება. ისინი სასტუმროში გადაიყვანეს“. შემდეგში პ. გაგნორი<sup>16</sup> წერდა, რომ „იატაკზე დაწოლის გარდა ძილს ვერ ვახერხებდით, იმდენად ბევრნი იყვნენ პატარა მოიჯარეები, რომლებიც გამზადებულ სანოლს იკავებდნენ. ისინი

---

14 დღეს კიდიესის ნანგრევებია შემორჩენილი ბუკას მახლობლად, დღევანდელ თურქეთში, ეს არის უძველესი საეპისკოპოსო კათედრა რომის პროვინცია ფრიგია-პაკზიანაში, აზიის რეგიონში. ის შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში და იყო ლაოდიკეის არქიეპისკოპოსის სუფრაგანი. ეპარქია მოხსენიებულია XIII-მდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს *Notitiae Episcopatum*-ში. მეცხრამეტე საუკუნიდან კიდიესი ითვლებოდა კათოლიკე ეკლესიის ტიტულოვან საეპისკოპოსო კათედრად; ადგილი ვაკანტურია 1965 წლის 18 დეკემბრიდან.

15 პაპის წელიწდეულიდან, 1920-იანი წლები, 1921 წ.

16 დაიბადა ფრასინერში სტეფანო გაგნორისა და დომენიკა ალოტოს ოჯახში; 1884 წლის 23 ოქტომბერს ფრასინერის სამრევლო ეკლესიაში მოინათლა, ხოლო მორონცხება მიიღო ბორგონში, 1892წ. 1901 წლის დეკემბერში დომინიკელთა ორდენში შევიდა, სადაც 1902 წლის დეკემბერში რელიგიური აღთქმები წარმოთქვა. 1908 წლის 30 ივლისს კიერიში მღვდლად აკურთხეს და 1910 წლის ივლისში თეოლოგიის ლექტორი გახდა. პირველად განაწესეს ტურინის წმ.დომენიკოს მონასტერში, 1910წ., მომდევნო წლის ოქტომბერში კონსტანტინოპოლის მისიაში გაუშვეს, სადაც 1913 წელს წმ.პეტრე გალატელის სახ. ეკლესიის მღვდელი გახდა. 1917-18 წლებში იყო სმირნის წინამძღვარი, ხოლო 1920 წელს საგანგებო მისიით გაგზავნეს კავკასიაში, ტფილისში. მომდევნო ორ წელიწადში იტალიაში დაბრუნდა და პრიორად დაინიშნა ქ. გენუას დი კასტელოს მონასტერში. 1923 წელს იგი დაბრუნდა აღმოსავლეთში, როგორც კონსტანტინოპოლის ზემდგომი, ხოლო მომდევნო წელს აღმოსავლეთ მისიის პროვინციულ ვიკარად დაინიშნა. 1929 წელს იგი დაიბარეს რომში მთავარი მოძღვრის მარტინ ჟილეტის თანაშემწედ; 1930 წელს დაინიშნა დომინიკელთა მისიების გენერალურ მდივნად და პროპაგანდა ფიდეს კონსულტანტად (1935 წელს). 1937-1938 წლებში ვიზიტად იმყოფებოდა დომინიკელთა მისიებში: ინდოეთში, ინდოჩინეთში, ფილიპინებში, ჩინეთში, იაპონიასა და შვეიცარიაში. 1938 წელს დაინიშნა კაზერტას გენერალურ ვიკარად. მოგვიანებით იგი გახდა ტენესოს ტიტულოვანი ეპისკოპოსი და კაზერტას დამხმარე ეპისკოპოსი. 1943 წელს, მეუფე მორიონდოს გადადგომის შემდეგ, პეიომონტეში დაბრუნდა და სამოციქულო ადმინისტრატორის ფუნქცია შეითავსა. 1945 წლის 30 ოქტომბერს აირჩიეს ალექსანდრიის ეპისკოპოსად, ხოლო 1946 წლის 19 მარტს სრულიად ეპარქიას მართავდა. 1952 წელს იგი პაპის საყდრის ეპისკოპოსად აიყვანეს. 1964 წლის 4 ნოემბერს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა რომში, ვატიკანის II კრების მესამე სესიაზე. დაკრძალულია ალესანდრიაში მადონა დი ლორეტოს ეკლესიაში (ცნობილია, როგორც წმიდა რიტა ანუ დომინიკელთა).

1920 წლის 15 სექტემბერს<sup>17</sup> ჩამოვიდნენ. „იმავე წელს გაგზავნეს სამი იეზუიტი, რომლებმაც, სამწუხაროდ, დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწიეს<sup>18</sup>. ცხადია, მონს. მორიონდოსთვის ეს სულაც არ იყო იოლი პერიოდი, მართლაც რომ "ურთულესი მისია" იყო<sup>19</sup>. ამ ფაქტს მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა<sup>20</sup>, საქართველოს მართლმადიდებლური საპატრიარქოს აღდგენა<sup>21</sup> და კათოლიკური საზოგადოებისთვის, „უფრო ცნობიერი“ პერიოდი, როგორც სოციალურ, ისე რელიგიურ დონეზე<sup>22</sup>. 1917 წლის 27 აპრილს, კათოლიკეებმა მოიწვიეს სინოდი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს ლიტურგიაში ქართული ენის და თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს<sup>23</sup> აღდგენის საკითხი. სიტუაციის უკეთ გასაცნობად იეზუიტი მამა ანტუან დელპუჩი<sup>24</sup> წმიდა საყდარში სამოციქულო ვი-

- 17 შდრ. <https://www.yumpu.com/it/document/read/16068562/mons-giuseppe-pietro-gagnor-diocesi-di-alessandria>. სტამბოლის დომინიკელ მამათა არქივში დაცულ მოგონებებში ვკითხულობთ: „ორივენი აქ იმყოფებოდნენ 1920 წლის ოქტომბრისთვის, ვიდრე საქართველოში წავიდოდნენ“. შდრ. 1845 წლის 22 მაისის რეგულიდან, დაცული სტამბოლის დომინიკელთა არქივში, 1922 წლის ივლისის მდგომარეობით.
- 18 ისინი იყვნენ მამები: G.Mosca, L.Baille, S.Tyskiewicz და L. Colangelo. შდრ. V. Poggi, *La Civiltà Cattolica*, 1.1994, გვ.247.1.1994, გვ.247.
- 19 1854 წლის 22 მაისის რეგულიდან, რომელიც იხსნება სტამბოლში დომინიკელთა არქივში, 1922 წლის ივლისის მდგომარეობით.
- 20 პირველი მსოფლიო ომისა და 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო და ეწოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს დამოუკიდებლობის მთავარი შემოქმედი იყო პოლიტიკოსი და ჟურნალისტი ნოე ჟორდანია.
- 21 1917 წლის მარტში ქართველმა ეპისკოპოსებმა ცალმხრივად აღადგინეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.
- 22 შდრ. ბარდაველიძე ნუგზარ, "კათოლიკე ეკლესია საქართველოში XX საუკუნეში". თამარ გრძელიძე, "რომი და ქართველები, დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის (1992-2017წწ.)", გამოცემა Studium, 2017, გვ.244.
- 23 პერიოდის უფრო ღრმად შეცნობის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ავტორებს: ბარდაველიძე ნუგზარ, "კათოლიკე ეკლესია საქართველოში XX საუკუნეში". თამარ გრძელიძე, "რომი და ქართველები, დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის (1992-2017წწ.)", გამოცემა Studium, 2017, გვ.242; მამა ივან მარტინი, "ლათინური კათოლიკური ეკლესიის მოკლე ისტორია საქართველოში", კამილიანთა გამოცემა, თბილისი, 2010წ; ნოდარ გაბაშვილი "საქართველო და რომი, ორი ათასი წლის დიალოგი ქრისტიანებს შორის", *Libreria Editrice Vaticana*, 2003წ.
- 24 ამ პერიოდში იგი იყო აღმოსავლეთის პონტიფიკატის ინსტიტუტის პრორექტორი. მას უკვე 1914 წელს დააკისრა წმიდა საყდარმა სტამბოლის ქართ-

ზიტორად გაგზავნეს. წმიდა საყდრისადმი მიძღვნილ მოხსენებაში კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში შეფასებულია როგორც „გაპარტახებული“<sup>25</sup>. მის წინადადებებს შორის იკითხება: „დანიშნოს რომის პაპის მუდმივი წარმომადგენელი რეგიონში, რომლის დროებითი წოდება შეიძლება იყოს სამოციქულო ვიზიტორი ან სამოციქულო დელეგატი.... რომ მისი მთავარი რეზიდენცია თბილისშია, მაგრამ მეორადი ოფისი არის ერევანშიც...რომ ქართულ რიტუალთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს ბერძნულ-ქართულ რიტუალზე...“<sup>26</sup>, ამ ვიზიტს შედეგად მოჰყვა საქართველოში მორიონდოს და იეზუიტების გაგზავნა. ვიზიტი<sup>27</sup> მალევე დაიწყო, ის დიდი ძალისხმევით და დაბრკოლებებით განხორციელდა<sup>28</sup>; მან მალევე გააცნობიერა, რომ საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების მთავრობები ათეისტები და ბოლშევიკი სოციალისტები იყვნენ და თუ ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდნენ სამოციქულო დელეგატთან, ამას მხოლოდ ეკონომიკურ-პოლიტიკური სარგებლისთვის აკეთებდნენ<sup>29</sup>. 1921 წლის თებერვალში მოსკოვიდან ბოლშევიკურმა ჯარებმა შეუტიეს საზღვრებს და რამდენიმე დღიანი ბრძოლის შემდეგ დედაქალაქ ტფილისის კარიბჭეს მიაღწიეს<sup>30</sup>. მთავრობასთან და ხალხის წარ-

---

ველთა მონასტრის მონახულება. იგი ასევე ხელმძღვანელობდა მისიებს აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში.

- 25 მ.ივანე მარტინი, "ლათინური კათოლიკური ეკლესიის მოკლე ისტორია საქართველოში", კამილიანთა გამოცემა. თბილისი, 2010 წ., გვ.57.
- 26 მ. ივანე მარტინი, "ლათინური კათოლიკური ეკლესიის მოკლე ისტორია საქართველოში", კამილიანთა გამოცემა. თბილისი, 2010 წ., გვ.61.
- 27 სტამბოლის დომინიკელ მამათა თემის მემატანე წერდა: „მეუფე მორიონდოს მისიაში შედიოდა იმ ღარიბი რეგიონის კათოლიკური ცხოვრების მართვა და ამავე დროს სასულიერო პირებში იერარქიისა და ლიტურგიკულ ფუნქციებში ენის დარეგულირება“. შდრ. 1854 წლის 22 მაისის რეველიდან, დაცულია სტამბოლში, დომინიკელთა არქივში, 1922 წლის ივლისის თვის მდგომარეობით.
- 28 საუბარია ახალციხის კათოლიკურ თემებში ვიზიტზე.
- 29 ამონაწერი კაზერტელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიიდან, ეპისკოპოს მორიონდოს ბიოგრაფიით. უნდა დაზუსტდეს, მაგალითად, 1920 წლის 16 ოქტომბერს პარლამენტში კანონის მიღება ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის შესახებ, რომელიც სკოლებში რელიგიის სწავლებას კრძალავდა.
- 30 ცხრათვიანი მყიფე მშვიდობის შემდეგ, 1920 წლის 7 მაისს მოსკოვის ტრაქტატის ხელმოწერიდან (საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, მოსკოვში, რომელიც დე იურე აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, რის სანაცვლოდ ბოლშევიკური რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ძალებს თავშესაფარს არ მისცემდა საქართველოს მიწაზე, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა წითელმა არმიამ დაიწყო საბო-

მომადგენლებთან ერთად, ჯერ ბათუმში უნდა გადასულიყო, მაგრამ როცა ეს ქალაქიც დაეცა, კონსტანტინოპოლში გადავიდა<sup>31</sup>. იქ 28 თებერვალს ჩავიდა<sup>32</sup>. აქ ჩნდება ერთი კითხვა: „რატომ დატოვა მონს. მორიონდომ საქართველო?“. ხელთ არსებული მწირი დოკუმენტების გამო, პასუხის გაცემა რთულია, ამის მხოლოდ გამოცნობა თუ შეგვიძლია. "აქ ისინი დიდი სიხარულით და დიდი სიყვარულით მივიღეთ. მამა გაგნორი რომში გაემგზავრა ნმიდა საყდარზე ანგარიშის მოსახსენებლად და მაშინვე კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. მონს. მორიონდომ ბინა დაიდო წმ.პეტრეს ეკლესიაში თავის მსახურთან ერთად .... ამასობაში რომიდან ბრძანებას ელოდა. თავიდან მას შესთავაზეს ფილიპინების დელეგაცია, შემდეგ კი კეფალუსა და არქირეალის საეპისკოპოსო, მაგრამ უარი განაცხადა. საბოლოოდ დათანხმდა კაზერტას საეპისკოპოსოს<sup>33</sup>. მსახურებას 1922 წლის 19 მაისს შეუდგა; 1943 წლის 1 ივნისს იგი გადადგა და იქვე დარჩა 1945 წლის 5 იანვრამდე, სანამ არ დაინიშნა სერგიოპოლის<sup>34</sup> ტიტულოვან არქიეპისკოპოსად. გარდაიც-

---

ლოო შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, ვითომცდა ქვეყანაში გლეხებისა და მუშების აჯანყების მხარდაჭერას ახდენდა, სინამდვილეში კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას წერტილი დაუსვა (25 თებერვალი, 1921 წ.) და დააარსა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც მომდევნო შვიდი ათწლეულის განმავლობაში გაგრძელდა. საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც პოლიტიკური კლასის უმეტესობა, კონსტანტინოპოლში, დევნილობაში პოულობს თავშესაფარს. 1922 წელს საფრანგეთს, ლევილ სურ-ორჟში ჩააღნიეს, სადაც ოფიციალურად 1933 წლამდე განაგრძეს ქვეყნის მართვა. 2005 წელს გამოქვეყნდა ლევილ-სურ-ორჟის მუნიციპალური სასაფლაოს „ქართული მოედნის“ 500 საფლავის ინვენტარიზაცია, მათ შორის მოხვდა გადასახლებაში დაღუპული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი ისტორიული ექსპონენტები.

31 შდრ. <http://manero.altervista.org>

32 შდრ. <https://www.yumpu.com/it/document/read/16068562/mons-giuseppe-pietro-gagnor-diocesi-di-alessandria>

33 1854 წლის 22 მაისის რეგულიდან, დაცულია სტამბოლში, დომინიკელთა არქივში, 1922 წლის ივლისის თვის მდგომარეობით. XXს-ის დასაწყისში, პაპმა პიუს XI-მ, საჭიროდ ჩათვალა, რომ სამხრეთ ეპარქიები "ცივი" ჩრდილოეთიდან ჩამოსულ ეპისკოპოსებზე გადაეხარა, როგორც იმ დროისთვის იყო გავრცელებული აზრი, რომ სამხრეთელები ზედმეტად მისდევდნენ "ცრურნმენებს" და რელიგიურ "ფანატიზმს". ამიტომაც იყო საჭირო „სახალხო ღვთისმოსაობის“ პრაქტიკის გარკვეული სიმკაცრეში მოქცევა, რადგან სამხრეთელების უმეტესობა თავს „მორწმუნედ“ აცხადებდა არა რწმენის, არამედ აბათ-ჩვეულებისა და ტრადიციის გამო.

34 სერგიოპოლი, რომლის ნანგრევები სირიის უდაბნოშია, ეფვრატის სამხრეთით 35კმ-ში, რომაული პროვინციის სირიის ეფვრატის უძველეს სატახტოს წარმოადგენდა აღმოსავლეთის ეპარქიაში და ანტიოქიის საპატრიარქოში.

ვალა 1946 წლის 3 იანვარს რაკონიჯიში, 75 წლის ასაკში<sup>35</sup>. „ნატალე გაბრიელე მორიონდოს კაზერტას ეპისკოპოსობის დიდი პერიოდი, XX ს-ში კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელ და მტკივნეულ პერიოდს დაემთხვა, რომელიც ხასიათდება ჯერ ტოტალიტარული რეჟიმებით და შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის აფეთქებით“ – წერს ოლინდო ისერნია თავის წიგნში – "ფაშიზმი, კომუნიზმი, ნაციზმი და ადგილობრივი ეკლესია" – ეს უნებლოე დამთხვევა იყო, როცა ჩვენი ეპისკოპოსი ეპარქიაში საზეიმოდ შევიდა 1922 წლის 8 ოქტომბერს, კვირას, სულ რაღაც ორი კვირით ადრე, რომში ჩატარებული მარშის შემდეგ, როცა ძალაუფლება იტალიაში ფაშიზმმა აიღო და მისი წასვლა, როცა მისი გადადგომა მიიღეს, 1943 წლის მაისში, მუსოლინის რეჟიმის დამხობამდე რამდენიმე თვით ადრე“. ამგვარად, ჩანს რომ დიდი წინდახედულობით და უცილობლად უნდა შეხებოდა მწვავე და უსიამოვნო საკითხებს, ისტორიისა და საპირისპირო იდეალების გათვალისწინებით, რომლებიც ასე ახასიათებდა ომის შემდგომ პერიოდს, რასაც დღეს უკვე, ნახევარი საუკუნის შემდეგ, სათანადო ობიექტურობით აფასებენ. კაზერტას ეპისკოპოსის დიდებული მოღვაწეობა, მისი იდეები, რომლებიც ხშირად იმდროინდელი რეჟიმის იდეებს გამოხატავდა, ამიტომაც არის მწირად და ზოგჯერ უარყოფითად შეფასებული. სწორედ ამიტომაც, გაბრიელე ნატალე მორიონდო, დღესაც უხერხულ ეპისკოპოსად რჩება<sup>36</sup>.

---

მისი სახელი წმინდანისა და მონამე სერგისგან მოდის, რომელიც 303 წელს გარდაიცვალა, იმპერატორ დიოკლეტიანეს დევნის დროს. თავდაპირველად, ის გერაპოლის მთავარეპისკოპოსის სუფრაგანი იყო, შემდგომ კი იმპერატორმა ანასტასე I-მა (491-518) მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. XVIII ს-დან სერგიოპოლი კათოლიკე ეკლესიის ტიტულოვან საეპისკოპოსოთა შორის მოიხსენიება; ადგილი ვაკანტურია 1970 წლის 6 იანვრიდან.

- 35 მცირემოცულობის ტომში, "წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიამდე", რომელიც 2002 წლის პოირინოს სამრევლოს ბიულეტენის "Le Whatche di Poirin" დანამატია, ტექსტის ავტორი, პროფ. ჯანკარლო ბოსკო, შემდეგს წერს 25-ე გვერდზე: „1946 წლის 3 იანვარს შედგა დომინიკელი ეპისკოპოსის მეუფე ნატალე მორიონდოს დაკრძალვა, რომელიც პოირინოში იმყოფებოდა 1922 წლის დღესასწაულებზე. 1945 წლის შუა რიცხვებში რაკონიჯიდან გადმოიყვანეს ქალაქისა და მონასტრის დაბომბვის მიზეზით, სადაც ის ცხოვრობდა. მან შეძლო დარჩენილი სიცოცხლის რამდენიმე თვის გატარება სიმშვიდეში. დაკრძალეს ბერების სამარხში, მთავარი საკურთხევის უკან, აქვე, საპატიო დაფაზე აღნიშნულია მისი დაკრძალვა.
- 36 მეუფე ნატალე გაბრიელ მორიონდო, სერგიოპოლის ტიტულოვანი არქიეპისკოპოსი, კაზერტას ეპარქიის დიდი ეპისკოპოსი: სადღესასწაულო სიტყვა მისი გარდაცვალების 20 წლისთავზე (1946-1966 წწ.), პრეზენტატორი, მისი უმაღლ. კარდინალი ანტონიო ბაჩი, კაზერტა, 1966 წლის 18 ივნისი; პეტრო ბორარო. - რომი: [ს.ნ.], 1966წ. (რომი: ტიბერინოს გრაფიკული ინსტიტუტი).



## ნაწილი II სამოძღვრო წერილი

თუკი 1920 წლის, დიდმარხვის დასაწყისში, კუნეოს ეპარქიისადმი დაწერილი ბოლო სამოძღვრო წერილს სათაურად ერქვა „შეიძლება იყო სოციალისტი?“<sup>37</sup>, ეპისკოპოს მორიონდოს პირველი, 1921 წლის 18 იანვრით<sup>38</sup> დათარიღებული სამოძღვრო წერილი საქართველოში, შემდეგ სათაურს ატარებს – „ერთობისთვის ეკლესიისა“. უცნაური დამთხვევა? ეპისკოპოსი თავს წარადგენს, როგორც *კავკასიის მიმომხილველის და სამოციქულო მმართველის თბილისის ეპარქიის ქართველ კათოლიკეთა*<sup>39</sup> ეპისკოპოსად. სამოძღვრო წერილით იგი მიმართავდა თბილისის ქართველთა კათოლიკური ეპარქიის სამღვდელოებას და მორწმუნე ხალხს. დიდმარხვის წმიდა ჟამის<sup>40</sup> მოახლოება ეპისკოპოსს შესაძლებლობას აძლევს ისაუბროს წმიდა მამის მიერ მინდობილი მისიის მთავარ მოტივზე ანუ ეკლესიის ერთიანობაზე. წერილი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: დოქტრინალური (გვ. 3-15) და პრაქტიკული (გვ. 15-20).

37 იხ. ნ. 6.8 შენიშვნის ბოლო ნაწილი.

38 საინტერესოა, რატომ არის წერილი 18 იანვრით დათარიღებული? სხვა პასუხი ვერ ვიპოვე, რადგან წერილის მთავარი თემა ეკლესიის ერთიანობა იყო, თუმცა ის ჯერ ოფიციალურად არ იყო მიღებული კათოლიკე ეკლესიის მიერ, მან ეს დღე სწორედ იმიტომ აირჩია, რომ ქრისტიანთა ლოცვა 18 იანვარს დაიწყო. თუ ეს სიმართლე იყო, ეს ცხადყოფდა, თუ რამდენად იცოდა ეპისკოპოსმა რა ხდებოდა კათოლიკე ეკლესიის გარეთ და როგორ იყო მისი საუბარი ერთიანობის შესახებ მისთვის მნიშვნელოვანი თემა და შეეხო მას პირადად. ქრისტიანული ერთიანობისთვის ლოცვის კვირა, რომელიც ამერიკელი ეპისკოპოსის პოლ უოტსონის ეგვიპტეში დაარსდა, რომელიც მოგვიანებით კათოლიკე გახდა, სწრაფად გავრცელდა ამერიკის ახალგაზრდული მოძრაობების მიერ, ხოლო XIX-ის ბოლოს ევროპულ ეკლესიებში; ოფიციალურად, როგორც ლოცვის კვირეული, 1908 წელს დაიწყო და ჩასმულია ქრისტიანული ოიკუმენის ორ სიმბოლურ თარიღს შორის: 18 იანვარს, პეტრეს კათედრასა და 25 იანვარს, წმიდა პავლეს მოქცევის დღეს შორის.

39 საინტერესოა ეპარქიის და არა სამოციქულო ადმინისტრაციის სახელი, თუნდაც, ის არა თბილისის ეპისკოპოსად, არამედ კიდიესოს ეპისკოპოსად წარმოადგინოს. როგორც 1911 წელს ისე 1917 წელს ქართველი კათოლიკეების ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ეპარქიის აღდგენა, რომელიც არსებობდა 1328 წლიდან. ახლა, როგორც ჩანს, ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა; მაგრამ არის თუ არა საბუთი იმის შესახებ, რომ 1920 წელს თბილისში საქართველოს კათოლიკეთა ეპარქია აღადგინეს?

40 იმ წელს დიდმარხვა დაიწყო 1921 წლის 9 თებერვალს, აღდგომა აღინიშნა 27 მარტს, ხოლო სულთმოფენობა 15 მაისს.

## პირველი ნაწილი

წერილს მყისიერად შევეყვართ თემის არსში და ერთიანობას წარმოჩენს, როგორც ერთ-ერთს ეკლესიის ოთხი მახასიათებლიდან; იმთავითვე ისმის კითხვა, რისგან შედგება ერთიანობა და როგორ შეიძლება ერთიანობის აღდგენა იქ, სადაც შეცდომებითა და განხეთქილებებით არის განადგურებული. ეპისკოპოსი პირველ კითხვაზე პასუხობს, რომ თავად უფლის ნებაა თავისი ეკლესიის ერთიანობა, ამ მიზეზით მოჰყავს იოანეს სახარების თ.17, სამღვდელო ლოცვა და თ.10, კეთილი მწყემსის ეპიზოდი. იხსენებს, რომ, როდესაც მოციქულები ქადაგებდნენ და მორწმუნეთა რიცხვი იზრდებოდა, მოციქულები გულით ხარობდნენ ახალი მორწმუნეების ერთობით. წმიდა პეტრე თავის პირველ წერილში იხსენებს, რომ ქრისტიანები ერთმანეთში ისევე არიან გაერთიანებული „როგორც სულიერი ნაგებობა, წმიდა მღვდლობისათვის და ღვთისთვის მოსაწონი სულიერი მსხვერპლის შესაწირავად იესო ქრისტეს მეშვეობით“ (2,5). აქვე იხსენებს წმიდა პავლეს მოსაზრებას ერთ სხეულზე ერთი თავით (შდრ. ეფ. 5). ერთიანობის აუცილებლობას ადასტურებს საზოგადოების ცხოვრებაც. ეპისკოპოსი მიმართავს მორწმუნეებს წმიდა პიუს X-ის<sup>41</sup> კატეხიზმოს ცნობილი ტექსტის შესხენებით, რომელშიც ეკლესია წარმოდგენილია ქრისტიანთა საზოგადოებად, რომელიც უნდა ფლობდეს სამ მახასიათებელს იმისათვის, რომ იყოს ერთი: აღიაროს ერთი და იგივე რწმენა, აღავლინოს ერთი და იგივე საკრამენტები, იყოს მორჩილი მხოლოდ ერთი თავის – პეტრეს მემკვიდრის, რომის პაპისა. ამ სამი ასპექტის დაზუსტების შემდეგ, ეპისკოპოსი ანვითარებს თავის ფიქრს ეკლესიის ერთიანობის შესახებ და აცხადებს, რომ ქრისტიანებს არ უნდა ჰქონდეთ ერთადერთი და იგივე რიტუალი; რიტუალთა სიმრავლემ ერთიანობა კი

41 შდრ. კატეხიზმოს ნნ. 105 და 108. წმიდა პიუს X-ის კატეხიზმო ან როგორც საუთრივ მას ჰქვია ქრისტიანული მოძღვრების კრებული, შედგება 993 კითხვა-პასუხისგან, როგორც ქრისტიანული დოქტრინის კატეხიზმო 1912 წლის გამოცემაში, შედგება 433 კითხვა-პასუხისგან. დაიბეჭდა ასევე შემოკლებული გამოცემა, ცნობილია როგორც ქრისტიანული დოქტრინის პირველი ელემენტები, რომელიც ეძღვნებოდა განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებს, შეიცავდა ნაკლებ კითხვებს და თან ახლდა ილუსტრაციები, რაც მორწმუნეთა ორი თაობის მეხსიერებაში რჩება. ამ კატეხიზმომდე მიღებული იქნა სხვა კატეხიზმოები: მოკლე ქრისტიანული დოქტრინა და ქრისტიანული დოქტრინის ყველაზე კომპირებული დეკლარაცია, შედგენილი კარდინალ რობერტო ბელარმინოს მიერ, ტრენტოს კრების კატეხიზმო, ტრიდენტის კატეხიზმო და პიეტრო კანისოს კატეხიზმო (1555), რომელიც მარტინ ლუთერის პასუხად განიხილებოდა და 200-ჯერ გადაიბეჭდა.

არ უნდა შეარყიოს, არამედ განმტკიცოს, ცხადია, რწმენის ერთი და იმავე პუნქტების გაცხადებით. ამგვარად წარმოჩინდება მთელ დედამიწაზე გავრცელებული კათოლიკე ეკლესიის ერთიანობის მშვენიერება, რომელიც 20 საუკუნეა უფლის ნებით გადასცემს რწმენას<sup>42</sup>. არ არსებობს ეკლესია, რელიგია, საზოგადოება, რომელიც ისევე დაიკვეხნის თავისი დიდებული ისტორიით, ამდენი წმიდანის, მონამის, სახელოვანი ადამიანებისგან შედგებოდეს... როგორც კათოლიკე ეკლესია; ამიტომაც, რომი და პეტრეს საყდარი მთელი მსოფლიოს, მთელი კაცობრიობის ცენტრი და ღერძია, მეტადრე დღეს, ომიანობის ჟამს, თავისი მორალური ასპექტებით და მშვიდობის სურვილებით<sup>43</sup>. კათოლიკე ეკლესიასთან განხეთქილების იმ ავბედითი დღიდან, წმიდა მამა ცდილობდა ერის დაბრუნებას ქრისტეს სამწყემსო ერთობაში. შემდეგ იხსენებს, თამარათის იგივე თამარაშვილის ფრანგულენოვან ნიგნზე დაყრდნობით ქართული ეკლესიის შესახებ, იმ არაერთ მაგალითს, რაც რომის პაპებისა და პატრიარქების, მეფეებისა და დედოფლების კავშირებზე მეტყველებენ, კერძოდ, იხსენებს დედოფალ რუსუდანის წერილს პაპ გრიგოლ IX-სადმი<sup>44</sup>, პაპ ნიკოლოზ IV-ის წერილებს მეფე დემეტრესადმი და პატრიარქ აბრაამისადმი<sup>45</sup>, ასევე, რომის პაპის იოანე XXII-ის წერილს მეფე გიორგისა და მისი დიდებულებისადმი<sup>46</sup>. წერილების გარდა, იგი იხსენებს ლეგატებისა და მისიონერების მივლინებებს, უწყვეტად, 1235 წლიდან 1845 წლამდე პერიოდში, ერთიანობის

42 XIII *Orientalium dignitas* წერილის საფუძველზე იწყება საუბარი კათოლიკე ეკლესიაში პლურალიზმზე, რომელიც ერთიანობას კი არ არღვევს, არამედ ამდიდრებს მას და სრულყოფს, ეს იყო მნიშვნელოვანი ხედავა, რომელიც რევოლუციურ გარდაქმნას მოახდენს ეკლესიოლოგიაში, მასზე მსჯელობს ვატიკანის II კრებაც, როგორც აღმოსავლური ეკლესიებთან, ასევე ზოგადად, სხვათა შორის, ეკუმენური ხედვაც. შდრ. *La varietà che non nuoce l'unità della Chiesa - Academia.edu* <https://www.academia.edu>.

43 რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება რომის პაპი ბენედიქტე XV (დაიბადა გენუაში 1854 წელს), რომლის პონტიფიკატი (1914-1922) გამოირჩეოდა პირველი მსოფლიო ომის მოვლენებით და მშვიდობის გამალბებული ძიებით: დაჟინებული მონონდებებით და სხვადასხვა ინიციატივებით. დალუპულთა ოჯახების, პატიმრების, მოსახლეობის საცნობარო პუნქტად იქცა მთელი მსოფლიოს ხალხებისთვის, როგორც სტამბოლში აღმართულ მისი ხსოვნის ძეგლის ქვეშ დადებულ დაფაზე ვკითხულობთ: „მსოფლიოს ტრაგიკული ჟამის დიდ პაპს ბენედიქტე XV-ს, ეროვნებისა და რელიგიის განურჩევლად ხალხთა კეთილმოსურნეს, მადლიერების ნიშნად. აღმოსავლეთი (1914-1919 წწ.)“.

44 გვ. 10-11.

45 გვ. 11-12

46 გვ. 12

აღდგენის მიზნით, რაც სამწუხაროდ, რუსეთის ინტერვენციებით შეწყდა, თითქოს ერთიანობის ეს სურვილი მხოლოდ რამდენიმე ათასმა ქართველმა კათოლიკემ შეინარჩუნა. ძალიან ემოციურად კითხულობს, უნდა დავკარგოთ თუ არა იმედი ამ წმიდა იდეალის წინაშე და იქვე პასუხობს, რომ არა, – მიუხედავად იმისა, რომ მის სიცოცხლეში ეს იდეალი ვერ შესრულდა, – რადგან ის იყო ქრისტეს აღთქმას ეფუძნებოდა. ყველამ უნდა ილწვოდეს ამისთვის და შეძლებისდაგვარად, ყველაფერს აკეთებდეს თავის გარემოში. რისი გაკეთება შეგვიძლია კონკრეტულად ერთიანობის მისაღწევად? პირველი, ეს არის ლოცვა. კათოლიკე ეკლესიის წიალიდან დაშორებულთა დაბრუნება ღვთის მადლის საქმეა, მაგრამ ამავე დროს უნდა გვწამდეს, რომ ხსნა მხოლოდ კათოლიკე ეკლესიაშია; ამისათვის საჭიროა თავისუფალი და კონკრეტული ნება, გულწრფელი სურვილი: ეს ყველაფერი მისგან, ვინც მის წიაღს დაშორდა, ძველი იდეების გადალახვას მოითხოვს: და ეს დიდი მსხვერპლია. ამაში მხოლოდ ღმერთს შეუძლია დაეხმაროს მათ გონებისა და გულის გახსნაში, რომ აღსრულდეს უფლის ნება – იყოს ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი, რათა ისევე იყვნენ ერთნი, როგორც ერთია მამა და ძე. თავიანთი ლოცვა ოჯახსა და საზოგადოებაში ყოველდღიური ცხოვრების კეთილ მაგალითს შეუსაბამონ; და ბოლო მიმართვა ეკუთვნით მათ, ვინც კათოლიკეთა მსგავსად ქრისტიანები არიან, მაგრამ არ ეკუთვნიან კათოლიკე ეკლესიას განხეთქილების ან ერესის გამო; ისინი ძმები არიან, რამეთუ აღიარებენ ქრისტეს უფლად, იმავე ექვარსტიით საზრდოობენ და შვილობილი სიყვარულით სცემენ თაყვანს ღვთისმშობელს; ამისთვის ითხოვს ეპისკოპოსი, რომ გულში არ გაივლონ ისეთი სიტყვა ან აზრი, რომელსაც შეურაცხყოფის მიყენება ძალუძს. დასასრულს, ყველას შეახსენებს, რომ ლოცვა, კარგი მაგალითი და მოყვასისადმი სიყვარული დაეხმარება ქრისტიანთა ერთიანობის მოახლოებას.

## მეორე ნაწილი

პრაქტიკულ ნაწილში განხილულია კონკრეტული პრობლემები, რომელთაგან ზოგიერთი ეხებოდა საქართველოში კათოლიკეთა ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს.

რაც შეეხება მარხვას, ის ათავისუფლებს თავისი ეპარქიის მორწმუნეებს იმ საკვებისგან, რომელიც არ მოიპოვება, მაგრამ ყველას ავალდებულებს, რომ აღდგომამდე, პარასკევს და ოთხშაბათს თავი შეიკავონ ხორცისგან.

## რიტუალი და ენა

პაპები ყველანაირი ხერხით ცდილობდნენ აღედგინათ ერთიანობა კათოლიკე ეკლესიისგან გახლეჩილ ეკლესიებთან; ისინი ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ მათ რიტუალებს და იმგვარად აკეთებდნენ, რომ მათ წეს-ჩვეულებებს პატივისცემით მოპყრობოდნენ ისინი, ვინც კათოლიკე ეკლესიის წიაღს უბრუნდებოდა. გაიხსენეთ, როგორ გამოხატა პაპი ლეონ XIII თავის წერილში *Orientalium Dignitas*<sup>47</sup>

47 *Orientalium dignitas* -- სამოციქულო წერილი აღმოსავლეთ კათოლიკე ეკლესიებთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნდა პაპ ლეონ XIII-ის მიერ 1894 წლის 30 ნოემბერს. პაპმა ახალი ნორმები დაადგინა ლათინურ ეკლესიასა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, რაც კრძალავს აღმოსავლური რიტუალების და ტრადიციების ლიტურგიკულ ლათინიზაციას, ახალისებს მის მორწმუნეებს, რომ მისი ერთგული დარწმუნენ. ლათინური რიტუალის მისიონერს, რომელიც ლიტურგიკული წესით შეეცდებოდა აღმოსავლელ მორწმუნეთა მოქცევას, მოეღოს *Sospensione a divinis* ლეთისმსახურების შეჩერება და სამღვდლო რიგებიდან გარიცხვა. თუ აღმოსავლელ პატრიარქს აკლია საკუთარი რიტუალის მღვდელი, მას შეუძლია ზიარების აღნიშვნა მიანდოს ლათინ მღვდელს, რომელიც გამოიყენებს აღმოსავლური რიტუალის ფორმულებსა და წესებს. მორწმუნეებს შესაძლებლობა აქვთ, ნებისმიერ აპრობირებულ კათოლიკურ რიტთან ჰქონდეთ კავშირი. ახალგაზრდების აღზრდით დაკავებულმა რელიგიურმა ქორპორაციამ, თუ მათ ჰყავთ აღმოსავლური რიტის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, ყოველნაირად უნდა შეეცადონ რელიგიური განათლება მათივე რიტის შესაბამისად მიანდონ. როგორც აღმოსავლელ, ისე ლათინ მღვდელთმსახურებს, შეუძლიათ მხოლოდ უმაღლესი სასულიერო პირებთან მიწოდებულ შემთხვევებზე და მხოლოდ საკუთარი რიტის წევრებზე გასცენ გამართლება. სამოციქულო საყდრის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ლათინურ რიტზე გადასულ აღმოსავლელებს, შეუძლიათ დაუბრუნდნენ თავდაპირველ რიტს. დედაკაცს, რომელიც მისგან განსხვავებული რიტის მამაკაცზეა დაქორწინებულია, შეუძლია თავისუფლად შეცვალოს საკუთარი რიტი. თუ ქორწინება ბათილად გამოცხადდა, ასევე თავისუფლად შეუძლია პირვანდელ რიტში დაბრუნება.

აღმოსავლური რიტის მორწმუნე, რომელიც ლათინური წესის ადმინისტრაციის იურისდიქციაში იყო, შეინარჩუნებს თავის რიტს და გადავა პატრიარქის იურისდიქციაში, როგორც კი საკუთარ ტერიტორიაზე აღმოჩნდება. ლათინური წესის რელიგიურ ორდენებსა თუ ინსტიტუტებს ეკრძალებათ აღმოსავლური რიტის წევრების მიღება. ოჯახს, რომელიც კათოლიკე ეკლესიის ზიარებაში შევა, ვალდებულიც რომ იყოს ლათინური წესის დაცვაზე, თუკი სურვილი ექნება, შეუძლია დაუბრუნდეს პირვანდელ რიტს. ქორწინების ან საეკლესიო საქმეების განხილვა მხოლოდ „პროპაგანდის ნმიდა კონგრეგაცას“ ევალება. წერილში პაპი, განსხვავებით სხვა პერიოდებისგან, ამბობს: „ძველი აღმოსავლური რიტები კათოლიკე ეკლესიის მოციქულობას მონაწილენ, მათი მრავალფეროვნება, რაც რწმენის ერთიანობას შეესატყვისება, თავისთავად ეკლესიის ერთიანობის მონაწილეა. რაც მას ღირსებას და პატივს მატებს. ის ამბობს, რომ

იმ მისიონერებს, რომლებიც ცდილობენ ლათინურ რიტუალში გადაიყვანონ ისინი, ვინც აღმოსავლურ რიტუალს მისდევს. აქედან გამომდინარე, ყოველმა ქართველმა კათოლიკემ უნდა შეინარჩუნოს ქართული რიტი ანუ საკუთარ ენაზე ნათარგმნი და გაქრისტიანების დასაწყისიდან მიღებული აღმოსავლური რიტუალი. მიუხედავად ამისა, ქართველ კათოლიკეებს დროებით ეძლევათ უფლება შეინარჩუნონ ლათინური რიტუალი, ოღონდაც ერთგულად დაეცვათ ის; ამიტომაც ეთანხმება იგი და აფასებს ყველა მცდელობას, რაც ნელ-ნელა ქართული რიტის ჩამოყალიბებას გაუწევს დახმარებას.

ეკლესიებში, სადაც ლათინური რიტი დროებით გამოიყენება, კრძალავს იმ რიტუალების გამოყენებას, რომლებიც არ მიეკუთვნება ლათინურ რიტუალს და იმ ენებს, რომლებიც არ არის ლათინური, ნმიდა წირვაში, საკრამენტების აღსრულებაში, საღვთო გალობისა და დაკრძალვის დროს, გარდა საზეიმო ღვთისმსახურებაზე, ლათინურ ენაზე გახმიანებული ეპისტოლესა და სახარების შემდეგ, იგალობონ იგივე ტექსტები ქართულ თარგმანში (1757 წლის 27 იანვრით მინიჭებული პრივილეგიის მიხედვით).

### გალობასა და მუსიკაზე

რეკომენდაციას უწევს ისეთ გალობას, რაც არ სრულდება ორღანის ან ჰარმონიკის თანხლებით, თუმცა დაშვებულია იმ რიტუალების აღნიშვნა, რომელიც იყენებს პოლიფონიურ გალობებს და მუსიკას, იმ პირობით, რომ ისინი სულიერი გალობებია და არა თეატრალური ან პოპულარული ჟანრის; კატეგორიულად აკრძალულია სოლო გალობა ან დუეტის სახით, ქალსა და მამაკაცს შორის, ან ხალხურ ენაზე შესრულებული გალობები.

### შერეული ქორწინებები

როგორც შერეული ქორწინებების ზრდის თვითმხილველი, ყველას შეახსენებდა, როგორ კრძალავდა მას 1060-ე კანონი<sup>48</sup>;

---

კათოლიკე ეკლესიას არ აქვს ერთი რიტი, არამედ ქრისტიანობის ყველა უძველეს რიტს მოიცავს; მისი ერთიანობა შედგება არა თავისი შემადგენელი ნაწილების მექანიკურ ერთგვაროვნებაში, არამედ მათსავე მრავალფეროვნებაში, მის მიერ გაცხოველებული პრინციპის მიხედვით“.

48 1917 წლის კანონიკური სამართლის კოდექსის 1060-1064 კანონებში ნათქვამია: კათოლიკეებს და ერეტიკოსებს ან სქიზმატიკოსებს შორის ქორწინება კატეგორიულად აკრძალულია, ხოლო თუ არსებობს პერვერსიის საშიშროება, ეს აკრძალულია ღვთიური კანონით. ეკლესია, შერეული რელიგიის დაბრკო-

გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ დაიშვებოდა, როდესაც აღმსარებლობის შეცვლის რისკი არ არსებობდა და ყველა შვილი კათოლიკური რიტუალის მიხედვით მოინათლებოდა; მოიხსენებს ასევე 2319<sup>49</sup>, 1063, 1109-ის პარ.3<sup>50</sup>, 1102<sup>51</sup> კანონებს იმ იმედით,

ლებიგან მხოლოდ იმ შემთხვევას განიხილავს, თუკი გადაუდებლად მძიმე და სამართლიანი მიზეზები, დიდი სიფრთხილით უდგება არაკათოლიკურ მხარეს, რათა მოერიდოს კათოლიკური მხარის დაზიანებას, შთამომავლობის კათოლიკურად მონათვლისა და განათლების გაცემის მიზნით; მეორე მხარეს არ უნდა მიეცეს პერვერსიის საფრთხე და მორალურად თავდაჯერებული უნდა იყოს მოქმედებაში. გარანტიები წერილობით დაინეროს. კათოლიკემ უნდა იზრუნოს მეუღლის მოქცევაზე. მას შემდეგ, რაც მიიღებს შესაბამის დარიგებას, არ უნდა მიმართოს არაკათოლიკე ღვთისმსახურს, წმიდა მსახურებისთვის, არც საკუთარი და არც სანდო პირის თანხმობის გაცემის თუ განახლების მიზნით. თუკი ამის საშიშროება არსებობს ან თუ ცნობილია, რომ ასე გაკეთდა, სამრევლო მღვდელი არ დაესწრება ჯვრისწერას, გარდა ძალზედ სერიოზული მიზეზებისა, მას შემდეგ, რაც აღმოიფხვრება სკანდალი და მიიღებს რჩევას უმაღლესი სასულიერო პირიდან. კანონი არ სჯის არაკათოლიკე ღვთისმსახურთან გამოცხადების ფაქტს, როგორც სამოქალაქო მსახურთან, მხოლოდ სამოქალაქო აქტივებისთვის. მაღალი სასულიერო პირნი და სხვა მოძღვარნი, მორწმუნეებს განარიდებენ შერეული ქორწინებიდან და თუ მათ არ შეუძლიათ ამის თავიდან აცილება, იზრუნებენ იმაზე, რომ ეს არ მოხდეს ღვთისა და ეკლესიის კანონების საწინააღმდეგოდ. მსახურების აღვლენის შემდეგ, თვალყურს მიადევნებენ აღთქმების აღსრულებას. ღვთისმსახურები დააკვირდებიან. კან. 11002-ს.

- 49 2319. მაღალსასულიერო პირთა მიერ განიკვეთებიან ის კათოლიკეები, რომლებიც ქორწინებას არაკათოლიკე ღვთისმსახურთან აღასრულებენ ან შთამომავლობის ან მათ ნაწილს ეკლესიის გარეთ მისცემენ განათლებას ან რომელთაც შეგნებულად მიჰყავთ შვილების არაკათოლიკე ღვთისმსახურთან მოსანათლავად; მშობლები და მათი შემცვლელნი, რომლებიც შეგნებულად მიაწვდიან შვილებს არაკათოლიკურ განათლებას ან აღზრდას. ყველანი ერესში არიან ექვმიტანილინი.
- 50 1109. ქორწინება აღსრულება სამრევლო ეკლესიაში, ეპისკოპოსის ან წინამძღვრის ნებართვით, სხვა ეკლესიაში ან ორატორიოში; კერძო სახლებში საგანგებო მიზეზების გამო შეიძლება დაშვებული იყოს, მაგრამ არა სემინარიების ორატორებში ან მონაზვნების სახლში, მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე და დიდი სიფრთხილით. კათოლიკეებსა და არაკათოლიკეებს შორის აღსრულება ტაძრის გარეთ და თუკი დევნაზე შიშობენ, რჩევას გაცემს მაღალსასულიერო პირი.
- 51 1100-1102 გარდა აუცილებლობისა, უნდა დაიცვან დადგენილი ან წესად დამკვიდრებული რიტები. უნდა იზრუნონ, რომ მეუღლეებმა საზეიმო კურთხევა მიიღონ წირვაზე, წესების დაცვით, და სადღესასწაულო პერიოდის გამოყენებით. ქორწინების აღმსრულებელს შეუძლია საზეიმო კურთხევა გასცეს თავისთვის ან სხვებისთვის. კათოლიკეებსა და არაკათოლიკეებს შორის ქორწინებაში, თანხმობის შესახებ კითხვები დაისმება კან. 1095-ის მიხედვით; ნებისმიერი წმიდა წესი აკრძალულია, და თუ ამისგან სერიოზულ დანაკლისს ელიან, ეპისკოპოსი დაუშვებს რაიმე ცერემონიას და არა წირვას.

რომ შერეული ქორწინებები შემცირდება და მღვდლები დაფიქრდებიან ამ კანონებზე.

### ნათლობისა და მირონცხების შესახებ

წერილში ეპისკოპოსი იხსენებს, რომ არ შეიძლება ნათლობა აღნიშვნა სახლში, გარდა სიკვდილის საფრთხის შემცველი შემთხვევისა. იხსენებს ასევე ახალგაზრდების მომზადებას მირონცხებისთვის, რომლის აღნიშვნასაც იმედოვნებს სულთმოფენობის დღეს თბილისში და სხვა ადგილებში, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ.

დასკვნით ნაწილში ეხება წირვაზე ძღვენის თემას და იმ დღეებს, როდესაც სავალდებულოა, „pro populo“, ხალხისთვის წირვის აღნიშვნა.

წერილი სრულდება მწყემსის კურთხევით მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით.

### დასკვნა

საკმაოდ მოკლე ცხოვრებისეული პრეზენტაციისა, წერილი ღიად ტოვებს ეპისკოპოსის ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტს: როგორც არის: რატომ შეარჩიეს ეს პიროვნება საქართველოში გასაგზავნად, უდაოდ სანდო და გამოცდილი? რატომ ტოვებს ასე საჩქაროდ ის თავის ეპარქიას, როგორც კი ქვეყანაში ბოლშევიკური ჯარების შემოიჭრება?<sup>52</sup> როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნის ხელისუფლებასთან და საპატრიარქოსთან? კვლავაც არის თუ არა შემორჩენილი სტამბოლის ქართულ კათოლიკურ

---

52 წერილის გამოქვეყნებიდან (18 იანვარი) სულ რაღაც ერთი თვის თავზე, 17 თებერვალს ის ტოვებს საქართველოს, თავის წერილში აცხადებდა, რომ სულთმოფენობის დღესასწაულზე სურდა ახალგაზრდებზე მირონცხების საიდუმლოს გაცემა, შემდეგ ზუსტ მინიშნებებს აძლევს, როგორც ჩანს, საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე; და რატომ მიემგზავრება ასე საჩქაროდ? ნუთუ ვითარების გამო, რომელიც ასე რადიკალურად სწრაფად შეიცვალა? ნუთუ ეს ყველაფერი ამართლებდა მწყემსის წასვლას, როცა ამავე პერიოდში, სხვა ქვეყნებში მწყემსები არ გაქცეულან? ხომ არ ისარგებლა ვითარებით, რომ წასულიყო, რადგანაც მარტო დარჩა გაუგებრობაში, არც რომი და არც ქართველი კათოლიკე მორწმუნეები მხარს არ უჭერდნენ? იქნებ არასწორად ურჩიეს? მას შემდეგ, რაკილა მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის ყველა წარმომადგენელი მიდიოდა, მანაც მიიღო ეს არჩევანი, როგორც დიპლომატმა? რასაკვირველია, ის არც ხასიათის სისუსტეს და არც უძლურებას ამჟღავნებდა ახალ და მოულოდნელად განვითარებულ ვითარებებში.



მონასტერში დოკუმენტები, რომლებიც მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საჭირო ინფორმაციას მოგვანვდიან? რა მოგონებები და ურთიერთობები შეიძინა ამ გამოცდილებამ მომდევნო წლებში?<sup>53</sup> სხვა დოკუმენტებთან კონფრონტაცია, დიდი ალბათობით, ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას მოგვცემს. თუკი მეუფე მორიონდოს ჩამოსვლას, წმიდა საყდრის კონკრეტული პასუხად მივიჩნევთ ქართველების თხოვნაზე, რომ თბილისში ეპისკოპოსი ჰყოლოდათ, მისი წასვლა ისეთ სიცარიელეს ტოვებს მონაწილეებში, რომ შესაძლოა ამ მიზეზითაც მიეცა იგი მივიწყებას; თუმცა ეს ნაბიჯი, ყოველივეს, რაც თითქოსდა იმედისმომცემ გარემოს აჩვენებდა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და საქართველოს საპატრიარქოს აღდგენის შემდეგ<sup>54</sup>, ნაუცბათევად შეჩერდა. ბოლშევიკური ჯარების შემოსევა და შემდგომი პერიოდი ყველაფერს წერტილს დაუსვამს.

ეპისკოპოსმა თავისი პირველი წერილისთვის ძალზე საგულისხმო თემა აირჩია: სავესტროგორც პრობლემებით და გაუგებრობებით, ამავდროულად, იმედით და მოლოდინებით; მას შეეძლო სხვა თემები აირჩია, მაგრამ ირჩევს ამ თემას და მას წარმოადგენს როგორც ერთგვარ სამოქმედო პროგრამად საქართველოში კათოლიკეთა მსახურებაში. როგორც ჩანს, მან იცოდა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორია, სადაც ხშირად იჩენდა თავს კათოლიკეთა შორის განხეთქილება რიტთან, ენასთან, ეროვნებასთან დაკავშირებით, წარსულშიც და ეხლაც. აქტუალურად ჩანს ეს თემა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც; აქაც აჩვენებს თავის ცოდნას მის წარსულსა და აწმყოზე. ამას რამდენიმე სიახლით ეხმაურება: გამოდის საღვთო წერილიდან, მარტივი საუბრით, მაგრამ მისი სულისკვეთების გადმოცემით; ჯერ კიდევ მოსაგვარებელია სქიზმატიკოსების და ერეტიკოსების კათოლიკე ეკლესიაში დაბრუნების პროლემა, რასაც უზენაესი პონტიფიკი ხელმძღვანელობს, როგორც ერთადერთი ეკლესია, საიდანაც მოდის ხსნა, მაგრამ ამავ დროს საუბრობს მოყვასებზე, იმაზე, რაც უფრო მეტად აერთიანებთ, ვიდრე ჰყოფთ. იხსენებს იმ ფაქტებს, რომლებიც რომის საყდართან ერთიანობის სურვილს ამონიშნებენ. თუკი ეს წერილი კონკრეტული და ღია პასუხია საქართველოში კათოლიკეების სხვადასხვა პრობლემებზე, რაც ასევე იდგა წმიდა

---

53 1924 წ. L'Osservatore Romano-მ გამოაქვეყნა სტატია რუსული ძალადობის შესახებ საქართველოში. როგორი იყო მისი რეაქცია?

54 1923 წ. საქართველოში გაგზავნეს მთავარეპისკოპოსი ადრიანო სმეცი, რომელიც იქ დაახლოებით ერთი წელი დარჩება.

საყდრის ყურადღების ცენტრში, თუნდაც მამა დელპუჩის ვიზიტის დროს; ამასთანავე, რატომ არ შეიძლება ეს წერილი წმიდა საყდრის პასუხად ჩითვალოს, მისი წარმომადგენლის მხრიდან, პატრიარქ კირიონის წერილზე და რომის სამოციქულო საყდართან ერთობის მიზნით გაცხადებულ მოთხოვნაზე?<sup>55</sup> რაღა თქმა უნდა, ამ თემის შერჩევა მხოლოდ ეპისკოპოსის სურვილი არ იყო, ეს წინადადება რომიდანაც მოდიოდა. უცნაურია, რომ წერილში ნახსენები არაა საქართველოს იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობა და არა ასახული ის მოვლენები, რომლებიც სულ მოკლე დროში რადიკალურად შეცვლიან ქვეყნის მომავალს. ჯერჯერობით უცნობია, როგორ მიიღო ეს წერილი მორწმუნეებმა და კათოლიკე სამღვდელოებამ, საზოგადოებამ და საქართველოს საპატრიარქომ. ვფიქრობ, მისი ხელახალი წარმოჩენა მნიშვნელოვანი ჩანართი იქნება კავკასიის კათოლიკეთა ერთიანობის ისტორიაში და საქართველოში ორ ეკლესიას – კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ერთიანობის ძიებასა თუ განმტკიცებაში<sup>56</sup>.

**Gabriele Bragantini**

### **Natale Gabriele Moriondo: the First Pastoral Letter**

The first part presents the figure of the Dominican Natale Gabriele Moriondo, who was bishop of Cuneo during the First World War. In 1920 he became Apostolic Administrator of Georgia and the Caucasus for a few months, until February 1921, when Georgia was invaded by revolutionary Bolshevik troops. In 1922 he was appointed bishop of Caserta, an office he held until January 1945. He died in 1946 at the age of 75. In the second part, his pastoral letter to the Catholics of his Administration is presented, where he speaks of the unity of the Church and of various concrete

---

55 შდრ. ბარდაველიძე ნუგზარ, "კათოლიკე ეკლესია საქართველოში XX საუკუნეში". თამარ გრძელიძე, "რომი და ქართველები, დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის" (1992-2017წწ.), გამოცემა Studium2017, გვ.242.

56 თუკი დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ ეს ორი ეკლესია მუდამ იყო გათიშული და ეკუმენური პრობლემები ყოველთვის არსებობდა, რეალურად მაინც ვერ დადგინდა, როდიდან და რა მიზეზთა გამო გაიყო ეკლესიები.

situations, such as baptism and confirmation, mixed marriage, singing and others. This work can represent an opportunity for the rediscovery of this persons, as well as of his pastoral letter, practically forgotten, so that an important piece in the history of Catholics in the Caucasus can be brought to light and may help searching for or strengthening the unity between the two Churches: Catholic and Georgian Orthodox.

კრებულის ბოლო ნაწილში ერთიანად ქვეყნდება აქამდე უცნობი საარქივო მასალები, რომლებიც დაცულია ნატალე გაბრიელე მორიონდოს საქმიანობის შესახებ.

## უნიაციზმის იდეა XX საუკუნის პირველი ოცნლეულის საქართველოში

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები ვატიკანში გაგზავნილ რელაციებში აღნიშნავდნენ, რომ თითქოს საქართველო და მისი ეკლესია მომხრე იყო კათოლიკე ეკლესიასთან უნიის გაფორმებისა, რაც რეალურ სინამდვილეს არ შეესაბამება. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ასევე არ მიმხრობიან 1438-1439 წწ. ფერარა-ფლორენციაში გამართულ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას, უნიის მიღების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მაღალი ქართველი სასულიერო პირი (ერთხანს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I (1744-1788), სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) და სხვა) აღიარებდა უნიაციზმს,<sup>1</sup> მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უნიაციზმის მომხრე იყო. მხოლოდ XX საუკუნის პირველ ოცნლეულში მოღვაწე ზოგიერთ ქართველ საერო და სასულიერო პირთა შორის, რომლებიც იმ დროს მიმდინარე ავტოკეფალისტთა მოძრაობაში მონაწილეობდნენ, იდეის სახით გაჩნდა იგი.

ხელისუფლების ზეწოლის შედეგად, 1907-1910 წწ. ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობა ერთგვარად მინელდა. მიუხედავად რეპრესიებისა, ავტოკეფალისტთა მოძრაობა არ შეჩერებულა. ასეთ ვითარებაში საზოგადოების მცირე ნაწილში წარმოიშვა იდეა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თავისუფლების მოპოვება რომის პაპთან უნიის გაფორმებით იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნული იდეა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, რადგან გამჟღავნების შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება მათ სასტიკად გაუსწორდებოდა. დასახელებული მიზეზის გამო, ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ და რამდენი პიროვნება ემხრობოდა რომის კათოლიკე ეკლესიასთან უნიას. მხოლოდ ის ვიცით, რომ მათი აქტივისტების ძირითადი ნაწილი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელი იყო.

ზოგიერთი სასულიერო პირიც ემხრობოდა რომის პაპთან უნიის გაფორმებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა ქუთაისის საზოგადოება, რომელთაგანაც მკაცრი კონსპირაციის პირობებში პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს. განსაკუთრებით აქტიურობდა გელათის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი, სტამბოლში,

ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ფარულად დამკვიდრებული, რუსეთის ხელისუფლებისაგან დევნილი, არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე, რომელმაც აქტიური მუშაობა გააჩაღა კათოლიკეებთან უნიის გასაფორმებლად. მის იდეას მხარი დაუჭირა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობამ, მოძღვრებმა: ანდრეა წინამძღვრიშვილმა (ქართველ კათოლიკეთა ტაძრის წინამძღვარმა), იოსებ მერაბიშვილმა და სხვებმა.

საზოგადოების მცირე ნაწილისათვის აღნიშნული უნია მისაღები ჩანდა. მათ შორის, ვინც უნიის იდეას იზიარებდა, ყოფილა აკაკი წერეთელიც. ამ საკითხზე ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა ახალი წყაროები.<sup>2</sup> აღნიშნული იდეის განხორციელების გამო დევნილმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ნამორაძემ სტამბოლში დამკვიდრებული ადგილობრივი ქართველი კათოლიკეების მეშვეობით კავშირი დაამყარა რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილთან და იმედი ჰქონდა, რომ ვატიკანის მაღალ სასულიერო პირებთან მოლაპარაკებით უნიის საკითხი მისი დახმარებით ადვილად მოგვარდებოდა. ამ მიზნით, მან 1909 წლის 17 თებერვალს სანდო პირის დახმარებით და არა ფოსტით, წერილი გაუგზავნა რომში მიხეილ თამარაშვილს. იგი ქართველ კათოლიკე მოძღვარს აუწყებდა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის (1905-1907 წლების რევოლუცია ე. ბ.) დროს „მთელმა საქართველოს სამღვდელოებამ ერთხმად მოითხოვა აღდგენა ქართველთა ეკლესიის დამოუკიდებლობისა ანუ ავტოკეფალიისა ისე, როგორც იყო წინათ და რუსეთის მფარველობაში, რომ გადავიდა, მაშინ კი უკანონოთ გააუქმეს, სახელდობრ 1811 წელსა, ხოლო სამოციან წლებში ჩამოართვეს დიდძალი უძრავი ქონებაც, ადგილმამული და ხაზინას გადასცეს, ეკლესია მთლიანად გაალარბეს.“ შემდგომ ნიკოლოზ ნამორაძე ატყობინებს მიხეილ თამარაშვილს, რომ დაკარგული ეკლესიური თავისუფლების აღდგენის მოძრაობაში, როგორც გელათის მონასტრის არქიმანდრიტი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, რის გამოც გაათავისუფლეს და სასჯელად რუსეთის შორეულ მონასტერში განწესება მიუჩინეს, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, არ დაემორჩილა მათ გადანყევტილებას და ამჟამად ხელისუფლების დევნის გამო ფარულად სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იმყოფება. შემდგომ იგი აუწყებს მიხეილ თამარაშვილს, რომ ქართველ სამღვდელოებს იმედი არ აქვს ხელისუფლებამ მათი თხოვნა შეინყნაროს. „მართალია, ჩვენი პეტიცია, – წერს იგი მიხეილ თამარაშვილს, – რომლითაც 1905 წელს მოვითხოვეთ აღდგენა ავტოკეფალიისა, იმპერატორის რეზოლუციის ძალით გადაეცა სინოდს წარსადგენად განზრახულ რუსეთის საეკლესიო კრებაზედ, მაგრამ თვით ეს კრება და მისი მოწვევა

დღეს მეტად საეჭვო შეიქმნა. მეორეც, ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს გარდანყვეტა ჩვენის ავტოკეფალიის ბედისა, რომელიც დამტკიცებულია აღმოსავლეთ ეკლესიისაგან და მომდინარეობს ძველი დროიდანვე, მივანდოთ რუსეთის საეკლესიო კრებას, რომელსაც არ აქვს არავითარი უფლება შევიდეს ავტოკეფალიის განსჯაში, გარდა იმისა, რომ სცნოს ჩვენი ავტოკეფალია და აღიაროს იგი არსებულ ფაქტად“. არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე აღნიშნავს, რომ აღნიშნულის გამო ქართველი სამღვდელთა საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას არ ენდობა. ამიტომ, მისი აზრით, ქართველ საზოგადოებას სურს ეს საკითხი თვითონ გადაწყვიტოს. თუკი ხელისუფლება მათი განზრახვის განხორციელებას ხელს არ შეუწყობდა, მაშინ, ნიკოლოზის აღნიშვნით, ქართველი სამღვდელთა და საზოგადოების სურვილია, რომის პაპს მიმართონ შეერთებისათვის. „მაგრამ, – ატყობინებს იგი მიხეილ თამარაშვილს, – ეს ისეთი დიდი საქვეყნო ეროვნული საქმეა, რომ თითოეული ნაბიჯი უნდა იქნას გადადგმული დიდის ანონ-დანონვით და მოფიქრებით, რათა ამით განსაცდელი რამ არ დაადგეს ერსა. საზოგადოთ ჩვენში ბევრსა აქვს იმედი რომიდან შველისა და ამ იმედით, რომ საქმე დაიწყოს და შველა კი არსაიღამ ექმნეს, ერი დაილუპება.“ არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე სთხოვს მიხეილ თამარაშვილს: „თქვენ კარგად უნყით, რომ თუ ქართველობამ კათოლიკობა მიიღო, საშინელ დევნას დაგვიწყებს რუსეთი და დიდ შევიწროვებას მოგვაყენებს ყოვლის მხრივ. ამიტომ ვიდრე გავბედავდეთ და საქმეს დავიწყებდეთ, უნდა ვიცოდეთ: 1. რა დახმარება და მფარველობა შეუძლიან გაგვიწიოს რომის პაპმა საზოგადოთ და კერძოთ რუსეთის მთავრობასთან და 2. კათოლიკობის მიღებით საქართველოს ეკლესია ხომ არ კარგავს იურიდიულ უფლებას საეკლესიო მამულებზე, რომელიც დღეს საზინის ხელშია და ტაძარ-მონასტრებზე, ჯერჯერობით ეს ორი უმთავრესი კითხვაა, რომლის ასეთ თუ ისეთ პასუხზეა დამოკიდებული ჩვენი შემდგომი მოქმედება. ეხლა ამას გთხოვთ, რომ შინაარსი ან სრული თარგმანი ამ ბარათისა წარუდგინოთ აღმოსავლეთის მცოდნე კარდინალს და პასუხი რაც იქნება, მე მაცნობოთ სტამბოლში, ხოლო ყოველივე ჩვენ სამთა (მესამე პირად ნიკოლოზი მიიჩნევს ჩვენთვის უცნობ იმ პიროვნებას, რომელმაც რომში აღნიშნული წერილი წაიღო ე.ბ.) შორის საიდუმლოდ დარჩეს“<sup>3</sup>.

მიხეილ თამარაშვილს საპასუხო წერილი გამოუგზავნია არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძისათვის. სამწუხაროდ, აღნიშნული წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობია. თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი მოწონებით შეხვედრია ამ წინადადებას და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაუდგამს ვატიკანის მაღალ იერარქებთან დასაკავში-

რებლად. მიხეილ თამარაშვილის გამოგზავნილი წერილის შესახებ ინფორმაციას შეიცავს 1909 წლის 1 (14) სექტემბრით დათარიღებული რომში მისადმი ნიკოლოზ ნამორაძის გაგზავნილი წერილი. მიხეილ თამარაშვილს იგი წერს: „თქვენი წერილის შემდეგ მე ხმა მივანვდინე საქართველოში და იქ შიში გამოთქვეს, რუსის მთავრობა იმას ელისო, რომ ჩვენ კათოლიკობა მივილოთ, და რაც კიდევ რამ დაგვრჩენია ეკლესიისა, ისიც წაგვართვასო. ამის შემდეგ მართლა მოხდა ისეთი ამბავი, რომ შიშს ამტკიცებდა: გაზაფხულის თვეებში ერთხანად დიდი დევნა შეიქმნა ჩვენი სამღვდელოებისა და ზოგიერთმა კარგმა პირებმა ერისაგანთა თქვეს, რაკი ასეა, პაპს მივმართოთ, კათოლიკობა მივილოთო, და ამაზე მთავრობა ისე სასტიკად მოეპყრა, რომ კაცს გაუკვირდებოდა. ამ ერთ უბრალო სიტყვაზე გადასახლება გადაუწყვიტეს; ისინი კი დაიხსნეს, მაგრამ რანაირ ძალას იხმარებს ჩვენზე მთავრობა, უკეთუ ასრულებას შევეუდგეთ, ეს კი ცხადი შეიქმნა.“<sup>4</sup> არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეს მხედველობაში აქვს ქუთაისის თავადაზნაურთა კრებაზე კიტა აბაშიძის, ნიკოლოზ თავდგირიძის და დავით მიქელაძის გამოსვლა, რომლის შესახებ ცნობებს ქვემოთ წარმოვადგენთ.

გარდა აღნიშნულისა, არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე მიხეილ თამარაშვილს ატყობინებდა, რომ მიუხედავად დაბრკოლები-სა, ამ იდეას მხარს უჭერდა საზოგადოების ნაწილი. მათ შორის იყო აკაკი წერეთელი. არქიმანდრიტი ნიკოლოზი მიხეილ თამარაშვილს წერს, რომ აკაკი ამჟამად პარიზშია, რომელსაც უკვე გაუგზავნა მისი მისამართი და აღნიშნავს, რომ სექტემბრის ბოლოს რომში ჩავა მასთან შესახვედრად და ამ შეხვედრის დროს პირად საუბარში ბევრ საკითხს ნათელი მოეფინებოდა. არქიმანდრიტ ნიკოლოზის წერილიდან ირკვევა, რომ მიხეილ თამარაშვილის მოთხოვნით რომის კათოლიკე ეკლესიასთან უნიის გაფორმებას ყველა ქართველი უნდა მიმხრობოდა, რასაც ნიკოლოზ ნამორაძეც მხარს უჭერდა და აღიშნავდა, რომ „რუსის მთავრობამ ჩვენი შიგნიური განყოფილებით არ ისარგებლოს. საქმე მეტად ძნელია და დიდი მუშაობა უნდა, დიდი სიფრთხილე და დაკვირვება, თორემ მტერი ადვილად გვავნებს, რადგან ამ ფრონტზე მოგვიხდება მოქმედება: თვით ხალხთან და მთავრობასთან.“ ნიკოლოზი აღნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხი კარგად უნდა იქნეს გააზრებული, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ნიუანსი, რადგან „ამჟამად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომე რაც უნდა კარგად ვიყენეთ მომზადებულნი და განვრთვინილი, მაინც არ იქნება, რომ პარტიობა არ ჩამოვარდეს, რადგან ჩვენს დაქვეითებულ საზოგადოებაში მთავრობა ყოველთვის იშოვის თავის ამყოლს. ეს კია, იმედი, დღევანდელი ეკლესიური ორგანიზაცია იქამდე მდარე

და უსიცოცხლოა, რომ მას დიდი საგზალი და განვდენა არა აქვს და ხალხი თითქმის განშორებულია მასთან.” ნიკოლოზი მოითხოვდა, რომ „ჩვენ ვიღებთ რომის უნიას, ესე იგი პაპს აღვიარებთ ეკლესიის თავად, დანარჩენი კი რჩება ყველაფერი უცვლელად; თავის ეკლესიაში ცვლილება იმით უნდა შეამჩნიოს ხალხმა, რომ მაგიერ სინოდისა, რომელიც თესავს ჩვენში სიძულვილს და სიბოროტეს, ჩვენა ვცნობთ პაპსა, რომლის მეოხებით ჩვენ ვთესავთ სიკეთესა და სიყვარულს.”<sup>5</sup>

არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეს მიაჩნდა, რომ „უნიის მიღებამ საქართველოს უნდა დაუბრუნოს ავტოკეფალია და თუ ამნაირ გაქათოლიკებით არა ვკარგავთ იურიდიულ უფლებას ჩვენს ქონებაზე, ესე იგი ჩვენი ახალი კათოლიკე იურიდიულ-უფლებიანად იქმნას აღიარებული რუსის მთავრობისაგან და ჩვენი საეკლესიო ორგანიზაციის ფუნქციები კანონიერად მის თვალში, მაშინ ადვილად შეგვიძლია დავა დავინყოთ, რომე რაც ეკლესიის ქონება გვექონია და ხაზინამ ჩამოგვართვა, ისევ დაგვიბრუნდეს. დღეს ამ ქონების სიები არხივებშია, ვიცით, სად რა არი, ნაწილად სამოციან წლებში ჩამოგვართვეს, ნაწილად თხუთმეტი წლის შემდეგ. მაგრამ ჩვენი შიში სწორედ აქ არის: ვაი თუ რუსის მთავრობამ გვითხრას, ეს მამულები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიისა იყო, დღეს თქვენ კათოლიკენი ხართ და იმის მეკვიდრენი ჩვენა ვართო და ამ არგუმენტით თავიცი იმართლოს. ყველაზედ ძნელი კითხვა ეს არის და ზოგის ორჭოფობა და რყევა აქედამ წარმოსდგება. ბევრი იმის მონატრეა, რომ ავტოკეფალია თვით რუსის მთავრობისაგან გამოგვეტანა, თუკი როგორმე მოხერხდებოდა, რომ ზედ ყოველი ჩვენი უფლებანი დაგვიბრუნდებოდა. ამნაირი ნივთიერი კითხვა, რომ სრულებით მივაჩუმათოთ, ესეც არ შეიძლება, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენი საეკლესიო მამულები სხვას რათ უნდა დარჩეს და მეორე ჩვენ გაღარიბებულ ხალხს სხვა საშუალება არა აქვს თავისი ეკლესია შეინახოს. ამიტომ ეს იყო პირველი შეკითხვა ჩემი თქვენთან. საცალკეო პირზე რომ გვექონოდა ლაპარაკი, მაშინ ასეთი კითხვები აღარ დაიბადებოდა, მაგრამ რაკი მთელ ერზედ გვაქვს მსჯელობა, მისი ბედი და მოსათხოვარი სხვა არი.”<sup>6</sup>

ჩვენს მიერ მეცნიერულ მიმოქცევაში პირველად შემოტანილი ვრცელი აღნიშნული ამონაწერები მრავლისმეტყველი და მეტად საინტერესო ინფორმაციის შემცველია. არქიმანდრიტი ნიკოლოზი მართალი იყო, როცა აღნიშნავდა, რომ ქართველი საზოგადოების მცირე ნაწილი, თუკი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის სხვა საშუალება არ იქნებოდა, დახმარებისათვის მიმართავდა რომის პაპს უნიის გასაფორმებლად. კათოლიკე ეკლესიასთან უნიის გაფორმების იდეა, ჯერ კიდევ, 1905



წლის 10 აგვისტოთი დათარიღებულ „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობის“ სახელით გავრცელებულ მიმართვაში იყო დაფიქსირებული, რომელსაც სასულიერო პირთა მცირე ნაწილი ემხრობოდა. თუმცა, ამ იდეას არ იზიარებდა ეპისკოპოსები: კირიონ საძაგლიშვილი, ლეონიდე ოქროპირიძე და სხვა სასულიერო პირები.<sup>7</sup>

არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძეს უნდა უზრუნველყო საქართველოში მოღვაწე სასულიერო პირთა და მოწინავე ქართველი საზოგადოების ჩართვა ამ მოძრაობაში. ამ მხრივ, დიდად იღვანა ნიკოლოზ ნამორაძემ. მას საიმედო პირთა დახმარებით მოლაპარაკება გაუმართავს ქართველ იერარქებთან, მაგრამ ამ უკანასკნელთ უარი განუცხადებიათ რომის პაპთან უნიის გაფორმებაზე.<sup>8</sup>

უნიის მომხრენი დიდ იმედს ამყარებდნენ აკაკი წერეთლის ევროპაში გამგზავრებაზე. ევროპაში მგზავრობის დროს აკაკი უნდა ჩასულიყო რომში მიხეილ თამარაშვილთან. ამ უკანასკნელს კი უნდა მოეგვარებინა რომის პაპთან აკაკის აუდიენციის საკითხი, სადაც უნდა განხილულიყო: რა გზით იქნებოდა მიზანშეწონილი საქართველოს ეკლესიის რომის კათოლიკე ეკლესიასთან უნიის გაფორმება. კონსტანტინოპოლში არსებული ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ძმობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აკაკის ევროპაში მოგზაურობას. ისინი აკაკის დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ. მათ 1909 წლის 26 აპრილს მონასტერში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს აკაკის იუბილე მისი მონაწილეობის გარეშე. 1909 წლის ივლისში აკაკი პარიზში გაემგზავრა. გზად იგი რამდენიმე საათით შეჩერდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, სადაც მას დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. ჩვენთვის ცნობილია, რომ აკაკის სტუმრობასთან დაკავშირებით გამართულა შეკრება, სადაც, როგორც ირკვევა, საიდუმლოდ საუბარი ყოფილა კათოლიკე ეკლესიასთან უნიის გაფორმების შესახებ. ჩვენთვის უცნობია შეხვედრის დეტალები, მხოლოდ ის ვიცით, რომ პარიზში ჩასული აკაკი, შემდეგ რომში მიხეილ თამარაშვილთან უნდა ჩასულიყო და შეხვედროდა პაპის წარმომადგენლებს. აღნიშნული შეკრების შესახებ მღვდელი იოსები მერაბიშვილი წერილით აცხობინებს რომში მიხეილ თამარაშვილს და სთხოვდა, რომში ჩასვლისას დიდი შეხვედრა მოუწყოს აკაკის და უზრუნველყოს რომის პაპთან მისი შეხვედრა. რომში ვიზიტის შესახებ მიხეილ თამარაშვილს არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე 1909 წლის 14 სექტემბერს წერს, რომ აკაკი „იმ აზრისაა, რომ კათოლიკობა არის ერთად ერთი ხსნა საქართველოს ეკლესიისა და დიდად მონატრულია, რომ ეს საქმე მის თვალწინ აღსრულდეს.“<sup>9</sup> საქართველოში მყოფ უნიატებს იმედი ჰქონდათ, რომ ევროპაში მიმავალი

აკაკი წერეთელი გარკვეულ ნაბიჯს გადადგამდა ამ განზრახვის განსახორციელებლად.

რომში მიხეილ თამარაშვილი მოუთმენლად ელოდა აკაკის ჩასვლას, მაგრამ მოულოდნელად 1909 წლის 24 ოქტომბერს აკაკი პარიზიდან მიხეილ თამარაშვილს წერს, რომ "ამ დღეებში მივდივარ კავკაზიაში, გარემოებამ მოიტანა." აკაკი ჰპირდებოდა მიხეილს, რომ სამი თვის შემდეგ იგი აპირებდა ევროპაში გამგზავრებას, მაშინ კი უეჭველად პირდაპირ რომში ჩავიდოდა უფრო დიდი ხნით. წერილში არავითარი ცნობა არ გვაქვს იმის შესახებ, თუ დროის მცირე მონაკვეთში რატომ გადაიფიქრა აკაკიმ რომში გამგზავრება. მოულოდნელად აკაკიმ თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და პოლონეთის გზით საქართველოში დაბრუნდა. არ არის გამორიცხული, რომ მისი განზრახვა რუსეთის ჟანდარმერიისათვის გამხდარიყო ცნობილი. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ უკან დაბრუნების შემდეგ აკაკი საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.<sup>10</sup>

აკაკი წერეთელი პოლონეთის გავლით დაბრუნდა საქართველოში. სტამბოლის გზით უკან დაბრუნებაზე უარი მან შეგნებულად თქვა, რადგან ქართველი კათოლიკეთა ძმობა მის დაბრუნებას სულმოუთქმელად ელოდა და დიდი ზეიმისთვისაც ემზადებოდნენ. რაც შეეხება აკაკი წერეთლის დანაპირებს, რომ იგი მალე გაემგზავრებოდა რომში, მას აღსრულება არ ეწერა, რადგან 1911 წელს იტალიაში ტრაგიკულად დაიღუპა მიხეილ თამარაშვილი და მისი გარდაცვალების შემდეგ უნიის იდეაც საბოლოოდ დასამარდა.<sup>11</sup>

ირკვევა, რომ ზუსტად ამ დროს ქუთაისის საზოგადოების ერთი ნაწილი რუსეთის ანტისაეკლესიო პოლიტიკის გამო მომხრე ყოფილა უნია გაეფორმებინათ რომის კათოლიკე ეკლესიასთან ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ისლამი მიეღოთ. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამართველოს უფროსის მიერ 1909 წლის 4 მარტს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისადმი გაგზავნილი, აგენტურის ქსელზე დაყრდნობილი, საიდუმლო ცნობა. ამ ცნობის მიხედვით, იმავე წლის 22 თებერვალს ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვის გარეშე ქუთაისში გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის, თავად წერეთლის ხელმძღვანელობით დევნილ ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის მხარდასაჭერად ჩატარებულმა კრებამ დაგმო რუსეთის ხელისუფლების ანტისაეკლესიო პოლიტიკა. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ მაზრის წარმომადგენელი თავადები: ქუთაისის თავი დავით ლორთქიფანიძე, კაცია ერისთავი, ქალაქ სოხუმის ყოფილი თავი ნიკოლოზ

თავდგირიძე, ჭიათურის მარგანეცის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კიტა აბაშიძე, ამავე საბჭოს თანამშრომელი ნიჟარაძე, დავით მიქელაძე, პოლკოვნიკი გიორგი აბაშიძე და სხვები, სულ 40-50 პიროვნება. აგენტურის ცნობით, კრებზე გამოსულმა ორატორებმა ნიკოლოზ თავდგირიძემ, დავით მიქელაძემ და კიტა აბაშიძემ დაგმეს რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა და უსამართლოდ მიიჩნიეს ხელისუფლების მიერ ქართველი სასულიერო პირების: კირიონ საძაგლიშვილის, ლეონიდე ოქროპირიძის, ამბროსი ხელაიას და სხვათა დევნა-შევიწროება. ყველა გამომსვლელი ერთხმად აღიარებდა, რომ შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო მხოლოდ ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა. გამომსვლელთაგან ნიკოლოზ თავდგირიძეს მოუთხოვია დეპუტაცია გაეგზავნათ პეტერბურგში ავტოკეფალიის მოთხოვნით. თუკი ხელისუფლება მოთხოვნას არ შეასრულებდა, მაშინ მათივე დეპუტაცია უნდა წარმდგარიყო რომში პაპის წინაშე და ქართველი ხალხის სახელით მოეთხოვათ უნია – კათოლიკე ეკლესიასთან გაერთიანება. ამავე მოსაზრებას იზიარებდა კიტა აბაშიძეც. ერთ-ერთი გამომსვლელი დავით მიქელაძე უფრო შორს წასულა და მოუთხოვია ისლამის მიღებაც. მომხსენებლების სანინალმდეგო მოსაზრება დაუფიქსირებია ქუთაისის თავს დავით ლორთქიფანიძეს, რომელსაც განუცხადებია, რომ ერთეულ პირებს უფლება არ აქვთ ილაპარაკონ ქართველი ხალხის სახელით, რადგან ეს უფლება მათთვის არავის მიუნიჭებია, მით უმეტეს, საკითხი, როცა რწმენის საკითხს ეხებაო. აღნიშნული მოსაზრება კრების უმრავლესობამ გაიზიარა. კრებაზე განხილული საკითხები საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა. მის შესახებ ინფორმაციამ გაზეთებშიც გაჟონა. აღნიშნული ფაქტით ინფორმირებული იყო პოლიციის დეპარტამენტი და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე ნიკოლოზ თავდგირიძე, კიტა აბაშიძე და დავით მიქელაძე დააპატიმრეს. გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაციით მათ ელოდათ გაციმბირება.<sup>12</sup> დაპატიმრებულთა ბედი ქართველი საზოგადოება დიდად იყო დაინტერესებული. მათ გათავისუფლებაში ჩაერია სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პროკოფი შერვაშიძე. საზოგადოების ძალისხმევით ერთიანი პატიმრობის შემდეგ სამივე დაკავებული გაათავისუფლეს.<sup>13</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ზოგიერთ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს სურდა რომის კათოლიკურ და საქართვე-

ლოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის უნიის გაფორმება. ამ იდეას ემხრობოდა გიორგი მაჩაბელი, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს იტალიაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი იყო. მან ამ საკითხთან დაკავშირებით 1919 წელს წერილით მიმართა იმდროინდელ კათოლიკოს-პატრიარქს ლეონიდე ოქროპირიძეს და აცნობებდა, რომ თანხმობის შემთხვევაში იგი ვატიკანის მაღალ იერარქებთან მოლაპარაკებით პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამდა მის განსახორციელებლად. გიორგი მაჩაბელის ამ იდეას კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე არ გამომხმარებია, რადგან იგი არ ემხრობოდა რომის კათოლიკე ეკლესიასთან უნიას.<sup>14</sup>

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის დიდი მცდელობის მიუხედავად, კათოლიკე ეკლესიასთან უნიის იდეამ განხორციელება ვერ ჰპოვა, იმის შიშით, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთი არ დაუბრუნებდა ეკლესია-მონასტრებს და ჩამორთმეულ ქონებას. გარდა ამისა, ქართველი სამღვდელთა, ძველი დროიდანვე, დიდ ერთგულებას იჩენდა მართლმადიდებლური მრწამსის მიმართ და არ იზიარებდა კათოლიკურ დოგმატურ ცვლილებებს, რის გამოც მათთან ევქარისტულ ურთიერთობაზე ყოველთვის უარს აცხადებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1917 წლის 12/25 მარტი) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მომხრე იყო ურთიერთობა ჰქონოდა რომის კათოლიკე ეკლესიასთან, რასაც ადასტურებს 1917 წლის სექტემბერში ახლადდადგენილი კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ საძაგლიშვილის, ხოლო 1926 წლის 28 მარტს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ვატიკანში გაგზავნილი წერილები,<sup>15</sup> რაც არ ითვალისწინებდა ამ ორ ეკლესიას შორის ევქარისტული კავშირის დამყარებას.

### *გამოყენებული ლ იტერატურა:*

1. ნ. პაპუაშვილი, უფე და მისი ეკლესია, თბ., 2021, გვ. 110.
2. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2661.
3. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.
4. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.
5. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.

6. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.
7. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1458, აღწ. 1, საქმე №173, ფურცელი 17; შდრ. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 94, საქმე 272, ფურცელი 25-27; შდრ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, საქმე №1214.
8. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2661; კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი, საქმე №2662.
9. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მიხეილ თამარაშვილის პირადი ფონდი, №2662; შდრ. ე. ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია“, №2, გვ. 29-38.
10. აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIII, თბ., 1963, გვ. 274.
11. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 13, აღწ. 1, საქმე №1166, ფურცელი 1-15.
12. ელდარ ბუბულაშვილი, აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია“, №2, 2011, გვ. 229-38.
13. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 13, აღწ. 27, საქმე №1050, ფურცელი 2-4; შდრ. კ. ქებულაძე, კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ქუთაისი, 2005, გვ. 48.
14. ე. ბუბულაშვილი, გიორგი მაჩაბლის მიმართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძეს, ქართული ემიგრაცია, №2, 2014, გვ. 110-113.
15. ჟურნალი „სვეტიცხოველი“, №1, გვ. 3; შდრ. რომი, ვატიკანის არქივი, 373-28 Pro Russia, (16), 373/28, ფურცელი 8-9.

**Eldar Bubulashvili**

### **The Idea of Uniatism in the First Twentieth of the XX Century in Georgia**

This study shows that in the movement to restore the autocephaly of the Georgian Orthodox Church in the beginning of the 20<sup>th</sup> century, some clergy and secular activists supported joining the Uniate with the Roman Catholic Church in order to free the Church from the Russian Holy Synod. The supporters in Kutaisi were especially active, even organizing a meeting on the

issue. Three activists were arrested for participating in the meeting by gendarmerie.

One of the active figures in the movement to restore the autocephaly, the former head of the Gelati Monastery, archimandrite Nicholas Namoradze, also supported the Uniate. Nicholas Namoradze was in the Georgian Catholic Monastery in Istanbul illegally due to persecution by the Russian authorities. With help of Georgian Catholic priests at the monastery, he sent several letters to Mikheil Tamarashvili, a public figure in Rome, and asked for help to join the Uniate. In his opinion, Akaki Tsereteli also seemed to support joining the Uniate. When Akaki Tsereteli was in France, he planned to go to Rome and meet with Mikheil Tamarashvili. For different reasons Akaki Tsereteli was unable to make the trip.

The "Autocephalist Group," founded in 1905, also supported the Uniate but the idea was not implemented. The group also tried to involve Bishop Kirion Sadzaglishvili and Leonide Okropiridze in efforts to join the Uniate.

## შეთანხმება საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის: დადების მცდელობა და პერსპექტივა

### I. შესავალი

საქართველოსა და წმიდა საყდრის ურთიერთობები ისეთივე ძველია, როგორც თავად ქრისტიანობა.<sup>1</sup> ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში, როცა ქრისტიანული ეკლესიის პოლიტიკური გეოგრაფია შედარებით მარტივი იყო, რომსა და მცხეთის საყდარს შორის უშუალო და პირდაპირი კავშირი არსებობდა.<sup>2</sup> რა თქმა უნდა, საუკუნეთა განმავლობაში ეს ყოველივე შეიცვალა, განვითარების განსხვავებული მიმართულებები შეიძინა და გაცილებით კომპლექსური ფორმით ჩამოყალიბდა.

წმიდა საყდრის თანამედროვე პოლიტიკა და სახელმწიფოებთან სამართლებრივი ურთიერთობები მნიშვნელოვნად განსხვავდება წარსული გამოცდილებისგან. თუკი თავდაპირველად შეთანხმებებისა და კონკორდატების ხელშემკვრელ მხარედ კათოლიკე ეკლესიასთან ისტორიულად დაახლოებულ სახელმწიფოებს ირჩევდა, დღესდღეობით დიაპაზონი გაცილებით ფართოა<sup>3</sup> და სრულიად ლოგიკურად, შეთანხმებათა საგანიც ძალიან შეიცვალა. მიუხედავად შეთანხმებათა მრავალფეროვნებისა, მთავარი ხაზი მაინც უცვლელია: კათოლიკე აღმსარებელთა უფლებების დაცვა, ეკლესიისა და სასულიერო პირთა სამართლებრივი სტატუსი, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური თანამშრომლობა.<sup>4</sup> რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა მიხედვით შესაძლებელია სხვადასხვა საკითხის გათვალისწინება.

1 იხ., ბეტანკური ჟ.ა., დიპლომატიური ურთიერთობების ოცდაათი წელი, მეგობრობის ორი ათასწლეული, წიგნში: საქართველო და წმიდა საყდარი, ვ. ვარდიძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, iv-v.

2 იხ., ლალანიძე მ., კათოლიკე ეკლესია, წიგნში: ლალანიძე მ., ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, ნ. 1, 2000-2009, თბილისი, 2021, 79-83.

3 Petkoff P., *Legal Perspectives and Religious Rights Under International Law in the Vatican Concordats (1963-2004)*, Law and Justice - Christian Law Review, Vol.158, 2007, 39.

4 იხ., გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 67-70.

წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დამყარდა და ძალზე აქტიურად, დინამიკურად განვითარდა.<sup>5</sup> წლების განმავლობაში ეს ურთიერთობები აქტიურ და საინტერესო ხასიათს იღებდა. ქვეყანაში უმრავლესობის რელიგიის, მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტური პოზიციისა და ექსკლუზიურობის გათვალისწინებით, კათოლიკე ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი, ქონებრივი საკითხები და ა.შ. ძალზე დელიკატურ, ხშირად პრობლემურ ხასიათს ატარებდა. წმიდა საყდარი წლების მანძილზე ცდილობდა კათოლიკე ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი, მღვდელმსახურთა და აღმსარებელთა უფლებები უზრუნველყო.<sup>6</sup> ამ მიზნით იგეგმებოდა შეთანხმების დადება (მით უმეტეს, რომ ამ ყოველივეს კონსტიტუციური შეთანხმება უსწრებდა ნინ), თუმცა წარუმატებლად.<sup>7</sup> არათუ შეთანხმების პროექტის შინაარსი, არამედ თავად შეთანხმების მცდელობის ფაქტიც კი ბევრისთვის უცნობია.

სტატიის მიზანია, მიმოიხილოს არშემდგარ შეთანხმებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, საკუთრივ დოკუმენტი, მისი ძირითადი მიმართულებები, ასევე, გამოკვეთოს თემატიკა, რომლის თაობაზეც მომავალში შესაძლებელი ან სასურველია წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა სამართლებრივი რეგლამენტაცია.

## II. საქართველოსა და წმიდა საყდრის შეთანხმება

### 1. ჩაშლილი მცდელობა

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, 2003 წელს წმიდა საყდარი საქართველოსთან სპეციალური შეთანხმების დადებას შეეცადა.<sup>8</sup> პრეზიდენტ შვეარდნაძის

5 ბარდაველიძე ნ., წმიდა საყდარი და საქართველო, წიგნში: საქართველო და წმიდა საყდარი, ვ. ვარდიძისა და დ. გვეგნავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, 16.

6 იხ., სურგულაძე კ., ბარამიძე ი., დიასამიძე ხ., კოპალეიშვილი ტ., კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა), თბილისი, 2022, 227-228; Sepashvili G., Brethren in Christ, Divided, <<https://old.civil.ge/eng/article.php?id=5019?id=5019>> [30.01.2023]

7 იხ., სურგულაძე კ., ბარამიძე ი., დიასამიძე ხ., კოპალეიშვილი ტ., კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა), თბილისი, 2022, 227-228.

8 იხ., იქვე.



განცხადებით, დოკუმენტის პროექტის შედგენა ჯერ კიდევ იოანე პავლე მეორის ვიზიტის შემდეგ დაიწყო და ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობას ისახავდა მიზნად.<sup>9</sup> შეთანხმების დადების განზრახვის მიმართ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალიერარქებმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინეს.<sup>10</sup> საქართველოს ეკლესია შიშობდა, რომ საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის შეთანხმება საფრთხეს შეუქმნიდა მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსსა<sup>11</sup> და „ექსკლუზიურ უფლებებს“.<sup>12</sup> ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული) მიუთითებდა, რომ წმიდა საყდართან დასადები შეთანხმება „აბსოლუტურად იდენტურია საკონსტიტუციო შეთანხმებისა“<sup>13</sup>, რაც უარყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, – მინისტრის მოადგილის, კახა სიხარულიძის განმარტებით, საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის შეთანხმების პროექტი არ იყო კონკორდატი არცერთი გაგებით, ვინაიდან ეს უკანასკნელი გაცილებით სხვა შინაარსისა და მნიშვნელობისაა, რაც ნამდვილად არ ეთანადებოდა შეთანხმების პროექტის შინაარსობრივ მხარეს.<sup>14</sup> საქართველოს საპატრიარქომ წმიდა საყდართან შეთანხმება პირდაპირ რელიგიურ მიზნებს დაუკავშირა.<sup>15</sup> დოკუმენტის ოფი-

9 Sepashvili G., *Brethren in Christ, Divided*, <<https://old.civil.ge/eng/article.php?id=5019?id=5019>> [30.01.2023]

10 სურგულაძე კ., ბარამიძე ი., დიასამიძე ხ., კოპალეიშვილი ტ., კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა), თბილისი, 2022, 228.

11 რომელიც ეკლესიამ არა მხოლოდ კონსტიტუციური შეთანხმების შედეგად მიიღო, არამედ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მან სოციალური სინამდვილის გათვალისწინებით *de facto* მოიპოვა. იხ., Górecki W., *The Autumn of the (Georgian) Patriarch, The Role of the Orthodox Church in Georgia and in Georgian Politics*, OSW Commentary, No. 332, 18 May 2020, 1; Gegenava D., *Legal and Social Status of the Georgian Orthodox Church: Challenges and Perspectives*, Teka Komisji Prawniczej PAN Oddział w Lublinie, Vol. 13, No.2, 2020, 169-176.

12 საპროტესტო აქცია საქართველო-ვატიკანის ხელშეკრულების წინააღმდეგ, <<https://old.civil.ge/geo/article.php?id=4817>> [30.01.2023]

13 იხ., პაიჭაძე დ., ვატიკანი და საქართველო: საფრთხე მართლმადიდებელი ეკლესიისათვის?, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/1530878.html>> [30.01.2023]

14 იქვე.

15 ილია II: „სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს ეს, არ უნდა მოაწეროს ხელი ამ ხელშეკრულებას. ვფიქრობ, შედეგი არ იქნება კარგი. საქმე ის არის, რომ ვატიკანს, როცა ხელშეკრულებას დებს, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური მიზნები აქვს. ალბათ, აქაც ეს არის – რელიგიური მიზნები“, იხ., იქვე.

ციალური ხელმოწერის წინა დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ საპატრიარქომ არაფერი იცოდა დოკუმენტის დეტალების შესახებ<sup>16</sup> და „სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება საქართველოსა და ვატიკანს შორის არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს“<sup>17</sup>. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებით, ხელშეკრულება სრულიად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას, ამასთან, არც გასაიდუმლოებული ყოფილა და არ ისახავდა მიზნად „საქართველოს ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის ოდინდელი საკუთრების“ საკითხის გადაწყვეტას.<sup>18</sup>

წმიდა საყდრის საგარეო საქმეთა მინისტრს, ჟან ლუი ტორანს, რომელიც შეთანხმების ხელმოსაწერად იყო მოვლენილი, საპროტესტო აქციით დახვდნენ აეროპორტში.<sup>19</sup> საპროტესტო აქციები გაიმართა თბილისის მასშტაბით სხვა ადგილებშიც.<sup>20</sup> მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამოიყენა თავისი პოლიტიკური გავლენა შეთანხმების ჩასაშლელად.<sup>21</sup> საქართველოს სახელმწიფომ თავი აარიდა მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაძაბულობას და უარი თქვა წმიდა საყდართან შეთანხმების დადებაზე.<sup>22</sup> პრეზიდენტმა შევარდნაძემ ბოლო წუთს, 19 სექტემბერს გადაიფიქრა შეთანხმებაზე ხელის მოწერა, თუმცა აღნიშნა, რომ პროექტზე მუშაობა გაგრძელდებოდა (მათ შორის, რელიგიის შესახებ კანონპროექტზეც)<sup>23</sup>.

მთავარეპისკოპოსმა ტორანმა მწუხარება გამოთქვა ჩაშლილი ხელმოწერისა და მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის გამო, რომელსაც სავარაუდოდ არასწორი წარმოდგენა შეექმნა დოკუმენ-

---

16 საპროტესტო აქცია საქართველო-ვატიკანის ხელშეკრულების წინააღმდეგ, <<https://old.civil.ge/geo/article.php?id=4817>> [30.01.2023]

17 იქვე.

18 იხ., პაიჭაძე დ., ვატიკანი და საქართველო: საფრთხე მართლმადიდებელი ეკლესიისათვის?, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/1530878.html>> [30.01.2023]

19 საპროტესტო აქცია საქართველო-ვატიკანის ხელშეკრულების წინააღმდეგ, <<https://old.civil.ge/geo/article.php?id=4817>> [30.01.2023]

20 იქვე.

21 Sepashvili G., Brethren in Christ, Divided, <<https://old.civil.ge/eng/article.php?id=5019?id=5019>> [30.01.2023]

22 სურგულაძე კ., ბარამიძე ი., დიასამიძე ხ., კოპალეიშვილი ტ., კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა), თბილისი, 2022, 228.

23 Sepashvili G., Brethren in Christ, Divided, <<https://old.civil.ge/eng/article.php?id=5019?id=5019>> [30.01.2023]

ტის შინაარსთან დაკავშირებით.<sup>24</sup> მისი განმარტებით, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ქართველი კათოლიკეები ჩავარდნენ, რომლებიც „ყოველგვარი სამართლებრივი გარანტიის გარეშე რჩებიან“<sup>25</sup>.

## 2. არდადებული შეთანხმება

საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის 2003 წლის შეთანხმების პროექტი პრეამბულისა და 15 მუხლისგან შედგებოდა. პრეამბულაში გამოკვეთილია ძირითადი ორიენტირები, რასაც შეთანხმება ისახავდა მიზნად. ამასთან, ცალკეა აღნიშნული მხარეთა პატივისცემა საქართველოსა და ქრისტიანობის ისტორიასა და ცხოვრებაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის განსაკუთრებული როლის მიმართ<sup>26</sup>. უკვე არსებული თანამშრომლობის გაძლიერებასთან და განვითარებასთან ერთად, უმთავრესი მიზანი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა იყო<sup>27</sup>. ეს უკანასკნელი უშუალოდ ტექსტშიც, პირველ მუხლში აისახა.<sup>28</sup>

შეთანხმების რამდენიმე მუხლი ეთმობა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფას, როგორც ორგანიზაციული<sup>29</sup>, ისე უშუალოდ ეკლესიის წევრთა ინდივიდუალური უფლებების თვალსაზრისით, მათ შორის, კათოლიკე მოსწავლეთა მიერ თავიანთი რელიგიის შესწავლის<sup>30</sup>, სამხედრო ძალებისა და პოლიციის კათოლიკე მოსამსახურეთა მიერ შესაბამის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის, სასულიერო პირებთან ურთიერთობის მიმართულებით<sup>31</sup>. დოკუმენტი განსაზღვრავდა კათოლიკე ეკლესიის თვითორგანიზებისა და შიდა სტრუქტურული მონყოფის

---

24 იქვე.

25 იქვე.

26 დაახლოებით მსგავს სიტყვათშეთანხმებას იყენებს საქართველოს კონსტიტუცია და კონსტიტუციური შეთანხმება. იხ., საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 25 აგვისტო, მე-8 მუხლი; საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, 2002 წლის 14 ოქტომბერი, პრეამბულა.

27 იხ., Agreement between the Holy See and Georgia, Draft of 19 September 2003, Preamble.

28 იხ., Art. 1(2).

29 იხ., იქვე, Art. 1(1), Art. 4,

30 იქვე, Art. 8.

31 იქვე, Art. 11.

თავისუფლებასა და სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობას,<sup>32</sup> ასევე უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი საეკლესიო ორგანოების მიერ მღვდელმსახურთა შერჩევისა და დანიშვნის,<sup>33</sup> სამოციქულო ადმინისტრატორის გამწესების თავისუფლება<sup>34</sup>, სამოციქულო ადმინისტრაციისა და სასულიერო პირთა წმიდა საყდართან ურთიერთობის, კომუნიკაციის ხელშეუხებლობა<sup>35</sup>. შეთანხმებაში ცალკე იყო აღნიშნული აღსარების საიდუმლოს ხელშეუვალობის თაობაზე.<sup>36</sup> სახელმწიფო და წმიდა საყდარი თანამშრომლობდნენ არამოქალაქე სასულიერო პირების მოწვევისა და მათი საქართველოში მუშაობის ხელშეწყობის მიმართულებითაც.<sup>37</sup>

შეთანხმების რამდენიმე მუხლი ეთმობა საფინანსო-ეკონომიკურ და ქონებრივ საკითხებს: კათოლიკე ეკლესია უფლებამოსილია ააგოს ტაძრები და სხვა საკულტო ნაგებობები, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის დაცვით;<sup>38</sup> ეკლესიის ქონება დაცულია, ლიტურგიული დანიშნულების ადგილები ხელშეუვალია და დაუშვებელია მათი დაცულობის ხელყოფა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.<sup>39</sup> შეთანხმების მიხედვით, როგორც ზოგადად კათოლიკე ეკლესიის, ისე კონკრეტული სამრევლოებისა თუ საკრებულოების სადავო ქონებასთან დაკავშირებული, ასევე საფინანსო და ფისკალური მიმართულების საკითხების გადასაწყვეტად იქმნება *ad hoc* ერთობლივი კომისია, რომელიც „ორივე მხარისთვის მისაღებ გამოსავალს“ მოიძიებს.<sup>40</sup>

დოკუმენტი განუსაზღვრელი ვადით იდებოდა და მასში ცვლილებებისთვის ორივე მხარის თანხმობა იყო საჭირო,<sup>41</sup> გაუქმების შემთხვევაში კი გადაწყვეტილება 6 თვის შემდეგ ამოქმედდებოდა.<sup>42</sup> აქტი ინგლისურად და ქართულად იყო შედგენილი,<sup>43</sup> მისი დებულებები

---

32 იქვე, Art. 1(3)(4).

33 იქვე, Art. 2(2).

34 იქვე, Art. 2(1).

35 იქვე, Art. 3.

36 იქვე, Art. 7.

37 იქვე, Art. 5.

38 იქვე, Art. 6(1).

39 იქვე, Art. 6(2)(3).

40 იქვე, Art. 12.

41 იქვე, Art. 13(1).

42 იქვე, Art. 14.

43 იქვე, Art. 15.

შეთანხმებით, ურთიერთგაგებითა და მეგობრული დამოკიდებულებით უნდა განმარტებულიყო,<sup>44</sup> თარგმანთა წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა ინგლისურენოვან ტექსტს<sup>45</sup>.

2003 წლისთვის დოკუმენტი საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებს აერთიანებდა, თუმცა მისი შედარება კონსტიტუციურ შეთანხმებასთან არა მხოლოდ გადამეტებული, არამედ არარეალურია. კონსტიტუციური შეთანხმების დიაპაზონი გაცილებით ფართოა და საკონსტიტუციოსამართლებრივ თემატიკას ფარავს, დაწყებული განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსიდან, გადასახადებისგან გათავისუფლებითა და კომპენსაციით დამთავრებული.<sup>46</sup> შესაბამისად, ნებისმიერი მტკიცება ან მინიშნება ამ დოკუმენტთა მსგავსებაზე, მით უმეტეს, იდენტურობაზე, სინამდვილის დამახინჯება და მცდარი ინფორმაცია იყო.

#### IV. თანამშრომლობისა და შეთანხმების პერსპექტივა

წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის შეთანხმების დადების შემთხვევაში იგი საერთაშორისო ხელშეკრულების სამართლებრივი სტატუსის აქტი იქნება. ამასთან, სამართლებრივი მოქმედების ძალის მიხედვით, კონსტიტუციური შეთანხმება მაინც მასზე აღმატებულად დარჩება, რაც ჯერ კიდევ 2001 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებითა და შემდეგ უკვე კანონმდებლობით სახელმწიფომ უზრუნველყო.<sup>47</sup> ქართულ სინამდვილეში რამდენიმე ძირითადი მიმართულებით შეიძლება შედგეს თანამშრომლობა ისე, რომ ამან არ დაარღვიოს არსებული სტატუს კვო და არ იქნეს დისკრიმინაციულად მიჩნეული სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის. თანამშრომლობის სამართლებრივად გამყარება სასარგებლო იქნება, როგორც კათოლიკე ეკლესიისთვის, ისე საკუთრივ საქართველოს სახელმწიფოსთვისაც, რომელსაც შეუძლია ეკლესიის ავტორიტეტი და გავლენა მნიშვნელოვნად გამოიყენოს სასიკეთოდ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ურთიერთობებში.

44 იქვე, Art. 13(2).

45 იქვე, Art. 15.

46 იხ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, 2002 წლის 14 ოქტომბერი.

47 იხ., საქართველოს 2001 წლის 10 აპრილის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

გავრცელებული პრაქტიკისა და საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით, თანამშრომლობა შესაძლებელია შემდეგი მიმართულებით:

1. კათოლიკე ეკლესიის, სასულიერო პირთა სტატუსი და რელიგიური განათლება – აღნიშნული თავდაპირველი შეთანხმების პროექტითაც იყო გათვალისწინებული. საკითხი ნაწილობრივ გადაწყდა 2011 წელს, როცა ე.წ. „ტრადიციულმა რელიგიებმა“ მიიღეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.<sup>48</sup> თუმცა მეტი გარანტიისა და სიმშვიდისთვის, შესაძლებელია აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებითაც განისაზღვროს. არანაკლებ მნიშვნელოვანია სასულიერო პირთა (როგორც მოქმედი, ისე მომავალი, კერძოდ, სემინარიის სტუდენტთა) სტატუსი, მით უმეტეს, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის კონტექსტში, ძალზე აქტუალურია არამართლმადიდებელ სასულიერო პირთათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვალდებულების დადგენა.<sup>49</sup> რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებული სფერო საქართველოში სპეციალური კანონმდებლობით განისაზღვრება, თუმცა ადამიანის უფლების რანგში მოსწავლეთა უფლება საკუთარ მრწამსთან დაკავშირებული საგნის შესწავლაზე (რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით, არჩევითი სტატუსით), მხოლოდ და მხოლოდ განამტკიცებს ამ შესაძლებლობას. რაც შეეხება აღმსარებლობის თავისუფლების დამატებით გარანტიებს, აღნიშნულს საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა ამ კონტექსტში მეტ-ნაკლებად აწესრიგებს, შესაბამისად, მისი დამატებით განსაზღვრის საჭიროება არ არსებობს;

2. საფინანსო-ეკონომიკური, საგადასახადო, ქონებრივი საკითხები და კომპენსაცია – ამ მხრივ თანამშრომლობა შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო შეღავათების კუთხით. ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველიც იყო და სასამართლო ფართო მიხედულობით კათოლიკე ეკლესიას (და სხვა

---

48 მელაძე გ., ნონიშვილი გ., რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9, 2016, 87-89.

49 იხ., არდოტელი თ., სასულიერო პირებს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა მოუწევთ - რას გულისხმობს თავდაცვის ახალი კოდექსი, <t.ly/w8gd/> [05.02.2023]; მინაგაძე თ., სავალდებულო სამხედრო სამსახურში განცევის გადავადების უფლებით სასულიერო პირი აღარ ისარგებლებს <t.ly/XqkC> [05.02.2023]; სავალდებულო სამხედრო სამსახურში ცვლილებები იგეგმება - რა უნდა ვიცოდეთ <t.ly/j-lw> [05.02.2023]

რელიგიურ ორგანიზაციებს) მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსი საგადასახადო შეღავათი მიანიჭა.<sup>50</sup> მიუხედავად ამისა, საგადასახადო სფეროში რელიგიური ორგანიზაციებისთვის თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფის სივრცე კიდევ არსებობს. რაც შეეხება კომპენსაციას, საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებით, ბოლო წლებია სსიპ ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია იმ რელიგიურ ორგანიზაციებს შორისაა, რომელიც, მართალია, სიმბოლურ, თუმცა მაინც კომპენსაციას იღებს.<sup>51</sup> ამ კომპენსაციის საკითხი ზოგადად პრობლემურია და აუცილებელია, როგორც ზიანის სრული დათვლა, ისე იმ პერიოდის განსაზღვრა, რომლისთვისაც გაიცემა კომპენსაცია (რადგან ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რათა კონსტიტუციური შეთანხმების შედეგად მიღებული სამართლებრივი ნონსენსი არ დადგეს, როცა საქართველომ იკისრა ვალდებულება ოკუპაცია-ანექსიის პერიოდში მიყენებულ ზიანზე<sup>52</sup>).

ყველაზე მწვავე და პრობლემური მაინც ქონებრივი საკითხებია.<sup>53</sup> მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ამა თუ იმ ფორმით მიკუთვნებულ სადავო ტაძრებთან დაკავშირებით, არათუ კონსენსუსი არსებობს, არამედ დღემდე სერიოზული დაპირისპირების საგანია.<sup>54</sup> ამ თემის გადანყვეტა საერთაშორისო ხელშეკრულებით, ტაძართა დღევანდელი მესაკუთრის ჩართულობის გარეშე, პირდაპირ მწვავე კონფლიქტს გამოიწვევს. შესაბამისად, აქ უბრალოდ პოლიტიკურ ნებაზე მეტია საჭირო. სამწუხაროდ, ხშირად ისტორიული სამართლიანობა უფრო ისტორიას ეკუთვნის, ვიდრე სამართლიანობას. ალბათ, 2003 წლის პროექტის ფორმულირება *ad hoc* ერთობლივ

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადანყვეტილება საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმიდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

51 იხ., Gegenava D., *State Funding of Religious Organizations in Georgia*, Studia z Prawa Wyznaniowego, Vol. 22, 2019, 125-126.

52 იხ., საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, 2002 წლის 14 ოქტომბერი, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

53 გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 175-176.

54 Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia, Tolerance and Diversity Institute, Tbilisi, 2014, 19.

კომისიასთან დაკავშირებით, უფრო გავრცობილი და კონკრეტული ფორმულირებით, ოპტიმალური გამოსავალი იქნება არსებულ მდგომარეობაში;

3. სოციალური პროგრამები, კულტურა და ძეგლთა დაცვა – ამ მიმართულებით თანამშრომლობა განსაკუთრებით ხელსაყრელია სახელმწიფოსთვის. სოციალური პროგრამები, მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელთაც საქართველოში ორგანიზებას უწევს და მხარს უჭერს წმიდა საყდარი თავისი სხვადასხვა ორგანიზაციის საშუალებით, ნამდვილად შთამბეჭდავი და შეუცვლელია.<sup>55</sup> კულტურული თანამშრომლობა მით უმეტეს განსაკუთრებული ფორმებითაა შესაძლებელი, როგორც გამოცდილების გაზიარების, ისე ერთობლივი პროგრამების განვითარებით. ძეგლთა დაცვაში იგულისხმება კათოლიკე ეკლესიის საკულტო ნაგებობები, რომლებსაც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვთ, ასევე ნებისმიერი სხვა მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელთა კონსერვაციის, რეაბილიტაციისა და მოვლის კუთხით წმიდა საყდარს, მის შესაბამის ინსტიტუტებს ფასდაუდებელი გამოცდილება და საქმიანი კავშირები აქვთ;

4. ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა – წმიდა საყდარი ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პაპ ბენედიქტეს მონოდებები და განცხადებები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით. მისი მეცადინეობით ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას დაუჭირეს მხარი.<sup>56</sup> ეს კი ფასდაუდებელი რამაა, მით უმეტეს გრძელვადიან პერსპექტივაში, წმიდა საყდრის ავტორიტეტისა და დიპლომატიური ურთიერთობების გათვალისწინებით, რომელთა ქმედით მექანიზმად გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოებრიობისთვის.

თანამშრომლობისთვის უამრავი სფერო და ფორმა არსებობს, თუმცა უპირველესი მაინც პოლიტიკური ნება და მზადყოფნაა. ნაკლებად სავარაუდოა, საქართველოს სახელმწიფომ გადაწყვიტოს წმიდა საყდართა რაიმე მსგავსი შეთანხმების დადება უახლოეს პერ-

55 იხ., ბარდაველიძე ნ., წმიდა საყდარი და საქართველო, წიგნში: საქართველო და წმიდა საყდარი, ვ. ვარდიძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, 19.

56 იქვე, 17-18; ბარდაველიძე ნ., საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელი და კათოლიკე ეკლესია თვალის ერთი გადავლებით, წიგნში: კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, ნ. 2, მ. ლაღანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 210.



სპექტივაში. ამის მიზეზი არა იმდენად სურვილის არქონაა, რამდენადაც იმ პოტენციური საფრთხეების არსებობა, რომლებიც აქტუალურია დღესაც და 2003 წლიდან არათუ მინელდა, არამედ, პირიქით. მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებასა და გავლენას ამ პროცესებზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (დიდწილად სწორედ ის განსაზღვრავს საზოგადოების დიდი ნაწილის რეაქციას კონკრეტული საკითხებისადმი). „ექსკლუზიურობის“ დაკარგვის საფრთხე და განსაკუთრებით სადავო ქონებრივი საკითხების რაიმე ფორმით გადანყვეტის შესაძლებლობა იმდენად დიდი რისკია მისთვის, რომ მასთან დამატებით განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე, წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის საერთაშორისო ხელშეკრულება სრულიად გამორიცხულია.

## V. დასკვნა

საქართველოსა და წმიდა საყდრის ურთიერთობების საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით გამყარება ორივე მხარისათვის საჭირო და სასარგებლო მექანიზმი იქნებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. შეთანხმების მიზანი 2003 წლის არსებული ძირითადი გამოწვევების რაღაც ფორმით გადანყვეტა, გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა იყო. პროექტის კვლევა დღესაც აქტუალურია, მით უმეტეს, რომ მისი შინაარსობრივი საკითხების დიდი ნაწილი ახლაც დღის წესრიგშია და გარკვეული ფორმით ყურადღების მიქცევას მოითხოვს.

საერთაშორისო ხელშეკრულების დადება არა მხოლოდ კათოლიკე ეკლესიის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ინტერესებშია. იგი შესაძლოა მძლავრი მექანიზმი აღმოჩნდეს საერთაშორისო ურთიერთობების, სამართლის, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით. თუმცა ხელშეკრულების დადება ქართულ სინამდვილეში მხოლოდ მხარეთა ნებაზე არაა დამოკიდებული და მას იგივე წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეს, რაც 20 წლის წინ. აქედან გამომდინარე, მსგავს მეტად საჭირო დოკუმენტს უახლოეს მომავალში პერსპექტივა არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, აუცილებელია მუშაობის დაწყება, შემათანხმებელი პროცედურა და მოლაპარაკებები, რათა გამოიკვეთოს განვითარების სამომავლო გზა, ვინაიდან მხოლოდ არსებული სინამდვილისადმი პესიმისტური (ან თუნდაც, რეალისტური) დამოკიდებულებით, სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი წინსვლა გამორიცხულია.

## სამეცნიერო წყაროები

ბარდაველიძე ნ., საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წელი და კათოლიკე ეკლესია თვალის ერთი გადავლებით, წიგნში: კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, ნ. 2, მ. ლალანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2019

ბარდაველიძე ნ., წმიდა საყდარი და საქართველო, წიგნში: საქართველო და წმიდა საყდარი, ვ. ვარდიძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022

ბეტანკური ჟ.ა., დიპლომატიური ურთიერთობების ოცდაათი წელი, მეგობრობის ორი ათასწლეული, წიგნში: საქართველო და წმიდა საყდარი, ვ. ვარდიძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022

გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018

მელაძე გ., ნონიაშვილი გ., რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9, 2016

სურგულაძე კ., ბარამიძე ი., დისამიძე ხ., კოპალეიშვილი ტ., კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა), თბილისი, 2022

ლაღანიძე მ., კათოლიკე ეკლესია, წიგნში: ლაღანიძე მ., ლიტურგია, კულტურა, რელიგია, ნ. 1, 2000-2009, თბილისი, 2021

ხეცურიანი ჯ., დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსკენ, პუბლიცისტური წერილები, ინტერვიუები, თბილისი, 2006

Gegenava D., *Legal and Social Status of the Georgian Orthodox Church: Challenges and Perspectives*, Teka Komisji Prawniczej PAN Oddział w Lublinie, Vol. 13, No.2, 2020

Gegenava D., *State Funding of Religious Organizations in Georgia*, Studia z Prawa Wyznaniowego, Vol. 22, 2019

Górecki W., *The Autumn of the (Georgian) Patriarch, The Role of the Orthodox Church in Georgia and in Georgian Politics*, OSW Commentary, No. 332, 18 May 2020

Petkoff P., *Legal Perspectives and Religious Rights Under International Law in the Vatican Concordats (1963-2004)*, Law and Justice – Christian Law Review, Vol.158, 2007

*Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia*, Tolerance and Diversity Institute, Tbilisi, 2014

## სამართლებრივი აქტები

საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 25 აგვისტო

საქართველოს 2001 წლის 10 აპრილის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება, 2002 წლის 14 ოქტომბერი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი Agreement between the Holy See and Georgia, Draft of 19 September 2003

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმიდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

## ელექტრონული წყაროები

საპროტესტო აქცია საქართველო-ვატიკანის ხელშეკრულების წინააღმდეგ, <<https://old.civil.ge/geo/article.php?id=4817>> [30.01.2023]

პაიჭაძე დ., ვატიკანი და საქართველო: საფრთხე მართლმადიდებელი ეკლესიისათვის?, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/1530878.html>> [30.01.2023]

არდოტელი თ., სასულიერო პირებს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა მოუწევთ – რას გულისხმობს თავდაცვის ახალი კოდექსი, <[t.ly/w8gd/](http://t.ly/w8gd/)> [05.02.2023]

მანაგაძე თ., სავალდებულო სამხედრო სამსახურში განწვევის გადავადების უფლებით სასულიერო პირი აღარ ისარგებლებს <[t.ly/XqkC](http://t.ly/XqkC)> [05.02.2023]

სავალდებულო სამხედრო სამსახურში ცვლილებები იგეგმება  
– რა უნდა ვიცოდეთ <t.ly/j-lw> [05.02.2023]

Sepashvili G., Brethren in Christ, Divided, <<https://old.civil.ge/eng/article.php?id=5019?id=5019>> [30.01.2023]

Dimitry Gegenava

## **Agreement between Georgia and the Holy See: Attempt to Sign and Perspective**

Relations between Georgian and the Holy See dates in the beginning of the Christian Church and has very interesting history. Diplomatic relations between these subjects of the international law started after restoration of independence of Georgia. Catholic Church attempted to sign agreement with Georgia in 2003, but Georgian Orthodox Church interrupted this process and made government to refuse it.

Draft agreement and its basic directions are still not open for the society. This article tries to overview processes of drafting and attempt to sign the document, also the text of the draft, it analyzes the perspectives of such kind of agreement in the Georgian reality.

## XVII-XIX საუკუნეების ევროპული რელიგიური მისიების წყაროთა ინტერპრეტაციისათვის საქართველო ადრეული გლობალური ისტორიისა და მოდერნულობის პერსპექტივიდან

კვლევითი პროექტი „XVII-XIX საუკუნეების ევროპული რელიგიური მისიების წყაროთა ინტერპრეტაციისათვის. საქართველო ადრეული გლობალური ისტორიისა და მოდერნულობის პერსპექტივიდან“ 2021 წლიდან ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (HE-21-977). კვლევის ფოკუსში მოქცეულია:

1. ევროპული რელიგიური მისიების დღემდე უცნობი ლექსიკოგრაფიული წყაროები, რომლებიც სხვადასხვა პერსპექტივიდან აღწერს საქართველოში კათოლიკური ინკულტურაციის,<sup>1</sup> კერძოდ, უცხოელი მისიონერების მიერ სხვადასხვა ხასიათის ქართულენოვანი ლიტერა-

---

1 რელიგიური ინკულტურაციის კონტექსტში ქართული ენის სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციების განვითარების პრობლემატიკა ინტენსიურად განიხილება სხვადასხვა მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან. XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში რუსული აკულტურაციის, უფრო ზუსტად, ქართული ენის ფუნქციური სფეროების რუსულით სრულად ჩანაცვლების პერიოდში საქართველოს კათოლიკური თემის ინკულტურაციული პროცესების შესწავლა აქტიურად დაიწყო ძირითადად, ბრუნო ლუისელისა და ქრისტინული თეოლოგიის ინკულტურაციის სხვა მკვლევართა მიერ შემუშავებული ჩარჩოს გათვალისწინებით (Luiselli 2000; 2003; Dhavamony 1997. ქართული ენის ისტორიისთვის რელიგიური ინკულტურაციის ცალკეული საკითხების შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2012; 2013; Dobarjginidze 2014, 228-243; 2018). აღნიშნული პროცესები შედარებითი ლექსიკოგრაფიის მეთოდოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში საგანგებოდ დამუშავა ანა ჭკუასელმა თავის სადისერტაციო ნაშრომში „ქართული ფილოლოგიის ისტორიიდან. კათოლიკური ინკულტურაცია და XVIII-XIX საუკუნეების უცნობი ლექსიკონები.“ მან შეისწავლა მისიონერული ლექსიკონების ტიპოლოგია, ევროპელ მისიონერთა მიერ შედგენილი ქართულენოვანი რელიგიური ტექსტებისა (წმიდა წერილის განმარტებანი, ქადაგებები და სხვ.) და ლექსიკონების იმდროინდელ ქართულ საენათმეცნიერო და ლექსიკოგრაფიულ ტრადიციასთან ურთიერთმიმართების საკითხები (იხ. <https://iliani.edu.ge/uploads/other/60/60929.pdf>). იხ. Chkuaseli 2022, 339-350.

ტურის (რელიგიური, ფილოლოგიურ-ისტორიული), მათ შორის ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონების, შექმნისა და გავრცელების პროცესებს. პროექტის ფარგლებში პირველად ქვეყნდება ამ ტრადიციის ორი მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი:

ა) უცნობი ევროპელი მისიონერის, სავარაუდოდ, გერმანულენოვანის, მიერ ლათინურ ენაზე შედგენილი ქართული ენის მოკლე გრამატიკა, ლექსიკონი და ფრაზეოლოგიური სასაუბრო.

ბ) ემანუელე და იგლესიასის მიერ XIX საუკუნეში შედგენილი არასრული ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონი, ქართული ენის გრამატიკულ კანონზომიერებათა მოკლე მიმოხილვა. პირველ ეტაპზე ქვეყნდება ამ ლექსიკონის პირველი, ქართულ-იტალიური ნაწილი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ფილოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული ნაშრომების პუბლიკაცია ახალი ეტაპია XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ევროპული მისიების საქმიანობის, განსაკუთრებით კათოლიკური ინკულტურაციის პროცესების შესწავლაში. ვგულისხმობთ უცხოელი მისიონერების მიერ შედგენილ აქამდე უცნობ ლექსიკონებს, გრამატიკულ, ეგზეგეტიკურ, ჰომილეტიკურ თუ პოლემიკურ ლიტერატურას, ადგილობრივ კათოლიკურ ეკლესიებში ქართულ ენაზე ლიტურგიკული მიზნებისთვის შედგენილ ბიბლიის განმარტებებს, ქადაგებებს.

ორივე ლექსიკონი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა; პირველი წარმოადგენს ქართული ენის, მისი ლექსიკური, ფრაზეოლოგიური და გრამატიკული მიმოხილვის დღემდე ცნობილ ერთადერთ რეპრეზენტაციას ლათინურ ენაზე, ხოლო მეორე, ემანუელე და იგლესიასის არასრული ქართულ-იტალიური ლექსიკონი (არათანმიმდევრულად აკინძული ფრაგმენტული ხელნაწერი, რომელშიც დასტურდება სიტყვები ქართული ანბანის შემდეგ ასოებზე: ა, ბ, გ, დ), არის სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოლოგიური მემკვიდრეობის დღეისათვის ცნობილი პირველი თარგმანი ევროპულ (იტალიურ) ენაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ემანუელეს ფრაგმენტული ლექსიკონის ქართულ ნაწილში ზუსტად, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე გამეორებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანი; ამდენად, ემანუელეს ნაშრომი წარმოადგენს ქართული ლექსიკოგრაფიის პირველ ევროპულ რეპრეზენტაციას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს კათოლიკური მისიების სხვა ნაშრომები, არაერთი დღემდე უცნობი წყარო, ლექსიკოგრაფიული, ისტორიულ-ლიტერატურული, საენათმეცნიერო, ეპისტოლარული, რელიგიური თუ სხვა ხასიათისა, რომლებიც პროექტის ფარგლებში გამოიცემა 2023-2024 წლებში.

2. XVII-XX საუკუნეების საქართველოს კათოლიკური მისიების ერთიანი პროსოპოგრაფიული ბაზის შექმნა

აღნიშნული ბაზა (<https://missio.iliauni.edu.ge/ka>) საშუალებას მოგვცემს, ვიკვლიოთ კათოლიკური მისიების წევრთა კოლექტიური ბიოგრაფიები, აღვწეროთ, შევაფასოთ კათოლიკეების, როგორც სოციალური ჯგუფის, წვლილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ თუ კულტურულ ცხოვრებაში. საქართველოს კათოლიკური მისიების წევრთა შესახებ სხვადასხვა წყაროში (საარქივო მასალა, მისიების შესახებ საქართველოსა და უცხოეთში დაცული წყაროები, მისიონერთა მიერ შედგენილი სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტები, ადგილობრივი მისიებისა და რომის პროპაგანდა ფიდეს ოფიციალური პირების მიმონერა და ა. შ.) დადასტურებული ინფორმაცია ბაზაში სტრუქტურირებულია ციფრული ჰუმანიტარიის უახლესი სტანდარტების მიხედვით.

ბაზის სტრუქტურა დაგეგმილია ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის სახელოსნოს მკვლევართა ჯგუფის მიერ. ამ ტიპის მონაცემთა ბაზის შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალური კლასტერების ანალიზისა და სხვადასხვა ჯგუფის აქამდე უხილავი კავშირების დასანახად.<sup>2</sup>

მონაცემთა ბაზა სტრუქტურირებულია პირის, როგორც პროსოპოგრაფიული კვლევის მთავარი აქტორის, მასზე მიბმული წყაროსა და ამ წყაროს მიხედვით რეგისტრირებული ფაქტიოდების გარშემო.

ბაზაში რეგისტრირებული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგი ფილტრების მიხედვით: სახელი, გვარი, სქესი, სარწმუნოება, ორდენი, პოზიცია, დაბადების ადგილი, გარდაცვალების ადგილი, ადგილი, რომელიც პირთან მიმართებით არის ნახსენები. პირების საინდექსაციო გვერდზე მოცე-

---

2 აღნიშნული ბაზა მომზადებულია **Laravel** ჩარჩოს გამოყენებით, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ზოგადი დანიშნულების პროგრამირების ენა – **PHP**. ბაზის მართვის სისტემა (**Database Management System**) მომზადებულია მონაცემთა რელაციური მოდელის მიხედვით, რომელიც ეფუძნება სიმრავლური მიმართების მათემატიკურ ცნებას. სოციალური კლასტერების ანალიზისა და შესაბამისი ქსელის ანალიზატორის შექმნისა და ბაზაში ინტეგრირების გამოცდილება კვლევით ჯგუფს უკვე აქვს (იხ. მათ მიერ შექმნილი პროექტი: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა პროსოპოგრაფიული ბაზა“ და მასში ჩაშენებული სოციალური ქსელის ანალიზატორი: <https://society.iliauni.edu.ge/networks>). სამომავლოდ დაგეგმილია მსგავსი საანალიზო ინსტრუმენტის ჩაშენება საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიულ ბაზაში (ბაზის კოორდინატორია მაია დამენია, სტრუქტურა და დიზაინი შეიმუშავა რატი გუმაშვილმა, მონაცემთა ბაზა და ვებგვერდი – თაზო მინდიაშვილმა).

მულია სრული ანბანური საძიებელი (<https://missio.iliauni.edu.ge/ka/person>).

პროსოპოგრაფიულ ბაზაში რეგისტრირებულ პირთა შესახებ სხვადასხვა წყაროს მიხედვით შედგენილია ფაქტოიდები. ისინი წარმოადგენს მცირე მოცულობის (უმეტეს შემთხვევაში, ერთი ან რამდენიმე წინადადება) ტექსტს. ეს უკანასკნელი ეყრდნობა კონკრეტულ წყაროს და კონცენტრირებულია ერთი ფაქტის, ხდომილების, ამბის ან მისი რომელიმე ასპექტის ირგვლივ. ფაქტოიდები სტრუქტურირებულია, შესაბამისად, მათი ძიება შესაძლებელია შემდეგი ფილტრების მეშვეობით: განათლება, ღონისძიება, მგზავრობა, მფლობელობა, თანამდებობა, ავტორობა, პირადი ინფორმაცია, პირადი ურთიერთობა, ნასამართლეობა, გარდაცვალება. ბაზაში რეგისტრირებული თითოეული ფაქტოიდის შემთხვევაში შესაძლებელია ინახოს მასთან დაკავშირებული წყაროს, პირისა და ადგილის ყველა მახასიათებელი (<https://missio.iliauni.edu.ge/ka/factoid>).

ბაზაში დოკუმენტირებული წყაროები რეგისტრირებულია, ერთი მხრივ, წყაროს ფაქტურისა (ხელნაწერი დოკუმენტი/საარქივო დოკუმენტი, წიგნი, ელ. რესურსი) და, მეორე მხრივ, წყაროს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: სახელწოდება, ტექსტის ტიპი (მიმოწერა/წერილი, რელაცია, ქრონიკა და ა. შ.), ენა (ქართული, იტალიური, ფრანგული, ლათინური, თურქული, სომხური, რუსული), წყაროს/მიმოწერის ადრესატი, ადრესანტი, წყაროს შედგენის წელი, ადგილი, შენახვის ადგილი (დაცულია), გამომცემლობა (<https://missio.iliauni.edu.ge/ka/source>):

ამა თუ იმ პირთან, ფაქტოიდთან თუ წყაროსთან დაკავშირებული ადგილები ბაზაში წარმოდგენილია ანბანური რიგის მიხედვით. ადგილების სარეგისტრაციო გვერდიდან ძიება შესაძლებელია როგორც სახელის, ისე ადგილის ტიპის (ქალაქი, სოფელი, დაბა, დასახლება, უბანი, ქუჩა და ა. შ.) მიხედვით (<https://missio.iliauni.edu.ge/ka/place>):

ბაზის სამომხმარებლო მხარეს დოკუმენტირებული წყაროების, პირების, ფაქტოიდებისა და ადგილების საინდექსაციო გვერდებზე არსებული ფილტრები საშუალებას გვაძლევს, ვიპოვოთ ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერი პრაქტიკულად ნებისმიერი შესაძლო პარამეტრით. მონაცემების ძიება ასევე შესაძლებელია ანბანურად ან ჩანაწერის რეგისტრაციის თარიღის მიხედვით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ინიცირებული საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის შევსება მონაცემებით, ასევე, მასში საანალიზო ინსტრუმენტების ინტეგრირება,



პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის სახელოსნოში.

3. წყაროების კვლევა საისტორიო მეხსიერების რეკონსტრუქციისათვის

იგულისხმება XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის დღემდე უცნობი ქართული, იტალიური, ფრანგული და რუსული წყაროები, რომლებიც ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების ცალკეულ საკითხებს, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოს, ერეკლე მეორისა და სოლომონ მეფის ევროპულ მისიონერებთან ურთიერთობების კონკრეტულ ეპიზოდებს.<sup>3</sup>

---

3 ამ წყაროების პირველადი აღწერა მოხერხდა 2011-2012 წლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ექსპედიციის წევრებმა, ნ. ლადარიამ (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ნ. დობორჯგინიძემ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ს. კენჭოშვილმა, ს. თვარაძემ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მ. მირაშვილმა (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი) იმუშავეს: ა. პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში (*Archivio Storico dei Propaganda fide. Scritture non riferite. Monte Caucaso Giorgia*); ბ. წმიდა კონგრეგაციის აღმოსავლეთის ეკლესიათა ფონდის ქართული მასალების ფონდში (*Sacra congregazione per la Chiesa Orientale. Scrittura riferite nei Congressi. Georganni 1861-1892*); გ. თეათინელთა მონასტრის არქივში (*Archivio dei Teatini di Sant'Andrea della Valle*); დ. კაპუცინელთა მონასტრის არქივის საქართველოს მასალების განყოფილებაში (*Archivium generale Ordinis, Provincia: Giorgia, Missio Santa Sedis*) და მოამზადეს წყაროების პირველადი აღწერილობები. ექსპედიციის ფარგლებში ასევე მოხერხდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყაროების (ქართველი მეფეების სიგელები, მათი წერილები ევროპელი სუვერენების მისამართით, სულხან-საბა ორბელიანის წერილები) საავტორო უფლებების შექმნა. მოპოვებული მასალა შემდგომი კვლევისთვის სრულად გადაეცა ექსპედიციაში მონაწილე უნივერსიტეტებს. სწორედ ამ მასალებზე მუშაობისას შეიკრიბა კვლევითი ჯგუფი ილიას უნივერსიტეტში, მომზადდა არაერთი სადისერტაციო კვლევა, დაიბეჭდა ნაშრომები. იტალიაში წყაროების მოძიებისა და აღწერის საქმეში 2011-2012 წლების კვლევით ექსპედიციას უდიდესი დახმარება გაუწია იმ დროს საქართველოს საელჩომ წმიდა საყდართან (ვატიკანში), ელჩმა ქეთევან ზაგრატიონ-მუხრანბატონმა. ქალბატონი ქეთევანი ამჯერადაც ინტენსიურად გვეხმარება იტალიის არქივებთან ეფექტურ კომუნიკაციაში. სწორედ მისი დახმარებით მოხერხდა განსაკუთრებით დაზიანებული წყაროების შემთხვევაში მაღალი ხარისხის ასლების დამზადება. იტალიაში დაცულ კათოლიკე მისიონერთა წყაროების გამოვლენასა და შესაბამისი საავტორო უფლებების მოპოვებაში კვლევით ჯგუფს აქტიურ დახმარებას უწევდნენ 2008-2012 წლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, † ნიკა რურუა, 2012-2017 წლებში წმიდა საყდრის ელჩი საქართველოში, მარეკ სოლჩინსკი და 2014-2018 წლებში საქართველოს ელჩი წმიდა საყდართან, თამარ გრძელიძე.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის აქამდე უცნობი მიკროისტორიები, რომლებშიც ასახულია ერეკლე მეორის, სოლომონ მეორის, ზოგადად, ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების წარმომადგენელთა მცდელობები, დაკავშირებოდნენ ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასულიერო და საერო პირებს.

კვლევის განსაკუთრებულ ფოკუსში მოექცა 1740-1790-იან წლებში ევროპელ მისიონერთა მიერ შედგენილი ოფიციალური დოკუმენტები, ფარული მიმოწერა, რომელთა მიხედვით დგინდება რუსეთის ჯაშუშების მხრიდან ერეკლე მეორის დესპანების წინააღმდეგ ამოქმედებული დაბრკოლებების მთელი სქემა. მისიონერთა ფარული მიმოწერიდან აშკარაა, რატომ გახდა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების წინა პერიოდში რუსი ჯაშუშების ქმედებები უკიდურესად აგრესიული. წყაროები ცხადყოფს, რომ ჯერ 1779 და შემდეგ 1781 წელს ერეკლე მეორის მიერ ევროპაში გაგზავნილი ორივე დესპანის, დომენიკო და ტრიესტესა და მაურო და ვერონას, საეჭვო გარემოებებში გარდაცვალების კვალი სწორედ რუსეთის ჯაშუშებს უკავშირდება.

ამავე მიმოწერიდან ცხადი ხდება, როგორ ქმნიან რუსები ჯერ კიდევ 1740-იანი წლებიდან ერთმორწმუნე რუსეთის საქართველოსთან და კავკასიის ქრისტიან ხალხებთან მეგობრობის კოლონიურ მითს; მოგვიანებით, რუსიფიკაციის საკმაოდ მოქნილი პოლიტიკის წყალობით როგორ ახერხებენ XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საქართველოს ალტერნატიული (არარუსული) პერსპექტივის შესახებ საისტორიო მესხიერების წაშლას და მის ჩანაცვლებას ერთმორწმუნეობის იმპერიული მითით.

ამ ჩანაცვლების შედეგია XIX საუკუნის პირველსავე წლებში რუსეთის მიერ გატარებული ენობრივი და რელიგიური პოლიტიკა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ქართული ენის სოციალური და ფუნქციური განვითარების ისტორიული მოდელისაგან. ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში, როცა პოლიტიკურად და კულტურულად არც თუ გამორჩეულმა ენებმა ადგილობრივ ენაზე მისიონირების წყალობით ერთბაშად შეიძინეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და სოციალური ფუნქციები.<sup>4</sup>

რელიგიური ინკულტურაციული პროცესების შესაბამისად, ადგილობრივი ენის ფუნქციების განვითარების თვალსაზრისით ქრისტიანული აღმოსავლეთის ენობრივი სივრცის ორგანული ნა-

4 იხ. ბოედერი 1998, 89.

ნილი იყო ქართულიც და საეკლესიო სლავურიც. სავარაუდოდ, განვითარების ამ საერთო-ისტორიული (აღმოსავლურ-ქრისტიანული) გზის ლოგიკურ გაგრძელებას, ენობრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებას ელოდა საქართველო რუსეთთან 1783 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით; თუმცა იმთავითვე ნათელი იყო, რომ რუსეთი არა იმდენად გვიანანტიკურობისა და ადრეული შუა საუკუნეების მრავალენოვანი ტრადიციების ქრისტიანული აღმოსავლეთის, არამედ საკუთარ გამორჩეულობისა და სხვა ეთნოსებზე აღმატებულობის მალიარებელი ბიზანტიის მემკვიდრედ აცხადებდა თავს.<sup>5</sup> შესაბამისად, ერთმორწმუნეობის არგუმენტი მხოლოდ იმპერიული მითის გასამყარებლად სჭირდებოდა.

საისტორიო მესხიერებიდან ნაშლილი ეს ევროპული პერსპექტივა ახლებურად იკითხება საქართველოს შესახებ იტალიის არქივებში დაცული მასალების მიხედვით. ცხადი ხდება, როგორ შეფუთა რუსეთმა საქართველოსა და კავკასიის ქრისტიანი ხალხების დამორჩილება ერთმორწმუნეობის არგუმენტით და როგორ შექმნა წინაპირობები იმისთვის, რომ იოლად „დაპატრონებოდა“ საქართველოში რელიგიის ისტორიულ ფუნქციას, ნაეშალა საისტორიო მესხიერებიდან XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ერეკლე მეორის არათანმიმდევრული, მაგრამ აშკარად დასავლური მისწრაფებები. შდრ. „რომელ ერთხელ ამ ქვეყანამაც აქედამ ევროპიის დიდებულ მეფეებს ჰმსახუროს თავისის შეძლებით.“<sup>6</sup>

საისტორიო მესხიერებიდან ნაშლილი ამ პერსპექტივის შესახებ 2023 წელს ცალკე მონოგრაფია დაიბეჭდება პროექტის ფარგლებში.

4. მოდერნულობის და ადრეული გლობალური ისტორიის სემანტიკის კვლევა

კათოლიკური მისიების წყაროები უნიკალურია XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში ტრადიციული შუა საუკუნეობრივი ცხოვრების რღვევისა და მოდერნულობის სემანტიკის დამკვიდრების, ამასთანავე, ადრეული გლობალური ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტორების, ცოდნის მიმოცვლისა და მისიონერთა გააქტიურებული მობილობის შესწავლის თვალსაზრისით. ნიშანდობლივია, რომ

5 შდრ. Borst 1957, 304. შუა საუკუნეების აღმოსავლეთ-ქრისტიანული სამყაროს ენობრივი ტენდენციებისა და ერთმორწმუნეობის რუსული მოდელის შესახებ იხ. დობორჯგინიძე 2012, 78-84.

6 ამ სიტყვებით მთავრდება ერეკლე მეორის წერილი, რომელიც მან 1781 წლის ბოლოს გაუგზავნა ავსტრიის იმპერატორს. წერილი დაცულია ვენის სახელმწიფო არქივში (Wiener Staatsarchiv, AT-OeStA/ HHStA StK Vorträge 138-2 (1783.09.10).

XVIII-XIX საუკუნეების საქართველო ნაკლებად ან საერთოდ არაა ჩართული მოდერნულობისა და ადრეული გლობალური ისტორიის სამეცნიერო დისკუსიებში.<sup>7</sup>

ახალი მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან კვლევის ფოკუსში მოექცა ევროპელ მისიონერთა მიერ შედგენილი ვრცელი ქართულენოვანი ტექსტები, მათ შორის ქართული ენის აღწერა, განმარტებითი, ორენოვანი და დარგობრივი ლექსიკონები; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპელ მისიონერთა მიერ შეკრებილი და იტალიურად ნათარგმნი ქართული სამედიცინო ცოდნის კომპენდიუმი. საქართველოსა და უცხოეთის არქივებში დაცული ორენოვანი სამედიცინო და ბოტანიკური ლექსიკონები, მისიონერთა ჩანაწერები ქართული სამკურნალო ტრადიციის სხვადასხვა ასპექტზე, მისიონერი ექიმების მხრიდან მისი ათვისებისა და გამოყენების პრაქტიკა, ცოდნის მიმოცვლისა და მისიონერთა მობილობის საინტერესო მიკროისტორიები არის სწორედ ადრეული გლობალური ისტორიის კვლევის მნიშვნელოვანი წყაროები.

არანაკლებ საინტერესოა მისიების წყაროები საქართველოში მოდერნულობის სემანტიკის კვლევის პერსპექტივიდანაც. უცხოელი მოგზაურების, ისტორიკოსებისა თუ მისიონერების მიერ აღწერილი ერეკლე მეორისეული რეფორმები, მისი მომავლის პროექტი, ქვეყნის მოდერნიზაციისა და „ევროპიის რიგზე“ მოწყობის იდეა ნაკლებადაა შესწავლილი. აღნიშნული კვლევა სათავეს დაუდებს ამ მიმართულების დისკუსიებში საქართველოს საკმაოდ მდიდარი წყაროთმცოდნეობითი რესურსების ჩართვას და მათ ანალიზს ახალი მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან.

### *ბიბლიოგრაფია:*

ბოედერი, ვინფრიდ. 1998. „ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში.“ *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VII*: 61-79.

დობორჯგინიძე, ნინო. 2012. „ზოგიერთი რამ ილიასეული ბარაქალას შესახებ.“ *კადმოსი 4*: 73-115.

---

7 იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომები, მათ შორის გამოცემათა სერია „მოდერნულობის ისტორია და თეორია“ (იხ. ზედანია 2009; 2010; 2012), ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო სერიებში საქართველოში მოდერნულობის შესახებ დაბეჭდილი კრებული (იხ. Zedania 2018. ადრეული გლობალური ისტორიის პერსპექტივიდან XVIII საუკუნის ქართული წყაროების ანალიზისთვის იხ. Doborjginidze, Kulke 2021).

– 2013. „საისტორიო მესხიერების რეკონსტრუქციისთვის (XVIII საუკუნის საქართველოს უცნობი გეგმები და მოკავშირეები).“ *ზურაბ კიკნაძე. საიუმბილო კრებული*, რედ. შუქია აფრიდონიძე, ნინო დობორჯგინიძე, 234-257. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ზედანია, გიგა (რედ.) 2010. *მოდერნულობის თეორიები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

– (რედ.) 2011. *მოდერნულობის თეორიები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

– (რედ.) 2012. *პოლიტიკური თეოლოგია: მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჭკუასელი, ანა. 2021. „ქართულიფილოლოგიის ისტორიიდან: კათოლიკური ინკულტურაცია და XVIII-XIX საუკუნეების უცნობი ლექსიკონები,“ სადოქტ. დისერ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Borst, Arno. 1957-1963. *Der Turmbau von Babel. Geschichte der Meinungen über Ursprung und Vielfalt der Sprachen und Völker*. I -IV. Stuttgart: Hiersemann.

Chkuaseli, Ana. 2022. „Social and Religious Inculturation of Health Care in the Roman Catholic Mission in Georgia.“ *International Bulletin of Mission Research* 46: 339-350.

Dhavamony, Mariasusai. 1997. *Christian Theology of Inculturation*. Roma, Italia: Editrice Pontificia Università Gregoriana.

Doborjginidze, Nino. 2014. „Religious Inculturation and Problems of Social History of the Georgian Language, in Philalethes.“ In *Collected Studies, Dedicated to the 135<sup>th</sup> Anniversary of Shalva Nutsubidze (1888-1969)*, ed. Cornelia Horn, and Basil Laure, 328-343. Leiden-Boston: Brill.

– 2018. „Historical Aspects of Modernity in Georgia.“ In *Modernization in Georgia. Theories, Discourses and Realities*. Interdisciplinary Studies on Central and Eastern Europe 18, ed. Giga Zedania. 69-88. Bern: Peter Lang.

–, Kulke, Tilman. 2021. „Erekle II. (1720-1798) Goes Global: Zwischen Aufklärung, Wissenstransfer

und strukturellen Reformen in Georgien ab den 1750er Jahren.“ In *From Florence to Goa and Beyond*.

*Essays in Early Modern Global History*, ed. by Tilmann Kulke, and Anna Maria Vincente, 145-176.

Florence: European University Institute Press.

Luiselli, Bruno. 2000. „Inkulturrativer und akkulturrativer Prozess der Christianisierung: Die Entstehung der nationalen Literaturen und der Latein sprechenden Eliten in Westeuropa.“ In *Muster und Funktionen kultureller Selbst- und Fremdwahrnehmung. Beiträge zur internationalen Geschichte der sprachlichen und literarischen Emanzipation*, hrsg. U.-Ch. Sander und F. Paul, 146-168. Göttingen: Wallstein Verlag.

– 2003. *La Formazione della cultura europea occidentale*. Roma: Herder Editrice E Libreria.

Zedania, Giga (ed.). 2018. *Modernization in Georgia. Theories, Discourses and Realities*. Interdisciplinary Studies on Central and Eastern Europe 18, ed. Nicolas Hayoz, Jens Herth, and Julia Richers, 69-87. Bern: Peter Lang.

Nino Doborjginidze  
Maia Damenia

## **For the Interpretation of the textual legacy of the 17th-19th Centuries European Religious Missions. Georgia from the Perspective of Early Global History and Modernity**

The research project – *For the Interpretation of the textual legacy of the 17th-19th Centuries European Religious Missions. Georgia from the Perspective of Early Global History and Modernity* — has been running since 2021 at Ilia State University with the support of the Shota Rustaveli National Scientific Foundation (HE-21-977).

Research is focused on the following:

Unknown lexicographic sources of European religious missions describe the Catholic inculturation in Georgia from various perspectives. Namely, processes of creating and distributing Georgian literature (religious, philological-historical) of various characters, including, bilingual and explanatory dictionaries. It is for the first time that the present selection publishes two significant pieces of work of this tradition:

a. Concise Georgian grammar compiled in Latin, the dictionary and the phrase book developed by the unknown European missionary;

b. Incomplete Georgian-Italian and Italian-Georgian dictionary compiled by Emanuele da Iglesias in the 19th century, a short overview of Georgian grammar rules. At this time the first, Georgian-Italian part of this dictionary is being published.

Publication of philological-lexicographic sources planned under the project is a new stage in the studying of the inculturation practices of the 17<sup>th</sup>-19<sup>th</sup> centuries European missions in Georgia, especially, in terms of studying the processes of the Catholic inculturation. We mean dictionaries not known so far compiled by the foreign missionaries, grammatical, exegetic, homiletic and polemic literature, definitions of the Bible compiled for the purposes of the Georgian-language liturgy at local Catholic churches, and preaching.

Both dictionaries are of special importance. The first one is the only known representation of Georgian in Latin, while the second one is the incomplete Georgian-Italian dictionary of Emmanuele da Iglesias (fragmented manuscript not bound in a sequence), in which words for the following letters of the Georgian alphabet are given: a, b, c, d, and represents the first European language (Italian) translation of Sulkhan-Saba Orbeliani's lexicological heritage known up to date. Research showed that in the Georgian part of Emmanuele's fragmented dictionary the lemmas of the work of Sulkhan-Saba Orbeliani are exactly repeated with no change. Therefore, the piece of work by Emmanuele is the first European representation of Georgian lexicography.

## საოჯახო ცნობები მამა პეტრე ტატალაშვილზე (მასალები ბიოგრაფიისათვის)

სტამბოლის გულში აღმოცენებული „პატარა საქართველო“- ასე უწოდა სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა ფერიქოის სავანეს – წმიდა ქალწულის მარიამის ეკლესია-მონასტერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა შუშანა ფუტყარაძე. იგი პირველი მეცნიერია, რომელმაც დაიწყო მუშაობა სავანის არქივში დაცულ დოკუმენტებზე და დღემდე ხელმძღვანელობს ამ ბიბლიოთეკის სისტემტიზაციისა და კატალოგიზაციის საქმეს. ამ დიდ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია ზაზაძეების ოჯახმა, რომლებიც თურქეთში ასევე მესხეთიდან არიან წასული. სწორედ მათ დაიცვეს და უპატრონეს და დღემდე პატრონობენ სავანეს, მის მდიდარ ბიბლიოთეკასა და არქივს.

სავანის, სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი იყო ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი. მისი თავდაუზოგავი შრომის შედეგად, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში – ფერიქოიში (ანგელოზთა სოფელში) 1861 წელს აშენდა კათოლიკური ეკლესია და დაფუძნდა დედათა და მამათა მონასტრებით. 1870 წლისთვის აქ უკვე მუშაობდა ქართული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები. მოგვიანებით ფრანგულ ენაზედაც იბეჭდებოდა. ქართული კულტურის კვალი სტამბოლის ბევრ უბანში – გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, უსკუდარში, პერაზე, ფაფაზსქეფურში – დროთა სვლამ წაშალა. ბედნიერ ფეხზე აშენებული დარჩა მხოლოდ ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი – ქართული კულტურის საყდარი, ქართველთა სავანე. ფერიქოის ეკლესია-მონასტერთან 1875 წლიდან ჩამოყალიბდა ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები. ფერიქოის სავანეში 1908 წელს გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ქართული გამოცემები, დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართულ და სხვა ენებზე არსებულ სტამბებში. წლების განმავლობაში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან აქ იგზავნებოდა ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში შენახულია ჩვიდმეტ ენაზე



შესრულებული ნიგნები და ჟურნალ-გაზეთები, სულ 70 000-ზე მეტი ერთეული. სტამბოლის ქართული სავანის არქივში ბევრი საინტერესო მასალაა დაცული თურქეთ-საქართველოს კულტურული, კეთილმეზობლური ურთიერთობის უახლესი ისტორიის შესასწავლად (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან II, 2020:17).

მართლაც, სტამბოლის სავანის მაღლი მთელი საუკუნის მანძილზე სულში ეღვრებოდა სამშობლოდან იძულებით გადახვენილ, ოსმალეთის მთა – ბარს შეხიზნულ, თუ საქართველოს საზღვრის იქით დარჩენილ ქართულ მიწებზე ბინადარ მილიონობით ქართველს. ამ სავანემ მთელი საუკუნის მანძილზე თავდადებით იღვანა ქართველი მუსლიმანების ეროვნული თვითშეგნების ამალგებისათვის, ქართული მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების საზღვარგარეთ გატანისთვის. ეს საშვილიშვილო საქმე განხორციელდა ამ სავანეში მოღვაწე დიდი მამულიშვილების – პეტრე ხარისჭირაშვილის, ალფონს ხითარიშვილის, ანდრია წინამძღვრიშვილის, სტეფანე გიორგიძის, იოსებ და პეტრე მერაბიშვილების, შალვა ვარდიძის, პიო ბალიძის, პეტრე ტატალაშვილის, პავლე ადგულაძის, პავლე ზაზაძის ყოველდღიური მოღვაწეობით. მართლაც, სამშობლოდაკარგულ ქართველებში აღორძინდა ეროვნული სული (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან I, 2017:31).

სავანის დაარსებას მთელი რიგი პოლიტიკური მიზეზები განაპირობებდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში და განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა გაუარესდა რუსეთის ანტიკათოლიკური პოლიტიკის გამო. „რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში ევროპიდან კათოლიკე მისიონერების შემოსვლის აკრძალვამ მდგომარეობა ყველაზე მეტად ახალციხეში გაართულა, სადაც ქართველ კათოლიკეთა ლათინურ რიტზე მდგარ ეკლესიებში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა სომხური ტიპიკონისა და სომხური ენის დამკვიდრებას. ეს არ ნიშნავდა, რომ დედა სამშობლოს დაბრუნებულნი მესხეთი ბედს იოლად შეურიგდებოდა. ამ დიდი საქმის მეთაურად მაშინ ქართველი კათოლიკენი გამოვიდნენ (პაპაშვილი, 1995:314-315).

სწორედ პეტრე ხარისჭირაშვილი ჩაუდგა სათავეში ბრძოლას ყოველივე ამის წინააღმდეგ, თუმცა, ვერ შეძლო მთელი რიგი მიზეზების გამო, 1857 წელს დატოვა სამშობლო და ოსმალეთში გადავიდა. მან რომის პაპის პიო IX-ის წარმომადგენლის – მთავარეპისკოპოსის ბრუნონის დახმარებით 1859 წელს მიიღო მკვიდრი სამსახური მონყალეების დათა მონასტერში. ასევე, სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის ნება ქართული ენითა და ტიპიკონით. იმავე წელს, მამა პეტრემ ცნობილი მეცენატის იაკობ ზუბალაშვილის

ფინანსური მხარდაჭერით სტამბოლის გარეუბანში – ფერიქოიში შეიძინა მიწის ნაკვეთი და 1861 წელს ააშენა წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, სულ მალე დაემატა დედათა მონასტერიც. სავანეს, მამა პეტრე ხელმძღვანელობდა 1892 წლამდე, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მართავდნენ მამათა მიერ არჩეული წინამძღვრები: სტეფანე გიორგიძე, ალფონს ხითარიშვილი, ბენედიქტე ვარდიძე, პიო ბალიძე, შიო ბათმანაშვილი და პეტრე ტატალაშვილი, რომელიც გახლდათ სავანის უკანასკნელი წინამძღვარი (ყრუაშვილი, 2012:8-9).

საუკუნოვანი არსებობის მანძილზე სტამბოლის ქართველ მამათა სავანემ ბევრი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი გამოზარდა, რომლებიც ცნობილნი იყვნენ როგორც ქართველთა, ისე უცხოელთა შორის, განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ სავანეში მოღვაწე მღვდლები. ევგენი დალეჯიო დ'ალასიო თავის წიგნში – ქართველები კონსტანტინეპოლში, ამგვარად ახასიათებს სავანის მესვეურებს: „ფერი-კვეის მღვდლები ცნობილნი არიან მთელს ოსმალეთში და საბერძნეთში, ყოველი გვარის ხალხი და ხშირად სხვადასხვა სარწმუნოებისაც დაიარება მათ ეკლესიაში, იმდენად სახელგანთქმული სამლოცველოა იგი ოსმალეთის ძველ იმპერიის ფარგლებში“ (ევგენი დალეჯიო დ'ალასიო, 1921:33).

სწორედ ამ მონასტერში მიიღეს განათლება და შემდეგ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დაამთავრეს სასულიერო და საერო უმაღლესი სკოლები ცნობილმა მეცნიერებმა, მწერლებმა, სასულიერო თუ საერო მოღვაწეებმა: ივანე გვარაძემ, მიხეილ თამარაშვილმა, მიქელ თარხნიშვილმა, შალვა ვარდიძემ, ანდრია წინამძღვრიშვილმა, სტეფანე გიორგიძემ, იოსებ მერაბიშვილმა, ელისაბედ ბეჟანიძემ, პიო ბლიაძემ, ბენედიქტე ვარდიძემ, ალფონს ხითარიშვილმა, პეტრე ტატალაშვილმა, აბისინიის (ეთიოპიის) მეფის სასახლის ექიმმა პეტრე მერაბიშვილმა (დოქტორ მერაბი)...ერთხანს სტამბოლის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა წმინდა მამა გრიგოლ ფერაძე. იმავე გიმნაზიის აღზრდილები იყვნენ ეკლესია-მონასტრის ბოლო მსახურები პეტრე ტატალაშვილი, პავლე აკობაშვილი (ანდღულაძე) და ეკლესია-მონასტრის თავდაუზოგავი ქომაგი, 1966-89 წლებში ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების თავმჯდომარე, თურქეთში ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი – პავლე ზაზაძე (ფუტკარაძე, 2009:74-75).

„სტამბოლის ქართველთა სავანის კედლებში მრავალი ცნობილი მეცნიერი, მწერალი, ერისკაცი და სასულიერო პირი აღიზარდა, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული და ღვანღმოსილი იყო მ. პეტრე ტატალაშვილი,“ – ამგვარად ახასიათებს ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის

დირექტორი ციური ლაფაჩი, რომელიც უშუალოდ ფერი-ქოის სავა-  
ნის არქივში მუშაობდა პეტრე ტატალაშვილის წერილებზე.

პეტრე ტატალაშვილი 1888 წლის 29 ნოემბერს დაიბადა სამცხის  
ერთ-ერთ სოფელში – არალში, სტეფანე და კეკე ტატალაშვილების  
მრავალშვილიან ოჯახში. დაწყებით განათლება სამშობლოში, მშობ-  
ლიურ სოფელ არალში მიიღო, შემდეგ კი დაახლოებით 8-9 წლის იყო  
სტამბოლში გაგზავნეს მშობლებმა სასულიერო განათლების მისა-  
ღებად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მამა პეტრე მრავალშვილიანი ოჯახის  
წევრი იყო. მის მშობლებს ოთხი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავდათ.  
მათ შორის: ვაჟებიდან უფროსი ივანე (ვანო), შემდეგი პავლე, მიხე-  
ილი (მიხა) და ელია. ქალიშვილებიდან: სოფიო (სოფო), ეზო და თერე.

საოჯახო ცნობები მიხედვით, ტატალაშვილების ოჯახი იმ დრო-  
ისათვის ეკონომიურად შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა. პეტრე ტა-  
ტალაშვილის დიდი პაპის – გიორგის (სოფელში მას გიოდ მოიხსენებ-  
დნენ) წლების განმავლობაში მამის “ნაროდნი სუდია” ანუ სახალხო  
მოსამართლე ყოფილა (თემურ ტატალაშვილი, პეტრეს ძმის – ილიას  
(ელეიას) შვილიშვილი). ნათელია, რომ იმჟამინდელი მდომარეობიდან  
გამომდინარე განთლება მათ ოჯახში ძალიან ფასობდა. მამამ – სტე-  
ფანე ტატალაშვილმა, სოფელში ოჯახის მოსანახულებლად ჩამობრ-  
ძანებულ სასულიერო მოღვაწეს, თანასოფელელ – შალვა ვარდიძეს  
სთხოვა – სტამბოლის ქართველთა სავანეში სასწავლებლად მისი  
ვაჟი 8 წლის პეტრე წაეყვანა. სტამბოლოს ქართული სავანის არქივ-  
ში მოიპოვება ასევე წერილი, სადაც სტეფანე ტატალაშვილი სტამ-  
ბულის ქართული სავანის მესვეურებს, ბენედიქტე ჩილინგაროვს  
(ვარდიძეს) და პატრ ალფონს (ხითარიშვილს) წერილში მადლობას  
უთვლის შვილის -პეტრეს პატრონობის გამო, ასევე, თხოვნით მი-  
მართავს თანასოფელელის შვილიშვილების (ბადიშების) სასწავლებ-  
ლად მიღებას ქალთა სასწავლებელში (წერილები სტამბოლის ქარ-  
თული სავანიდან I, 2017:687).

ასევე, საოჯახო ცნობებიდან: „პეტრე, ბიძაჩემი, იმ მესხი გან-  
მანათლებლების სიაშია, ვინც მოღვაწეობდნენ სტამბოლში. პატ-  
რიოტი, თავისი ქვეყნისა და მხარის დიდი მოყვარული გახლდათ,  
კარგად იცოდა ფრანგული, გერმანული და იტალიური ენები, ასევე  
ფილოსოფია და თეოლოგია, სწავლობდა საფრანგეთსა და იტალი-  
აში, ასევე ავსტრიაში,“ – ამგვარად იხსენებს ძმისშვილი ბიძას, პეტ-  
რე ტატალაშვილს (თამარ ჯანაშვილი, ძმის –ილია ტატალაშვილის  
შვილი).

მამა პეტრეს ძმის – ილიას (ელეი) შთამომავლები, განსაკუთრე-  
ბული ფაქიზი გრძნობით და სიამაყით ინახავენ ერთ ფოტოს, სადაც

მამა პეტრე სტამბოლში თავის მოწაფეებთან ერთად არის წარმოდგენილი. საოჯახო არქივში ეს ფოტო მამა პეტრეს ძმისშვილმა, ასევე პეტრემ, მისმა მოსახელემ სრულიად შემთხვევით გორის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ოჯახიდან მოიპოვა, რომელთა ოჯახის წევრიც იმ დროს სწავლობდა სტამბოლის სავანეში.

მ. პეტრე ტატალაშვილი მძიმე ავადმყოფობით 1961 წელს გარდაიცვალა. მან მთელი დარჩენილი სიცოცხლე სტამბოლის ქართულ სავანეში გაატარა. დაამთავრა სასულიერო სემინარია და 1912 წელს ეკურთხა მღვდლად, მოგვიანებით კი – 1956 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – 1961 წლამდე იყო სავანის წინამძღვარი (სამწუხაროდ, ბოლო წინამძღვარი!). სავანეს მას შემდეგ ავბედითი ისტორიული რეალობის გამო აღარ ჰყოლია წინამძღოლი (ლაფაჩი:2009, ხელნაწერი სტამბოლის ქართული სავანის არქივიდან).

1919 წელს მღვდელი პეტრე ტატალაშვილი იყო სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მდივანი.

1919 წლის 25 ოქტომბრის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის სხდომაზე განიხილეს საკითხი, რომ სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მდივანი, მღვდელი პეტრე ტატალაშვილი თხოულობდა წიგნებით დახმარებას მონასტერთან არსებული ბიბლიოთეკისათვის. გამგეობამ გადაწყვიტა დახმარება 1500 მანეთის წიგნებით (<https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/12063-petre-tatalashvili>).

მამა პეტრე ტატალაშვილი შეხვდა თვით ევგენი დალუჯიო დ'ალასიოს, რომელიც თავის წიგნში „ქართველები კონსტანტინეპოლში“ ქართველთა სასაფლაოზე და ქართულ წარწერებზე საუბრისას ახსენებს მას: „კონსტანტინეპოლის ქართველთა ახალშენის მომეტებული ნაწილი ყოველთვის მესხებისგან იყო შემდგარი. ყველანი კათოლიკურ სარწმუნოებას მისდევდნენ და ცხოვრობდნენ სტამბოლშივე, ესე იგი, ქალაქის ძველ ნაწილში, ან და გამოღმა, გალათის მიდამოებში. როგორც ჩანს, აქაური ქართველები თავიანთ საფლავის ქვებზე თითქმის ყოველთვის ქართულად აწერდნენ. კათოლიკე ქართველების სავანის არხივში არის ერთი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ამ სასაფლაოს ზოგიერთ წარწერების სიას. მ. პეტრე ტატალაშვილმა სავანის სიგელები მიჩვენა, მაგრამ ამ სიის გარდა, რომელიც 1866 წელს არის დედნებიდან გადმოწერილი, სხვა ვერაფერი ვნახე“ (ევგენი დალუჯიო დ'ალასიო, 1921:20-21).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1921 წლის მარტისა და აპრილის თვეებში სამონასტრო კომპლექსის მეოთხე სართულის სასტუმროში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ნოე ყორდანია და მისი ეროვნუ-

ლი მთავრობის, კერძოდ, დამფუძნებელი კრების წევრები. არქივში შემონახულია ამასთან დაკავშირებული ცნობები და ფოტო მასალა, სადაც სტამბოლის ქართველთა საგანეში მოღვაწე სასულერო პირებთან, მათ შორის პეტრე ტატალაშვილი) საქართველოდან დევნილი ეროვნული მთავრობის წევრები არიან (წერილები სტამბოლის ქართული საგანიდან II, 2020:661).

წერილებში სტამბოლის ქართული საგანიდან, მემუარების ნაწილში, პეტრე ტატალაშვილი-ს სახელით გამოქვეყნებულია პეტრე ტატალაშვილის მოგონებანი ბავშვობაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობები „თავგადასავალი“, „უმანკო ჩასახების დღეზე“, „აღდგომა“, „სიცილს ტირილი მოჰყვება“, „უნებლიედ ბანება“. მ. პეტრე ტატალაშვილს, სამშობლოდან შორს ბავშვობის წლები გაახსენა და თავისი თავგადასავლები პატარ-პატარა ნოველებად შეაგროვა.

ოჯახს, მშობლებს და ახლობლებს მონატრებული, საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს მათ, მაგრამ განსაკუთრებით დედის მონატრებით გამონვეულ სევდას ვერ ერევა. სწორედ იმ დღეს, როცა მონასტერში წმ. მარიამ ღვთისმშობლის უმანკო ჩასახების მორიგ დღესასწაულს აღნიშნავდნენ (1905 წლის ქრისტეშობის 13-ს), სიმბოლურია, რომ დედის დაშორებით გამონვეული ემოციები ასახა თავის ნოველაში.

გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგი, მიუხეხის უნივერსიტეტის პროფესორი იულიუს ასფალგი თავის ნეკროლოგში მიხეილ თარხნიშვილზე, რომელიც „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე გამოაქვეყნა, საუბრობს მიხეილის შესახებ და ასახელებს იმ ფაქტს, რომ კონსტანტინოპოლში მიხეილ თარხნიშვილი კაპუცინელთა სემინარიაში სწავლობდა, რომელიც 1923 წელს დაამთავრა. შემდეგ მან ქართულ მონასტერში ფილოსოფიის 1-წლიანი კურსი გაიარა მ. პეტრე ტატალაშვილის ხელმძღვანელობით, 1924 წლის ოქტომბერში კი 3 სხვა სტუდენტთან ერთად ავსტრიაში გაემგზავრა (პაპაშვილი, 2012:536). აღნიშნული ინფორმაცია ასევე ფიქსირდება მურმან პაპაშვილის წიგნში – „რომი საქართველოს ურთიერთობა (პაპაშვილი, 1995:333).

ამდენად, სტატიაში წარმოდგენილია გარკვეული ცნობები მამა პეტრე ტატალაშვილის ბიოგრაფიისათვის ჩანერგილი მისი მემკვიდრეებისაგან. სამწუხაროდ, ოჯახში ამგვარი სახის ინფორმაციები მწირად შემორჩა და ისიც, ხშირად, არაზუსტია. მიუხედავად ამისა, ამ ცნობებს გარკვეული დახმარების განევა შეუძლია პეტრე ტატალაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდგომი კვლევისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევგენი დალევჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, ფრანგულიდან შალვა ვარდიძისა, სტამბოლი, საბჭევდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, 1921.
2. პაპაშვილი მურმან, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995.
3. საბა: საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე. თბილისი, 2011. მარტი, N3(183).
4. ფუტყარაძე შუმანა, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ. 2009.
5. ყრუაშვილი ნატო, სტამბოლის ქართველ მამათა სავანის წინამძღვრები ხიზაბავრიდან, ახალციხე, 2012.
6. წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, ტომი I, ბათუმი, 2017.
7. წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, ტომი II, ბათუმი, 2020.
8. <https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/12063-petre-tatalashvili>

Tea Tatenashvili

### Family Information about Fr. Petre Tatalashvili (Materials for Biography)

The residence of the Georgian Catholics in Istanbul, the Monastery of the Virgin Mary, with its schools, printing house and rich library has performed a great Georgian affairs and cultural, educational and scientific function Outside of Georgia for more than a century.

The temple was built in 1861 by Father Petre Kharischirashvili in one of the most beautiful districts of Istanbul, Ferikoy (in the village of Angels). It should be noted that most of the fathers working in the Georgian sanctuary of Istanbul were from Samtskhe-Javakheti. Father Petre Tatalashvili should also be from Samtskhe.

The purpose of the article is to describe the biography of the last head of the Georgian sanctuary in Istanbul, Father Patre Tatalashvili and to introduce him to the general public based on the family records left by the descendants, which have not been widely used in scientific community. It is known about the activities of several leaders of this sanctuary (Petre Kharischirashvili, Alfon Khitarishvili, Benedict Vardidze, Pio Balidze, Shio Batmanashvili and others) s several Georgian scientists (Shushana Putkaradze, Nato Kruashvili,

Tsiuri Iaphachi etc.) published about their activities, but the deeds of the latest head of the monastery, Father Petre Tatalashvili (1956-1961) is less known.

The author, as his descendant, has a special professional interest and a gentle approach to the issue, as Father Peter was her great grandfather. All the mentioned, makes her double responsible and has the great desire to describe and evaluate all the developments related to him properly.

**კათალიკოს-პატრიარქ ბესარიონის (1724-1737)  
ანტიკათოლიკური ტრაქტატის „გრდემლის“  
კრიტიკული განხილვისთვის სხვადასხვა  
არადოგმატურ საკითხთან დაკავშირებით<sup>1</sup>**

ვაგრძელებთ ბესარიონის „გრდემლში“ განხილული საკითხების<sup>2</sup> ანალიზს. ამჯერად, შევეხებით ტრაქტატში გადმოცემულ არადოგმატურ საკითხებს.

ბესარიონი აცხადებს, რომ ლათინები ნათლავენ არა შთაფლვით, არამედ პუკურებით (სხურებით)<sup>3</sup> და ამტკიცებს, რომ ერთადერთი სწორი ფორმა ნათლობისა აღესრულება მხოლოდ ემბაზში ან მდინარეში სრული შთაფლვით („ეგრეთ ჯერ არს ჩუენდა მეორედ შობაი ნყლისაგან ემბაზსა შინა, გინა თუ მდინარეთა შინა და არა ერთ კერძისა ასოისა დაღტობაი და სხვისა განხმობაი“)<sup>4</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, ირღვევა კანონები, რომლებიც მოციქულებმა და ნიკეის პირველი კრების მამებმა მიიღეს, რომელთა თანახმად, წყალში სამჯერ შთაფლვაა დადგენილი და ვინც სხვაგვარად იქცევა, ანათემის ექვემდებარება („დაამტკიცებს კრებაცა იგი პირველი ნიკეისა...: ‘უკუეთუ ვინმე არა სამგზის შთაყოფითა ნათელ სცესო სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, იყავნ შეჩუენებულ“)<sup>5</sup>.

- 1 სტატიის საკითხებთან დაკავშირებით ზოგიერთი კომენტარისა და მოსაზრებისთვის ვმადლობ კათოლიკე მღვდელს, პროფესორ ქრისტინ კაპესსა და მართლმადიდებელ მღვდელ-მონაზონს, თეოლოგიის დოქტორს, ლეონიდე ებრალიძეს.
- 2 შესაბამისი ეჭვების გასაქარწყლებლად საჭიროდ ჩავთვალე ბესარიონის „გრდემლიდან“ ჩემს მიერ აქ განხილული ციტატების ხელნაწერში გადამონმება, რომელიც 2013 წელს გამოიცა წიგნად. ციტატების გადამონმებაში დამეხმარა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ვლადიმერ (ბაჩო) კეკელია, რისთვისაც მას გულითად მადლობას ვუხდი.
- 3 ბესარიონ კათალიკოსი (ბარათაშვილ-ორბელიძევილი, 1724-1737). გრდემლი: სიტყვისგებაი ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ თუ რაი არს ჩუენგან მათი განყოფილება. ტექსტი ხელნაწერ S-3269-ის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო ზაზა მამულაშვილმა. თბ., 2013, (თავი მეოცე), გვ. 213.
- 4 ბესარიონი, გრდემლი, თავი მე-20, გვ. 215.
- 5 ბესარიონი, გრდემლი, თავი მე-20, გვ. 212.



ბესარიონი ცდება, როდესაც მსგავს კანონს ნიკეის პირველ კრებას განუკუთვნებს. ამ კრების არცერთი დადგენილება არ შეიცავს ასეთ განწესებას. ამგვარი უზუსტობა ნათლად წარმოაჩინეს პოლემიკის წარმოების ბესარიონისეულ ქაოტურ მანერას და მსოფლიო საეკლესიო კრებების შესახებ არასაკმარის ცოდნას.

მხოლოდ მოციქულთა 50-ე კანონი საუბრობს ნათლობის რიტუალზე და უარყოფს ერთჯერადი შთაფლვით ნათლობას. კანონიდან ნათელია, რომ ფოკუსი შთაფლვის რაოდენობაზეა: კანონის მიხედვით, საჭიროა სამჯერადი და არა ერთჯერადი შთაფლვა. ამრიგად, კანონი არ გულისხმობს სხურების (პკურების) აკრძალვას, როგორც ასეთი.

მართალია, კანონში გამოყენებული სიტყვა βάντισμα ხშირად განიმარტება „შთაფლვის“ მნიშვნელობით (მაგ., იხ. სერბი კანონისტიკის, ნიკოდიმ მილაშის განმარტება<sup>6</sup>), მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს არ არის ამ სიტყვის ერთადერთი მნიშვნელობა. აღნიშნული სიტყვა აგრეთვე ნიშნავს უბრალოდ განბანვას (ლკ. 11:38; მარკ. 7:3-4). რაც უფრო მნიშვნელოვანია, ახალი აღთქმა არ შეიცავს რაიმე ექსპლიციტურ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა აღსრულდეს ნათლობის რიტუალი. ზოგადად, ბერძნული სიტყვები „ბაპტიძო“ და „ბაპტო“, რომლებიც რელიგიური აზრით ნათლობას აღნიშნავდნენ, ქრისტიანობამდეც და გვიან ანტიკურ ხანაში ხშირად სწორედ „დასხმას“ ნიშნავდა. მაგ., იმპერატორ ალექსანდრეს ბიოგრაფიაში პლუტარქე აღწერს ჯარისკაცებს, რომლებსაც კასრებიდან ფიალებში უსხამდნენ („ბაპტიძონტეს“) ღვინოს<sup>7</sup>.

მოციქულთა ხანიდან მოყოლებული ნათლობა აღესრულებოდა როგორც შთაფლვით, ისე სხურებით. ამ ეპოქის ძეგლი „დიდაქე“ (ე.წ. მოძღვრება 12 მოციქულისა), რომელიც დაახლ. 70 წელსაა დაწერილი, იმ საშუალებებს ჩამოთვლის, რითაც ნათლობა აღესრულებოდა, მათ შორის, საუბარია ასევე „თავზე წყლის სამგზის დასხმით“ ნათლობაზეც (დიდაქე VII, 3)<sup>8</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ „დიდაქე“ ამ ფორმით ნათლობას განიხილავს არა გამონაკლისად, არამედ ერთ-ერთ წესად. ამ საკითხზე სავესებით სამართლიანად აღნიშნავდა პატროლოგი ედიშერ ჭელიძე

6 Милаш, Никодим. Правила Православной Церкви с толкованиями. Том I. Сергиев Посад: Издательство Свято-Троицкой Сергиевой Лавры, 1996, с. 123.

7 პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები. ძველბერძნულიდან თარგმნა აკაკი ურუშაძემ. თბ., საბჭოთა საქართველო 1975, გვ. 459.

8 უცნობი ავტორი „დიდაქე მოციქულთა“, კრებულში: მოციქულებრივ მამათა სწავლანი. ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ვიქტორია ჯუღელმა. თბ. ბეთანია 2014, გვ. 251.

(ქართველ მეძველწესებთან პოლემიკისას, რომელიც ასევე უარყოფდნენ სხურებით ნათლობას): „აქ რომ გამონაკლისებზე იყოს მსჯელობა, მაშინ აუცილებლად აღნიშნული იქნებოდა სხვა გამონაკლისებიც, კერძოდ, ერისკაცის მიერ მონათვლა, ქალის მიერ მონათვლა, სისხლით ნათლობა და სხვა“<sup>9</sup>. ცოტა ზემოთ კი მკვლევარი წერს: „არსად, არცერთხელ, არცერთი ძველბერძნული კატეხიზმო თუ ნებისმიერი სხვა ძველბერძნული მართლმადიდებლური ტექსტი არ აღნიშნავს, რომ თავზე სამგზის დასხმით მონათვლა ხელახლა საჭიროებს სრულ (კერძოდ, შთაფლვით) ნათლობას“<sup>10</sup>.

დიდაქე ფართო აღიარებით სარგებლობდა ადრეული საუკუნეების სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიაში. მაგ., ათანასე ალექსანდრიელი მაღალ შეფასებას აძლევდა დიდაქეს თავის ეპისტოლეში, რომელიც არსენ იყალთოელის თარგმანითაა წარმოდგენილი დიდ სჯულისკანონში<sup>11</sup>. არც წმინდა ათანასეს, არც წმინდა არსენს და არც არავის ეჭვის ქვეშ არ დაუყენებიათ დიდაქეს ეს კონკრეტული განხილვა სხურებით ანუ დასხმით ნათლობასთან დაკავშირებით. ამრიგად, დიდაქე მნიშვნელოვან დოკუმენტად ითვლება ნათლობის აღსრულების მეთოდის გამორკვევის თვალსაზრისითაც. მართალია, ბესარიონს ვერ ეცოდინებოდა უშუალოდ ეს ძეგლი („დიდაქე“) იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის 1873 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ მას უნდა სცოდნოდა ამ ტექსტის შესაბამისი ადგილები ნათლობის წყლის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც ასახული და დადასტურებულია მოციქულთა განხილვებებში.

რაც შეეხება მსოფლიო საეკლესიო კრებებს: *ერთჯერადი* შთაფლვა მეორე მსოფლიო კრების მე-7 და ტრულის კრების 95-ე კანონებითაა დაგმობილი. ორივე კანონი აღნიშნავს, რომ ევნომიანელები ნათლავდნენ ერთჯერადი შთაფლვით და სწორედ მათ წინააღმდეგ დადგინდა სამჯერ შთაფლვით ნათლობა. ზემოთ დამონშემული მოციქულთა კანონის მსგავსად, აქაც საკითხი ეხებოდა შთაფლვითა რაოდენობას. ამ მხრივ, ნათლობის აღსრულების საკითხი სხვა მსოფლიო და ადგილობრივ კრებებზე არ ყოფილა განხილული. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქრისტიანული საკრამენტული პრაქტიკა არ გმობს სხურებით ნათლობას.

მხოლოდ ბესარიონ ორბელიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1755 წელს კონსტანტინეპოლის ადგილობრივი კრება რომის კა-

9 ქელიძე, ედიშერ. ეკლესია – სძალი უფლისა. თბ., მეცნიერება 1990, გვ. 72.

10 იქვე, გვ. 71.

11 ათანასე ალექსანდრიელი. სადღესასწაულო ეპისტოლე, 39.75 (არსენ იყალთოელის თარგმანი), იხ.: დიდი სჯულისკანონი. თბ., მეცნიერება 1975, გვ. 471.

თოლიკეთათვის შთაფლვით ნათლობის აუცილებლობას ადგენს. თუმცა, ბესარიონს შეეძლო სცოდნოდა 1620 წელს მოსკოვის საეკლესიო კრებაზე მიღებული მსგავსი კანონი კათოლიკეების გადანათვლასთან დაკავშირებით, რომლებიც სამჯერადი შთაფლვით არ იყვნენ მონათლულნი.<sup>12</sup>

1755 წლის კრების გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ მოციქულების მიერ სამჯერადი შთაფლვის დადგენის შესახებ (**ἐν τρισὶ καταβάσει καὶ ἀπαβάσει**) და რომ კრების მონაწილენი ერთგულნი არიან ამ დადგენილებისადმი. ნათელია, რომ კრების მონაწილეები გულისხმობდნენ მოციქულთა 50-ე კანონი, რომელიც ზემოთაა წარმოდგენილი. მაგრამ ეს კანონი არ არის რელიგოზური რომის კათოლიკეთა მიერ აღსრულებული ნათლობის ვალიდურობაში ეჭვის შესატანად. მე-18 საუკუნის ამ კრების მონაწილენი ასევე აღნიშნავენ, რომ მეორე მსოფლიო კრების მეშვიდე კანონისა და ტრულის კრების 95-ე კანონის ყველა უნდა ჩაითვალოს მოუნათლავად (**ὡς ἀβάπτιστους**), ვინც სამჯერადი შთაფლვით არაა მონათლული<sup>13</sup>.

აქ უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ლათინი ქრისტიანების მიმართ დამოკიდებულების სათანადო გამოხატულებას, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება<sup>14</sup> მიღებული ბერძენი პატრიარქების მიერ 1755 წელს, რომელიც ლათინთა საკრამენტებს უმადლოდ აცხადებდა, იყო რეაქცია 1729 წელს რომში მიღებულ გადაწყვეტილებაზე, როცა რომის კურია იძულებული გახდა აღმოსავლური ეკლესიების საკრამენტები უმოქმედოდ გამოეცხადებინა, რადგან პაპმა ვერ შეძლო იმ კამათის ჩაცხრობა, რომელიც კათოლიკე მისიონერთა შორის გაჩაღდა<sup>15</sup>. საინტერესოა აგრეთვე, რომ წინა, მე-17 საუკუნეში ლათინებთან ბერძენების ურთიერთობა ძალიან მეგობრული და კეთილგანწყობილი იყო არა მხოლოდ საერო, არამედ რელიგიურ სფეროშიც, კერძოდ, ერთმანეთს უზაირებდნენ საეკლესიო საკრამენტებს (ე.წ. *communicatio in sacris*)<sup>16</sup>. (...)

12 Милаш, Правила, Том I, с. 119-120, 591 (прим. I).

13 Милаш, Правила, Том I, с. 590.

14 Суттнер, Эрнст. Христианство Востока и Запада: В Поисках Зримого Проявления Единства. Пер. с Нем. М., ББИ, 2004, сс. 200-201.

15 Суттнер, Христианство, сс. 194-200.

16 Ware, Kallistos. *Eustratios Argenti: A Study of the Greek Church under Turkish Rule*. Oxford: Clarendon Press 1964 (reprint with a new introduction: Eugene, OR: Wipf & Stock 2013), pp. 1-42.

ბესარიონი ლათინებს კიცხავს ასევე იმ სწავლების გამო, რომლის მიხედვითაც თითქოს იესო ქრისტე აღდგომის შემდეგ არ ჩასულა ქვესკნელში და თუ ჩავიდოდა, იქიდან ველარ დააღწევდა თავს (“კუალად ამასცა იტყვიან [ლათინნი] სხვათა თანა გმობათა, ვითარმედ: ქრისტე მეუფე საუკუნოსა ჯოჯოხეთსა არა შთასრულ არსო. და უკეთუ მუნ შთასრულ იყო ვერცაღა იგი გამოვიდოდო”)17. ამკარაა, ბესარიონმა არაფერი იცის „ძველი რომაული მრწამსის“ შესახებ, რომელსაც დასავლეთში „მოციქულთა მრწამსი“ ეწოდებოდა და რომელიც უწყვეტად გამოიყენებოდა მეხუთე საუკუნიდან, მაგ., ნათლობის რიტუალის აღსრულების დროსაც. ლათინურ ლიტურგიკულ მსახურებებში ჩართული ეს მრწამსი შეიცავს ფრაზას „ჩავიდა ქვესკნელში“. ეს ფრაზა მოიპოვება ლათინთა მიერ გამოყენებულ ე.წ. ათანასეს მრწამსშიც.

აღსანიშნავია, რომ ბესარიონი არ გმობს ლათინებს საკუთარი „რწმენის სიმბოლოების“ უპატივცემულობაში. ის აცხადებს, რომ ისინი არ აღიარებენ ქრისტეს ქვესკნელში ჩასვლას. ამის შესახებ თავად პეტრე მოციქული სწერდა, რომ ქრისტე ჯოჯოხეთის „საპყრობილეში“ მყოფ სულებთან ჩავიდა (1 პეტრე 3:19). რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, რომ ქრისტეს არ შეეძლო თავი დაეღწია ჯოჯოხეთისგან, ცხადია, ეს განხილვაც არ ღირს.

ბესარიონის თანხმად, რომის კათოლიკე ეკლესიაში დადგენილია ნათლობის რიტუალის ქალების მიერ აღსრულებაც და ეს ნესია და არა გამონაკლისი. იგი წერს, რომ ეს მიუღებელია, რადგან თუკი სადმე, გამონაკლისის სახით, ქალს ვინმე მოუწათლავს, არ ნიშნავს, რომ ეს ნორმალური და საყოველთაო პრაქტიკაა (“დაღათუ წმიდათა დედათაგანსა ვისმე ექმნას ესე, არაცა ესე სადამე სმენილ არს, და თუმცაღა სადამე ქმნილ არს, არცა ესე დაიდების სჯულად”)18.

ბესარიონი არასწორად წარმოადგენს კათოლიკე ეკლესიაში არსებულ რეალობას საიდუმლოებების აღსრულების თვალსაზრისით. აღმოსავლურ საქრისტიანოში, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ქალებს უფლება ჰქონდათ ნათლობის რიტუალის ჩატარებისა.<sup>19</sup> იგივე წესი მოქმედებდა რომის კათოლიკე ეკლესიაშიც ანუ ქალების მიერ აღსრულებული ნათლობა არასდროს ყო-

17 ბესარიონი, გრდემლი, თავი მე-19, გვ. 192.

18 ბესარიონი, გრდემლი, თავი 22-ე, გვ. 221.

19 Milash, *Canons*, vol. I, p. 123, note V. [Милаш, *Правила*, Том I, с. 123, прим. V]. (See the commentary on Apostolic canon No. 49).

ფილა სტანდარტული პრაქტიკა. ამ კუთხით შესაძლებელია მრავალი კანონის დამონშება. მაგ., მე-15 საუკუნეში ფლორენციის კრება აცხადებდა: „ამ საიდუმლოს აღმსრულებელი მღვდელია... მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში არა მხოლოდ მღვდლებსა და დიაკვნებს, არამედ ასევე ერისკაცსა და ერისქალსაც, უფრო მეტიც, წარმართსა და ერეტიკოსსაც შეუძლია მონათლოს“.<sup>20</sup>

ბესარიონის აზრით, კათოლიკე მღვდლები მესას დღეში რამდენიმეჯერ აღასრულებენ (“ჟამისწირვისა საიდუმლოსა მღვდელნი მათნი დღესა შინა ერთსა, ერთსა ტრაპეზსა ზედა, მრავალგზის შესწირავს”)<sup>21</sup> და შემდეგ ციტირებს ბასილი კესარიელს, რომელიც წერდა, რომ აკრძალულია დღეში ერთზე მეტჯერ ლიტურგიის ჩატარება (“ისმინე დიდისა ბასილისი, თუ ვითარ ერთხმა არს მოციქულთა თანა...: ‘ვითარმედ არა ჯერ არს დღესა შინა ერთსა ერთისა მღვდელისა მიერ ორგზის ჟამისწირვა...’”<sup>22</sup>). წმინდა ბასილი ნამდვილად ქადაგებდა ამგვარად<sup>23</sup> და ბესარიონი სწორად ციტირებს მას, მაგრამ ისევ და ისევ, არასაკმარისად იცნობს დასავლეთის კათოლიკურ საქრისტიანოს განწესებებს ამ საკითხზე.

ტრიდენტის კრების შემდგომ კათოლიკე მღვდლებს არ ჰქონდათ უფლება დღეში რამდენიმეჯერ აღესრულებინათ მესა. მათ მხოლოდ წელიწადში ორჯერ ჰქონდათ დღეში ორჯერ მესის ჩატარების საშუალება: ქრისტეს შობის დღესასწაულზე და მიცვალებულთა მოხსენიების დღეს. სხვა შემთხვევებში ანუ დღეში ორჯერ მესის აღსასრულებლად განსაკუთრებული ნებართვა იყო საჭირო ეპისკოპოსისგან.<sup>24</sup>

რაც შეეხება ლიტურგიის ჩატარებას კერძო სახლებსა (“სახლსა შინა მათთა ჟამსა უწირავს”<sup>25</sup>) და ღია ცის ქვეშ ანუ ტაძრის შენობების მიღ-

---

20 Councill of Florence, Bull Exsultate Deo, November 22, 1439, in: Denzinger, Compendium, para. 1315, p. 339.

21 ბესარიონი, გრდემლი, თავი 25-ე, გვ. 259.

22 ბესარიონი, გრდემლი, თავი 25-ე, გვ. 261.

23 დიდნი კურთხევანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ქელიძემ. თბ., 2002, გვ. 308.

24 ეს წესი არსებობდა დოკუმენტში Gratian's Decretum (გამოქვეყნდა 1140-იან წლებში). პირველად კანონიკურ კრებულში მოექცა 1917 წელს – იხ. ე.წ. Pio-Benedictine Code of Canon Law. დღე-ღამეში მესის მხოლოდ ერთხელ ჩატარების შესახებ შეზღუდვა იძებნება პაპის დეკრეტშიც. იხ. 905-ე კანონი 1983 წლის ლათინური კოდექსისა (New Commentary on the Code of Canon Law. Edited by John Beal, James Coriden, Thomas Green. Mahwah, NJ: Paulist Press 2000, p. 345).

25 ბესარიონი, გრდემლი, თავი 25-ე, გვ. 259.

მა (“უეკლესიოსა ადგილსა”<sup>26</sup>): ამის დასტურად ბესარიონი იმონუმებს ლაოდიკეის კრების 50-ე კანონს (“არა ჯერ არს სახლთა შინა საეროთა ქმნა ჟამისწირვისა არცა ეპისკოპოზისა მიერ, არცა ხუცესთა” (ლაოდიკეის კრება, თავი 50)).<sup>27</sup> აქ მორიგ ჯერზე ვლინდება, რომ ბესარიონი კვლავ არაზუსტად ციტირებს კანონებს, რადგან ასეთი რამ ნათქვამია არა 50-ე, არამედ 58-ე კანონში.<sup>28</sup> მაგრამ აქ მთავარი შემდეგია.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, პირველი სამი საუკუნის მანძილზე ლიტურგია რეგულარულად აღესრულებოდა როგორც ღია ცის ქვეშ (მაგ., სასაფლაოებზე), ისე კერძო სახლებში. როგორც ჩანს, ეს არ არის მნიშვნელოვანი კონტრარგუმენტი ბესარიონისთვის. 363 წელს გამართული ლაოდიკეის ადგილობრივი კრების შემდგომ, 692 წლის ტრულის კრებამ (31-ე კანონით) დაადგინა კერძო სახლებში ლიტურგიისა და ნათლობის აღსრულების მართებულობა ადგილობრივი ეპისკოპოსის ნებართვით.<sup>29</sup> რასაკვირველია, ბესარიონი ამ კანონს არ ახსენებს, რომელიც ასევე ირიცხებოდა ლათინურ კანონიკურ კრებულებში ტრიდენტის კრებამდე,<sup>30</sup> რომელმაც აკრძალა მესის ჩატარება კერძო სახლებსა და არასატაძრო ნაგებობებში.

ბესარიონის მორიგი ბრალდება ამგვარია: იგი ამტკიცებს, რომ კათოლიკე მღვდლები ერისკაცებს სხვაგვარად აზიარებენ (განსხვავებულ პურითა და ღვინით), რაც მიუღებელია ქრისტიანული ეკლესიისთვის (“მღვდელნი [ლათინნი], რომელნიცა სწირავენ მით ეზიარებიან და ერისკაცთა სხვითა სეფითა აზიარებენ და არა მით, რომლითა თვით ეზიარებიან: ხოლო სისხლსა მას არა მისცემენ, არამედ სხვასა ლიტონსა ღვინოსა, რომელი არა მიახლებულ არს ტრაპეზსა, არცა წართქმულ არს მას ზედა ლოცვა”)<sup>31</sup>. ბესარიონის აზრით, ერისკაცებს იგივე უფუარ პურსა და ღვინოს ანუ გარდასახულ სისხლსა და ხორცს როდი აძლევენ, არამედ არაშენიერულ ანუ უკურთხებულ პურსა და ღვინოს (“რამეთუ მისცემენ არა ხორცსა და მასაცა უცომოსა, და სისხლსა ყოვლადვე არა, არამედ ლიტონსა ღვინოსა”).<sup>32</sup>

26 ბესარიონი, გრდემლი, თავი 25-ე, გვ. 260.

27 ბესარიონი, გრდემლი, თავი 26, გვ. 263.

28 Милаш, Правила, Том II, с. 114.

29 Милаш, Правила, Том I, с. 513.

30 François, Wim and Violet Soen (eds.). The Council of Trent: Reform and Controversy in Europe and Beyond (1545-1700). Vol. I. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht 2016, p. 234.

31 ბესარიონი, გრდემლი, თავი 29-ე, გვ. 278.

32 ბესარიონი, გრდემლი, თავი 29-ე, გვ. 279.

ლიტურგიის ისტორიის ნებისმიერი სპეციალისტისთვის ცნობილია ამ მოსაზრების უმართებულობა, რადგან ლათინურ დასავლეთში სასულიერო პირიცა და ერისკაციც ერთიდაიგივე პურიტა და ღვინით ეზიარებოდნენ. რაც სიმართლეა, არის ის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთში ერისკაცებმა თანდათან შეწყვიტეს ზოგადად ზიარების მიღება და ეს ჯერ აღმოსავლურ საქრისტიანოში დაიწყო. მაგრამ როდესაც მონაწილეობდნენ ექარისტიის საიდუმლოში, დასავლეთში ერისკაცები მხოლოდ ექარისტიულ პურს იღებდნენ, რომელიც „ლიტონი“ პური არ იყო, როგორც ბესარიონი წერს. მათ არ სთავაზობდნენ ბარძიმს, რათა ქრისტეს სისხლად ქცეული ღვინო შემთხვევით არ დაღვრილიყო. ამიტომ, გაუგებარია ბესარიონის მოსაზრება, რომ კათოლიკეები განსხვავებულ ღვინოს აძლევდნენ ერისკაცებს. ბესარიონის დროს, კათოლიკურ დასავლეთში ერისკაცებს საერთოდ არ აძლევდნენ ღვინოს ზიარებისას. აღმოსავლეთში კი სასულიერო პირები და ერისკაცნი სხვადასხვაგვარად ეზიარებოდნენ — პირველნი ცალკე, უშუალოდ ბარძიმიდან, ხოლო მეორენი კოვზის საშუალებით.

პრაქტიკული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ერისკაცებისთვის ბარძიმის შეთავაზებისგან თავშეკავების პრაქტიკა დასავლეთში იწყება დაახლოებით მე-11 საუკუნიდან. ყველაფერთან ერთად, არც ის გარემოება უნდა იქნეს დაზინყებული, რომ ჩრდილოეთ ევროპაში ღვინის შოვნა საკმაოდ ძნელი იყო იმისათვის, რომ სისხლად გარდაქცეული ღვინის დაქცევის რაიმე შესაძლებლობა დაეშვათ სათანადო შემთხვევებში. შუა საუკუნეებში თეოლოგები ასწავლიდნენ, რომ ქრისტესთან ზიარება „სრულად და მთლიანად“ შესაძლებელი იყო ერთი სახითაც (მხოლოდ პურით ან მხოლოდ ღვინით) და ეს ეკლესიის ოფიციალურ სწავლებად დადგინდა მე-16 საუკუნეში, როდესაც პროტესტანტული რეფორმაციის წარმომადგენლებმა დაიწყეს ამ საკითხზე კამათი. ცხადია, იქვე აღინიშნებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე დოქტრინალური დაბრკოლება ერისკაცებისთვის ბარძიმის ღვინის მიცემის თვალსაზრისით, მაგრამ ამგვარი პრაქტიკა, შესაბამისი გზით, პროტესტანტიზმთან ასოცირდა. ერისკაცებისთვის ბარძიმიდან ზიარების თეორიული შესაძლებლობა ვატიკანის მეორე კრებამდე არ ყოფილა გადახედული.<sup>33</sup>

33 ექვარისტიული კულტის განვითარების შესახებ იხ.: A.G. Martimort (ed), *The Church at prayer*, Vol. II, Collegville 1986, pp. 246-249.

ამ კონტექსტში საინტერესოა ასევე ბესარიონის სხვა მოსაზრების განხილვაც, რომლის თანახმად, კათოლიკეები ჩვილებს არ აზიარებენ შეგნებულ ასაკს მიუღწევლობის გამო (“უსრულთა და უჰასაკოთა ყრმათა არა აზიარებენ და ვჰკითხოთ რაი ამის მიზეზისათვის, გუეტყვიან ვითარმედ: უსრულობისათვის ჰასაკისა ვერ გულისხმაჰყოფენ საიდუმლოსა ამის ძალსაო”)<sup>34</sup>. ქართველი ავტორი მართალია, როცა ამბობს, რომ მის დროს კათოლიკეები ჩვილებს არ აზიარებდნენ. ასეთი აკრძალვა მე-13 საუკუნიდან, კერძოდ 1215 წლის ლატერანის კრებიდან მოყოლებული არსებობდა დასავლეთში. რომის კათოლიკე ეკლესიაში ჩვილებსა და ბავშვებს არ აზიარებდნენ ზემოთ უკვე ნახსენები მიზეზის გამო — შეგნებულ ასაკს მიუღწევლობა, რადგან ისინი ვერ აცნობიერებდნენ განსხვავებას ევქარისტიაში და ჩვეულებრივ პურ-ღვინოს შორის. ამ კუთხით, ტრიდენტის კრება კატეგორიული იყო: „თუ ვინმე აცხადებს, რომ ევქარისტიაში ზიარება აუცილებელია შეგნებულ ასაკს მიუღწეველი ბავშვებისთვის, დაე, ანათემა მას“ (კანონი მე-4, სესია 21, 1545). აღნიშნული კანონის წინ ნათქვამია, რომ თუკი ადრე ამგვარ ბავშვებს აზიარებდნენ, ეს ფაქტი არ უნდა იქნეს დაგმობილი, რადგან ამისთვის შესაბამისი მიზეზები არსებობდა. მაგრამ ამგვარი რამ არ კეთდებოდა იმისთვის, რომ ეს სულის ხსნისთვის აუცილებლად მიიჩნეოდა. რომის კათოლიკე ეკლესიის მიდგომა დღესაც ასეთია.<sup>35</sup>

ლათინების წინააღმდეგ ბესარიონის სხვა ბრალდება ეხება მენსტრუალური ციკლის მქონე ქალების საკურთხეველში შემოღებას. ამის ამკრძალავ კანონად ბესარიონი ასახელებს ლაოდიკიის კრების 44-ე კანონს (“არა ჯერ არს დედაკაცისა შესლვად საკურთხეველად” (კანონი 44)<sup>36</sup>. მსგავსი რამ ნამდვილად არის ნათქვამი ხსენებულ კანონში. მაგრამ ასეთი აკრძალვები კათოლიკე ეკლესიაშიც არსებობდა, რაზეც არაფერს ამბობს ბესარიონი. კერძოდ, კათოლიკურ დასავლეთში საკურთხეველებში ქალების შესვლის აკრძალვა ძალაში იყო 1150-იანი წლებიდან 1917 წლამდე.<sup>37</sup> ზოგადად, ამ აკრძალვას ბევრი გამონაკლისი ჰქონდა,

34 ბესარიონი, გრდემლი, თავი 30, გვ. 286.

35 Martimort, Aimé-Georges (ed.). *The Church at Prayer. Vol. III: The Sacraments*. Collegville, MN: The Liturgical Press 1988, pp. 74-75.

36 ბესარიონი, გრდემლი, თავი 36-ე, გვ. 343.

37 Martin, John Hilary, Ida Raming. *A History of Women and Ordination: The Ordination of Women in Medieval Context. Two vols.* Lanham, Md; Oxford: Scarecrow Press 2002-2004, p. 134.



მაგ., საკურთხეველში ქალების შეშვება ნებადართული იყო მონაზვნებისთვის მონასტრებში, ასევე ერში მრევლის წევრი ქალებისთვის, რომლებიც ალაგებდნენ საკურთხეველს და ა.შ.<sup>38</sup>

## დასკვნის მაგიერ

განვიხილეთ რა კონკრეტული თეოლოგიური საკითხები (წინა მოხენებებში დოგმატური, ხოლო ამ მოხსენებაში არადოგმატური, რიტუალური და წეს-ჩვეულებითი საკითხები) ქართული ლიტურატიურის ისტორიაში პირველი ქართულენოვანი სისტემატური ანტიკათოლიკური ტრაქტატიდან „გრდემლი“, შეგვიძლია ზოგადი წარმოდგენა გვექონდეს თუ რა ტიპის წერილობით ძეგლთან გვაქვს საქმე. განხილული მაგალითების საფუძველზე შესაძლებელია იმის თქმა, რომ ავტორის თეოლოგიური მომზადების დონე ვერ პასუხობს მის მიერ დასახულ მიზანს. შესაბამისად, პოლემიკური ნაშრომი „გრდემლი“ შორსაა რომის კათოლიკე ეკლესიის ანგარიშგასანევი და დამაჯერებელი კრიტიკისგან. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მას არ ჰქონია მდგრადი გავლენა ხანგრძლივ პერსპექტივაში არც ქართულ საეკლესიო და საერო ხელისუფლებებზე და არც საქართველოს მოსახლეობაზე, რადგან საქართველოში კვლავ მკაფიოდ შეინიშნებოდა ქრისტიანული ევროპისკენ სწრაფვა, რის შესახებაც ვრცელი ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევა ცალკე პუბლიკაციის სახით უკვე გამოქვეყნდა.<sup>39</sup>

38 ეს საკითხი განხილულია დოკუმენტში *Matters Liturgical*, რომლის გაცნობაც შესაძლებელია შემდეგ გამოცემაში: *Matters Liturgical: The Collectio Rerum Liturgicarum of Rev. Joseph Wuest, C.S.S.R. Translated by Rev. Thomas W. Mullaney, C.S.S.R. Tenth Revised Edition. New York and Cincinnati: Frederick Pustet Company 1959, p. 246.*

39 აღნიშნული კვლევითი სტატია გამოქვეყნდა ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის (ვაშინგტონი) საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში: *Tinikashvili, David. "An Anti-Catholic Georgian Theological Treatise (18th c.) in the Context of Georgian-European Relations", Catholic Historical Review, vol. 107, No. 4, 2021, pp. 561-584.* ამ ისტორიოგრაფიული სტატიის ბევრად ვრცელი ქართულენოვანი ვერსია, კერძოდ, სამჯერ გაზრდილი ტექსტი იხ. შემდეგი პუბლიკაციით: დავით თინიკაშვილი. „ისტორიული კონტექსტი ანტიკათოლიკური დოგმატური თხზულების — 'გრდემლის' წარმოქმნისა“, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი 14, 2022 (იბეჭდება).

**The Critical Analysis of Patriarch Bessarion's Anti-Catholic treatise *The Anvil* regarding the Nondogmatic Issues**

The present paper finalizes an analysis of an extensive theological treatise *The Anvil* (in Georgian "Grdemli") written by Besarion Baratashvili-Orbelishvili, a Georgian patriarch of the eighteenth century in terms of dealing with non-dogmatic issues in the treatise. It is the only original Georgian work in the history of Georgian theological literature that criticizes the doctrine and church customs of the Roman Catholic Church. The content, arguments, style of reasoning developed by the author on this issue are analyzed and various types of errors, inaccuracies and shortcomings are identified.

## საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა საგამომცემლო საქმიანობა XIX საუკუნეში

### შესავალი

წინამდებარე კვლევის საგანია XIX ს.-ში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა საგამომცემლო საქმიანობა, კერძოდ კი, მათ მიერ დაარსებული სტამბები და იქ გამოცემული წიგნები. როგორც ცნობილია, XIX ს.-ის II ნახევრის სტამბულში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალციხელი კათოლიკე ბერი პეტრე ხარისჭირაშვილი (1804-1892 წწ.). პეტრე ხარისჭირაშვილის საგამომცემლო მოღვაწეობა მოიცავს შემდეგ აქტივობებს: თავდაპირველად, 1856 წელს იგი შეუერთდა სომეხ მხითარისტთა ძმობას და 1858-59 წლებში დაბეჭდა რამდენიმე ქართული წიგნი, 1870 წელს სტამბოლში (ფერიქოიში) დააფუძნა ქართული სტამბა და 1875-82 წლებში გამოსცა შედარებით მეტი რაოდენობის წიგნი, ხოლო 1874 წელს – საფრანგეთში, მონტობანში (ეგალიტეს ქუჩაზე) 1877-79 წლებში კიდევ რამდენიმე გამოცემა მომზადდა და დაიბეჭდა. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, შევეცდებით ვრცლად შევეხოთ იმ კვლევებს, რომელიც მიემართება ქართველი კათოლიკეების მოღვაწეობას საზღვარგარეთის ზემოაღნიშნულ სტამბებში, რათა მეტი სისრულით წარმოვიდგინოთ მათი საგამომცემლო საქმიანობის მასშტაბები; ამისათვის შევეცდებით შევეხოთ ჯერ საკითხის კვლევის არსებულ ვითარებას, ხოლო შემდეგ გადავალთ როგორც მის მიერ დაარსებულ სტამბებზე, ისე იქ გამოცემულ წიგნებზე და სხვ. კვლევა ეფუძნება შედარებით მეთოდოლოგიას და მოიცავს საკითხის ირგვლივ არსებული როგორც ძველი, ისე ახალი კვლევების შეფასებას, იქ გამოთქმულ მიგნებებსა და განახლებულ სტატისტიკურ მონაცემებს.

#### 1. საკითხის კვლევის საერთო ვითარება

საკითხის შესწავლის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ქართველი კათოლიკეების ისტორია, მისი როლი ქართული კულტურისა და ეროვნულობის შენარჩუნების საქმეში საგულდა-

გულოდ არის შესწავლილი, თუმცა ცალკეულ საკითხთა შესახებ შეინიშნება კვლევების დეფიციტი. XIX ს.-ის II ნახევრის და XX ს.-ის დასაწყისის ქართულ პრესაში არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა და წერილი ქვეყნდებოდა ქართველ კათოლიკეთა შესახებ, ან თავად ქართველი კათოლიკეების მიერ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია „ივერიამი“, „დროებაში“, „ცნობის ფურცელში“, „შინაურ საქმეებში“ გამოქვეყნებული სტატიები: „სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შესახებ“ (მიხა კ-ლია, 1911: 3-4) და „სტამბოლის ქართველთა მონასტერი“ (წერეთელი, 1913: 14); ქართულ პუბლიცისტიკაში კარგადაა ცნობილი ივანე გვარამაძე, რომელიც „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა. ქართული პრესის მეშვეობით გაეცნო ქართველ მკითხველს კიდევ ერთი კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველი კათოლიკე იასე რაჭველი, იგივე „მეხუზლა“. ასევე წარუშლელი კვალი დატოვა მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტურმა ნაშრომმა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (თამარაშვილი, 1902).

არსებობს კვლევები ქართველ კათოლიკეთა მიერ საზღვარგარეთ დაარსებული სტამბებისა, თუ იქ გამოცემული წიგნების შესახებ, თუმცა ცალკეული სახელმძღვანელო ლიტერატურა დღემდე თითქმის შეუსწავლელია. გამონაკლისის სახით არსებობს მხოლოდ რამდენიმე წიგნის ირგვლივ არსებული კვლევები. ძველი ნაშრომებიდან უნდა დავასახელოთ „ქართული სტამბის წიგნი: სტატისტიკურ-ისტორიული ნარკვევი“ (რაჭველიშვილი, 1934), რომელიც მხოლოდ მცირე ადგილს უთმობს საზღვარგარეთ არსებულ სტამბებს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს ზ. ჭიჭინაძის წიგნები: „აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი“ (1895), „ქართველ კათოლიკეთა სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები“ (1912) და „ნიკოლოზ ბესარიონის ძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ.“ (1916). ასევე საყურადღებოა მისი სტატია „ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი პატრი იოსებ ნალდაძე“ (1898: 3-4).

ისტორიული სინამდვილე ასევე მოითხოვს ითქვას, რომ „XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართველ კათოლიკეთა თემას ტაბუჰჰქონდა დადებული. ფართო მასებისათვის „ქართველი კათოლიკის“ ცნება გაუგებარი რჩებოდა, ხშირად ვილადის ან რალადის გამო გვერდს უვლიდნენ ამ თემას, ზოგჯერ კი ხდებოდა ფაქტების გაყალბებაც“ (პარმაქსიზიშვილი, 2008: 10). თუმცა აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან შეიქმნა არაერთი ფუნდამენტური კვლევა პროფ. შ. ლომსაძის ავტორობით ქართველ კათოლიკეთა თემატიკაზე: „მიხეილ თამარაშვილი“ (1964), „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორი-

იდან“ (1979), „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“ (1984), „მესხები“ (1997).

კვლევები კვლავ განახლდა მოგვიანო პერიოდში, მაგალითად, პროფ. შუშანა ფუტყარაძის ხელმძღვანელობით 2001 წლის ნოემბრიდან დაიწყო სტამბულის ქართველთა მონასტერთან არსებული წიგნთსაცავის, ბიბლიოთეკის, საარქივო მასალებისა და სამუზეუმო ექსპონატების შესწავლა. აღწერილია ხუთ ოთახში განთავსებული ლიტერატურა, კერძოდ, ქართულ, თურქულ, არაბულ, სომხურ, ბერძნულ, ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ინგლისურ, პოლონურ, ბულგარულ, ჩეხურ, ოსმალურ, უნგრულ ენებზე დანერილი წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. დღესდღეობით მის არქივში 1523 წლიდან 1980 წლამდე დათარიღებული უამრავ ენაზე დანერილი ჩვენთვის ცნობილი თუ სრულიად უცნობი წიგნი, ჟურნალი და გაზეთი ინახება. ეს არის როგორც საერო, ისე სასულიერო ლიტერატურა დაბეჭდილი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში. უმეტესობა აქ დაცულია იმდენად, რამდენადაც შეხებაშია საქართველოს ისტორიისა და კულტურის ამა თუ იმ პერიოდთან. აღწერილია 81 000 საბიბლიოთეკო ერთეული (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი). აქვეა შენახული ქართულ კათოლიკეთა სტამბაში დაბეჭდილი ქართულენოვანი (ერთენოვანი, ასევე ორენოვანი სასწავლო წიგნები) ლიტერატურა. სტამბულის ქართული მონასტრის წიგნთსაცავის კატალოგიზაცია განხორციელდა 2005 წელს (სტამბულის ქართული მონასტრის წიგნთსაცავის კატალოგიზაცია, 2005). 2017 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოიცა 1032-გვერდიანი კვლევა „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, პირველი წიგნი (ფუტყარაძე, მაღაყმაძე და ლომთათიძე, 2017), ხოლო 2020 წელს – „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ 700-გვერდიანი მეორე ტომი (მაღაყმაძე და სხვ., 2020).

პეტრე ხარისჭირაშვილის საქმიანობასა და მის მიერ დაფუძნებულ სტამბებს ვრცლად ეხება სტატიები: „ქართველი კათოლიკეები საზღვარგარეთ (XIX საუკუნის II ნახევარი)“ (ჯავახიშვილი, 2013: 86-123), ასევე „მესხეთის ქართველი კათოლიკეები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (პროსოპოგრაფიული კვლევა)“ (ჯავახიშვილი, 2016: 7-14), აგრეთვე მნიშვნელოვანი კვლევა არსებობს საფრანგეთში, კერძოდ, მონტობანში ქართველ კათოლიკეთა საქმიანობაზე სახელწოდებით „მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე“ (ჯავახიშვილი, 2009), ცალკე უნდა აღინიშნოს სტატიაც „ქართული კულტურისა და განათლების კერა მონტობანში (ახალი მასალები)“ (ნიკოლეიშვილი, 2015).

რაც შეეხება საზღვარგარეთ XIX ს.-ში ქართველ კათოლიკეთა მიერ გამოცემულ ქართულ სასწავლო სახელმძღვანელოებს,

ამ მხრივ, არ მოგვეპოვება ბევრი ნაშრომი. კვლევების შემდგომი განახლება უკავშირდება პროფ. გ. შერვაშიძის სახელს, რომელმაც 1996 წელს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ბიბლიოთეკაში კატალოგის შედგენისას ყურადღება მიაქცია იქ გამოცემულ ისეთ წიგნებს, როგორცაა „მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმანვილ-კაცისა“ (მოკლე რეტორიკა, 1879) და „მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეივავს ფსიხოლოლიას, ლოლიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას“ (მოკლე ფილოსოფია, 1880). მან გამოსცა მონოგრაფია, რომელშიც კვლევასთან ერთად ხელმეორედ დაიბეჭდა „მოკლე ფილოსოფიის“ ციფრული ასლი (შერვაშიძე, 1998).

ქართველ კათოლიკეთა მიერ საზღვარგარეთ დაარსებულ სტამბებში გამოცემულ წიგნებთან დაკავშირებულ ცალკეულ კვლევას რაც შეეხება, მაგალითად, გვხვდება ერთი სტატია საფრანგეთში, მონთობანის სტამბაში 1877 წელს გამოცემული „მოკლე ქართული გრამატიკის“ სახელმძღვანელოს თაობაზე (ჩხუბიანაშვილი, 1966: 181-213) და ერთი წიგნი „მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის: პეტრე ხარისჭირაშვილის წიგნის „მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის“ ანალიზი“ (კურტანიძე, 2008); კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) სტამბაში 1879 წელს დაბეჭდილი „მოკლე რეტორიკის“ შესახებ მოიპოვება რამდენიმე კვლევა: ერთია 2011 წლის სტატია „უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭერმეტყველება“ – სტილისტიკის საკითხები“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2011: 114-119) და მეორე 2021 წლის სტატია „რიტორიკის პირველი ნაბეჭდი ქართულენოვანი სახელმძღვანელო „მოკლე რეტორიკა“ (კენჭიაშვილი, 2021: 162-176), ასევე ნაწილობრივ ეხება ამავე წიგნს 2020 წლის პუბლიკაციაც „რიტორიკის თეორია და პრაქტიკა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მიხედვით“ (კენჭიაშვილი, 2020: 122-145); კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) სტამბაში 1880 წელს გამოცემული „მოკლე ფილოსოფიის“ სახელმძღვანელოს ეძღვნება გ. შერვაშიძის ზემოთ ხსენებული ფუნდამენტური ნაშრომი „საინტერესო ფურცლები ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან“ (1998) და ასევე ერთი სტატია „კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში აღმოჩენილ სახელმძღვანელოთა გამო“ (პარმაქსიზიშვილი, 2008: 10-12) და ა.შ.

## 2. აბატ პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული სტამბების შესახებ

ჩვენი ინტერესის საგანია ის სტამბები, რომლებიც დაარსა აბატ-მა პეტრე ხარისჭირაშვილმა საზღვარგარეთ მოღვაწეობისას. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, 1842 წელს ის ახალციხეში აკურთხეს მღვდლად, 50-იანი წლებიდან ხიზაბავრაში გადაიყვანეს, ხოლო 1856 წელს საზღვარგარეთ წავიდა, კერძოდ, იტალიაში, ვენეციაში, წმ. ლაზარეს კუნძულზე, სადაც შეუერთდა სომეხ მხითარისტთა ძმობას. ჩვენთვის ცნობილია, რომ 1858-1859 წლებში მისი თაოსნობით ვენეციაში ქართულ ენაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული და თეოლოგიური წიგნი გამოიცა.

მალე პეტრე ხარისჭირაშვილმა 1859 წლის 7 მაისს წმინდა ტაბტიცისაგან მიიღო ნებართვა სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის თაობაზე – ქართული ენითა და ტიპიკონით. 1861 წელს სტამბოლის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში, ფერიქოიში (ქართ. „ანგელოზთა სოფელი“) მან ქართველ კათოლიკეთა სავანე, სტამბოლის ღვთისმშობლის ეკლესია, ნოტრდამ დე ლურდი დააფუძნა, 1870 წელს კი – ქართული სტამბა, მამათა და დედათა მონასტრები, ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები (ლომსაძე, 1984: 152-155). მარტო 1875-82 წლებში სტამბაში დაიბეჭდა და საქართველოში გავრცელდა 25-მდე დასახელების სხვადასხვა წიგნი, ძირითადად კი სასწავლო სახელმძღვანელოები და ლექსიკონები. სტამბოლის ქართული მონასტრის სტამბა გამოირჩეოდა აქტიური საგამომცემლო საქმიანობით თავისი არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში, 1870 წლიდან 1940 წლამდე (სტამბულის ქართული მონასტრის წიგნთსაცავის კატალოგიზაცია, 2005).

პეტრე ხარისჭირაშვილის შემდგომი აქტივობა უკავშირდება 1874 წელს საფრანგეთში, მონტობანში (ეგალიტეს ქუჩა) კიდევ ერთი კულტურული კერის დაარსებას. ქართველ კათოლიკეთა ძირითადი საქმიანობა მონტობანში გახლდათ სახელმძღვანელო ლიტერატურის ბეჭდვა. სავანე აგრეთვე განკუთვნილი იყო იმ ქართველი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც საფრანგეთში ჩადიოდნენ სასულიერო განათლების მისაღებად და ცოდნის გასაღრმავებლად. 1880 წელს მონტობანის ქართული სავანე საფრანგეთის სამინისტრო ბრძანებით დაიხურა, თუმცა როგორც წყაროებიდან ირკვევა, 1896 წელს იყო მისი აღდგენის მცდელობა, თუმცა უშედეგოდ, ხოლო 1901 წელს ამ ადგილმა საბოლოოდ შეწყვიტა ფუნქციონირება (ნიკოლეიშვილი, 2015).

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩვენ მოგვეპოვება დ. კარიჭაშვილის ნაშრომი „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია: მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე“, რომელშიც გამოკვლეულია 1629-1817 წწ-ში რომში, რუსეთსა და საქართველოში გამოცემული პირველი ნაბეჭდი წიგნები (კარიჭაშვილი, 1929). გარდა ამისა, უნდა დავასახელოთ ზ. ჭიჭინაძე, როგორც არაერთი წიგნის ავტორი და შემდგენელი, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი და პოპულარიზატორი, რომლის მრავალრიცხოვან ნაშრომებს შორის აღსანიშნავია „აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი“ (ჭიჭინაძე, 1895) და „ნიკოლოზ ბესარიონის ძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ.“ (ჭიჭინაძე, 1916). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დ. კარიჭაშვილის შეფასებით: „ზ. ჭიჭინაძის ნაშრომი ამ სფეროში ატარებს საერთო ხასიათს ჭიჭინაძის დაუცხრომელის, მაგრამ უსისტემო და უმეთოდო შრომისას. ის აუარებელი ცნობები, რომელნიც ზ. ჭიჭინაძეს აქვს მოყვანილი წიგნების ბეჭდვის შესახებ, დაუსაბუთებლები და წყაროუჩვენებლები, ჰკარგავენ ყოველსავე ღირსებას ისტორიკოსისათვის. მის შრომის ღირსებას აფოლღებენ ხშირი ცხადი შეცდომები, წარმომდგარნი ამისთანა შრომისათვის შესაფერი მომზადების და საზოგადო ცოდნის უქონლობით“ (კარიჭაშვილი, 1929: 4-5). მიუხედავად ამგვარი არასამეცნიერო ხასიათის შრომებისა, მიზანშეწონილად ვთვლით, მაინც აღვნიშნოთ და მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობა, რომელსაც ზ. ჭიჭინაძე გვანვდის საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა საგამომცემლო საქმიანობის შესახებ: „1850 წ. ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში, სადაც არსებობდა სომეხ-კათოლიკეთა მხითარისტების სტამბა, იქვე პეტრე ხარისჭირაშვილის მეოხებით ჩამოსხმულ იქმნა ქართული ასოების ახალი ყალიბები, მით ახალი ასოები და იმავე დროს წიგნების გამოცემაც იწყეს. შემდეგ ეს ასოები იქიდამ პ. ხარისჭირაშვილმა კონსტანტინეპოლს გადმოიტანა, თავისაგან აღშენებულს მონასტრის ზღუდეთა შორის ერთს სახლში მოათავსა 1970 წ. ეს სტამბა დღევანდლამდე არსებობს. კონსტანტინეპოლის შემდეგ პ. ხარისჭირაშვილის მეთაურობით ახალი ქართული სტამბა მონთობანშიაც მოთავსდა (ფრანცია), სადაც ქართველ კათოლიკეთ ბერების მეოხებით რამდენიმე ქართული წიგნებიც გამოიცვენ“ (1900: 53).

ზ. ჭიჭინაძე წერს კონსტანტინეპოლის სტამბის, იქ მოღვაწე პირებისა თუ გამოცემული ქართულენოვანი წიგნების შესახებ: „1860 წლებს შემდეგ, პ. ხარისჭირაშვილი მხითარისტებს განშორდა, კონსტანტინეპოლს გადასახლდა და განიძრახა აქ ქართული სტამბის გახსნა, მასთან ქართული ძმობის დაარსება, ქართველ კათოლიკეთათვის მონასტრის გახსნა როგორც კაცების, ისე ქალების, მასთან-



ვე სკოლის გახსნა და სხვაც ბევრი ასეთ საქმენი, აქვე გახსნა მან ქართული სტამბა 1872 წ. მას შემდეგ, კონსტანტინეპოლს დაბეჭდეს მრავლად ქართული წიგნები“ (1916: 162-163). იქ მოღვაწე პირებს შორის, ზ. ჭიჭინაძე, უპირველეს ყოვლისა, ასახელებს პეტრე ხარის-ჭირაშვილს.

კიდევ ერთ წიგნში ზ. ჭიჭინაძე მოიხსენიებს საგამომცემლო საქმიანობაში ჩართულ სხვა პირებსაც: „პეტრე ხარისჭირაშვილმა ევროპაში გადასახლების შემდეგ იტალიაში, ფრანციაში და ოსმალეთში დაარსებულ ქართულ სტამბებში დაბეჭდა შემდეგი წიგნები, ზოგი თავის ნაშრომი და ზოგიც სხვების, კათოლიკეთ მოძღვრის ივანე გვარამაძის და ივანე მამულაშვილის“ (1895: 66) და მოჰყავს მათ მიერ გამოცემული წიგნების ქრონოლოგიური სიაც, რომელიც შეიცავს 25 წიგნის შესახებ როგორც სრულ, ისე არასრულ საგამომცემლო მონაცემებს<sup>1</sup>. მიუხედავად მისი ცნობების არასისტემული ხასიათისა, ზ. ჭიჭინაძის მიერ წარმოდგენილი სია მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს იმ წიგნების შესახებ, რომელიც საზღვარგარეთის 3 სტამბაში (ვენეციის, სტამბოლისა და მონტობანის სტამბებში) ქვეყნდებოდა პეტრე ხარისჭირაშვილის თაოსნობით (ჭიჭინაძე, 1895: 66-71). ზ. ჭიჭინაძის მიერ მოყვანილი სიიდან ირკვევა, რომ 25 დასახელების გამოცემიდან, 4 ეკუთვნის ვენეციის წმ. ლაზარეს მონასტრის სტამბას, 14 – კონსტანტინოპოლის ანტუან გვიზალიანის სტამბას, ხოლო 7 – მონტობანის ენრიკო ჭაბრის სტამბას.

ზ. ჭიჭინაძე წერს: „ბევრიც სხვა საჭირო დაუბეჭდავი ხელთაწერები დარჩა: ქიმიის სახელმძღვანელო, ფიზიკის, არითმეტიკის, გეომეტრიის, საქართველოს ისტორია და ის ფრანგულ-ნემეცურ-ქართული ლექსიკონი, რომლის შედგენაზე ზ. ვაზიანელიც იწერებოდა. აქ ხსენებულ სახელმძღვანელოების გარდა პ. ხარისჭირაშვილს სხვა ბევრი წერილები და წიგნები დაშთენია დაუბეჭდავნი“ (ჭიჭინაძე, 1895: 71). მართლაც, 1883 წელს პ. ხარისჭირაშვილმა წიგნების ბეჭდვა შეაჩერა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ იყო დაგროვებული გამოსაცემად მომზადებული ხელნაწერები. ამის ერთ-ერთ მიზეზად ზ. ჭიჭინაძე ენის სისუსტეს მიიჩნევს. მას მოჰყავს სიტყვები ა. ნასყიდაშვილის პირადი წერილიდან: „ჩვენ წიგნების ბეჭდვა მიტომ შევაჩერეთ, რადგანაც საქართველოში ენის სტილი დაგვიწუნესო“.

ზ. ჭიჭინაძის მიერ მოყვანილი 25 წიგნიდან 4 დასახელების წიგნი გამოიცა იტალიაში, ვენეციაში („ვენეტიკში“) წმ. ლაზარეს

1 ზოგიერთი წიგნის შესახებ ზ. ჭიჭინაძე არ უთითებს გამოცემის ან ადგილს, ან წელს, ან რომელიმე მნიშვნელოვან საგამომცემლო ინფორმაციას.

მონასტრის სტამბაში. ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ 3 წიგნი: „ისტორია გინა მოთხრობა ძველისა და ახლის ახ-თქმისა შემოკლებული უფლისა იოვანე არხიმანდრიტი ზუჰრაბი-ანისა მიერ კოსტანდინეპოლელისა, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ხმასა ზედა“ (ისტორია, 1858), „წმიდანების ცხოვრება აღმორჩევით შემოკრებილი უფალი ლუკა არხიმანდრიტისაგან ინ-ჯიჯიანისა, მონაზონებრივის რიგისაგან. მხითარიანთი, თარგმნი-ლი და გადმოცემული ქართულ ხმასა ზედა“ (წმიდათა ცხოვრება, 1859), „იგავნი იეზებოს ფილოსოფოზისანი თარგმნილი და გამო-ცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა. განყო-ფილი ორს ტომად<sup>2</sup>“ (იგავნი იეზებოს ფილოსოფოზისანი, 1859), დაბოლოს გეოგრაფია, რომელიც არ მოიპოვება საქართველოში არსებულ არცერთ ბიბლიოთეკაში, თუმცა არის საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდში (ასათიანი, ქავთარია, ჩიტუნაშვილი (რედ.), 2018).

პირველ სამ წიგნს ახსენებს ს. როსეტო თავის სტატიაში სა-ხელწოდებით „ვენეციის სომხურ სტამბაში გამოცემული რამდე-ნიმე ქართული წიგნის შესახებ“ (როსეტო, 2001: 160-163). მისი დაკვირვებით, პადუას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სომხურე-ნოვან წიგნებთან ერთად, ინახება შემდეგი ქართული წიგნებიც: „ისტორია გინა მოთხრობა“, „წმიდანების ცხოვრება“ და „იგავნი იეზებოს ფილოსოფოზისანი“. სამივე წიგნი არის სასულიერო ხა-სიათის. მისი აზრით, მესამე წიგნი შეიძლება ჩაითვალოს აგიოგრა-ფიული თემატიკის ლიტერატურის ლოგიკურ გაგრძელებად. ესაა იოსების ზღაპრები, რომელიც, როგორც სათაური გვიჩვენებს, წარმოდგენილია ფილოსოფიურ ჭრილში (როსეტო, 2001: 162). პადუაში ვენეციის სომხური სტამბის მიერ დაბეჭდილი წიგნების არსებობა აიხსნება იმით, რომ სტამბას ევალებოდა საუნივერ-სიტეტო ბიბლიოთეკისათვის გაეგზავნა დაბეჭდილი წიგნები. ეს წესი შემოიღეს 1629 წელს ვენეციის რესპუბლიკაში. 1631 წლის 1 მარტს რეფორმატორებმა ფრანჩესკო მოროზინიმ, ჯიროლამო კორნერმა და დომენიკო მოლინომ გადაწყვიტეს, რომ ქალაქ ვენე-ციის გამომცემლებს, წიგნის შემქმნელებსა და ა.შ. უნდა გამოეგ-ზავნათ პადუას სახალხო წიგნსაცავში ყველა იმ წიგნის თითო ეგზემპლარი, რომელსაც მოამზადებდნენ და დაბეჭდავდნენ. ამ დროიდან მოყოლებული, ეს წესი შენარჩუნებული იყო დიდხნის

2 შენიშვნა: წიგნში სულ 95 იგავია მოთავსებული. იგი ლათინურიდან უნდა ყოფილიყო თარგმნილი. როგორც პირველი წიგნიდან ირკვევა, განზრახული ყოფილა ამ იგავების გამოცემა ორ ტომად. მეორე ტომი არაა მიკვლეული, შესაძლოა არც დაბეჭდილა (ჯავახიშვილი, 2013: 97).

განმავლობაში. ამგვარად, პადუას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სომხურენოვან წიგნებთან ერთად სამი ქართული წიგნიც მოხვდა, თუმცა კატალოგისტმა ქართული ტექსტები სომხურთან გააიგივა (როსეტო, 2001: 161).

ზ. ჭიჭინაძის მიერ მოყვანილი 25 წიგნიდან 14 დასახელების გამოცემა არის დაბეჭდილი კონსტანტინოპოლში, ანტუან გვიზალიანის სტამბაში. პირველი პუბლიკაცია, რომელიც კონსტანტინოპოლში გამოიცა, არის 1875 წლის „თამარ მეფის სურათი“, რომელიც ფერადი საღებავებით დაიბეჭდა და ერთვის წარწერები ოთხ ენაზე: ქართულად, ოსმალურად, ფრანგულად და სომხურად. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ეს სურათი სტამბოლში რამდენიმე ათასი გაყიდულა ერთ კვირაში (1895: 70); ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილია კონსტანტინეპოლის სტამბაში გამოცემული შემდეგი წიგნები: „წინამძღვარი ზეცისა გინა ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი“ (წინამძღვარი ზეცისა, 1876); „პატარა საქრისტიანო მოძღვრება ქართული ანბანითურთ საქართველოს რომის კათოლიკე გლახაკთ ყრმათათვის მუქთად დასარიგებლად“ (პატარა საქრისტიანო მოძღვრება, 1876); „პატარა საქრისტიანო მოძღვრება“ ქართული ანბანით დაწერილი ყრმათათვის, საქართველოს რომის კათოლიკე ბავშვთათვის, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, დაიბეჭდა 10,000 ათასი და დარიგდა უფასოდ ხალხში (1895: 70); „თანსატარებელი ლოცვის წიგნი: რომელი იპყრობს თვის შორის საყოველღეივო და სხვა და სხვა შვენიერს ლოცვებსა: საქართველოს რომის კათოლიკეთათვის“ (თანსატარებელი ლოცვის წიგნი, 1877); „ნალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცავს თვის შორის სხვა და სხვა რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა: ქართული ენის მოუბართა რომის კათოლიკეთათვის“ (ნალკოტი ლოცვათა, 1877); „საქრისტიანო მოძღვრება: საქართველოს რომის კათოლიკე ყრმათათვის“ (საქრისტიანო მოძღვრება, 1877); „ბრძენი კაცი ანუ რომელიმე ძველი ძილოსოძიონის მიერ გამოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა და ზნეობასა ზედა ბედნიერად გატარებისათვის ცხოვრებისა ქვეყანასა ზედა“ (ბრძენი კაცი, 1878); „გზა ცხოვრებისა გინა განზრახვანი, საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა, სახმარნი მღვდელთათვის საქადაგებლად და ერის კაცთათვის საკითხავად და ფიქრის ლოცვის შესასრულებლად შედგენილი მქადაგებლის ალფონს ლიუგორისაგან“ (ლიგორი, 1878); „გვირგვინი წამებულთა წმიდა ესტატი ანუ ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმიდისა ესტატისა“ გალექსილი მღ. იოანე გვარამაძის მიერ (გვირგვინი წამებულთა, 1879); „ყვავილების კონა გინა რჩეული

ლექსები: სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმანვილ კაცთა“ დალექსილი სხვა და სხვა დროს უფალი მღვდლის იოანე გვარამაძის<sup>3</sup> მიერ (ყვავილების კონა, 1878); „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმანვილ კაცთა“ (მოკლე რეტორიკა, 1879), „მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება რომელი შეიცვამს თავისში ფსიხოლოლიას, ლოლიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას (თეოდისე) და ზნეობას (მორალ) მაღალს სწავლაში შესასვლელ ყმანვილ კაცთათვის“ (მოკლე ფილოსოფია, 1880). როგორც საგამომცემლო მონაცემებიდან ირკვევა, ყველა წიგნი დაბეჭდილია კონსტანტინეპოლის სტამბაში, ხოლო ბოლო ორი წიგნი ამჟღავნებს ერთმანეთთან მსგავსებას, როგორც სათაურებით, ისე შედგენილობით. რაც შეეხება „მზა პასუხს“, ჩვენ მოგვეპოვება 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი პუბლიკაცია (გვარამაძე, 1880ა: 1; 1880ბ: 1-2). აქვე აღსანიშნავია, რომ ზ. ჭიჭინაძესთან არაა დასახელებული კიდეც არაერთი წიგნი, რომელიც კონსტანტინოპოლისა და მონთობანის სტამბებში იბეჭდებოდა, მაგალითად, მხედველობის მიღმა დარჩენილი „კარი ლათინური გრამმატიკისა“ (კარი ლათინური გრამმატიკისა, 1882).

ზ. ჭიჭინაძის მიერ მოყვანილი 25 წიგნიდან 7 დასახელების გამოცემა არის დაბეჭდილი საფრანგეთში მონტობანის („მონთობანი“) ენრიკო ჭაბრის სტამბაში. მათ შორის ცნობილია 1877-1880 წლებში გამოცემული სულ 5 წიგნი: „სიბრძნე კაცობრივი. რომელი ასწავლის კაცს ჭკვას რიგიან ხმარებასა, სრულ კაცს გახდის, და მისწევს სიმდიდრესა, შემკობილი ცხოველი მაგალითებით ძილოსოქოსების სიტყვებითა“ (სიბრძნე კაცობრივი, 1877), „მოკლე ქართული გრამატიკა: დამატებით გრამატიკული და ლოლიკური ანალიზებისა, ახლად შედგენილი სასოფლო სკოლების ყრმათათვის“ (მოკლე ქართული გრამატიკა, 1877), „მოკლე საყოვლიერო ისტორია ძველთა და ახლთა ნათესავთა რომელი მოსთხრობს უმთავრესთა საქმეთა მოხდენილთა მრთელს კაცობრიობასა შინა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე განყოფილი ექვს ნაწილად“ (მოკლე საყოვლიერო ისტორია, 1877), „მოკლე გეოგრაფია ფიზიკური, სამოქალაქო და ისტორიული, თანვე დამატებით ძველი დროების გეოგრაფიისა (მოკლე გეოგრაფია, 1877), „მოკლე ხელ-სამძღვანი: ფრანგული ენის სწავლისათვის ანუ ფრანგულ-ქართული მეტოდური ლექსიკონი, და სხვა და სხვა საგნებზედ საჭირო უბნობანი“ (მოკლე ხელ-სამძღვანი, 1880).

3 წიგნში აღნიშნულია ინიციალებით: მ. ი. მ. გ.

ქრ. რაჭველიშვილი თავის წიგნში „ქართული სტამბის წიგნი: სტატისტიკურ-ისტორიული ნარკვევი“ გვანდის მნიშვნელოვან სტატისტიკურ ინფორმაციას, რომ შედარებით მრავლად იბეჭდებოდა ქართული წიგნები მაშინდელ საზღვარგარეთულ ქართულ სტამბებში, მათ შორის, ვენეციაში (ვენეტიკში) პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ 1855 წელს გახსნილ სტამბაში, შემდეგ – 1860 წელს კონსტანტინეპოლში, სადაც დაახლოებით 10-12 დასახელების წიგნი დაუბეჭდავს, დაბოლოს სტამბა დაუარსებია აგრეთვე საფრანგეთში, მონთობანში. ყველა ამ სტამბაში იბეჭდებოდა ქართული წიგნები. საგამომცემლო საქმიანობა გაგრძელებულა დაახლოებით 1880-იანი წლების დამდეგამდე. მონთობანის სტამბის მესვეურებს მიზნად ჰქონიათ დასახული ქართული სკოლებისთვის სახელმძღვანელოების შედგენა-თარგმნა და ბეჭდვა (რაჭველიშვილი, 1934: 55-56). 1879 წელს კონსტანტინეპოლიდან მოსული წიგნების ნუსხაში ჩამოთვლილია ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც საზღვარგარეთ იბეჭდებოდა და შემდეგ იგზავნებოდა საქართველოში. აქვე ქრ. რაჭველიშვილს მოჰყავს 15 დასახელების წიგნისგან შემდგარი სიაც: მსოფლიო ისტორია, ქართული გრამატიკა, გეოგრაფია, სიბრძნე კაცობრივი, ქართული რეტორიკა, ფილოსოფია ანუ რეტორიკა, ბრძენი კაცი, რჩეული ლექსები, თანსატარებელი ლოცვის წიგნი, წალკოტი – ლოცვანი, სახელმძღვანელო ფრანციული ენის შესწავლისათვის, ფრანციულ-ქართული გრამატიკა, წმინდანების ცხოვრება, ეზოპის იგავნი და საქრისტიანო მოძღვრება (რაჭველიშვილი, 1934: 55-56). ნაბეჭდი წიგნები შემოდის საქართველოში საცენზურო კომიტეტის დასტურით. საქართველოში სულ გამოუგზავნიათ 2452 ცალი ზემოჩამოთვლილი წიგნი (რაჭველიშვილი, 1934: 56). როგორც წიგნების ჩამონათვალიდან ირკვევა, სტამბის მიერ გამოცემული წიგნების უმრავლესობა სასწავლო ხასიათს ატარებს.

შედარებით თანამედროვე კვლევებიდან აღსანიშნავია 2017 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული 1032-გვერდიანი კვლევა „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, პირველი წიგნი (ფუტკარაძე, მალაყმაძე და ლომთათიძე, 2017) და 2020 წელს – „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ 700-გვერდიანი მეორე ტომი (მალაყმაძე და სხვ., 2020). პირველ წიგნში საკმაო სისრულითაა მოყვანილი საზღვარგარეთის სამ სტამბაში – ვენეციის, სტამბოლისა და მონტობანის სტამბებში – გამოქვეყნებული წიგნების სია, რომელიც გაცილებით სრული სახითაა გამოვლენილი, ვიდრე ეს ჰქონდა მოყვანილი ზ. ჭიჭინაძეს და გარდა ამისა, დაზუსტებულია ეგზემპლარების რაოდენობაც (ფუტკა-

რადე, მაღაყმაძე და ლომთათიძე, 2017: 961-964). ამ წყაროს მიხედვით, პეტრე ხარისჭირაშვილის თაოსნობითა და მისივე სიცოცხლეში სულ დაიბეჭდა 40 დასახელების გამოცემა, მხოლოდ კონსტანტინოპოლის ანტიუნ გვიზალიანის სტამბაში გამოიცა 25 დასახელების ნიგნი, მონთობანის ენრიკო ფაბრის სტამბაში – 10 ნიგნი, ხოლო ვენეციის წმინდა ლაზარეს მონასტრის სტამბაში – 5 ნიგნი.

კონსტანტინოპოლის ანტიუნ გვიზალიანის სტამბაში დაბეჭდილი ნიგნებიდან ზ. ჭიჭინაძის მიხედვით ცნობილი იყო სულ თოთხმეტი დასახელების გამოცემა, ხოლო შ. ფუტყარაძის, რ. მაღაყმაძისა და თ. ლომთათიძის კვლევის შედეგად გამოვლინდა კიდევ არაერთი ნიგნი, მაგალითად, „დოლმატიკური ღვთის მეტყველება, შედგენილი იაკობ პეროქი მაქსულიენსის ეპისკოპოზისაგან მონაფეთათვის ჩინეთის სუნთქვენისის მაზრაში მყოფი სემენარიისა თვისისათვის. გამოქვეყნებული ჰრომში 1822 და დასტამბული ლათინურად პარეუში, 1861, რომლისაგან ან ქართულად ითარგმნა და დაისტამბა“ (დოლმატიკური ღვთის მეტყველება, 1883).

ვენეციის წმინდა ლაზარეს მონასტრის სტამბაში გამოცემული ნიგნებიდან ზ. ჭიჭინაძის მიხედვით ცნობილი იყო სულ ოთხი ნიგნი: „ისტორია გინა მოთხრობა ძველისა და ახლის ახთქმისა შემოკლებული უფლისა იოვანე არხიმანდრიტი ზუჰრაბიანისა მიერ კოსტანდინეპოლელისა, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ხმასა ზედა“ (ისტორია, 1858); „წმიდანების ცხოვრება აღმორჩევით შემოკრებილი უფალი ლუკა არხიმანდრიტისაგან ინჯიჯიანისა, მონაზონებრივის რიგისაგან. მხითარიათი, თარგმნილი და გადმოცემული ქართულ ხმასა ზედა“ (წმიდათა ცხოვრება, 1859); „იგავნი იეზუბოს ფილოსოფოზისანი თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა. განყოფილი ორს ტომად“<sup>4</sup> (იგავნი იეზუბოს ფილოსოფოზისანი, 1859), დაბოლოს გეოგრაფია, რომელიც არ მოიპოვება საქართველოში არსებულ არცერთ ბიბლიოთეკაში, თუმცა არის საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდში (ასათიანი, ქავთარია, ჩიტუნაშვილი (რედ.), 2018). რაც შეეხება შ. ფუტყარაძის, რ. მაღაყმაძისა და თ. ლომთათიძის კვლევის შედეგად გამოვლენილ კიდევ ორი დასახელების ნიგნს, ესენია: „შემოკლებული შესხმა ყოვ-

4 შენიშვნა: ნიგნში სულ 95 იგავია მოთავსებული. იგი ლათინურიდან უნდა ყოფილიყო თარგმნილი. როგორც პირველი ნიგნიდან ირკვევა, განზრახული ყოფილა ამ იგავების გამოცემა ორ ტომად. მეორე ტომი არაა მიკვლეული, შესაძლოა არც დაბეჭდილა (ჯავახიშვილი, 2013: 97).

ლად წმინდისა ღუთის მშობელი ქალწული მარიამისა, მხურვალე ლოცვებითა და გალობებითურთ. გამოცემული ქართულს ენასა ზედა“ (შემოკლებული შესხმა, 1860) და „შემოკლებული სწავლა ყოვლად-საჭირო უწინარეს ყოველთა სწავლათა აღბეჭდილი წარსაგებელითა კეთილ-შობილი იაკობ ივანიჩ უფალი ზუბალოვის მეუღლისა ანნასი. სასარგებლოდ ყრმათა“ (შემოკლებული სწავლა, 1860).

## დასკვნები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე კვლევამ საკმაოდ საინტერესო სურათი აჩვენა. საკითხის შესწავლამ წარმოაჩინა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა საგამომცემლო საქმიანობის მიზნები, მნიშვნელობა და მასშტაბები. თავიანთი მოღვაწეობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ქართველმა კათოლიკეებმა მოამზადეს და გამოსცეს დიდძალი ლიტერატურა, რომელთაც უმთავრესად საგანმანათლებლო მიზანი გააჩნდა და ვრცელდებოდა ქართველთა შორის როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქართულ სავანეებში სტამბოლსა და მონთობანში.

როგორც კვლევამ წარმოაჩინა, საზღვარგარეთ ქართველ კათოლიკეთა მიერ გამოცემული წიგნების ნაწილი დაცულია როგორც საზღვარგარეთის, ისე საქართველოს ბიბლიოთეკებში და უმეტესობა გაციფრებულია, რაც ასევე აღსანიშნი ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა ქართველ კათოლიკეთა თემაზე, მაინც ამ დრომდე არ მომხდარა მათ მიერ გამოცემული წიგნების ფილოლოგიური შესწავლა, ცალკეულ ნაშრომს თუ არ ჩავთვლით. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, შევეცადეთ შეგვედარებინა ქართველ კათოლიკეთა საგამომცემლო საქმიანობის შესახებ არსებული ცნობები, ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური მონაცემები ერთმანეთისთვის. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, როგორც ძველი ნაშრომები, ისე უახლესი კვლევები, რომლებიც ავსებენ და მეტ ინფორმაციას გვანუადიან მათი მოღვაწეობის მასშტაბების შესახებ.

აბატი პეტრე ხარისჭირაშვილის თაოსნობითა და სხვა კათოლიკე ბერების აქტიური ჩართულობით ვენეციაში, სტამბოლსა და მონთობანში იბეჭდებოდა მრავალფეროვანი სასწავლო სახელმძღვანელოები, მათ შორის, რიტორიკის, ფილოსოფიის, ისტორიის, გეოგრაფიის და სხვა საგნის სახელმძღვანელოები, ასევე ქართული, ლათინური და ფრანგული ენის გრამატიკები, ფრანგულ-ქართული, ფრანგულ-

ბერძნულ-ქართული ლექსიკონები და თარგმანები. საგამომცემლო და სარედაქციო-მთარგმნელობით საქმიანობაში ჩართულ პირთა შორის გამოიკვეთა შემდეგი სახელები: აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე გვარამაძე, ივანე მამულაშვილი, იოსებ წალდაძე, ანტონ გოზალიშვილი და სხვ. ის წიგნები, რომელსაც ქართველი კათოლიკეები აბატი პეტრეს თაოსნობით გამოსცემდნენ საზღვარგარეთ, კარგად შეესაბამება ეპოქის საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და სასწავლო მიზნებს.

### ბიბლიოგრაფია

1. ალხაზიშვილი, 1990: ალხაზიშვილი, გ., ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში, თბილისი, მერანი;
2. ასათიანი, ქავთარია, ჩიტუნაშვილი (რედ.), 2018: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლიკა აბრალავამ, ქეთევან ასათიანმა, თამარ გაბუნიამ [და სხვ.]; რედაქტორები: ქეთევან ასათიანი, მიხეილ ქავთარია, დალი ჩიტუნაშვილი; შესავალი და საძიებლები დაურთო ქეთევან ასათიანმა, თბილისი;
3. გვარამაძე, 1880ა: გვარამაძე, ი., „მშაკის“ მზა პასუხი, დროება, 13 ნოემბერი, №239, გვ. 1;
4. გვარამაძე, 1880ბ: გვარამაძე, ი., „მშაკის“ მზა პასუხი (გაგრძელება, დროება, 14 ნოემბერი, №240, გვ. 1-2;
5. გვარამაძე, 1896: გვარამაძე, ი., წამება მიქაელ გობრონისა და ასოცდაცამეტ მოყვასთა მისთა მეციხოვნათა მესხთა, თქმული ლექსათ ქართველ კათოლიკების მოძღვრის მესხის ი. გვარამაძის-მიერ, ტფილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, მ. შარაძის სტამბა;
6. გრიგალაშვილი, 2018: გრიგალაშვილი, ს., მონტობანის ქართული საფანე, კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, **Catholic Heritage in Georgia, 1**, საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიასთან არსებული კულტურისა და საეკლესიო ერთიანობის კომისია, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, **Sulkhan-Saba Orbeliani University Press**, გვ. 161-168, ხელმისაწვდომია: [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/283052/1/Katolikuri\\_Memkvidreoba\\_Saqartveloshi.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/283052/1/Katolikuri_Memkvidreoba_Saqartveloshi.pdf);
7. დ'ალესიო, 1921: დ'ალესიო, ე. დ., ქართველები კონსტანტინეპოლში, ფრანგულიდან თარგმნა პ. შალვა ვარდიძისა, სტამბოლი, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა საჯანისა, ხელმისაწვდომია: [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/279912/1/Qartvelebi\\_Konstantinepolshi.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/279912/1/Qartvelebi_Konstantinepolshi.pdf);
8. თამარაშვილი, 1902: თამარაშვილი, მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის: ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით,



- XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ.: ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ. ხელმისაწვდომია: <<http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/106028>>;
9. კარიჭაშვილი, დ., ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია: მე-17 და მე-18 საუკუნე, ტფილისი: სახელგამი, პოლიგრაფტრ. 1-ლი სტ., 1929, ხელმისაწვდომია: <<http://dSPACE.gela.org.ge/handle/123456789/6251>>;
  10. კენჭიაშვილი, 2020: კენჭიაშვილი, ნ. რიტორიკის თეორია და პრაქტიკა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მიხედვით / *Rhetorical Theory and Practice in the 18th-19th Centuries Georgia According to the First Georgian Textbooks of Rhetoric*, Scientia: სამეცნიერო ჟურნალი / Scholarly Journal, №1, გვ. 122-145, ხელმისაწვდომია: <<https://scientia.ge/scientia-1-2020/>>;
  11. კენჭიაშვილი, 2021: კენჭიაშვილი, ნ., რიტორიკის პირველი ნაბეჭდი ქართულენოვანი სახელმძღვანელო „მოკლე რეტორიკა“ / *The First Printed Textbook of Rhetoric in Georgian: "A Brief Review of Rhetoric"*, Scientia: პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (გამონეწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში), მოხსენებათა მოკლე შინაარსები / *Scientia: The First International Scholarly Conference (Challenges and Tendencies in the Humanities), Short Contents of the Paper*, თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2021, გვ. 162-176.
  12. კურტანიძე, 2008: კურტანიძე, ლ., მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის: პეტრე ხარისჭირაშვილის წიგნის „მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის“ ანალიზი, თბილისი: ცის ნამი, გამომცემლობა „ცის ნამის“ სტამბა;
  13. ლომსაძე, 1964: ლომსაძე, შ., მიხეილ თამარაშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად., ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმი, თბილისი: საქ. მეცნ. აკად. გამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/294153/1/Mixeil\\_Tamarashvili.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/294153/1/Mixeil_Tamarashvili.pdf)>;
  14. ლომსაძე, 1979: ლომსაძე, შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან: ახალციხური ქრონიკები, ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმი, თბილისი: მეცნიერება, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/67770/1/Gviani\\_Shuasaukuneebis\\_Saqartvelos\\_Istoriidan.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/67770/1/Gviani_Shuasaukuneebis_Saqartvelos_Istoriidan.pdf)>;
  15. ლომსაძე, 1984: ლომსაძე, შ., მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბილისი: საბჭოთა საქართველო;
  16. ლომსაძე, 1997: მესხები: ახალციხური ქრონიკები, II, თბილისი, გამომცემლობა „მოლოდინი“, ხელმისაწვდომია: <<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/68853>>;
  17. მალაყმაძე და სხვ., 2020: მალაყმაძე, რ., ფუტყარაძე, შ., ფუტყარაძე, ე., ფუტყარაძე, შ., წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან: ტომი II, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწ. უნ-ტის ნიკო ბერძენიშვილის ინ-ტი, ბათუმი, 2020, ხელმისაწვდომია: <<https://dSPACE.nplg.gov.ge/>

[bitstream/1234/340504/1/Werilebi\\_Stambolis\\_Qartuli\\_Savanidan\\_Tomi-II.pdf](#);

18. მიხა კ-ლია, 1911: მიხა კ-ლია, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შესახებ, შინაური საქმეები, №36, გვ. 3-4;
19. ნიკოლეიშვილი, 2015: ნიკოლეიშვილი, ა., ქართული კულტურისა და განათლების კერა მონტობანში (ახალი მასალები), ქართველოლოგი, №24. ხელმისაწვდომია: <<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/archive/14/2>>;
20. ნინიძე, გიგაშვილი, 2018: ნინიძე, მ. გიგაშვილი, ქ. ტექსტოლოგია: სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის, გამომცემლობა, „პრინტჯეო“;
21. პარმაქსიზიშვილი, 2008: პარმაქსიზიშვილი, თ., კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში აღმოჩენილ სახელმძღვანელოთა გამო, საბა: საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე, №4, გვ. 10-12, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/156727/1/Saba\\_2008\\_N4.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/156727/1/Saba_2008_N4.pdf)>;
22. რაჭველიშვილი, 1934: რაჭველიშვილი, ქრ., ქართული სტამბის ნიგნი: სტატისტიკურ-ისტორიული ნარკვევი, ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, ხელმისაწვდომია: <<http://dSPACE.gela.org.ge/handle/123456789/7435>>;
23. როსეტო, 2001: როსეტო, ს., ვენეციის სომხურ სტამბაში გამოცემული რამდენიმე ქართული ნიგნის შესახებ, ლიტერატურა და სხვა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, თბილისი, №1 (3), გვ. 160-163;
24. სტამბულის ქართული მონასტრის ნიგნთსაცავის კატალოგიზაცია, 2005: ფონდი – კულტურული მემკვიდრეობა საზღვრებს გარეშე, ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3KuVSUe>>;
25. ფუტკარაძე, მალაყმაძე და ლომთათიძე, 2017: ფუტკარაძე, შ., მალაყმაძე, რ., ლომთათიძე, თ., წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან. ნ. 1, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწ. უნ-ტის ნიკო ბერძენიშვილის ინ-ტი, ბათუმი, თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 2017, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/340502/1/Werilebi\\_Stambolis\\_Qartuli\\_Savanidan.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/340502/1/Werilebi_Stambolis_Qartuli_Savanidan.pdf)>;
26. შერვაშიძე, 1998: შერვაშიძე, გ., საინტერესო ფურცლები ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან, ბათუმი, აჭარა;
27. ჩუბინიძე, 2020: ჩუბინიძე, გ., ქართული საზოგადოებრივი აზრი და კათოლიკეები მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, №1 (78) გვ. 34-37, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/322849/1/Saqartvelos\\_Biblioteka\\_2020\\_N1.PDF](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/322849/1/Saqartvelos_Biblioteka_2020_N1.PDF)>;
28. ჩუბინაშვილი, 1966: ჩუბინაშვილი, დ., მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის (გამოქვეყნებული ქ. მონტობანს 1877 წ.), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1966, ტ. 15, გვ. 181-213;

29. ცეცხლაძე, სახუტაიშვილი, 2011: ცეცხლაძე, ნ., სახუტაიშვილი, მ., უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭერმეტყველება“ – სტილისტიკის საკითხები, *ენა და კულტურა: სამეცნიერო ჟურნალი*, №6, გვ. 114-119;
30. ნერეთელი, 1913: ნერეთელი, ვლ., სტამბოლის ქართველთა მონასტერი, შინაური საქმეები, №9, გვ. 14;
31. ჭიჭინაძე, 1895: ჭიჭინაძე, ზ., აბათი პეტრე ხარისჭირაშვილი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა ნიკ. ქუჩა №21, ტფილისი, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/190774/1/Abati\\_Petre\\_Xarischirashvili.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/190774/1/Abati_Petre_Xarischirashvili.pdf)>;
32. ჭიჭინაძე, 1898: ჭიჭინაძე, ზ., ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი პატრი იოსებ წალდაძოვი (წალდაძე), ივერია, 15 ოქტომბერი, №221, გვ. 3-4, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/73768/1/Iveria\\_1898\\_N221.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/73768/1/Iveria_1898_N221.pdf)>;
33. ჭიჭინაძე, 1900: ჭიჭინაძე, ზ., ისტორია ქართულის სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა (1626-1900), ტფილისი, სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ხელმისაწვდომია: <<http://openlibrary.ge/bitstream/123456789/6400/1/Istoria%20Kartuli%20stambisa-1900.pdf>>;
34. ჭიჭინაძე, 1912: ჭიჭინაძე, ზ., ქართველ კათოლიკეთ სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები: მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა №12, ხელმისაწვდომია: <<file:///Users/macbookair/Downloads/MixeilPetresZeTamarashvili.pdf>>;
35. ჭიჭინაძე, 1916: ჭიჭინაძე, ზ., ნიკოლოზ ბესარიონის ძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ., სორაპანი-ს სტამბა, თბილისი, ხელმისაწვდომია: <<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/6455>>;
36. ჯავახიშვილი, 2009: ჯავახიშვილი, მ., მონტობანის ქართველ კათოლიკეთა სავანე, თბილისი;
37. ჯავახიშვილი, 2013: ჯავახიშვილი, მ., ქართველი კათოლიკეები საზღვარგარეთ (XIX საუკუნის II ნახევარი), ევროპული კვლევები = **European researches**: ივანე გვარამაძის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმების შრომები / საქ. ტექნ. უნ-ტი, ევროინტეგრაც. პროცესების შემსწავლელი ს/კ ცენტრი; სარედ. კოლ.: ზურაბ აბაშიძე [და სხვ.], თბილისი, გვ. 86-123;
38. ჯავახიშვილი, 2016: ჯავახიშვილი, მ., მესხეთის ქართველი კათოლიკეები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (პროსოპოგრაფიული კვლევა), ცივილიზაციური ძიებანი, №14, 7-14.

*ქართველ კათოლიკეთა მიერ საზღვარგარეთის სტამბებში  
გამოცემული წიგნები<sup>5</sup>*

1. ბრძენი კაცი, 1878: ბრძენი კაცი ანუ რომელიმე ძველი ფილოსოფოსის მიერ გამოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძენსა და ზნეობასა ზედა ბედნიერად გატარებისათვის ცხოვრებისა ქვეყანასა ზედა, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/364564/1/Brzeni\\_Kaci.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/364564/1/Brzeni_Kaci.pdf)>;
2. გვირგვინი წამებულთა, 1879: გვირგვინი წამებულთა წმიდა ესტატი ანუ ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმიდისა ესტატისა: პოეზია ჩზ მუხლი, გალექსილი მღ. იოანე გვარამაძის მიერ, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/317248/1/Gvirgvini\\_Tsamebulta\\_Tsminda\\_Estatisa\\_1879.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/317248/1/Gvirgvini_Tsamebulta_Tsminda_Estatisa_1879.pdf)>;
3. დოღმატიკური ღვთის მეტყველება, 1883: დოღმატიკური ღვთის მეტყველება, შედგენილი იაკობ პეროქი მაქსულებენსის ეპისკოპოსისაგან მოწაფეთათვის ჩინეთის სუნთქვენისის მაზრაში მყოფი სემენარიისა თვისისათვის. გამოძიებული ჰრომში 1822 და დასტამბული ლათინურად პარეჟში, 1861, რომლისაგან ან ქართულად ითარგმნა და დაისტამბა, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/317235>>;
4. თანსატარებელი ლოცვის წიგნი, 1877: თანსატარებელი ლოცვის წიგნი: რომელი იპყრობს თვის შორის საყოველღეივო და სხვა და სხვა შვენირს ლოცვებსა: საქართველოს რომის კათოლიკეთათვის, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვაზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/385290/1/Tansatarebeli\\_Locvis\\_Wigni.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/385290/1/Tansatarebeli_Locvis_Wigni.pdf)>;
5. იგავნი იეზუბოს ფილოსოფოსისანი, 1859: იგავნი იეზუბოს ფილოსოფოსისანი თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა. განყოფილი ორს ტომად, ტომი ა, ვენეტიკი, წიგნთ საბეჭდავი წმიდისა ლაზარესი, ხელმისაწვდომია: <[https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/381755/1/Igavni\\_Lezebos\\_Filosofosisani\\_1859.pdf](https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/381755/1/Igavni_Lezebos_Filosofosisani_1859.pdf)>;

---

5 ქვემოთ მოყვანილი წიგნები გაციფრდა და ელექტრონულად ხელმისაწვდომი გახდა წინამდებარე სტატიის ავტორის ინიციატივითა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა აქტიური მხარდაჭერით, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ მთელს გუნდს განუული ძალისხმევისთვის.

6. ისტორია, 1858: ისტორია გინა მოთხრობა სამლოთო წერილისა ძველისა და ახლის აღთქმათა შემოკლებული უფლისა იოვანე არხიმანდრიტი ზუჰრაბიანისა მიერ კოსტანდინეპოლისა, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ხმასა ზედა, ვენეტიკი, წიგნთ საბეჭდავი წმიდისა ლაზარეს მონასტრისა, ხელმისაწვდომია: <<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/317285>>;
7. კარი ლათინური გრამმატიკისა, 1882: კარი ლათინური გრამმატიკისა, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა;
8. კონა საღმთო გალობათა, 1879: კონა საღმთო გალობათა, I [ნოტი]: O Salutaris Hostia = ჰოი პურო: [გუნდი ორგანის თანხლებით], გამომცემელი იოსებ ნალდაძე, [მონტობანი], ქვამწერლობა მონათა უმანკო შთასახებისათა;
9. ლიგორი, 1878: ლიგორი, აღ., გზა ცხოვრებისა გინა განზრახვანი, საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა, სახმარნი მღვდელთათვის საქადაგებლად და ერის კაცთათვის საკითხავად და ფიქრის ლოცვის შესასრულებლად შედგენილი მქადაგებლის ალფონს ლიუგორისაგან, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/365164?fbclid=IwAR0H3KQwyKmk2dx62iRq2Fy3h\\_cyBI3LEJly0PgM9\\_D3pEV3Gu0gObSn1Go](https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/365164?fbclid=IwAR0H3KQwyKmk2dx62iRq2Fy3h_cyBI3LEJly0PgM9_D3pEV3Gu0gObSn1Go)>;
10. მოკლე გეოგრაფია, 1877: მოკლე გეოგრაფია ფიზიკური, სამოქალაქო და ისტორიული, თანვე დამატებით ძველი დროების გეოგრაფიისა; სასოფლო და პირველდანყებითი სკოლების ყრმათათვის, მონტობანი, ენრიკო ჭაბრის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317276/1/Mokle\\_Geografia\\_1877.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317276/1/Mokle_Geografia_1877.pdf)>;
11. მოკლე ქართული გრამატიკა, 1877: მოკლე ქართული გრამატიკა: დამატებით გრამატიკული და ლოლიკური ანალიზებისა, ახლად შედგენილი სასოფლო სკოლების ყრმათათვის, მონტობანი, ენრიკო ჭაბრის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/364815/1/Mokle\\_Qartuli\\_Enis\\_Gramatika.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/364815/1/Mokle_Qartuli_Enis_Gramatika.pdf)>;
12. მოკლე რეტორიკა, 1879: მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება, სასარგებლოდ ახალ გაზდა ყმანვილ კაცთა, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/315624/5/Mokle\\_Retorika\\_Gina\\_Mchevr\\_Metkveleba.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/315624/5/Mokle_Retorika_Gina_Mchevr_Metkveleba.pdf)>;
13. მოკლე ფილოსოფია, 1880: მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება რომელი შეიცამს თავისში ფსიხოლოლიას, ლოლიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას (თეოდისე) და ზნეობას (მორალ)

მაღალს სწავლაში შესასვლელ ყმანვილ კაცთათვის, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <<http://openlibrary.ge/bitstream/123456789/6706/1/Mokle%20Filosofia%20-1880.pdf>>;

14. მოკლე საყოვლიერო ისტორია, 1877: მოკლე საყოვლიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა რომელი მოსთხრობს უმთავრესთა საქმეთა მოხდენილთა მრთელს კაცობრიობასა შინა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე განყოფილი ექვს ნაწილად...: სასოფლო სკოლების ყრმათათვის, მონთობანი, ენრიკო ჭაბრის სტამბა, ხელმისაწვდომია: <<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/332510>>;
15. მოკლე ხელ-სამძღვანი, 1880: მოკლე ხელ-სამძღვანი: ფრანგული ენის სწავლისათვის ანუ ფრანგულ-ქართული მეტოდური ლექსიკონი, და სხვა და სხვა საგნებზედ საჭირო უბნობანი, მონთობანი, ენრიკო ჭაბრის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/364682/1/Mokle\\_Xel-Samzgvani\\_Franguli\\_Enis\\_Swavlistvis.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/364682/1/Mokle_Xel-Samzgvani_Franguli_Enis_Swavlistvis.pdf)>;
16. პატარა საქრისტიანო მოძღვრება, 1876: პატარა საქრისტიანო მოძღვრება ქართული ანბანიტურთ საქართველოს რომის კათოლიკე გლახაკთ ყრმათათვის მუქთად დასარიგებლად, კონსტანტინეპოლი: ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317289/1/PataraSaqristianoModzgvarebaQartuliAnbaniturt\\_1876.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317289/1/PataraSaqristianoModzgvarebaQartuliAnbaniturt_1876.pdf)>;
17. საქრისტიანო მოძღვრება, 1877: საქრისტიანო მოძღვრება: საქართველოს რომის კათოლიკე ყრმათათვის, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317292/1/SaqristianoModzghvarebaSaqartvelosRomisKatolikeYrmatatvis\\_1877.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317292/1/SaqristianoModzghvarebaSaqartvelosRomisKatolikeYrmatatvis_1877.pdf)>;
18. სიბრძნე კაცობრივი, 1877: სიბრძნე კაცობრივი. რომელი ასწავლის კაცს ჭკვას რიგიან ხმარებასა, სრულ კაცს გახდის, და მისწევს სიმდიდრესა, შემკობილი ცხოველი მაგალითებით ძილოსოქოსების სიტყვებითა, მანთობანი, ენრიკო ჭაბრის სტამბა, ხელმისაწვდომია: <<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/317316>>;
19. შემოკლებული შესხმა, 1860: შემოკლებული შესხმა ყოვლად წმინდისა ლუთის მშობელი ქალწული მარიამისა, მხურვალე ლოცვებითა და გალობებითურთ. გამოცემული ქართულს ენასა ზედა, ვენეტიკი, წიგნთ საბეჭდავსა შინა წმიდისა ლაზარესი, ხელმისაწვდომია: <<https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317311/1/>>

ShemoklebuliShesxmaYovladwmidisaGhutiismshobeliQalwuliM  
ariamisa\_1860.pdf>;

20. შემოკლებული სწავლა, 1860: შემოკლებული სწავლა ყოვლად-საჭირო უწინარეს ყოველთა სწავლათა აღბეჭდილი წარსაგებელითა კეთილ-შობილი იაკობ ივანიჩ უფალი ზუბალოვის მეუღლისა ანასი. სასარგებლოდ ყრმათა, ვენეტიკი, წიგნთ საბეჭდავსა შინა წმიდისა ლაზარესი;
21. ყვაილების კონა, 1878: ყვაილების კონა გინა რჩეული ლექსები: სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა დალექსილი სხვა და სხვა დროს უფალი მღვდლის იოანე გვარამაძისა, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317337/1/Yvavlebis\\_Kona\\_Gina\\_Rcheuli\\_Leqsebi\\_1878.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/317337/1/Yvavlebis_Kona_Gina_Rcheuli_Leqsebi_1878.pdf)>;
22. ნალკოტი ლოცვათა, 1877: ნალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცავს თვის შორის სხვა და სხვა რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა: ქართული ენის მოუბართა რომის კათოლიკეთათვის, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვაზალიანის სტამბა, ხელმისაწვდომია: <[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/385682/1/Walkoti\\_Locvata\\_1877.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/385682/1/Walkoti_Locvata_1877.pdf)>;
23. წინამძღვარი ზეცისა, 1876: წინამძღვარი ზეცისა, გინა ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი, კონსტანტინეპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა;
24. წმიდათა ცხოვრება, 1859: წმიდანების ცხოვრება აღმორჩევით შემოკრებილი უფალი ლუკა არხიმანდრიტისაგან ინჯიჯიანისა. მონაზონებრივის რიგისაგან. მხითარიანთი; თარგმნილი და გადმოცემული ქართულ ხმასა ზედა, ვენეტიკი (წმ. ლაზარეს მონასტ. სტ.), ხელმისაწვდომია: <<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/317333>>.

Natia Kentchiashvili

## Publishing Activity of Georgian Catholics Working Abroad in the 19<sup>th</sup> Century

The establishment of religious, cultural and educational centres by Georgians working abroad and their activities have a centuries-old history. In the framework of the present study, we should focus on the publishing activities of Georgian Catholics working abroad in the 19<sup>th</sup> century, in particular, on the printing houses established by them and the books published there.

As it is known, Petre Kharischirashvili, a Catholic monk from Akhaltsikhe, was especially distinguished for his cultural and educational activities in Istanbul in the second half of the 19<sup>th</sup> century. Knowing the details of his biography makes it clearer about his role in the development of publishing activities, which leads to the establishment of Georgian publishing houses abroad, as well as in the preparation and publication of books. To look at the publishing activities of Petre Kharischirashvili chronologically and geographically, we get the following picture: initially, in 1856 he joined the Armenian Mkhitarist Brotherhood and in 1858-59 he published several Georgian books, in 1870 he founded a Georgian printing house in Istanbul (Feriköy) and in 1874 – in Montauban (on the street of Rue de l'Égalité) in France and several more editions were prepared and published in 1877-79.

Although there are numerous studies on the activities of Georgian Catholics, which are mainly analyzed from a historical point of view, there has not yet been a thorough philological study of the literature published by them in Georgian printing houses abroad. The study of the issue showed the importance and level of the publishing activities of Georgian Catholics working abroad. It can be said that under the leadership of Abbot Petre Kharischirashvili, textbooks were published in Venice, Istanbul and Montauban mainly for rhetoric, philosophy, history, geography, and other subjects, as well as Georgian, Latin and French grammars, French-Georgian, French-Greek-Georgian dictionaries and translations. Most of the books were sent to Georgia. The publishing activities initiated by Georgian Catholics and their connection with the Georgian society were of a cultural nature and served educational and national purposes. Their efforts are more remarkable in the circumstances when Georgia was part of the Russian Empire.



საბჭოთა კავშირი და ანტიკათოლიკური ნარატივი  
1950-1980-იან წლებში  
(ზოგადი კონტურები)

შესავალი

რუსეთში ანტიკათოლიკურ ნარატივს თავისი ისტორიული, კულტურული, რელიგიური და სოციოლოგიური ფესვები აქვს. ალექსანდრე ნეველის, ივანე მრისხანესა თუ იმპერატორ ეკატერინეს ეპოქაში რუსეთის კავშირებმა მის დასავლეთით მდებარე ქვეყნებთან, ის გარკვეული ჩარჩოები ჩამოაყალიბა, რომლებშიც, კათოლიკეებთან დამოკიდებულება და მათთან ურთიერთობა ჯდებოდა. აღნიშნულ სტატიაში მსურს ყუადლება მეოცე საუკუნის მეორე ნახევარზე გავამახვილო და გამოვკვეთო ის ძირითადი მიდგომები, მოტივაციები და მოქმედებები, რომლებიც საბჭოთა კავშირში არსებულ ანტიკათოლიკურ ნარატივს უკავშირდება. თემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში რელიგიისადმი დამკიდებულება ერთგვაროვანი არ ყოფილა და იცვლებოდა ხოლმე, თუმცა, როგორც კომუნისტური, ასევე, მართლმადიდებლური ფუნდამენტალისტური ნაციონალიზმისთვის, კათოლიკე ეკლესია ღია მტრად აღიქმებოდა. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 1903 წელს, როდესაც ლენინმა და მისმა მიმევრებმა ბრიუსელში რუსული სოციალური დემოკრატიული მუშათა პარტია დაარსეს, ისინი უკვე დაპირისპირებულნი იყვნენ კათოლიკე ეკლესიასთან. ამ დროს, მაგალითად პაპ ლეონ XIII-ს უკვე მკაფიოდ ჰქონდა საკუთარი პოზიცია დაფიქსირებული სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ.<sup>1</sup>

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, სტალინმა კათოლიკე ეკლესიასთან დამოკიდებულება შეცვალა და, რეალურად, ჩამოყალიბდა მთელი ძალოვანი უწყებების სისტემა, რომელიც სპეციალურად

1 Weir H., T., A European Culture War in the Twentieth Century? Anti-Catholicism and Anti-Bolshevism between Moscow, Berlin, and the Vatican 1922 to 1933. *Journal of Religious History*, Vol. 39, Iss. 2, 2015, 280-306, აქ. 284.

მუშაობდა კათოლიკე ეკლესიის წინააღმდეგ.<sup>2</sup> ეს სისტემა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, არათუ გაუქმდა, პირიქით, უფრო გაძლიერდა. 1950 წელს, ბუდაპეშტში შედგა კომუნისტური საინფორმაციო ბიუროს სხდომა, სადაც გადაწყდა, რომ გაძლიერებულიყო მუშაობა, რათა კომუნისტურ სახელმწიფოებში დაარსებულიყო ე.წ. „ეროვნული კათოლიკე ეკლესიები,“ რომლებიც ვატიკანისგან თავისუფალი იქნებოდა და თავის რიგებში ეყოლებოდა, როგორც ხელისუფლების აგენტები, ასევე, კოლაბორაციონისტი სასულიერო პირები. ამ მიზნის შესასრულებლად სპეციალური ორგანოს – **Orginform**-ის დაარსება გადაწყდა, რომელსაც რუსი ხელმძღვანელი ეყოლებოდა, მაგრამ ე.წ. სათაო ოფისი ვარშავაში ექნებოდა. **Orginform**-ს ოთხი სპეციალური სკოლა ჰქონდა, სადაც კომუნისტური ანტისაეკლესიო მოქმედებებისთვის პირებს სპეციალური წვრთნები უტარდებოდათ.

საბჭოელები, ასევე, წვრთნიდნენ კომუნისტ აგენტებს, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის სატელიტ ქვეყნებში კათოლიკე მღვდლებისა და მონაზვნების მსგავსად მოქმედება შეეძლოთ. ეს პირები სპეციალურ სწავლებებს გადიოდნენ, სადაც ეუფლებოდნენ რელიგიური მსახურებებისა და მოქმედებების აღსრულების წესებსა თუ სხვა სახის რელიგიურ აქტივობებს. გარდა ამისა, საბჭოთა სტრუქტურები საკმაოდ მაღალ ფინანსურ ანაზღაურებას პირდებოდნენ იმ კოლაბორაციონისტ კათოლიკე სასულიერო პირებს, რომლებიც ვატიკანის წინააღმდეგ იმოქმედებდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირმა ჩეხეთ-სლოვაკეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და იუგოსლავიაში ე.წ. „პროგრესული კლერიკოსების მოძრაობას“ ჩაუყარა საფუძველი. ყველა ქვეყანაში, ეს მოძრაობა, ერთი მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა, მეორე მხრივ კი, ოფიციალური ვატიკანისა და ადგილობრივი ეპისკოპოსის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მოგვიანებით, ეს ადგილობრივი მოძრაობები საერთაშორისო მშვიდობის სახელით შენიღბულ უფრო ფართომასშტაბიან კამპანიებში გარდაიქმნენ.<sup>3</sup>

---

2 სტალინის დამოკიდებულების შესახებ კათოლიკე ეკლესიასთან იხ. ლურს-მანაშვილი გ., სტალინი, წმინდა საყდარი და ურთიერთობა კათოლიკეებთან. საქართველო და წმინდა საყდარი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, 63-75.

3 Narkutė V., The Confrontation Between the Lithuanian Catholic Church and the Soviet Regime. *New Blackfriars* 87, no. 1011, 2006, 456-475, აქ. 464-465.

## მიტროხინის არქივის ცნობები ვატიკანთან ანდროპოვისეული მეთოდებით ბრძოლის შესახებ

1967 წელს, КГБ-ს ხელმძღვანელი იური ანდროპოვი გახდა. ე.წ. „მიტროხინის არქივი“ საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვანვდის იმის შესახებ თუ ბრძოლის რა მეთოდები აირჩია ანდროპოვმა ოფიციალური ვატიკანის წინააღმდეგ. 1967 წლის ივლისში, საბჭოთა ბლოკის დაზვერვის წარმომადგენლები ბუდაპეშტში შეიკრიბნენ, რათა ემსჯელათ: ვატიკანის წინააღმდეგ, მისი დისკრედიტაციის, ვატიკანს შიგნით მდგომარეობის გამწვავებისა და კაპიტალისტურ ქვეყნებთან წმინდა საყდრის ურთიერთობის შესახებ. შეკრებაზე КГБ-ს ორმა ოფიცერმა – ალაიანცმა და ხამაზიუკმა ისაუბრეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვატიკანის, კათოლიკური და უნიატური ეკლესიების მტრული აქტივობებისა და КГБ-ს მიერ მიღებული საპასუხო ზომების შესახებ, ხოლო კულიკოვმა კი ვატიკანის ინსტიტუციების წინააღმდეგ მიმართული გარკვეული ოპერატიული აგენტურული საქმიანობის ირგვლივ გაამახვილა ყურადღება.<sup>4</sup>

1969 წლის 4 აპრილს, ანდროპოვის დასტურით, ვატიკანის წინააღმდეგ მოქმედებების ახალი გეგმა შემუშავდა, რომლის თანახმადაც ПГУ-ს (იგულისხმება – Первое главное управление КГБ СССР – საბჭოთა კავშირის КГБ-ს პირველი მთავარი სამმართველო, რომელიც, ძირითადად, საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ მუშაობდა), КГБ-ს მეხუთე განყოფილებასა და КГБ-ს ადგილობრივ ერთეულებს მოქმედებათა გეგმა უნდა შეეცვალათ. ПГУ-ს ვატიკანის ბიუროკრატიის ზემო ეშელონებში, იეზუიტთა ორდენში, რუსიკუმსა და პაპის კოლეგიუმებში (სადაც აღმოსავლეთ ევროპის მომავალი სასულიერო პირები სწავლობდნენ) უნდა შეეღწია და ახლო კავშირები დაემყარებინა კათოლიკე სასულიერო პირებთან. პირველ ეტაპზე, ამ დავალებათა შესრულება დაევალა სამ აგენტს: აპოსტოლის, რასსის და სლუგას (კოდური სახელები). მათ გარდა, 1968 წელს, მეხუთე განყოფილების ორი აგენტი, პეტროვი და როგულინი (კოდ. სახ.), ჩავიდნენ რომში და სამწლიანი სასწავლო პროგრამა დაიწყეს რუსიკუმში. 1969 წელს, КГБ-ს ორი აგენტი (ლიეტუვიდან), ანტანასი და ვიდმანტასი (კოდ. სახ.) გრეგორიანას უნივერსიტეტში სწავლობდნენ. მათ გარდა, ორი აგენტი – დაკტარასი და ჟიბუტე (კოდ. სახ.) იმ სამუშაო კომისიაში მონაწილეობდნენ, რომელიც, 1969 წლის 21 მაისიდან 11 ივნისამდე ვატიკანში მუშაობდა სჯულისკანონის კო-

4 Christopher A., Mitrokhin V., *The Sword and the Shield: The Mitrokhin Archive and the Secret History of the KGB*, New York, 2001, 499-500.

დექსის რეფორმასთან დაკავშირებით.<sup>5</sup> მოგვიანებით, რომში **КГБ**-ს რეზიდენტმა (1976-1982 წლებში) – ბორის სოლომატინმა აღიარა, რომ **КГБ** ყველანაირად ცდილობდა ვატიკანის ზედა ეშელონებში საკუთარი კადრები ჰყოლოდა ან იქ მყოფნი გადაეხირობინა.<sup>6</sup>

მიტროხინის არქივის მიხედვით, 1969 წლის აპრილში, ანდროპოვის განკარგულებით, **КГБ**-ს მიეცა დავალება, რომ უნდობლობა დაეთესათ რომში მყოფ ემიგრირებულ სასულიერო პირებს, უნიატებსა და საბჭოთა კავშირში მცხოვრებ დანარჩენ კათოლიკეებს შორის. ამას გარდა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი იერარქიის წარმომადგენლებს, სახელდობრ მიტროპოლიტ ალექსი რიდიგერს (კოდ. სახ. დროზდოვი, შემდგომში სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II), მიტროპოლიტ ნიკოდიმ როტოვს (კოდ. სახ. ადამანტი), სვიატოსლავსა და ნესტეროვს (არ არიან იდენტიფიცირებულნი) დაევალოთ, რომ უთანხმოება დაეთესათ ვატიკანის ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიც იყვნენ: აღმოსავლეთის ეკლესიათა კონგრეგაცია, ქრისტიანული ერთობის სამდივნო და სამართლიანობისა და მშვიდობის კომისია. ზემოთაღნიშნულ სასულიერო პირებს, კათოლიკე სასულიერო პირებთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაემახვილებინათ იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლება, საბჭოთა კავშირში აპირებდა ვატიკანისგან დამოუკიდებელი, ავტონომიური ეკლესიების დაარსებას.<sup>7</sup>

ჩვენ მიერ განსახილველ თემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ კრემლთან დაპირისპირებული უკრაინის მინისტრებმა უნიატური ეკლესიის მეთაურის – ვასილი ველიჩკოვსკის (1903-1973) შემცვლელად, ამავე ეკლესიის წრეებში, ეპისკოპოსი ვოლოდიმირ სტერნიუკი (1907-1997) მოიაზრებოდა, ხოლო ოფიციალური კრემლისთვის კი მისი პოზიცია მიუღებელი იყო, რის გამოც მისთვის რეპუტაციის შელახვის გადანყვეტილება იქნა მიღებული. ამ გამიზ-

---

5 იქვე, 500-501.

6 Interview in Panorama (Milan), 22 March 1992. იხ. ციტირება: Corley F., Soviet Reaction to the Election of Pope John Paul II, 2021, 31. აღნიშნული სტატია თავდაპირველად გამოქვეყნდა 1994 წელს, სახელწოდებით: Corley F., Soviet Reaction to the Election of Pope John Paul II. Religion, State and Society, Vol. 22, No. 1, 1994, 37-64. 2021 წელს ავტორმა იგი შეასწორა და ატვირთა [www.academia.edu](http://www.academia.edu)-ს პირად გვერდზე <[https://www.academia.edu/34635030/Soviet\\_Reaction\\_to\\_the\\_Election\\_of\\_Pope\\_John\\_Paul\\_II](https://www.academia.edu/34635030/Soviet_Reaction_to_the_Election_of_Pope_John_Paul_II)> [19.01.2023], წინამდებარე სტატიაში, ციტირებებს სწორედ ამ ბოლო ვერსიიდან მოვიხმობთ.

7 Christopher A., Mitrokhin V., The Sword and the Shield: The Mitrokhin Archive and the Secret History of the KGB, New York, 2001, 501-502.

ნულებით, აგენტმა ნატაშამ (კოდ. სახ) დეზინფორმაცია გაავრცელა სტერნიუკის სექსუალური ამორალურობის შესახებ. იგივე ინფორმაციები გაავრცელეს ვატიკანში ჩანერგილმა **КГБ**-ს აგენტებმა. შედეგად, **КГБ**-ს მოხსენების თანახმად, სტერნიუკმა უნიატების დიდ ნაწილში მხარდაჭერა დაკარგა.<sup>8</sup>

## **КГБ იოანე პავლე II-ის წინააღმდეგ**

**КГБ**-ს 1978 წლის სამტომიანი მოხსენების პირველ ნაწილში საუბარია, რომ 1917 წლიდან, ვატიკანი საბჭოთა კავშირისა და კომუნისტების წინააღმდეგ მოქმედებდა. ამასთანავე, არსებობს **КГБ**-ს მეხუთე და მეათე განყოფილების მიერ შექმნილი 246 გვერდიანი მოხსენებაც. იგი ცენტრალური კომიტეტისადმი ანდროპოვის დეტალურ ანგარიშს შეიცავს (1974), ამასთანავე, დოკუმენტის ერთი, 19 გვერდიანი ნაწილი, მთლიანად პოლონეთს ეხება და მასში ძირითადი ყურადღება კარდინალ შტეფან ვიშინკიზეა გამახვილებული.<sup>9</sup>

პოლონელი სასულიერო პირებისადმი **КГБ**-ს ყურადღება განსაკუთრებით 1978 წელს გაიზარდა, როდესაც, რომის პაპად, არჩეულ იქნა ეროვნებით პოლონელი კარდინალი კაროლ ვოიტილა (იოანე პავლე II). იოანე პავლე II-ს პაპად არჩევის მეორე დღესვე, **КГБ**-ს წარმომადგენელმა ვარშავაში – ვიტალი პავლოვმა მოსკოვში ვოიტილას დახასიათება გააგზავნა, რომელშიც წერდა, რომ მას განსაკუთრებით ანტიკომუნისტური ხედვები ჰქონდა. დახასიათებაში, ასევე, ეწერა, რომ 1973-1974 წლებში, ვოიტილამ ქადაგებაში სამჯერ გააჟღერა ისეთი მოწოდებები, რომლებიც, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა იდეოლოგიას.<sup>10</sup>

პაპად არჩევის შემდეგ, **КГБ**-მ მოკლე დოკუმენტი შეადგინა ვოიტილას შესახებ, სახელწოდებით – *რომის ახალი პაპის იოანე პავლე II-ს არჩევასთან დაკავშირებით*, რომელშიც მკაფიოდ იყო გამოყოფილი ვოიტილას ანტიკომუნისტური ხედვები და ის პოზიციები, რომლებიც მან ჯერ კიდევ კრაკოვის მთავარეპისკოპოსად ყოფნის დროს გამოკვთა. **КГБ**-მ მისი ოთხგვერდიანი ბიოგრაფიაც მოამზადა, რომელშიც, მთავარი ყურადღება, ვოიტილას პოლონეთში მოღვაწეობის პერიოდზე იყო გამახვილებული. დოკუმენტში ისიც იყო აღნიშნული, რომ პაპს ძალიან ახლო კავშირები ჰქონდა ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველ ზბიგნევ ბუჟინსკისთან. ისიც უნდა აღი-

8 იქვე, 503.

9 Corley F., Soviet Reaction to the Election of Pope John Paul II, 2021, 5.

10 იქვე, 5-6.

ნიშნოს, რომ **КГБ**-ს პირველი მთავარი სამმართველოს მეთორმეტე განყოფილების ხელმძღვანელმა გენერალ-მაიორმა ანატოლი კირეიევმა, 1978 წლის 10 ნოემბერს ვოიტილასთან დაკავშირებული ორი ანგარიში მოამზადა, რომლებიც **КГБ**-ს ადგილობრივ ორგანოებს გაეგზავნა.<sup>11</sup> ამ ყველაფრის ფონზე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ოფიციალური კრემლი რომის პაპის პოლონეთში ვიზიტს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მაგალითად, 1979 წელს, როდესაც პაპს პოლონეთში ვიზიტი სურდა, ლეონიდ ბრეჟნეევმა ვარშავაში დაურეკა პოლონეთის კომუნისტური პარტიის პირველ მდივან ედუარდ გირეკს და უთხრა: „გირჩევ არ მიიღო იგი [პაპი] პოლონეთში, რადგან ეს გადანყვეტილება შენ ბევრ პრობლემას შეგიქმნის.“<sup>12</sup>

1979 წლის 22 მაისს, გენერალ-მაიორმა კირეევმა **КГБ**-ს უკრაინულ და ლიეტუვეურ განყოფილებებს ოთხგვერდიანი ინსტრუქცია გაუგზავნა, სადაც წერდა, რომ იოანე პავლე II-ს პაპად არჩევამ, საჭირო გახადა რეგიონში, ვატიკანის წინააღმდეგ **КГБ**-ს მუშაობის შეცვლა და გადახედვა. გენერალი შემფოთებული იყო იმით, რომ პაპი, თვითგამოხატვაზე, დამოუკიდებელ აზროვნებასა და სულიერ საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღებით და მის მიერ გამოხატული მუდმივი ხაზგასმის წყალობით, თავისთან მიიზიდავდა, როგორც ახალგაზრდებს, ასევე, ინტელექტუალებს. კირიევი იმაზეც გამოხატავდა შეშფოთებას, რომ ახალ პაპს შეიძლებოდა განსაკუთრებით გააქტიურებინა ძალისხმევა საქართველოსა და სომხეთში, რათა, ამ ქვეყნების საზოგადოება დაშორებულიყო მოსკოვის საპატრიარქოს და მათში კათოლიკე ეკლესიის გავლენა გაძლიერებულიყო, რაც, საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში ძალთა ბალანსის ცვლილებას გამოიწვევდა. კირიევი აღნიშნავდა, რომ **КГБ** ვატიკანის წინააღმდეგ, მოქმედების ფართომასშტაბიან გეგმაზე გადავიდოდა, რისთვისაც, განსაკუთრებულად უნდა გააქტიურებულიყვნენ როგორც უცხოეთში მყოფი **КГБ**-ს რეზიდენტები, ასევე, პირველი მთავარი სამმართველოს სხვადასხვა განყოფილებები.<sup>13</sup>

1980 წლის 2 იანვარს, საბჭოთა კავშირში არსებულმა რელიგიის საქმეთა საბჭოების თანამშრომლებმა მიიღეს ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დადგენილება, რომელსაც თან ახლ-

11 იქვე, 7.

12 Ob itogakh poyezdki delegatsii Soveta po delam religii pri Sovete Ministrov v Pol'skuyu Narodnuyu Respubliku, CCA, f. 5, op. 76, d. 186, document 1. იხ. ციტირება: Corley F., Soviet Reaction to the Election of Pope John Paul II, 2021, 10.

13 LSA, f. K-35, ap. 2, b. 232, pp. 9-12. იხ. ციტირება: Corley F., Soviet Reaction to the Election of Pope John Paul II, 2021, 12-13.

და 8 გვერდიანი დეტალური მოქმედების გეგმა, რომელიც ოთხ კატეგორიად იყოფოდა: ანალიზი, ღონისძიებები სსრ კავშირის შიგნით, ღონისძიებები სსრ კავშირის გარეთ და პროპაგანდა. საზღვარგარეთ განსახორციელებელ მოქმედებებში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, სახელდობრ: ბულგარეთს, უნგრეთს, პოლონეთს, რუმინეთსა და ჩეხეთ-სლოვაკეთს, რომლებსაც თეოლოგიური პერსპექტივიდან უნდა შეეტიათ ვატიკანისთვის. ამ ფონზე კი, საბჭოთა კავშირში არსებული ეკლესიები აქტიურად უნდა გამოყენებულიყვნენ საერთაშორისო რელიგიურ ფორუმებსა და ორგანიზაციებში, სახელდობრ: ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში (WCC), ქრისტიანული მშვიდობის კონფერენციაში (CPC), ლუთერანთა მსოფლიო ფედერაციაში (LWF), ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში (CEC), ბაპტისტთა მსოფლიო ფედერაციაში (BWF) და ბაპტისტთა ევროპულ ფედერაციაში (EBF). ამასთანავე, საბჭოთა კავშირის ყველა ღონე უნდა ეხმარა, რომ ერთი მხრივ, არასაბჭოთა კავშირელი მართლმადიდებლები გააქტიურებულიყვნენ პაპის წინააღმდეგ (რა გამიზნულებითაც გადაწყდა, რომ 1980 წლის მადრიდის ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მონვეულიყვნენ დასავლეთ ევროპაში მცხოვრები მართლმადიდებელი მღვდლები), მეორე მხრივ კი, გარკვეული ჯგუფები თავად კათოლიკურ სივრცეში დაპირისპირებოდნენ რომის პაპს. ამ გამიზნულებით გადაწყდა, რომ ფრანგი მემარცხენე იდეოლოგიის მქონე კათოლიკეები მონვეულიყვნენ 1980 წელს საბჭოთა კავშირში და მათთან შესაბამისი მუშაობა ჩატარებულიყო. ამასთანავე, რელიგიის საქმეთა საბჭოს, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიასა და ახალი ამბების სააგენტოსთან ერთად, საგულდაგულოდ უნდა დაემუშავებინა რომის პაპისა და ოფიციალური ვატიკანის დოკუმენტები, „აღმოეჩინა მათში“ რეაქციული შინაარსი და სხვა სახის დანაშაულებები და გაეკრძელებინა, როგორც საბჭოთა, ისე, საზღვარგარეთულ მედიაში.<sup>14</sup>

1981 წლის 21 აპრილს, იური ანდროპოვმა KГБ-ს როგორც რესპუბლიკურ, ასევე, რეგიონალურ ლიდერებს სპეციალური 8 გვერდიანი ე.წ. „ორიენტიროვკა“ წარუდგინა, რომელიც KГБ-ს პირველი და მეხუთე სამმართველოების მიერ იყო შედგენილი. დოკუმენტის მიხედვით სოციალისტური ქვეყნებისადმი პაპის მტრობა დაფუძნებულია მის როგორც ანტიკომუნისტურ და ანტისაბჭოთა მოსაზრებებზე, ასევე, კათოლიკე ეკლესიის კონსერვატიულ სასულიერო

14 Corley F., *Soviet Reaction to the Election of Pope John Paul II*, 2021, 16-17.

პირებთან და დასავლეთის რეაქციულ პოლიტიკურ პირებთან მრავალწლიან ურთიერთობაზე.<sup>15</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1982 წელს ვენაში, ადალბერტ კრიმსმა გამოსცა 180 გვერდიანი წიგნი: *Wojtyła: Politik und Programm des Papstes*. ეს წიგნი 1983 წელს ითარგმნა რუსულად, ოლონდ, მისი წაკითხვა და გავრცელება მხოლოდ სპეციალურ სიაში მყოფ პირებზე შეიძლებოდა, რომლებსაც, მკაცრად ჰქონდათ აკრძალული, რომ ეს წიგნი სხვისთვის ეთხოვებინათ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1983 წლის მიწურულს **КГБ**-ს პირველი მთავარი სამმართველოს სამუშაო გეგმა შეიქმნა, რომელსაც **ПГУ**-ს დირექტორი – ვლადიმერ კრიუჩკოვი ხელმძღვანელობდა და მასში, „ისლამურ ფაქტორთან“ ერთად, ვატიკანი უმთავრეს სამიზნედ იყო დასახელებული.<sup>16</sup>

1985 წელს გამოქვეყნდა პაპის ეპისტოლე – *Slavorum apostoli*, რომელშიც პაპმა გაუღერა იდეა, რომ ევროპას საერთო ქრისტიანული ფესვები აქვს. რელიგიის საქმეთა საბჭოს დირექტორმა კონსტანტინ ხარჩევმა ეპისტოლის ტექსტი, კომენტარებითურთ გაუგზავნა რელიგიის საქმეთა საბჭოს თანამშრომლებს, სადაც ეწერა, რომ მიუღებელი იყო პაპის მიერ წამოყენებული იდეა ევროპის საერთო ქრისტიანული ფესვების შესახებ. ხარჩევმა მოუწოდა თანამშრომლებს, რომ გაეძლიერებინათ მართლმადიდებელ სასულიერო პირებზე მუშაობა, რათა ამ უკანასკნელებში მეტად გაძლიერებულიყო ვატიკანის წინააღმდეგ განწყობები.<sup>17</sup>

როდესაც პაპ იოანე პავლე II-ს წინააღმდეგ ოფიციალური კრემლის ბრძოლას ვახსენებთ, უნდა გავიხსენოთ **КГБ**-ს მერვე მთავარი სამმართველოს კომუნიკაციების ექსპერტი ვიქტორ შეიმოვი. იგი ამბობს, რომ 1979 წელს, **КГБ**-ს-ს ვარშავის ოფისის დირექტორთან ერთად სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, როდესაც ნახა შეტყობინება: „მოიძიეთ ყველანაირი ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება პაპთან ფიზიკური მიახლოება.“ შეიმოვის თანახმად, ამგვარი ფორმულირებით **КГБ** ვინმეს მკვლელობის წინ საუბრობდა ხოლმე.<sup>18</sup> თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 1981 წელს, რომის პაპის მკვლელობის მცდელობაში **КГБ**-ს პირდაპირი ჩართულობის დამადასტურებელი სარწმუნო წყაროები არ მოგვეპოვებინა.

15 იქვე, 23.

16 იქვე, 29.

17 LSA, f. R181, ap. 3, b. 117. იხ. ციტირება: Corley F., Soviet Reaction to the Election of Pope John Paul II, 2021, 31-32.

18 Corley F., Soviet Reaction to the Election of Pope John Paul II, 2021, 34-35.



## დასკვნიდან ქართულ პარალელებამდე

წინამდებარე სტატია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში (ძირითადად იური ანდროპოვის მოღვაწეობის ხანაში), საბჭოთა კავშირის მესვეურების მხრიდან კათოლიკე ეკლესიასთან დამოკიდებულებას ეხება. არც ისე შორეულ წარსულში გამოქვეყნდა ჩემი სტატია იოსებ სტალინის კათოლიკეებთან დამოკიდებულების შესახებ (იხ. ლურსმანაშვილი გ., სტალინი, წმინდა საყდარი და ურთიერთობა კათოლიკეებთან. საქართველო და წმინდა საყდარი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, 63-75).

ჩემი აზრით, როგორც პირველ, ასევე, მეორე სტატიაში, კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებსა და კვლევებზე დაყრდნობით გადმოცემულია ის ძირითადი კონტურები, რომელთა მიხედვითაც, საბჭოთა კავშირში კათოლიკე ეკლესიასთან მყარდებოდა კონტაქტი. ჩემი აზრით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ წრეებში, დღეს არსებული ძირითადი ე.წ. მეინსტრიმი, სწორედ სტალინისა და ანდროპოვის პერიოდში შექმნილ წარმოდგენებს ეყრდნობა. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ძალიან ხშირად, ოფიციალური ვატიკანისა თუ ქართველი კათოლიკეების წინააღმდეგ გაისმის ხოლმე ისეთი არასერიოზული, გაუმართლებელი, არარეალური და დამამცირებელი ბრალდებები, როგორსაც სტალინის ან ანდროპოვის ხანაში მცხოვრები ადამიანი მოისმენდა ხოლმე ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების ან საინფორმაციო საშუალებების მხრიდან. ამ ძალიან მძიმე რეალობის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება მეტად გაძლიერდეს საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის უახლესი წარსულის კვლევა, რათა, საარქივო მასალებზე, ისტორიულ წყაროებსა თუ თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით საზოგადოებას მიენოდოს ის ისტორიული (და, ხშირად მწარე) სინამდვილე, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება წარსულის შეცდომების გადაფასება და გამოსწორება.

ჩემი აზრით, სხვა საკითხებთან ერთად, ტექსტში მოყვანილი ინფორმაციები საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებში სასულიერო პირების ჩართულობის შესახებ, ქართველი საზოგადოებისთვის საყურადღებო უნდა იყოს. ისტორიული ფაქტია, რომ საქართველოს ეკლესია, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის დროს განეწვიანდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, მოგვიანებით კი – ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში.

ორივე ეს ორგანიზაცია, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1997 წელს დატოვა. ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს ეკ-

ლესიის ზემოთდასახელებულ ეკუმენურ ორგანიზაციებში ყოფნის შესახებ, ძირითადად, ორი დამოკიდებულება არსებობს: შესაბამისად, ფუნდამენტალისტური და ლიბერალური. ფუნდამენტალისტური დამოკიდებულების მიხედვით, მთელი ეს პერიოდი საქართველოს ეკლესია მონაწილეობდა ე.წ. „ცოდვილ აქტივობაში – ეკუმენიზმში“ და, 1997 წელს, ამ ყველაფრისგან ჩამოშორება დადებით მოვლენად აღიქმება. ლიბერალური დამოკიდებულების მიხედვით, 1997 წლამდე საერთაშორისო ეკუმენურ ორგანიზაციებში მონაწილეობა იყო დამოუკიდებელი საქართველოსა და საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიის საერთაშორისო ინტეგრაციისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რითაც, საქართველოს ეკლესია უფრო მეტად გაიხსნა დანარჩენი საყაროსთვის და ეს პერიოდი დადებითად უნდა შეფასდეს ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში.

მე შეგნებულად ავუვლი გვერდს ფუნდამენტალისტურ დამოკიდებულებაზე კომენტარის გაკეთებას და მეორე, ლიბერალურ მიდგომაზე გავამახვილებ ყურადღებას. ჩემი აზრით, ეკუმენურ ორგანიზაციებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ შეფასებული ცალსახად დადებითად, რომ ცივ გონებაზე და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით არ მომხდარა დასახელებული პერიოდის შესწავლა.

რეალურად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ემს-ში, ასევე, ეეკ-ში განვერიანებული იყო არა იმიტომ, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის თემებთან დაკავშირებით ტრიბუნა ჰქონოდა, არამედ, რადგან უალტერნატივოდ დაეჭირა მხარი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ინიციატივებისა და პოზიციებისთვის. ამასთანავე, ხე ნაყოფით შეიცნობა და პირდაპირ შეიძლება იმის თქმა, რომ ზემოთდასახელებულ ორგანიზაციებში მოღვაწეობიდან არანაირი გახსნილობა თუ ღიაობა, საქართველოს ეკლესიას არ შეუთვისებია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ემს-ში, ასევე, ეეკ-ში ჩართული იყო, როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, მას არ ჰქონია დამოუკიდებლად არც მოქმედებისა და არც აზრის გამოხატვის ფუნქცია და, შესაბამისად, თავის მოტყუებაა ე.წ. „ქართული საქმის“ გაკეთებაზე საუბარი. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, თეორიულად, მხოლოდ 1990 წლის შემდეგ შეეძლო, რომ საერთაშორისო ეკუმენურ მოძრაობებში ჩართულობით ქართული საქმე გაეკეთებინა და ეს ტრიბუნები გამოეყენებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ქართველი დევნილების, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დატერილებული ჰუმანიტარული კატასტროფებისა და სხვა მართლაც საჭირობო საკითხების გასაუღერებლად, რადგან სწორედ ამ

პერიოდში იყო, ოფიციალურად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალური, ხოლო სახელმწიფო კი დამოუკიდებელი, თუმცა, როგორც ფაქტები მოწმობენ, არათუ გამოვიყენეთ საერთაშორისო ტრიბუნები, არამედ, დაუფიქრებლად დავტოვეთ ისინი.

**Guram Lursmanashvili**

## **The Soviet Union and the Anti-Catholic Narrative 1950-1980's (General outlines)**

In the Soviet Union, the attitude towards different religions was dissimilar at different times, however, the approach about the Catholic Church almost did not change. This institution remained an ideological enemy and an unacceptable organization for the leaders of the Soviet Union. This article focuses on the anti-Catholic narrative and actions in the Soviet Union between 1950-1980.

The main focus of the article is on Yuri Andropov, which is not accidental. For years, it was he who headed first the KGB of the Soviet Union, and then the Central Committee of the Communist Party. Yuri Andropov had a rather rigid attitude towards the Catholic Church, which was reflected in the politics of the entire Soviet Union.

The purpose of the article is to highlight the main direction and purpose of the anti-Catholic propaganda and actions of the Soviet Union in 1950-1980, so that the interested reader can easily draw a conclusion about the Catholic image of the enemy, which was formed in the Soviet Union during the period discussed in the article.

## იოსებ ოცხელის მოგონება ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქუთაისში ცხოვრობდა ბევრი ღირსეული კათოლიკე, რომელთაც ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს.

ერთი მათგანია ოცხელების გვარის წარმომადგენლები, რომლებიც მესხეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი ქუთაისში. ამ გვარს ეკუთვნოდა სოფელი ოცხი და კურორტ აბასთუმანთან მდებარე ციხე-სიმაგრე.

ქუთაისელ სერგო ოცხელს სამი ვაჟი ჰყავდა: ივანე, სტეფანე და გრიგოლი. ივანე ოცხელი შეძლებული ვაჭარი იყო, რომლის ვაჟები იოსები, კონსტანტინე, დავითი, სიმონი და ალექსანდრე გიმნაზიაში სწავლობდნენ. 1885 წელს უფროსმა ვაჟმა იოსებმა სწავლა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გააგრძელა. სამშობლოში დაბრუნებული იოსებ ოცხელი მალე ქუთაისის თავადაზნაურთა გიმნაზიას ჩაუდგა სათავეში და 30 წელი იყო მისი უცვლელი დირექტორი.

გიმნაზიაში იოსებ ოცხელის ცხოვრება-მოღვაწეობას ეხება 1967 წელს პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონის“ მეთორმეტე ნომერი, რომელიც პარიზში იბეჭდებოდა და სადაც გამოქვეყნებულია მოგონებები „იოსებ ოცხელის 100 წლის შესრულება“.

მოგონებებში, რომელიც პროზაული ჟანრის ნაწარმოებთა ციკლს წარმოადგენს, გაშუქებულია თორმეტი ავტორის მიერ წარმოჩენილი სასიქადულო მამულიშვილისა და დირექტორის პიროვნული ხატი, რომელიც მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა ემიგრაციის ნარეკლიან გზაზე ნახევარ საუკუნეზე მეტი ატარეს.

1892 წელს იოსებ ოცხელმა დასავლეთ საქართველოში პირველი „ქართული საჩვენებელი საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით დაამთავრა“.

იგი შემდგომ ქუთაისში ხოჯევანიშვილის პანსიონის სახით არსებობდა. 1900 წელს იოსებ ოცხელი ქუთაისის სკოლის ინსპექტორად დაინიშნა. მან ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლ დათა ნიჟარაძესა და ცნობილ საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძესთან ერთად შეიძინა მიწის ნაკვეთი, სადაც 1907-13 წლებში სათა-

ვადანაწარმო ბანკის შენევენით ქუთაისის ქართული გიმნაზიის შენობა აშენდა – დღევანდელი მეორე სკოლა.

„სათავადანაწარმო“ ნოდებულის გიმნაზია კერძო ხასიათისა იყო. ესე იგი, ეს სასწავლებელი მთავრობის ხარჯზე არ არსებობდა, თუმცა იგი კავკასიის სამასწავლებლო ოლქის გამგებლობას, „პოპეჩიტელს“ ემორჩილებოდა. ამ გიმნაზიას, რომელსაც პირველად „ბანკის კლასი“ ერქვა: „სათავადანაწარმო“ იმიტომ დაარქვეს, რომ მას ქუთაისის „სათავადანაწარმო ბანკი“ ინახავდა და „ქართული გიმნაზიის სახელწოდება იქიდან წარმოდგა, რომ გიმნაზია ქართველობას ეკუთვნოდა და იქ ქართულის სწავლება სავალდებულო გახდა, რასაც მთავრობის გიმნაზია მოკლებული იყო. მართალია, ამ „ქართულ გიმნაზიაში“ ბევრი იყო თავადანაწარმოთაგან, მაგრამ მასში ირიცხებოდნენ ვაჭართა და გლეხთა შვილები, სომხებიცა და ებრაელებიც. განსაკუთრებით უკანასკნელ ხანაში ბევრი იყო გლეხთა შვილი, ამ მხრივ „ქართული გიმნაზია“, როგორც სოციალური, ისე ეროვნული მხრით გამონაკლის არ აკეთებდა.

„ჰო და, არც მე ვიყავი არც თავადი, არც აზნაური! ქართული გიმნაზიის კარი ყველასათვის ღია იყო. და სწორედ ამით ხასიათდებოდა იგი (ისე როგორც თბილისის ქართული გიმნაზია!), – ნოდებრივი ან ეროვნული დაბრკოლება იქ არ არსებობდა. მთავარი იყო ამ გიმნაზიის ახალგაზრდობა ქართული სულისკვეთებით აღეზარდა და ამ მხრივ ეს სასწავლებელი მთავრობას ყოველთვის საეჭვოდ მიაჩნდა“, – წერს ცნობილი რუსთველოლოგი ვიკტორ ნოზაძე („კავკასიონი“ 1967: 205-206).

ყურადღებას იპყრობს ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე დაბეჭდილი დავით ბერეკაშვილის მოგონებებიდან ერთი ამონარიდი: „ერის ბრწყინვალე მომავლის გამოკვეთა ხომ ღირსეულად აღზრდილ მის ახალგაზრდობას ეკუთვნის! და, აი ამ საპატიო სამსახურს იოსებ ოცხელმა, ქუთაისის სათავადანაწარმო ქართული გიმნაზიის დირექტორმა, მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია! 30 წლის მოღვაწეობითა და დაუღალავი შრომით დიდი ამაგი დასდო მან ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ბ-ნი იოსები ჩვენ გვევლინებოდა, როგორც მასწავლებელი გამზრდელი, მოძღვარი და მამა. არ იყო მონაფე, რომელსაც არ ჰქონოდა მისი პატივისცემა და მოკრძალება. მისი გავლენა ბავშვის ბუნებაზე დიდი, ღრმა და მუდმივი იყო. იგი ჭეშმარიტად საკვირველი ალლოთი უდგებოდა ბავშვის ნორჩ ბუნებას და უშეცდომოდ მიაგნებდა ხოლმე მოზარდის კარგს და ცუდ მხარეს.

ჭეშმარიტად, ბ-ნი იოსები იყო დიდი მასწავლებელი, უბადლო ოსტატი და მწვრთნელი მოზარდ სათუთ გრძნობა-ბუნებისა და უპატიოსნესი ქართველი მამულიშვილი“ („კავკასიონი“ 1967: 193).

ასევე, ყურადღებას იმსახურებს ლონდონში მოღვაწე ემიგრანტ ანდრია გუგუშვილის მოგონება: „იოსებ ოცხელის 100 წლისთავი! ღმერთო ჩემო! როგორ გარბის დრო... და უცებ ბატონი გიორგი ნოზაძის წერილმა გონს მომიყვანა: შესრულდა 100 წელი იოსებ ოცხელის, რომლისაგანაც ასე დავალებული ვართ მისი ყოფილი მონაფეხები და განსვენებულის ძვირფასი ხსოვნის აღსანიშნავად მთხოვდა, როგორც იოსებ ოცხელის ყოფილ მონაფეხს რომელთა რიცხვი დასავლეთში 12 აღწევს თურმე, მიმეწოდებინა ჩემი მოგონებები.

მოსაგონებელი ბევრი რამეა – იოსებ ოცხელზე, როგორც პედაგოგსა და სკოლის ადმინისტრატორზე; თვით სკოლის დანიშნულება, მისი კურიკულუმის შესაფერისობა, სწავლის მეთოდი და სხ. – მხოლოდ ამგვარი დაფასების გზით შეიძლება იოსებისა და მისი გიმნაზიის აღმზრდელი როლის შეფასება... ასეთი ფართო შეფასება მით უფრო სავალდებულოა, რომ ის მიზანი და იდეალი, რომელსაც განსვენებული იოსები და მისი სკოლა ემსახურებოდა უკვე გამქრალია“ („კავკასიონი“ 1967:194).

ზოგჯერ მოგონება ერთგვარად უახლოვდება დღიურს, მაგრამ განსხვავება დიდია. დღიურში პირადული ქარბობს ყოველთვის, მაშინ როცა მოგონებაში საზოგადოებრივი მოვლენებია უპირატესად წარმოდგენილი. ამას ადასტურებს პარიზში მცხოვრებ ემიგრანტის სვერინანე ჭირაქაძის მოგონება: „პირველად 1907 წ. ვნახე იოსებ ოცხელი, როცა ამ სკოლაში მიმიღეს მონაფეხ. მას ყველა პატივსა სცემდა; სხვა გიმნაზიის მონაფეხებიც, როცა მას ქუჩაში შეხვდებოდნენ ხოლმე, დიდი მონინებით მიესალმებოდნენ.

პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ბ-ნი იოსები საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა; მონაწილეობას ლებულობდა ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში; იგი ბევრი კულტურული ნამოწყების მეთაური იყო; ხელს უწყობდა ქართული წიგნების გამოცემას; ეხმარებოდა ყოველგვარ ქართულ გაზეთებს, ბინისა და ქალაქის მინოდებით. თვითონაც შეადგინა ერთხელ ქართული ენის სახელმძღვანელო „გუთან“. მან შიგ თავისი მოთხრობებიც შეიტანა. ერთი მისი მოთხრობა „გაბრიელ მღვდელმთავარი“ იყო.

იოსებ ოცხელი, ამასთანავე, დიდი პატრიოტი იყო და ისიც იღვწოდა ქართველი ერის თავისუფლებისათვის, როგორც სხვა დიდი ეროვნული მოღვაწეები. ის იცნობდა ილია ჭავჭავაძეს და ხვდებოდა მას სხვა და სხვა კულტურული საქმის გამო...

ყველაზე დიდ კმაყოფილებასა და აღფრთოვანებას ბ-ნი იოსები გრძნობდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებით. ის უსაზღვრო ერთუზიანებით ჩაება ახლად აღდგენილ სახელმწიფოებრივ მუშაობაში. მან შეადგინა მთელი რიგი კომისიებისა და შეუდგენ

სასწავლებელთა გაეროვნულებას, ქართული სახელმძღვანელოთა შედგენას. სამეცნიერო ტერმინოლოგიათა დამუშავებას. ბ-ნი იოსების ხელმძღვანელობითა და ხარჯით გამოიცა საქართველოს ისტორია ივ. ჯავახიშვილისა, ქართული ლიტერატურის, გერმანული, ფრანგული ენის სახელმძღვანელო; ფიზიკის სახელმძღვანელო ალ. ჯანელიძისა; გეომეტრიისა და ალგებრის – სიმონ ოცხელისა და სხვა...“ („კავკასიონი“ 1967:198).

ვაშინგტონსა და გერმანიაში მცხოვრებმა გიორგი გამყრელიძემ ჯერ კიდევ 1965 წელს დაწერა მოგონებანი დიდ პედაგოგზე იოსებ ოცხელზე: „არიან პიროვნებანი დიდი და მცირენი, რომელთა დამახსოვრება, მათი სახის გამომეტყველება მეხსიერებაში მკვეთრად რჩება... არიან სხვები, რომელთა სახეები ნისლით იბურება და ნეგატივივით მოსჩანს და აღარც კი იცი დანამდვილებით: გინახავს ისინი ოდესმე, თუ არა! არიან კიდევ ისეთები, რომელთა სახე ხანგრძლივი უნახველობის გამო, როგორღაც შარავანდედის შუქით იმოსება და თვალწინ დგას ისე, როგორც ის სინამდვილეში არც კი ყოფილა! ამის მიზეზია მოსაგონარი პიროვნების მიერ მოხდენილი ძლიერი შთაბეჭდილების დამახსოვრება, მისი მითოსად გადაქცევა და აქედან წარმოშობილი ოპტიკური შეცდომა.

მე აქ აღწერ იოსებ ოცხელის გარეგნობას ისე, როგორც ჩემს ხსოვნაშია: საშვალოზე მაღალი ტანი, ფართო – ბეჭებიანი კაცი, ღია, თითქმის მოვარდისფერო სახის ფერი, შავი უკვე შეჭალარავებული მოგრძო და ბოლოში გაყოფილი წვერი, დინჯი მიხვრა-მოხვრით, რომლის ტანსაც უფრო ხშირად რუხი ფერის კოსტიუმი მოსავდა...

ბევრ ტალღას ჩაატარებს რიონი და მტკვარი, შავსა და კასპიის ზღვებში, სანამ იოსებ ოცხელის ბადალი პედაგოგი და ახალგაზრდობის მეჭირისუფლე ქართველ ხალხს მოეველინებოდეს. სამარადისო იყოს ხსენება მისი“ („კავკასიონი“ 1967:197).

პარიზელი ემიგრანტი ვანო ბაქრაძე ბუმბერაზი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ ოცხელის ხსოვნის აღსანიშნავად წერს: „სათავადაზნაურო სასწავლებელში, რომლის მოწაფე მეც გახლდით, ჩემთან ერთად სწავლობდა ერთი სომეხი, გვარად სომხიანცი. არ გავიდოდა თითქმის არც ერთი დღე, რომ ერთმანეთს არ დავტაკებოდით. ერთი ასეთი ჩხუბის დროს თავზე დაგვადგა გიმნაზიის დირექტორი. მან მთელი საათი გვესაუბრა და გვითხრა: თუ რა დიდი ერი ყოფილა სომეხები: მათი მწერლები და დიდი კულტურა! როგორ ესმოდათ ეს საკითხი ჩვენი ქვეყნის დიდ მოჭირნახულეთ ბაგრატოვანებს და მათში უფრო საქართველოს აღმშენებელ დავითს და თამარ მეფეს. ურთიერთის სიძულვილს ისტორიული გამართლება არა აქვს! რომ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო! ეს სიძულვილი ჩვე-

ნი საერთო მტრის მახვილია ამ ორი ერის გულში..." („კავკასიონი“ 1967:199).

სხვადასხვა რაკურსით წარმოგვიდგენენ თავის საყვარელ დირექტორს უცხოეთის ცის ქვეშ გადახვენილი ყოფილი მოსწავლეები. ყურადსაღებია, საფრანგეთში მცხოვრებ ემიგრანტ დიმიტრი (დუტული) ახვლედიანის მოგონება: „ბედმა მარგუნა ვყოფილიყავი იმ სასწავლებელში, რომელსაც განაგებდა ან განსვენებული, ნეტარხსენებული, ძვირფასი, დიდი აღმზრელი, კარგი ადამიანი, კარგი ქართველი, მიჩნეული მეორე მამად, განსაკუთრებით ჩემთვის, რომელმაც მამა-ჩემი დავკარგე 8 წლისა როცა ვიყავი. მეორე ჩემი მამა იყო ჩვენი დიდი იოსებ ოცხელი!

ბ-ნი იოსები სასწავლებლისათვის თავდადებული იყო... გარდა იმისა, რომ იგი უძღვებოდა ამ დიდ დაწესებულებას, ცხოვრებული ეხმარებოდა ღარიბ-ობლებს და მეც მისი დახმარებით ხშირად მათავისუფლებდნენ ხოლმე სასწავლებლის ფულის გადასახადისაგან...

მან ჩამინერგა მე სიყვარული საქართველოს მიმართ, აღძრა ჩემში მისთვის თავდადების წადილი და ყოველთვის ვცდილობდი მისთვის სათანადო უანგარო და თავდადებული სამსახური გამენია. 1921 წელს წავედი მოხალისედ, 17 წლის მონაფე, და ვიბრძოლე ბოლშევიკების მიერ შემოსეული მტრის წინააღმდეგ... შემდეგ გავიარე “ჩეკის” სარდაფები და იქ გაბატონებული ტანჯვა-წამებაც!... ვახსენე ბ-ნი იოსებ ოცხელის სახელი და კიდევ დავპირდი მას განმეგრძო ეს მძიმე ბრძოლა“ („კავკასიონი“ 1967:200).

ყურნალ “კავკასიონში” დაბეჭდილი მოგონების ავტორია ასევე ბრიუსელში მცხოვრები ემიგრანტი ირაკლი ოთხმეზური: „ბ-ნი იოსები გარეგნობით წარმოსადეგი, დიდი მოყვანილობის იყო. იცვამდა ზედმინევიანი ევროპულ წესზე; ჰგავდა დიდი სახელმწიფოს მნიშვნელოვან ელჩს! მუდამ ღმობიერი და თავაზიანი. სიტყვა და ქცევა მოფიქრებული...“ („კავკასიონი“ 1967:201).

ქართული გიმნაზიის დირექტორზე თავის მოგონებაში მნიშვნელოვან დეტალს გვაწვდის ნიუ-იორკში მოღვაწე გიორგი (ბიჭიკო) ახვლედიანი: „ჩვენს ქუთაისის ქართულ გიმნაზიას ორი შესანიშნავი ხელმძღვანელი ჰყავდა: იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე. ბატონი იოსები – დინჯი, დარბაისელი, ტკბილი, მომლიმარი სახით... ბატონი სილოვანი – მუდამ აჩქარებული, ნერვიული და მოღუშული... აღზდის მეთოდიც სხვა და სხვა იყო. თუ ბატონი იოსების შთაგონებით და მოფერებით გავლენას ახდენდა მოსწავლეებზე; ბატონი სილოვანი ხშირად გაჯავრდებოდა და მოწაფეებს ტუქსავდა ხოლმე... კარგად დამამახსოვრდა ერთი ამბავი: „როცა სიცელქისათვის



სილოვან ხუნდაძე მკიცხავდა, ამ დროს იოსებ ოცხელმა განაცხადა „ამჟამად ვაპატივით, მხოლოდ სიტყვა მოგვცეს, რომ მომავალში აღარ იცელებს და წესიერად იქნება...“

რა თქმა უნდა, პირობა უყოყმანოდ დავდევი და მართლაც იმ დღიდან, როდესაც ცელებობის ჟინი მომივლიდა ხოლმე, ვცდილობდი მაინც თავი შემიკავებინა, რადგან ჩვენი ძვირფასი დირექტორის სახე და ტკბილი სიტყვები გამახსენდებოდა ხოლმე“...

იოსებ ოცხელის შესახებ 12 ემიგრანტთა მოგონებას ახალი შტრიხებით ავსებს დავით ქვარიანის მონათხრობი: „ბევრი რამ კეთილი და სათნო და სიტკბო ჩამრჩა მეხსიერებაში ბატონ იოსებზე, ამ ბუმბერაზ აღმზრდელზე. ვერც კი წარმომიდგენია მის მიერ აღზრდილ რომელიმე მოწაფეს დაავიწყდეს მისი სათნოებით სავსე მოპყრობა, მისი კეთილი განწყობილება ყველა მოწაფისადმი“ („კავკასიონი“ 1967:202).

1967 წელს ჟურნალ „კავკასიონის“ მე-12 ნომერში იოსებ ოცხელის დაბადებიდან „100 წლის შესრულების გამო“ მიძღვნილ მოგონებების ინიციატორი გიორგი ნოზაძე წერდა: „ძვირფასი იოსებ ოცხელის, ჩვენი დირექტორის უღრმესი პატივისცემა, მისდამი მაღლიერების გრძნობა გვიკარნახებდა უცხოეთში მყოფ მის ყოფილ მოსწავლეთ, მისი დაბადების 100 წლისთავი მონივნებით აღგვენიშნა. ამ მოსაზრებით მივმართე მათ, მოენოდებინათ მცირე მოგონებანი იოსებ ოცხელზე.“

ამ სიტყვების ავტორი გიორგი ნოზაძე აქვე იგონებს მისი თვალთ დანახულ ბევრ სახასიათო ფაქტებს სამაგალითო პიროვნებაზე: „ბ-ნ იოსები უაღრესად კეთილი ადამიანი იყო. კარგად მახსოვს ერთი ასეთი დამახასიათებელი შემთხვევა: – დიდი ომის დროს ქუთაისს ესტუმრა ახლად დანიშნული მეფის მოადგილე. “ნამესტნიკი“ კავკასიისა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (ხელმწიფის ბიძა). ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიასაც უნდა სწევოდა. შეხვედრის ცერემონიალის რეპეტიცია გააკეთეს. დაგვანყვეს რიგზე და გვასწავლეს, რა უნდა გვეყვირა მის მისალმებაზე. რეპეტიციის დროს ჩემს გვერდით იდგა ერთი ბავშვი, რომელსაც ღია ფერის შარვალი ეცვა. ფორმა ტანსაცმლისა კი იყო შავი, წითელი სირმით მოყოლებული და თეთრი ლერბი (ჩვენი ეროვნული ფერები). გიმნაზიის დირექტორმა ბატონმა ოცხელმა ჩაგვიარა ყველას და ჩემს გვერდით მდგომს მიმართა: ასეთი ფერის შარვლით დღესასწაულში მონაწილეობას ვერ მიიღებო. ატირებულმა მოწაფემ უბასუხა: სხვა შარვალი არა მაქვს და მამას ფული არ გააჩნია ახალი მიყიდოსო. შემდეგ დანიშნულ ზეიმზე ეს ჩემი მეზობელი ბიჭი გამოცხადდა ახალი, შავი შარვლით. მას თვალები უბრწყინავდა, როცა გახარე-

ბული, საიდუმლოდ მიაბობდა, თუ როგორ უყიდა მას ახალი, შავი შარვალი დირექტორმა!"

გიორგი ნოზაძის მოგონებაში ყურადღებას იპყრობს ასევე ერთი ასეთი დეტალიც: „საერთოდ, ყველა გიმნაზიაში იმ დროს ხელთნანერ ჟურნალს უშვებდნენ. ჩვენც, უმცროს კლასელებმაც გადავწყვიტეთ ასეთი ხელთნანერი ჟურნალის დაარსება და შევქმენით მონაფური ხელთნანერი ჟურნალი, რომელიც გასაცნობად ბატონ იოსებს გადავეცით. მან ჩვენი ნამუშევრის გაცნობის შემდეგ მოგვმართა: “ეს თქვენი ნამონყება დიდად მახარებს; ასეთი ინიციატივის გამოჩენა საწინდარია თქვენი კარგი მომავლის! კალმოსნობის გარდა, სურვილი რომ გაგეღვიძათ საერთო სასარგებლო საქმის გაკეთებისაა. მაგრამ სხვა რამეც არის საჭირო! აი, მაგალითად: შეაგროვეთ ხალხური ლეგენდები, იგავ-არაკები, ანდაზები, გადმოცემები, ზღაპრები... შეეკითხეთ თქვენ ბებია-ბაბუას და ისინი ბევრ საინტერესო ამბავს მოგიყვებიან ხალხური სიტყვიერებიდან“.

თავის მოგონებას პარიზში მცხოვრები ემიგრანტი გიორგი ნოზაძე ერთი საინტერესო ამბით ამთავრებს: „ტრალიკულად დაღუპულმა მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა პარიზში ყოფნისას გადმომცა სასიამოვნო ცნობა: ქუთაისის ყოფილმა მოსწავლეებმა შევაგროვეთ საკმაო თანხა და ჩვენ დირექტორს იოსებ ოცხელს საფლავზე მშვენიერი ძეგლი დავუდგითო.

დეე, იოსებ ოცხელის ამ მოგონებებმა სუსტად მაინც აღნიშნოს ამ დიდი ადამიანისადმი ჩვენი მადლობა და უღრმესი, მოწინებითი პატივისცემა“ („კავკასიონი“ 1967:203).

ჟურნალ „კავკასიონში“ დაბეჭდილი მთელი ეს მოგონებათა ციკლი ნიკო ურუშაძის მონათხრობით მთავრდება: „მე არ მქონია ბედნიერება იოსებ ოცხელის მონაფე ვყოფილიყავი. მისი გარდაცვალების წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას ვასრულებდი. იოსებ ოცხელის დაკრძალვის დღეს კარგი მზიანი დარი იდგა. ქუთაისის ყველა სასწავლებლის მონაფეებს და აუარებელ საზოგადოებას თავი მოეყარა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ვრცელ ეზოში.

აქ გამოსულთა სიტყვებში მოცემული იყო იმ ბრძოლების ეპოპეა, რომელიც იოსებ ოცხელმა გაუმართა კავკასიის „პოპეჩიტელს“, მზრუნველს რუდოლფს, რომლის სახელი, როგორც დიდ რუსიფიკატორისა მთლიანად რუსეთშიც კი იყო ცნობილი. იოსებ ოცხელი ებრძოდა მას და მეფისნაცვლის მთელ ადმინისტრაციას იმისათვის, რომ ქართული გიმნაზიისათვის შეენარჩუნებინა ქართული სული და მოსწავლეთა ქართულად სწავლის უფლება.

სამართლიანი იქნება ისიც აღვნიშნოთ, რომ იოსებ ოცხელს ამ ეროვნულ ბრძოლაში მოკავშირეები ჰყავდა იმ წრიდან, რომლის თაოსნობით დაარსდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია და რომლის ნივთიერი დახმარებით ეს ქართული სასწავლებელი თავს ინახავდა...

გასვენების პროცესიამ გაიარა ქუთაისის მთავარი ქუჩები და იოსების ცხედარი, როგორც კათოლიკესი, მიასვენეს კათოლიკეთა სასაფლაოზე“ („კავკასიონი“ 1967:213).

ზემოთ დამონებული მოგონებები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ იმას, რომ იოსებ ოცხელი ასრულებდა ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანას – ის ადამიანს აყალიბებდა. ამ დიდ მისიაში კი მას ფასდაუდებელ მეგზურობას დიდი განათლება, კრისტალური პატიოსნება, უანგარობა, მოუსყიდაობა უწევდა. რითაც მნიშვნელოვანი და ნათელი კვალი დატოვა.

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. მ. მარჯანიშვილი „სილოვან ხუნდაძე ემიგრანტის მოგონებაში“, „ქართველური მემკვიდრეობა“, XX, 2016, ქუთაისი.
2. მ. მიქაძე, მ. ქაცარავა „იოსებ ოცხელი – ეროვნული მოღვაწეობა“, „ქართველური მემკვიდრეობა“, XI, 2007, ქუთაისი.
3. ვ. ნოზაძე, „მოსახსენებლად იოსებ ოცხელისა“, ყურნალი „კავკასიონი“ N12, 1967, პარიზი.
4. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი – 6416/ 1907. 2173/1060; 1062; 1063. 6416/1779; 1910.

**Mariam Marjanishvili**

### **Memoirs of Ioseb Otskheli on the pages of "Kavkasioni"**

From the second half of the XIX century, many worthy representatives of the Catholic community lived in Kutaisi, who made an invaluable contribution to the cultural and educational life of the country.

One of them was a member of the Otskheli family who had migrated from Meskheta to Kutaisi. The village of Otskheli and the fortress near the resort Abastumani belonged to this family.

Sergo Otskheli from Kutaisi had three sons: Ivane, Stefane and Grigol. Ivane Otskheli was a wealthy merchant, whose sons Joseph,

Constantine, David, Simon, and Alexander attended the gymnasium. In 1885, the eldest son Joseph continued his studies at the Faculty of Physics and Mathematics of the University of Novorossiysk (Odessa). Ioseb Otskheli, who returned to his homeland, soon headed the Kutaisi Nobles Gymnasium and was its permanent director for 30 years.

It is in the twelfth issue of the magazine „Kavkasioni" published in Paris in 1967 that the cycle of works of the prose genre is covered – a memoir about the life and work of Ioseb Otskheli.

„Memories of the 100th anniversary of the birth of Ioseb Otskheli" is a work of twelve authors on Ioseb Otskheli.

## კათოლიკე მღვდელმსახური ივანე გვარამაძე და სტამბოლის ქართული საჯანე

სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ უბან ფერი-ქოიში არსებული ქართული კათოლიკური მონასტერი არა მარტო ქრისტიანული რელიგიის საზღვარგარეთულ ცენტრს წარმოადგენდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ ეროვნული სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს კერასაც. აქ მოღვაწე სასულიერო პირები თავიანთ უმთავრეს მოვალეობად თვლიდნენ საღვთისმსახურებლო საქმიანობა სისხლხორცეულად შეეთავსებინათ აქტიურ შემოქმედებით, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან, რამაც საგულისხმო როლი შეასრულა ქართული სულიერი კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

თავის წიგნში – „ქართველები კონსტანტინეპოლში,“ რომლის შალვა ვარდიძისეული ქართული თარგმანი 1921 წელს დაიბეჭდა სტამბოლის ქართული საჯანის სტამბაში, ცნობილი იტალიელი სწავლული და დიპლომატი, 1918 წლიდან სტამბოლში საქართველოს დიპლომატიური მისიის მდივანი ევგენი დალეჯიო დალეჯიო საჯანის განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, პირველ ყოვლისა, იმას მიიჩნევდა, რომ იქ მოღვაწე სასულიერო პირებმა იგი „უცხოეთში ეროვნულ კერად გარდაქმნეს, სადაც მუდამ არა მარტო მრავალ ქართველ ახალგაზრდამ შეაფარა თავი, არამედ მრავალმა პოლიტიკურმა მოღვაწემაც კი, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებისა. ამავე საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და საფრანგეთის მთავრობა მარადის ეცნობოდნენ საქართველოს და ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას“ (დალეჯიო, 1990: 31).

ფერი-ქოი გამონაკლისი არ ყოფილა და ქართული დასახლებები, ეკლესიები და სასწავლებლები შუა საუკუნეებში სტამბოლის სხვა უბნებშიც არსებულა. დალეჯიოს ზემოთ დამოწმებული წიგნი უაღრესად საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ ივანე გვარამაძის ჩანაწერებზე დაყრდნობით იტალიელი სწავლული ამასთან დაკავშირებითაც გვანვდის მეტად საგულისხმო ინფორმაციას. მაგალითად, დალეჯიოს ცნობით, ტაქსიმის სახელით ცნობილ სტამბოლის ერთ-ერთ

ცენტრალურ უბანში ქართველებს ძველად თავიანთი სასაფლაოც ჰქონიათ, მაგრამ მისი ქართულწარწერებიანი ქვების ერთი ნაწილი თურმე „სომეხებმა გაალაღეს და მოიხმარეს თავიანთი საავადმყოფოს შენობისათვის, რომელიც ამ ადგილის პირდაპირ (იგულისხმება ტაქსიმის სასაფლაო – ა. ნ.) მდებარეობდა“ (დალეჯიო, 1990: 25).

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით იტალიელი ავტორი ივანე გვარამაძის ერთ-ერთ ასეთ ჩანაწერსაც იშველიებს: „ამ საფლავის ქვების გარდა, კიდევ არის ორასზედ მეტი გადაზიდული კათოლიკე სომეხთა, წმინდა იაკობის ეკლესიაში. თითქმის ყველა ქვეტი ეკლესიის შენობაში იხმარეს და დანარჩენი იმავე ეკლესიაში იატაკად დააგეს. ამ ქვებზე ყველა წარწერები მეტი სიარულით თითქმის ერთიან ნაშლილია, მხოლოდ იმდენად ეტყობა, რომ გაიარჩევა ქართული ნაწერი“ (დალეჯიო, 1990: 25).

აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს რომ შეესაბამება და, გარდა ფერი-ქოისა, შუა საუკუნეების სტამბოლის ისეთ ცნობილ რაიონებში, როგორებიცაა: პერა, უსკუდარი, იენიშარი, ვეზირხანი, პაპას-კვერი, ჰრომანას ხევი, სოსთენე და ანასტაზია, ქართული უბნებიც, ეკლესია-მონასტრებიცა და სასწავლებლებიც არსებობდა, რასაც სხვა ავტორებიც ადასტურებენ (მაგალითად, რ. ჟანენი, მ. თამარაშვილი, მ. სვანიძე, შ. ფუტკარაძე...). სამწუხაროდ, დრომ მათი ნაკვაღვი თითქმის მთლიანად ნაშალა და გაანადგურა.

როგორც ცნობილია, სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიისა და მონასტრის მშენებლობას საფუძველი დიდმა ღვთისმსახურმა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამორჩეულმა მამულიშვილმა პეტრე ხარისჭირაშვილმა (1818-1890 წწ.) ჩაუყარა 1859 წელს. ამ დროიდან მოყოლებული თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ეს დანესებულება არა მარტო ქართველ კათოლიკეთა ღვთისმსახურების ფართოდ პოპულარულ კერად იქცა, არამედ უცხოეთში მდებარე ქართული კულტურისა და მნიგნობრობის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრადაც (სტამბოლის ქართული სავანის შესახებ დანვრილებით იხ: ნიკოლეიშვილი, 2009).

ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეკლესიასთან ერთად, პ. ხარისჭირაშვილმა იქ ქართული სასწავლებლებიცა (ვაჟთა და ქალთა) და სტამბაც დააარსა, რითაც ხანგრძლივი დროის მანძილზე სარგებლობდნენ როგორც სტამბოლში მცხოვრები ქართველები, ისე საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან იქ საგანგებოდ ჩასული ჩვენი თანამემამულეებიც. ქართულ სავანედ წოდებული ამ მონასტრის ეროვნულ როლსა და მნიშვნელობას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში, პეტრე ხა-

რისჭირაშვილის გარდა, სხვა თვალსაჩინო ქართველი ღვთისმსახურებიც ენეოდნენ მეტად ნაყოფიერ სასულიერო და მამულიშვილურ მოღვაწეობას (მაგალითად, მიქელ თარხნიშვილი, მიხეილ თამარაშვილი, შალვა ვარდიძე, ალფონს ხითარიშვილი, ანდრია წინამძღვრიშვილი და სხვები).

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის ქართულ საგანესთან ივანე გვარამაძის (1831-1912 წწ.) ურთიერთობის ბევრი საკითხი სამომავლოდაა გამოსაკვლევი, ჯერჯერობით ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებიდანაც ნათლად ჩანს ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც მას ამ ცენტრის განვითარებისა და გაძლიერების საქმეში აქვს შესრულებული. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად ფასეული პირველ ყოვლისა ის აქტიური მონაწილეობაა, რომელიც ი. გვარამაძეს სტამბოლის საგანესთან არსებული სტამბა-გამომცემლობის მიერ ქართული წიგნების დეჭდვის საქმეში მიუძღვის.

ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, ქვემოთ შევეცდები კონკრეტულად წარმოვაჩინო ამ თვალსაზრისით საინტერესო მნიშვნელოვანი ეპიზოდები ი. გვარამაძის ცხოვრებიდან.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი მღვდელმსახური, მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი, ხალხური ზეპირსიტყვიერების შემკრები, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი) დაიბადა 1831 წელს ახალციხის მაზრის სოფელ ვაღეში. სამწუხაროდ, მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო მას სისტემური და მისი ინტერესებისთვის შესაბამისი განათლების მიღება ვერ მოუხერხებია. თავდაპირველად იგი ახალციხეში სწავლობდა, 1854 წელს კი ქუთაისში გადავიდა და იმუამად იქ მასწავლებლად მომუშავე პეტრე ხარისჭირაშვილთან გააგრძელა სწავლა. ი. გვარამაძე ქუთაისში ერთი წელი რჩება, შემდეგ კი, სტამბოლში პ. ხარისჭირაშვილის წასვლის გამო, ისევ ახალციხეში დაბრუნდა.

პ. ხარისჭირაშვილთან ი. გვარამაძის თავდაპირველი ურთიერთობის ეს ხანმოკლე პერიოდიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, ამ ორ სახელოვან მამულიშვილს შემდგომში საკმაოდ აქტიური საქმიანი დამოკიდებულება რომ ჰქონოდა ერთმანეთთან. კერძოდ, 1859 წელს ი. გვარამაძე სტამბოლში გაემგზავრა და თავის ყოფილ მასწავლებელს დაუკავშირდა. როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, სტამბოლში ჩასული ივანე პ. ხარისჭირაშვილს „დიდი სიამოვნებით მიუღია და სრული მზრუნველობა აღმოუჩენია... ამ დროს პეტრე ხარისჭირაშვილს კონსტანტინეპოლში ქართველ კათოლიკეთ ეკკლესია ჯერ არ ჰქონდა გაკეთებული. იმის განძრახვა და შესრულება ახლად იდგამდა ფეხს.

კეთილი ადამიანის გვერდით ივანე გვარამაძეც მეტად კეთილად შრომობდა, უცხოეთში მყოფს უფრო მძლავრად უცხოველდებოდა საქართველოს სიყვარული. მღვდლად კურთხევის საქმეს შეუდგა და ამისთვის გვარიანადაც შრომობდა და მეცადინეობდა, მაგრამ საქმე კარგად ვერ მისდიოდა, ნატვრას ვერ მიაღწია, მღვდლად კურთხევა იქ შეუძლებელი გახდა. მიტომ ივანემ გადასწყვიტა საქართველოში დაბრუნება, მალეც დაბრუნდა, ახალციხეს იმყოფებოდა და მღვდლობისათვის სცდილობდა“ (ჭიჭინაძე, 1904: 9).

სტამბოლის ქართული საევანის მშენებლობაში ი. გვარამაძის მონაწილეობასთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს, ამას ამავე საევანეში მოღვაწე ღვთისმსახურის – შალვა ვარდიძის მიერ პარიზულ გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1931 წლის 64-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილიც ადასტურებს. კერძოდ, როგორც ხსენებული პუბლიკაციიდან ირკვევა, 1859 წლის მაისში ვენეციიდან სტამბოლში ჩასულ მამა პეტრე ხარისჭირაშვილს ეკლესიის მშენებლობის საქმეში იოსებ მამუკაშვილთან და სტეფანე გიორგაძესთან ერთად ივანე გვარამაძეც აქტიურად დადგომია გვერდით.

ამ დროიდან მოყოლებული, ი. გვარამაძე პ. ხარისჭირაშვილთან მუდმივი საქმიანი ურთიერთობებით იყო დაკავშირებული და მის ღვაწლს ამგვარ შეფასებას აძლევდა: „ეკლესიაში ვარდი ამოვა, წყლისპირთ ნაპირებზედ შრომანი, მინდორ-ველზედაც ყვავილი. ჩვენს ამ მცირე საბრალო გალატაკებულს ახალციხის ქალაქშიც... ხომ აღმოჩნდა უფლის მიერ ან ახალ განსვენებული მამა მოძღვარი პეტრე ხარისჩაროვი, რომელმაც რა შეჰხედა ჩვენს მოუძღურებას შინაგანის და გარეგანის მტრების მოძღვარებისაგან, თავის მამულის ღირს შვილურის მეტისმეტი კაცთმოყვარეობით შეჭურვილმან,... თავის თავიც შესწირა ღმერთსა მონაზონობითა“ (ჯვარიძე, 2011: 45).

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეპოლის ქართულ საევანესთან ი. გვარამაძის ურთიერთობის შესახებ დოკუმენტურად ცოტა რამ ვიცით, დ. კოჟორიძისა და ნ. ყრუაშვილის მიერ ახალციხის მუზეუმში მოძიებული მასალები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაინც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. მხედველობაში მაქვს ის აქტიური მიმოწერა, რომელიც ი. გვარამაძესა და საევანის ქართველ მღვდელმსახურებს ჰქონიათ ერთმანეთთან სტამბოლისა და ქალაქ მონტობანის (საფრანგეთი) ქართულ კათოლიკურ ეკლესია-მონასტრებში მიმდინარე საგამომცემლო და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ნ. ყრუაშვილის ხაზგასმით, „მათი მიმოწერიდან, ისე როგორც სხვა მრავალი დოკუმენტებიდან, კარგად ჩანს, რომ საევანეში მოღვაწე პირებს საქმიანი



ურთიერთობა ჰქონდათ ივანე გვარამაძესთან და საერთო ეროვნულ საქმეს ურთიერთშეთანხმებითა და ერთობლივი ძალებით ახორციელებდნენ“ (ყრუაშვილი, 2012: 26).

როგორც ხსენებული მასალებით ირკვევა, ი. გვარამაძე საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა დასახელებულ რელიგიურ კერებთან არსებულ სტამბა-გამომცემლობათა მიერ წიგნების სასტამბოდ მომზადებასა და გამოცემაში. კერძოდ, აღნიშნული საქმის მესვეურები მისგან ამ მიზნით არა მარტო სიტყვიერ რჩევებს იღებდნენ, არამედ მას გამოსაცემ წიგნებსაც უგზავნიდნენ წინასწარი დამუშავებისა და რედაქტირებისთვის. ამ ურთიერთობას განსაკუთრებულ სიმტკიცეს ისიც სძენდა, რომ ი. გვარამაძეს ლათინური, თურქული, რუსული, სომხური და ფრანგული ენებიც ცოდნია.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმონმებ რამდენიმე ფრაგმენტს ხსენებული მიმონერებიდან: ნაწყვეტი პ. ხარისჭირაშვილის მიერ ი. გვარამაძისათვის სტამბოლიდან 1876 წლის 8 ივლისს ახალციხეში გამოგზავნილი წერილიდან: „მე დავიწყე აქ ერთი მოკლე ქართული გრამატიკის გაკეთება და კიდევაც გავაკეთე მისი დიდი ნაწილი და დანარჩენ მცირე ნაწილსაც მალე შევასრულებ და იმასაც გამოგიგზავნი შესასწორებლად... გთხოვ შეასწორო და გამომიგზავნო, რომ უნდა დაიბეჭდოს.“ ან კიდევ: უკეთესი იქნება, „თუ ამ ჩემს დასტამბულს ოციოდე წიგნს გადასწერო და გაასწორო მათ სუფთა და ცოცხალ ქართულზე და დამიმზადებო, რომ როცა მაგათი მეორედ გამოცემა საჭიროდ გახდება, შემეძლოს იმათი თითო-თითოდ ცოცხალ ენაზე დასტამბვა და არა ესრედ, როგორც ახლა არის ნამხდარ და მკვდარ ენაზე.“

ანდრია წინამძღვრიშვილი 1897 წლის 25 იანვარს ქალაქ მონტობანიდან გამოგზავნილი წერილით ი. გვარამაძეს ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონისათვის წინასიტყვაობის დაწერასა და გაგზავნას თხოვდა, ალიოზ ბათმანაშვილი კი 1907 წლის 2 იანვარს კონსტანტინეპოლიდან წერდა: „ძალიან მომწონს თქვენი მოღვაწეობა მნიგნობრობაში და გადაწყვეტილი მაქვს ამაში თქვენ მოგზადოთ. თქვენსავით დიდი ყურადღებით შევსაგროვებ ჩვენი ძველი ცხოვრების ნაშთსა და დიდის სიამოვნებით შევინახავთ თქვენს შემონიშნულს წიგნებსაც“ (კოჟორიძე, 1986: 147).

სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობასთან ი. გვარამაძის ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ დასასტამბ ნაშრომთა რედაქტირებითა და პრაქტიკულ საქმეებში მონაწილეობით არ შემოიფარგლებოდა და, ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, ამ ურთიერთობას ის შედეგიც მოჰყვა, რომ იქ მას, ხშირ შემთხვევაში ავტორის ვინაობის მიუთითებლად, შემდეგი ორიგინალური და ნათარგმნი წიგნებიც

ჰქონია გამოცემული: „წმინდა ესტატეს ცხოვრება, ანუ წამებულთა გვირგვინი,“ 1878 წ.; „საქრისტიანო მოძღვრება, მეორედ დაბეჭდილი კონსტანტინეპოლს 1880 წელს რომის ქართველ კათოლიკეთათვის;“ „ყვავილების კონა,“ 1878 წ.; „წინამძღვარი ზეცისა,“ 1880 წ.; „სიბრძნე კაცობრივი, ფილოსოფიური დარიგება და სჯა. თარგმნილი სომხურის ენიდამ,“ 1879 წ.; „გზა ცხოვრებისა, ანუ ქადაგებანი, გერმანელის მქადაგებლის ალფონს ლუგორისა, გერმანულიდამ ქართულად გადმოღებული მდაბიურის გასაგონის ენით,“ 1879 წ.; „საზოგადო გეოგრაფია,“ 1881 წ.; „მშაკის“ მზა პასუხი წიგნაკათ დასტამბული,“ 1880 წ. (ჭიჭინაძე, 1904: 30).

ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებული ამ ინფორმაციისადმი ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის ფაქტი, რომ დასახელებული წიგნების უმეტესობა დღესდღეობით ხელმიუწვდომელია. ზ. ჭიჭინაძის ხაზგასმით, მან ი. გვარამაძის ავტორობით გამოცემულ წიგნთა ამ ჩამონათვალში მხოლოდ ისინი შეიტანა, რომლებიც თავად მას უნახავს (ჭიჭინაძე, 1904: 32). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისს დამაჯერებელს ისიც ხდის, რომ ი. გვარამაძის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნი ზ. ჭიჭინაძემ გვარამაძისავე სიცოცხლეში გამოსცა უშუალოდ მისგან მიღებულ მასალებზე დაყრდნობით.

სტამბოლის ქართული საჯანის გამომცემლობაში ი. გვარამაძეს ერთი პოეტური კრებულიც დაუსტამბავს სახელწოდებით – „ყვავილების კონა გინა რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა, დალექილი სხვა და სხვა დროს უფალი მ. ი. მ. გ.“ მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურული ოსტატობის თვალსაზრისით აღნიშნული კრებული საკმაოდ სუსტია, თავისი აზრობრივი მიზანდასახულობით ის მაინც იწვევს გარკვეულ ინტერესს, თუნდაც იმის გამო, რომ „ყვავილების კონა“ სტამბოლის საჯანესთან არსებული გამომცემლობის მიერ დასტამბული პირველი პოეტური კრებულია.

ამ გარემოებას იმიტომაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ სტამბოლში გამოცემული ქართული წიგნების უდიდეს ნაწილს რელიგიური და მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო ლიტერატურა წარმოადგენდა. ი. გვარამაძის ხსენებული ლექსთა კრებულიც პირველ ყოვლისა სწორედ ახალგაზრდების დასამოძღვრად გამოცემული წიგნია. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ შესაბამისი ფრაგმენტი ხსენებული წინასიტყვაობიდან: „ახლანდელმა შემოსულმა რომელიმე ლოთური სიმღერის წიგნებმა და სხვა ამათ ნაირად ყრმათა ფიქრისა და გულის მომწამვლელმა ზოგიერთმა ბროშურებმა გარყ-

ვნეს გული და გონება ახალ მოსწავლე ყმანვილებისა იქამდინ, რომ აღარ ჰსცალდებათ სულისა, ხორცისა და მამულის სასარგებლო სწავლების მიღება... ამგვარი სავნო მოვლინებაების წამლის დასადებლად დავსტამბეთ ეს რჩეული ლექსების წიგნი,... რომ იქნება რამე სარგებლობა მისცენ ამ ლექსებმან ჩვენს დაცემულს საზოგადოებასა.“

ავტორისეულმა დიდაქტიკამ კრებულში რამდენიმე მიმართულე-ბით ჰპოვა გამოვლინება. ამ თვალსაზრისით, უმთავრესი ყურადღების საგანს ყრმათათვის სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის განმტკიცება წარმოადგენს, რის მიღწევასაც პოეტი აქტიურად ცდილობს როგორც ამ გრძნობის განმსაზღვრელი ზოგადი საუბრებით, ისე ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ფართოდ ცნობილი ეპიზოდებისა და სახელოვანი წინაპრების გახსენებითა და ცალკეული გეოგრაფიული ადგილებისთვის ხოტბის შესხმით. ეს ყველაფერი ავტორმა განსაკუთრებული ყურადღების საგნად იმიტომაც აქცია, რომ წიგნი უწინარეს ყოვლისა უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნების განმტკიცებას ისახავდა მიზნად. მაგალითად (ყვავილების კონა, 1878: 9):

მამულო, ჩემო აკვანო, მფუფვნელო ათას ფერადა,  
მზრდელო, სისრულედ მომყვანო, როგორც რომ მქონდა წერადა!  
ავ დღესა და კარგ დღესაც მხოლოდ შენ მყავხარ მისანდო,  
ახლაც თუ ვადგამ ფეხს საცა, მაქვს ვალი წმიდა და საღმთო!

იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული პოეტური კრებულის ავტორიცა და მისი გამომცემელნიც ღვთისმსახურნი იყვნენ, მათი უმთავრესი მიზანსწრაფვის საგანს მოზარდთა რელიგიური რწმენის განმტკიცებაც წარმოადგენდა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, წიგნში შეტანილ ლექსებში ქრისტიანული რწმენა და სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა ერთმანეთთან შესისხლხორცებული სახითაა წარმოსახული და ავტორი ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის განმაპირობებელ უმთავრეს ძალად პირველ ყოვლისა ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიჩნევს. მაგალითად, ლექსში – „მამულის მსხვერპლნი“ პოეტმა მკითხველს არა მარტო მურვან ყრუს წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი დავით და კონსტანტინე მხეიძეების გმირობის ამბავი გაახსენა, არამედ მოზარდ თაობას ქვეყნისთვის თავდადების მაგალითად უცნობი სახალხო გმირიც – ვინმე ყვარყვარეც დაუსახა, რომელიც საკუთარი ნებით ებმება მომხვედური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში (ყვავილების კონა, 1878: 9):

ყვარყვარე მამას ევედრა, თხუთმეტი წლისა ყმანვილი,  
ომი ძალ მიძს, მომეც ნება, მქონდეს გმირებთან ნანწილი.  
გული აღენტო მამასაცა გმირს,  
თავგანწირულს ძეს ძლივ გაიმეტავს,  
აღილო თრთოლვით ჯაჭვ-მუზარადი,  
შეძენკვა გმირსა, ჰხატდა სურათი!

ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ამ და მსგავსი ეპიზოდების გახსენებით ი. გვარამაძე ცდილობდა თავისი ლექსების მოზარდი მკითხველებისათვის კიდევ უფრო მეტად განემტკიცებინა სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა და რწმენა იმისა, რომ ყოველგვარი განსაცდელის ჟამს ქართველ ერს უპირველეს ყოვლისა ქრისტეს ჯვარი იცავდა და იფარავდა.

მოზარდთა ზნეობრივი სახის სრულსაყოფად და ადამიანური ღირსებებით საესე მოქალაქეებად ჩამოსაყალიბებლად გამიზნული ამგვარი დიდაქტიკური რჩევა-დარიგებებისთვის მეტი შთამბეჭდაობის მისაცემად ავტორი ლექსებს მის მიერ ნაქადაგევ მორალურ შეგონებათა განმაზოგადებელი დასკვნებითაც ხშირად აგვირგვინებს ხოლმე. მაგალითად: „ასრე ჰქმენ შენც, ჩემო კარგო, უქმად ნუ დაჰკარგავ ჟამსა!“ ანდა: „ასრე ვინც თავის ნებისა აზრდილა ყბედად, ზარმაცად, მას ბევრი რამ ევნებისა, სჯობს თავს უშველოს მამაცად“ (ყვავილების კონა, 1878: 25).

სტამბოლის ქართულ საგანეში მოღვაწე სასულიერო პირებთან ი. გვარამაძის ურთიერთობა მხოლოდ საგამომცემლო საქმიანობაში მისი მონაწილეობით არ შემოიფარგლებოდა და იგი იქ არსებულ სკოლებში სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვაშიც იყო შეძლებისდაგვარად ჩართული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ის საქართველოდან სასწავლო ლიტერატურით ხსენებული სასწავლებლების მომარაგების კუთხით ასრულებდა.

ამ მიზნით მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ჩვენს ქვეყანაში არსებული გამომცემლობებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მესვეურებთან და მათი თანადგომითაც ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას. მაგალითად, სტამბოლიდან ახალციხეში 1896 წელს გამოგზავნილ წერილში ხსენებული სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე მეღვინიშვილი ი. გვარამაძეს წერდა: „მამაო გვარამაძე, მაქვს ვედრება თქვენდამი და ველი, რომ ამ ჩემ ვედრებას უდებყოფთ და კიდევაც ეს გახლავთ თხოვნის მიზეზი... თუ რომ შეიძლება, თქვენგნით, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, შეიძლოთ სახლში მიღება და ცოტაოდენი წიგნებისა ორ-ორი ეგზემპლარი მომიძებნოთ, რადგან

ქართველ თათრებმა ზალლა ნაილეს და ზოგიც კიდევაც გაკვეთილს იღებენ ჩემგან და წიგნების სიმცირემ მეტისმეტად შეწუხება მომაყენა“ (ლომსაძე, 1984: 169).

ასეთ წიგნებზე არა მარტო მოსწავლეებში ყოფილა დიდი მოთხოვნილება, არამედ არამოსწავლე ქართველობაშიც. განსაკუთრებულ ინტერესს ამ კუთხით თურმე მაჰმადიანი ქართველები იჩენდნენ. სასწავლო წიგნთაგან ყველაზე დიდი მოთხოვნა „დედა ენაზე“ არსებულა.

როგორც ითქვა, სტამბოლის ქართული სავანის მიერ დასტამბულ წიგნთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმძღვანელოებად იყო გამიზნული და პ. ხარისჭირაშვილი და მისი თანამოსაქმენი ამ გამოცემათა გავრცელებას საქართველოშიც გეგმავდნენ, მაგრამ თავიანთი დიდი პატრიოტული ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვერ შეძლეს. ამ გარემოების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ის ფაქტი იქცა, რომ მიუხედავად დიდი მონდომებისა, მათ ამის უფლება არ მისცეს. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ი. გვარამაძე: პ. ხარისჭირაშვილმა „დაბეჭდა და გამოსცა მეტად სასარგებლო წიგნები, მაგრამ ჩვენდა დიდათ სამწუხაროთ საამისოთ ვერა ვსარგებლობთ ამ ძვირფას წიგნებიდგან, მაგრამ ბრალი, დანაშაულობა ჩვენის გონების გაუხსნელობისა არის და არა მისი. ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ უმეცრების ღრმა ძილისაგან“.

ივანე გვარამაძის ღვაწლის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა იმ ურთიერთობის შესახებაც უსათუოდ უნდა ითქვას, რითაც ის და მიხეილ თამარაშვილი (1858-1911 წწ.) იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ურთიერთობას საფუძველი ახალციხის იოანე ნათლისმცემლის სამრევლო სკოლაში ჩაეყარა, სადაც ი. გვარამაძე მ. თამარაშვილს ასწავლიდა.

ი. გვარამაძე იმდენად მოხიბლულა თავისი მოწაფის ნიჭიერებით, რომ მას თურმე „საგანგებო წვრთნა დაუწყო, ვითარცა დიდი საქმისთვის მოვლენილ კაცს;“ ხსენებული სკოლის დამთავრების შემდეგ კი, 1878 წელს, პ. ხარისჭირაშვილთან გატანებული სარეკომენდაციო წერილითა და „მცირე შესანიშნავით“ ივანე გვარამაძემ იგი სწავლის გასაგრძელებლად კონსტანტინეპოლის ქართულ სავანეში გააგზავნა. აი, როგორ იგონებდა ამ ფაქტს თავად ი. გვარამაძე მოგვიანებით: მ. თამარაშვილმა „იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის საერო სასწავლებელში 1876 წ. ჩემს მასწავლებლობის დროს ისე ისწავლა ქართული წერა-კითხვა, კატეხიზმო და რუსული წერა-კითხვა, რომ მამეწონა მისი ბეჯითობა და მიძლეობა სწავლაში, სიმშვიდე და ღვთისმსახურება, ურჩიე კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთ მონასტერში გაგზავნა რიგიანი სწავლის მისაღებად. მაშინ-

ვე დამეთანხმა. მითხრა – დიდ სიკეთეს მიზამთ, თუ მიმალვინებ უ. მამა ამა პეტრე ხარისჭირაშვილსაო. მე მაშინვე წარვადგინე ქებით მასთან“ (ლომსაძე, 1984: 12).

როგორც ცნობილია, სტამბოლის სკოლის დამთავრების შემდეგ მ. თამარაშვილი განათლების მისაღებად ესპანეთში გაემგზავრა, სამი წლის მერე კი ისევ სტამბოლის ქართულ სავანეში დაბრუნდა და სასულიერო და პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. მ. თამარაშვილის მოღვაწეობის ეს პერიოდი საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ ი. გვარამაძის ენერგიული თანადგომით იგი აქტიურად ცდილობდა, საქართველოდან რაც შეიძლება მეტი მოსწავლე მიეზიდა სტამბოლის ქართული სავანის სკოლაში. მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამ ფაქტთან დაკავშირებით ი. გვარამაძეს ახალციხეში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „თქვენ ვისაც ღირსად ჩათვლით, აქ სასწავლებლად წამოვიდეს... მე აქ შეგირდებს თეოლოჯია დავანყებინე. სკოლის საქმე ფეხზე დავაყენე“ (ლომსაძე, 1984: 28).

მიუხედავად ფიზიკური სიშორისა, სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე ღვთისმსახურებსა და ივანე გვარამაძეს შორის ასეთი აქტიური ურთიერთობა სავანის დაარსების დროიდან მოყოლებული ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. სამშობლოდან უცხო ქვეყანაში გადახვენილი ქართველი სასულიერო მამებისათვის ი. გვარამაძე ამ შემთხვევაში არა მარტო სიტყვიერი რჩევებით იყო ქცეული მშობელ ქვეყანასთან დამაკავშირებელ მამულიშვილად, არამედ მათ მიერ განხორციელებულ პატრიოტულ საქმეებში აქტიური პრაქტიკული თანამონაწილეობითაც. პირველ ყოვლისა ი. გვარამაძის სწორედ ასეთი აქტიურობა და დიდი პიროვნული ავტორიტეტი განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ სტამბოლის ქართული სავანის ღვთისმსახურნი დაბეჯითებით თხოვდნენ მათ სულიერ ძმასა და უერთგულეს მეგობარს მუდმივ საქმიან თანადგომას. მაგალითად, ა. ხითარიშვილი სტამბოლიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „...გვედრებით, ინებოთ შრომა და შენუხება და ხშირა მომწეროთ თქვენი გონიერი რჩევანი და აზრნი, რომელიც მე მომცემს დიდს შემწეობასა“ (ყრუაშვილი, 2012: 27).

ი. გვარამაძის რელიგიური და მამულიშვილური ღვაწლის კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად აქ იმ წერილის ფრაგმენტიც მინდა დავიმონწმო, რომელიც 1899 წელს გამოუგზავნია მისთვის ა. ხითარიშვილს: „ვევედრები მაცხოვარსა, მოგანიჭოსთ მაღლი და დღეგრძელობა, მამაო, თქვენი მოციქულებრივი მოღვაწეობის განვრცობისათვის, მამაო იესოს წმ. ვენახსა შინა, რომელთაც ერთადერთი ჭეშმარიტებისათვის და წმ. სარწმუნოების დაცვისათვის თქუენ მოუვლინებულხართ და ასრულებთ დიდის თავგანწირულობითა და

რომლისთვისაც მოგაგებთ ზეციერსა დაუჭკნობელსა გვირგვინსა“ (ყრუაშვილი, 2012: 26).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ი. გვარამაძის გარდაცვალებას სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურნი დიდი გულისტკივილით გამოეხმაურნენ. კერძოდ, მისი ხსოვნისთვის პატივის მისაგებად მონასტერში გადახდილ იქნა პანაშვიდი, გარდაცვლილის ოჯახისთვის გამოგზავნილ სამძიმრის წერილში კი სავანის სულიერი მამა და ი. გვარამაძის ყოფილი მოსწავლე ალიოზ ბათმანაშვილი შვილებს წერდა: „მამა თქვენის მღ. ივანე გვარამაძის სიკვდილმა დიდათ დაგვალონა. ფასდაუდებელ მამათქვენს მარტო თქვენ როდი მისტირით, არამედ ბევრნი სხვანიც მოიპოვებიან და მეც აქაურ ბერ-მონაზვნებითურთ მონაწილეობას ვიღებ თქვენს სამართლიან მწუხარებაში“ (ყრუაშვილი, 2008: 104).

როგორც ითქვა, სტამბოლის ქართულ სავანესთან და იქ მოღვაწე სასულიერო პირებთან ივანე გვარამაძის ურთიერთობა სათანადო მასალების ხელმიუწვდომლობის გამო სასურველ დონეზე დღემდე არ არის შესწავლილი და ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო დოკუმენტების დიდი ნაწილი სამომავლოდაა მოსაძიებელი. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ცნობილი მასალებიც საკმარისია იმ მნიშვნელოვანი როლის წარმოსაჩენად, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ამ გულმხურვალე მამულიშვილმა და ღვთისმსახურმა რომ შეასრულა ქართული კულტურისა და განათლების სტამბოლური კერის ისტორიაში.

### *გამოყენებული ლიტერატურა:*

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1931, № 64.

დალევჯიო დ'ალესიო ე. ქართველები კონსტანტინეპოლში. იხ. ნიგში: ქართველები კონსტანტინეპოლსა და სპარსეთში, თბ., 1990.

კოჟორიძე დ. განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1986.

ლომსაძე შ. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984.

ნიკოლეიშვილი ა. ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში, ქუთაისი, 2009.

ყვავილების კონა გინა რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმანვილ კაცთა, დალექსილი სხვა და სხვა დროს უფალი მ. ი. მ. გ. კონსტანტინეპოლი, 1878.

ყრუაშვილი ნ. ივანე გვარამაძის როლი მესხურ განმანათლებლობაში, თბ. 2008.

ყრუაშვილი ნ. სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის წინამძღვრები სიზაბავრიდან, ახალციხე, 2012.

ჭიჭინაძე ზ. ქართველ კათოლიკეთ მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), თბ. 1904.

**Avtandil Nikoleishvili**

### **Catholic Priest Ivane Gvaramadze and the Istanbul Gergian Cloister**

The Georgian Catholic Church in Istanbul was not only an important overseas center of the Christian religion in the second half of the 19<sup>th</sup> century and the first half of the 20<sup>th</sup> century, but also a powerful center of national spiritual culture. The clergymen working here combined religious activities with intensive creative, scientific and educational activities. The foundation for the construction of the Georgian Catholic monastery in Istanbul was laid in 1859 by Petre Kharischirashvili (1818-1890) – the great priest and patriot distinguished by his versatile activities. For a century since then, this institution located abroad has become a powerful center of Georgian culture and literacy. As can be clearly seen from the biography of Ivane Gvaramadze (1831-1912), he was actively involved in the activities of this institution. From this point of view, his participation in printing Georgian books by the publishing house near the cloister is the most valuable. In this publishing house, I. Gvaramadze also published one poetry collection entitled - "A Bunch of Flowers or Selected Poems". Although this collection is weak from the point of view of literary mastery, it still arouses a certain interest due to the fact that it is the first poetry collection printed by this publishing house. The active relationship between the priests working in the Istanbul cloister and Ivane Gvaramadze continued from the time of the establishment of the cloister until the latter's death.



## ერთი იტალიური წყარო საქართველოში არსებული რელიგიური მდგომარეობის შესახებ

ქრისტიანულ სარწმუნოებას, საქართველოში სახელმწიფო რელიგიად მისი გამოცხადების დღიდან მოყოლებული, უდიდესი როლი აქვს ნათამაშები ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების საქმეში. აღნიშნულ გარემოებაზე არა მხოლოდ ქართველი მოაზროვნეები და საზოგადო მოღვაწეები ამახვილებდნენ ყურადღებას, არამედ საქართველოში ვიზიტად მყოფი ცნობილი ადამიანებიც. ერთ-ერთი მათგანი იყო იტალიელი მწერალი ანტონიო გალენგა, რომელმაც 1881 წლის შემოდგომაზე არა მხოლოდ იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში, არამედ რელიგიური კუთხით იმხანად აქ არსებული სიტუაციის შესახებაც მოგვანოდა მნიშვნელოვანი ცნობები წერილობითი ფორმით.

1881 წელს მოსკოვიდან მომავალი ა. გალენგა ჩვენს ქვეყანას ვლადიკავკაზის გავლით ესტუმრა. თუ რამდენი ხანი დაჰყო მან საქართველოში, ამის დაზუსტებით თქმა არ შეიძლება. საქართველოდან იგი ჯერ ყირიმში გაემგზავრა, მერე კი ოდესას ეწვია. სწორედ ხსენებული მოგზაურობის შთაბეჭდილებებია აღწერილი მის მიერ 1882 წელს, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში, გამოცემულ წიგნში „საზაფხულო ტური რუსეთში“.

ავტორი ძალზე შთამბეჭდავად და საინტერესოდ გადმოგვცემს იმ ემოციებს, რომელიც მას საქართველოში მოგზაურობის შედეგად დაეუფლა. თავისი შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს ა. გალენგა ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან არაერთ თემას ეხება, მათ შორის, იმ დიდ გეოსტრატეგიულ როლსაც, რითაც საქართველო მუდამ იყო ქცეული ევროპისა და აზიის წამყვანი სახელმწიფოების განსაკუთრებული ინტერესის საგნად. იტალიელი მწერლის წიგნში ჩვენს ქვეყანაში რელიგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასაც აქვს დათმობილი საკმაოდ დიდი ადგილი. კერძოდ, ავტორი საინტერესო ცნობებს გვანდის საქართველოში არსებული ქრისტიანული ტაძრებისა და ეკლესიების შესახებ.

ანტონიო გალენგა (Antonio Carlo Napoleone Gallenga - 1810-1895) დაიბადა 1810 წელს იტალიის ქალაქ პარმაში. სასკოლო განათლების მიღების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა პარმის უნივერ-

სიტყვში, რომელიც საფრანგეთში ე. წ. „ივლისის რევოლუციის“ მიმდინარეობის პერიოდში, 1830 წელს, დაამთავრა. ხსენებულმა მოვლენამ ზეგავლენა იტალიაში მიმდინარე პროცესებზეც მოახდინა. ამ რევოლუციას მხარი ა. გალენგამაც აქტიურად დაუჭირა, რის გამოც იგი რამდენიმე თვით დაპატიმრებულიც იყო. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, ხუთი წლის განმავლობაში, მან ბევრი იმოგზაურა საფრანგეთში, ესპანეთსა და აფრიკის კონტინენტზე. 1836 წელს ა. გალენგა ნიუ-იორკში მგაემგზავრა, სამი წლის შემდეგ კი ინგლისში წავიდა, სადაც თარჯიმნად და უცხო ენების მასწავლებლად მუშაობდა.

1854 წელს, სარდინიის სამეფოს პრემიერ-მინისტრისა და იტალიის ლიბერალური პარტიის დამაარსებლის - კამილო კავურის (ოფიციალურად, **Camillo Paolo Filippo Giulio Benso - 1810-1861**) მხარდაჭერით, ა. გალენგა სარდინიის პარლამენტის წევრად იქნა არჩეული. 1859 წელს სარდინიის სამეფოსა და ავსტრიის იმპერიას შორის ომის დაწყების დროს იგი სამხედრო კორესპოდენტად მუშაობდა გაზეთ „ტაიმისათვის“. აღსანიშნავია, რომ ა. გალენგამ ბრიტანულ გამოცემასთან თანამშრომლობა ზემოხსენებული ომის შემდეგაც, 1876 წლამდე, განაგრძო. 1885 წელს, აქტიური მოღვაწეობის დასრულებისა და პენსიაზე გასვლის შემდეგ, ა. გალენგა უელსის ერთ პატარა სოფელ ლანდოგოში (**Llandogo**) დასახლდა, სადაც გარდაიცვალა 1895 წელს გარდაიცვალა [3].

სამწერლო მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ა. გალენგა თავის ნაწარმოებებს იტალიურ ენზე ქმნიდა და ლუიჯი მარიოტის (**Luigi Mariotti**) ფსევდონიმით აქვეყნებდა. შემდგომ დროინდელი პერიოდის ნაწარმოებთა დიდი ნაწილი კი მას უკვე ინგლისურ ენაზე აქვს დაწერილი. ა. გალენგას ნაშრომთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1882 წელს ლონდონში გამოცემული ზემოთ მოხსენიებული წიგნი „საზაფხულო ტური რუსეთში“ (**A Summer Tour in Russia**).

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს იტალიელი მწერალი 1881 წლის შემოდგომაზე ესტუმრა. ჩვენს ქვეყანაში იგი ვლადიკავკაზიდან შემოვიდა. ხსენებული მოგზაურობის აღწერის დროს ა. გალენგას საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ჩვენი ქვეყნის შესახებ, მათ შორის რელიგიური კუთხით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებითაც. ძალზე ნიშანდობილია ის ფაქტი, რომ ქუთაისში სტუმრად მყოფი იტალიელი მწერალი, პირველ ყოვლისა, ქართული საზოგადოების რელიგიურ ტოლერანტობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამის დასტურად ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ებრაელებისა და მუსულმანების ყოფა მოკ-

ყავს მაგალითად. მეტი სიცხადისათვის დავიმონმებ შესაბამის ციტატას ნიგნიდან:

„ქუთაისი პატარა, ლამაზი ქალაქია, სადაც ებრაელებს ორი სინაგოგა აქვთ და მესამესაც აშენებენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ საკმაო ფული აქვთ, ისინი მაინც უზადრუკ, პატარა სახლებში ცხოვრობენ. თავიანთი სიმდიდრიდან და „ისრაელიტის“ ნოდებიდან გამომდინარე, მათ შესაძლებლობა აქვთ საკმაო ფული გამოიმუშაონ თავადაზნაურობისთვის და გლეხებისთვის თანხის მისესხების გზით. ამის შედეგად ისინი ხელში იგდებენ ნაყოფიერ მიწებს; ამ გზით მისაღები შემოსავლების გაყოფასთან დაკავშირებით მათ დაპირისპირება აქვთ სომხებთან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ხალხი „ვაჭრობაში ვერასოდეს უგებენ ერთმანეთს“ და ძალზე იშვიათია, ერთსადაიმავე ადგილზე სომხებსაც და ებრაელებსაც წარმატებულად რომ ჰქონდეთ თავიანთი ბიზნესი გამართული.

ებრაელები ქუთაისში და ზოგადად კავკასიაში, მართალია, დიდი სიმპატიით არ სარგებლობენ, მაგრამ მათდამი ბოლმასა და სიძულვილს, რამაც ბოლო ხანს გერმანიასა და რუსეთის სამხეთ და დასავლეთ მხარეებში იფეთქა, საქართველოში ადგილი არ ჰქონია. კავკასიაში მუსულმანთა მრავალწლიანი ბატონობის პერიოდში გატარებულმა ეფექტურმა ზომებმა აქ მცხოვრები სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები იძულებული გახადა დათანხმებოდნენ „ღმერთის დროებით ზავს“ („Truce of God“), რამაც გამოიწვია ის, რომ ამ რეგიონში გაჩნდა და მხარდაჭერილ იქნა ისეთი გარემო, რასაც ტოლერანტობა თუ არა, ურთიერთმომთმენობა მაინც შეიძლება ვუწოდოთ. თავად იერუსალიმში კი ჩვენ, ჩვენდა სამარცხვინოდ, შევესწარით ფაქტს, როგორ წვდა ტაძარში ქრისტიანი ძმა მეორე ძმას ყელში, თურქი მშვიდობისმყოფელი კი აგდებულ ნეიტრალურობით უყურებდა ამ სიტუაციას“ [Gallenga, 1882: 325-326].

ებრაელებზე საუბრის შემდეგ, ა. გალენგა მის მიერ გელათის მონასტრის მონახულების შედეგად მიღებულ წარუშლელ შთაბეჭდილებებზე ამახვილებს ყურადღებას. ამ კონტექსტში ავტორი არა მხოლოდ ხუროთმოძღვრული ძეგლის სიძველესა და სილამაზეზე საუბრობს, არამედ იმ განსაკუთრებულ ემოციაზეც, რომელიც მას იქ მცხოვრებ ქართველ ბერებთან საუბრის დროს დაეუფლა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სიტუაციის აღწერისას იტალიელი მწერლის მხრიდან ფაქტობრივ უზუსტობებსაც ვხვდებით ხოლმე, ავტორის მიერ გამოთქმული შეფასებანი მაინც უაღესად მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ქვეყნისადმი მისი დამოკიდებულე-

ბის შესაფასებლად. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მოვიყვან შესაბამის ადგილს წიგნიდან:

„ქუთაისში ჩვენი დარჩენის მთავარი მიზანი არა ებრაელები, არამედ გელათის შორეულ მთებში ჩაკარგული მონასტრის მონახულება იყო...

აქ ჩვენ ისტორიულ სამყაროში აღმოვჩნდით.

მონასტერი, სამრეკლო და იქ არსებული სხვა შენობები X (როგორც ვხედავთ, ავტორი გელათის მონასტრის აგების თარიღს შეცდომით ასახელებს - ო. ნ.) საუკუნით თარიღდება და ადრეული ბიზანტიური სტილის უმშვენიერეს ნიმუშს წარმოადგენს; ბერებმა გვაჩვენეს ოქროთი და ძვირფასეულობით მორთული პერგამენტები და ნახატები, საღვთისმეტყველო წიგნების სრულყოფილი მუზეუმი. გარდა ამისა, ჩვენი ცნობისმოყვარეობის სრულად დასაკმაყოფილებლად მათ ასევე დაგვათვალისწინეს საეკლესიო ჭურჭლეულობა, სამღვდლო შესამოსლები და გვიამბეს იმ საგანძურის შესახებ, რომელიც წარმართულ და ბარბაროსულ აოხრებათა შედეგად იქნა დაკარგული.

ჩვენ აგრეთვე ვნახეთ ქართული დინასტიის წარმომადგენელ თავადთა დიდი, მონუმენტური ქვით შემკული საძვალე...

თავად ბერები განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს წარმოადგენდნენ. ისინი იყვნენ მაღალი, დიდებული აღნაგობის მქონენი, მკაფიოდ ლამაზი ნაკვთებით, მხრებზე დაშვებული თხელი თმით, მუქი, ლამაზი თვალებითა და ნაზი ხმით...

ჩვენ დიდი ხანი ვისაუბრეთ. რადგანაც ისინი არცერთ დასავლურ ენაზე არ საუბრობდნენ, მათთან მხოლოდ თარჯიმნის დახმარებით შევძელი კომუნიკაცია.

ვიდექით რა ამ სასიამოვნო ბერების საცხოვრებლის აივანზე, რომელიც რამდენიმე ათასი ფუტიდან გადმოჰყურებდა ქალაქს, ისეთი გრძნობა დაგვეფლავა, თითქოს ამ ქვებიდან მთელ სამყაროს გადავყურებდით“ [Gallenga, 1882: 326-327].

როგორც ა. გალენგას მონათხრობიდან ირკვევა, ხსენებული მოგზაურობის დროს ა. მას ბათუმიც მოუნახულებია. მართალია, იგი ამ რეგიონში მის ყოფნასთან დაკავშირებით კონკრეტულად არაფერს ამბობს, მაგრამ ბათუმის შესახებ საუბრის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მეტად მნიშვნელოვან მის სტრატეგიულ მდებარეობაზე. ამისდა მიუხედავად, იგი ეჭვის თვალთ უყურებს რუსეთის ხელში ქალაქის განვითარების პერსპექტივას და წერს:

„მხოლოდ ცოტას შეიძლება დაავინყდეს ის მღელვარება, რომელიც ინგლისელ და სხვა ევროპელ პოლიტიკოსებს დაეუფლათ სან-

სტეფანოსა და ბერლინში გამოცხადებული გადანყვეტილების გამო, რუსეთისთვის ბათუმის გადაცემის თაობაზე... ერთი ნამდვილად სიმართლევით: არც თურქებმა, რომელთაც დაკარგეს ქალაქი და არც რუსებმა, რომლებმაც ირგუნეს სადავო პორტი, სრულად არ იციან მისი უპირატესობები და შესაძლებლობები. ფაქტია, რომ ქალაქი ახლა რუსეთის ხელშია და საკითხავია, ბათუმი ცალკე შეძლებს თავის ფუნქციის სრულყოფილად შესრულებას, თუ ფოთთან ერთად...“ [Gallenga, 1882: 329-330].

მიუხედავად იმისა, რომ თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს იტალიელი მწერალი ხშირ შემთხვევაში თავს არიდებს სიტუაციათა დეტალურ აღწერასა და შეფასებას, მის მიერ მოწოდებული ცნობები მაინც უნდა მივიჩნიოთ მეტ-ნაკლებად საყურადღებო მასალად შესაბამისი პერიოდის ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

#### ლიტერატურა:

1. Cross, 2014: Cross A., *In the Lands of the Romanovs: An Annotated Bibliography of First-hand English-language Accounts of the Russian Empire (1613-1917)*, Cambridge, 2014.
2. Gallenga, 1882: Gallenga A. C., *A Summer Tour in Russia*, London, 1882.
3. <https://www.revolyv.com/page/Antonio-Carlo-Napoleone-Gallenga>

Otar Nikoleishvili

### An Italian Source about Religion Conditions in Georgia

Christianity, since it became the state religion of Georgia, played the very important role in the formation of the national identity. Many Georgian public figures and foreign visitors were emphasizing about it in their works. One of those persons were an Italian writer Antonio Carlo Napoleone Gallenga. In Autumn of the 1881, he had visited Georgia and gave us very important facts and information about religious conditions in our country.

A. Gallenga came to Georgia via Vladikavkaz. From here, he went in Crimea and then in Odessa. He described the impressions

of this journey in his book "A Summer Tour in Russia", which was published in London in 1882.

In the book author described his first impressions about Georgia. Besides the other themes, A. Gallenga gave us important information about religious conditions in our country and emphasized the very important role of Christian religion in the history of Georgia.

The descriptions and opinions of A. Gallenga about Georgia are very valuable, because Italian writer's above-mentioned book is not widely-studied for the researchers of the history of our country.

## თეატინელი მისიონერის აქამდე უცნობი ერთი ინფორმაციის ანალიზი

სტატია მიზნად ისახავს, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოში თეატინელ კათოლიკე მისიონერთა ყოველდღიურობის ისტორიის შესწავლაში, რასაც თანამედროვე კულტურულ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ამ მიზნით წინამდებარე მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველ რელაციაში, რომელიც კათოლიკე სასულიერო პირს ეკუთვნის, გვსურს ძირითადი ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რაში გამოიხატა კათოლიკე მისიონერთა ყოველდღიური საქმიანობა სამეგრელოს სამთავროში ურთიერთაღქმის კონტექსტში. ამ ფოკუსში საშუალება გვეძლევა უკეთ გავიგოთ, როგორც თეატინელთა მისიონერული ამოცანა, ისე მისი შესრულების მიზანი. ამთავითვე მინდა საზი გავუსვა: რაც უფრო ღრმად აკვირდები ამ ტექსტს, გიპყრობს აზრი და გრძნობა, რომ მისი ავტორი, მისიონერი ჯუზეპე ძამპი, დიდად შეყვარებულია საქართველოზე. ეს ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ იმის საფუძველზე, რომ თეატინელი მამა საქართველოში 23 წლის მანძილზე ეწეოდა სასულიერო სამსახურს.

ასეთი განწყობა გვეხმარება იმის გაგებაშიც, რომ მამა დონ ჯუზეპე ძამპის მიერ რელაციაში დაფიქსირებული ნაკლოვანი რელიგიური წესების, ცხადია, კათოლიკური თვალთახედვით, აღმოფხვრა იმ მიზანს ემსახურება, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია გახდეს უნივერსალურობის ნაწილი. სწორედ ამიტომ სთხოვდა წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ რელაციის ავტორი განათლებული და თავდადებული მისიონერების გამოგზავნას სამეგრელოს სამთავროში.<sup>1</sup>

ახლა ორიოდ სიტყვა თვით წყაროზე. იგი სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოვიდა 2018 წელს და დაბეჭდილია ჩვენს მიერ გამოცემულ წყაროთა კრებულში.<sup>2</sup> იგი არის რელაცია, რომელიც

1 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალისშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი, 2018, გვ. 34.

2 იქვე, გვ. 14-35.

დანერილია ლათინურ ენაზე 1662 წლის 19 სექტემბერს და ამგვარადაა დასათაურებული-„მოკლე ცნობა სამეგრელოში ქრისტიანული სარწმუნოების არასრულყოფილი მდგომარეობის შესახებ“.<sup>3</sup> რელაციონი ხელმოწერილია. იგი მისმა ავტორმა<sup>4</sup>, როგორც ირკვევა, გააგზავნა წმ. კონგრეგაციაში, მაგრამ ხელი რატომ არ მოაწერა ძნელი ასახსნელია. ამჯერად დიდი ალბათობით ის ვიცით, რომ რელაციონი ეკუთვნის თეატინელ მისიონერს დონ ჯუზეპე ძამპის, რომელიც, როგორც აღინიშნა, ოდიშის სამთავროში 23 წლის მანძილზე მოღვაწეობდა<sup>5</sup>. ეს არც თუ ისე ცოტა დრო იყო, რომ მისიონერი საფუძვლიანად გასცნობოდა საქართველოს, და კერძოდ, ოდიშის სამთავროს რელიგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ეს ამ რელაციას უდავოდ ეტყობა, თუმცა მან ბოლომდე მაინც ვერ შეძლო იმის ახსნა, თუ რატომ არ იღებდნენ სამეგრელოში კათოლიკობას. ამაზე და კიდევ რამდენიმე პრობლემაზე, რომელიც ამ რელაციაში იკვეთება სხვა დროს, სხვა ნაშრომში გვექნება საუბარი. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ერთი კონკრეტული ინფორმაცია, რომლის თანახმად, თეატინელთა ქადაგებების შედეგად, ოდიშის სამთავროში ფორმა იცვალა მიცვალებულთა საფლავზე უწინ არსებული მსხვერპლშენიერვის წესმა.

რელაციაში მოცემული ინფორმაცია პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ. პირველ ნაწილში<sup>6</sup> რელაციის ავტორი წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ გარკვევით აყენებს საქმის კურსში, რომ სამეგრელოში ქრისტიანულ სარწმუნოებას მტკიცედ იცავენ და ზოგადად აღნიშნავს: „სამეგრელოში არ იწყნარებენ რა არც ერთ სხვა სარწმუნოებას, არც მუსლიმურს, არც იუდეურს, გაგრძობინებენ, რომ აღიარებენ მხოლოდ ქრისტიანულ სარწმუნოებას და ამასთან ქართულად იმეორებენ: „მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. „ამენ“. ამჯობინებენ, ეს ლათინური მანერით გააკეთონ

3 Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nei Congressi. Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 56-75; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)... გვ. 14.

4 დადგენილია, რომ რელაციონი ეკუთვნის თეატინელ მისიონერს დონ ჯუზეპე ძამპის, რომელიც ოდიშის სამთავროში მოღვაწეობდა 1652-1665; 1669-1679 წლებში (დაწვრილ. იხ: ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)... გვ. 35-36, შენიშვნა 10.

5 Ilia M. Tabagua. I rapporti tra la Georgia Cristiana e la Santa Sede, vol.I. Tbilisi, 1996, p. 279; 307.

6 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)... გვ. 14-18.



და პირველად ისახავენ“.<sup>7</sup> ამის უწყევ არგუმენტად ავტორს მოაქვს შემდეგი ისტორიული ცნობა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიისათვის და პირველად ხდება მისი დამოწმება ჩვენს მიერ. ამიტომ მას სრულად მოვიტანთ. აი, ისიც: „ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობისადმი გულმოდგინების ნათელ მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არეულობებისა და ომების დროს, მღვდლებისა და თითქმის სასულიერო წიგნების გარეშე, მათ შეინარჩუნეს ქრისტიანული სარწმუნოების ბევრი ნიშანი და მას ისეთი თავგამოდებით აღმსარებლობენ, რომ უმალ სიცოცხლეს დათმობენ, ვიდრე შეელიონ [ქრისტიანულ] საწმუნოებას. ეს ორი წლის წინათ<sup>8</sup> ცხადად დაამტკიცა მთავარმა გურიელმა.<sup>9</sup> მას ოსმალების სულთანმა<sup>10</sup> ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფის სანაცვლოდ დაპირდა მთავრის ტახტზე აყვანას, რომელსაც ის უსამართლოდ მოკლებული აღმოჩნდა გარდაცვლილი დადინისაგან. ასევე დაპირდა ფაშად დასმას და სხვა პროვინციებით დასაჩუქრებას, მაგრამ მთავარმა გურიელმა უარი განაცხადა. ამბობდა რა აღსარებას და მიეტყუა ცოდვები, მთავარმა სიკვდილი არჩია, ვიდრე მიეღო ოსმალების სულთანის წინადადება“.<sup>11</sup>

რელაციის მეორე ნაწილი ეხება სამეგრელოში არსებული რელიგიური დღესასწაულების, სამღვდელოების განათლების დონისა და ნათლისღების პრაქტიკის აღწერას.<sup>12</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი. მართალია, ჩვენთვის ცნობილ სხვა თეატინელ მამებთან შედარებით, ავტორი დიდად განსხვავებულ ცნობებს არ გვანვდის, მაგრამ ერთი უნდა აღინიშნოს. დონ ჯუზეპე ძამპი პირველი თეატინელი მისიონერია, რომელიც გვაძლევს ცნობას საქართველოში მართლმადიდებლური ინდულგენციის არსებობისა და პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.<sup>13</sup> მსგავსი ინფორმაცია საქართველოში

---

7 იქვე, გვ. 17.

8 თუ რელაციონის დაწერის თარიღს, 1662 წელს, ავიღებთ ამოსავლად, ფაქტს ადგილი ჰქონდა 1660 წელს.

9 ლაპარაკი უნდა იყოს დემეტრე გურიელზე (1658-1664 გურიის მთავარი; 1660-1664 იმერეთის მეფე). ეს ფაქტი ცალკე განხილვასა და მსჯელობას მოითხოვს, რომელზეც სხვა დროს გვექნება სხვა ნაშრომში საუბარი.

10 ამ დროს ოსმალების სულთანმა იყო მეჰმედ IV (1648-1687).

11 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 17.

12 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 19-32.

13 იქვე, გვ. 24.

XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე არც ერთი მისიონერის რელაციაში არაა დაფიქსირებული. ეს საკითხი ჯერაც გამოუკვლეველია რა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, ცხადია, იგი უპირატეს მნიშვნელობას იძენს და მას საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება, რაზეც ცალკე ნაშრომში შევჩერდებით. ამ ინფორმაციას თავისი მნიშვნელობით შეიძლება შევადაროთ რელაციაში მოტანილი ცნობა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებას იჩენდნენ სამეგრელოს სამთავროში დამნაშავეის სიკვდილით დასჯის შესახებ. უფრო სწორად დანაშაულისათვის ადამიანის სიკვდილით არდასჯის შესახებ. იურიდიულ ენაზე რომ ვთქვათ, სამთავროში სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო. ამის ზოგად ფორმულირებას ავტორი რელიგიურ საფუძველზე ახდენს, რადგან სამთავროში „ადამიანის მკვლელობა გამოუსყიდევ ცოდვად...“ თვლებოდა<sup>14</sup>-წერს ის. რადგან იგი ურთიერთგავლენის აღქმის ნაკითხვის საშუალებას გვაძლევს, მთლიანად მოვიტანთ. „დამატებით უნდა ითქვას,-წერს ავტორი,- რომ მათი<sup>15</sup> მართლმსაჯულება დამნაშავეს სიკვდილით არასოდეს სჯის, არამედ მას<sup>16</sup> აჭრიან ტერფს ანდა თხრიან თვალებს.“<sup>17</sup> მართალია, რელიციონის ავტორი გარკვევით თავის დამოკიდებულებას არ აფიქსირებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, იწონებს სამთავროს მართლმსაჯულების ამ ნაწილს და მას ამგვარად გადმოგვცემს: „მეგრელები გმობენ ჩვენი ქვეყნების<sup>18</sup> მართლმსაჯულებას დამნაშავეების [სიკვდილით] დასჯის გამო. სასამართლო განხილვას ისინი აკურატულად და მკაცრად ატარებენ. საჭიროების შემთხვევაში მთავარი<sup>19</sup> ადგილზე ნიშნავს ორ მოსამართლეს, რათა მათ გამოარკვიონ საქმის ყველა გარემოება და მოისმინოს ორივე მხარის დასაბუთებული მოსაზრებები. გააკეთებენ რა ამას, მოსამართლეები მთავარს მოახსენებენ და გამოაქვთ განაჩენი, რომელსაც მთავარი ჩვეულებრივ ამტკიცებს.“<sup>20</sup>

რელაციის მესამე ნაწილი, რომელიც ჩვენი ინტერესის საგანია, ეხება სამეგრელოში სასაფლაოზე წესად არსებული მსხვერპშენირვის

14 იქვე, გვ. 31.

15 ე.ი. სამეგრელოს.

16 დამნაშავეს.

17 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 31.

18 იგულისხმება დასავლეთ ევროპის ქვეყნების.

19 იგულისხმება სამეგრელოს მთავარი.

20 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 31.

საკითხს.<sup>21</sup> ამ წყაროს თანახმად, მეორმოცე დღეს საფლავზე შემდეგი სახის მსხვერპლშენიერვა სრულდებოდა. „ამ დღეს, – ვკითხულობთ რელაციაში, – ისინი ასრულებენ მსხვერპლშენიერვას. გარდაცვლილის საფლავზე კლავენ მტრედებს, თხებს, ბატკნებს. საფლავზე დებენ განსვენებულისათვის ნებისმიერ საქმელს, რომელიც ეკლესიაშია ნაკურთხი. ამასთან მღვდელი იღებს იმას, რაც მოესურვება. მიცვალებულის ნათესავები საფლავზე მოასხამენ ასევე ღვინოს. ყველაფერი ეს განსვენებულისათვის კეთილ საქმედ ითვლება და თუკი ვინმე მათ შეედავება, რომ ეს სწორი არ არის, ისინი ასეთ ადამიანს სასტიკ მხეცად ჩათვლიდნენ, რომელსაც სურს მიცვალებულს ასეთი ნუგეში წაართვას.“<sup>22</sup> ამავე წყაროდან ირკვევა, რომ თეატინელ მამებს, ცხადია დონ ჯუზეპე ძამპის თაოსნობით, დიდი შრომა გაუწევიათ ამ წესის აღმოსაფხვრელად. მართალია, თუ რა ხერხებით აღწევდნენ ისინი ამას, წყაროში არ ჩანს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისიონერის მოქმედების საშუალება მხოლოდ ქადაგება და რჩევები იყო, მათგან საქმიანობის ამგვარი გზა უნდა ვივარაუდოთ. ირკვევა, რომ საერო პირებმა და, უპირველესად მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657), ქრისტეს უკეთესი მსახურებისათვის მოუსმინეს კათოლიკე მამებს და შეეცადნენ კომპრომისული გადაწყვეტილება მიეღოთ. ამ შედეგს ასე გადმოგვცემს რელაციის ავტორი: „ყველაფერი გავაკეთეთ, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, მაგრამ მხოლოდ იმას მივალწიეთ, რომ ზოგიერთმა შეწყვიტა ეკლესიაში ზვარაკის დაკვლა. ახლა მას სახლში კლავენ, როგორც ეს გააკეთა ლევან დადიანმა, რომელმაც გარდაცვლილი ვაჟიშვილის ხსოვნას შესწირა 100 ხარი და 20 კამეჩი. დადიანმა ეკლესიაში მსხვერპლშენიერვისაგან თავი შეიკავა და ისინი ქალაქგარეთ დაკლეს, ხოლო ხორცი, როგორც გასაკითხი, ღარიბებს დაურიგა. ტანსაცმელი, ძროხები და ცხენები, რომელიც გარდაცვლილ შვილს ეკუთვნოდა, მან ასევე ღარიბებს ჩამოურიგა.“<sup>23</sup>

თუ ვერწმუნებით მოტანილ წყაროს უნდა დავასკვნათ, რომ მისიონერების საქმიანობამ გარკვეული შედეგი გამოიღო. მთავარმა ლევან II დადიანმა და, მისი მიბაძვით, ბევრმა ეკლესიაში ზვარაკის დაკვლა ანუ მსხვერპლშენიერვა შეწყვიტა, მაგრამ ამის საბოლოოდ აღმოფრხვა თეატინელ მამას მეტად საძნელო საქმედ მიაჩნდა. ამის მიზეზად ის ასახელებდა შემდეგს: პირველი, შეწირული ზვარაკების ღარიბებისათვის დარიცხვა და ამით მათი

21 იქვე, გვ.32-34.

22 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 32-33.

23 იქვე, გვ.33.

დაპურება მთავარს ღირსეულ საქმედ მიაჩნდა;<sup>24</sup> მეორე, სამეგრელოს სამთავროში მიცვალებულების ხსოვნის განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ, რაც გამოიხატებოდა წლობით მარხვის დაცვაში. ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ წყაროს: „მთელი ცხოვრების მანძილზე ინახავენ თავიანთი გარდაცვლილი ნათესავების ხსოვნას და დროდადრო საფლავზე მიაქვთ ეკლესიაში ნაკურთხი შემწვარი ქათამი, ღვინო, თევზი და სხვა საჭმელი. ყველაფერ ამას საფლავზე ჭამენ და განსვენებულს იგონებენ“.<sup>25</sup> ამ წესის მიმართ არ ჩანს თეატინელი მამის გამოკვეთილი პოზიცია. თუმცა ირიბი ინფორმაცია გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ძამპი, ცხადია კათოლიკური თვალსაზრისით, მართალია, მას „ცდომილებად“ მიიჩნევდა, მაგრამ მკვეთრ დამოკიდებულებას არ იჩენს მისადმი. მოკლედ რომ ვთქვათ, მან კონკრეტული „ცდომილება“ ორი ეკლესიას შორის ურთიერთობაში დამაბრკოლებელ საფუძვლად არ განიხილა. უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ ამ „ცდომილების“ აღმოფხვა კათოლიკე მამების დახმარებით ადვილად იყო შესაძლებელი. აი, რას ასახელებს ამის არგუმენტად თავად დონ ჯუზეპე ძამპი. ის წერს: „ჩვენი დახმარებით ამ ხალხის ხსნა შეიძლება, ვინაიდან მათ არა აქვთ ცდომილებები, რომელთაც მტკიცედ და ჯიუტად დაიცავდნენ“.<sup>26</sup> კიდევ მეტი; ამ აზრს ის ამგვარად ანეიტრალებს: „ამასთან ერთად მათ აქვთ კარგი წეს-ჩვეულებებიც, თუმცა უფრო უკეთესი, ვიდრე დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში“.<sup>27</sup> ეს მას მიაჩნდა იმის საფუძვლად, რომ სამეგრელოს სამთავროში ადვილად მიიღებდნენ კათოლიკე ეკლესიის კულტს, თუ რომიდან გამოაგზავნიდნენ განათლებულ მისიონერებს. წყაროს ენით იგი ასე გადმოიცემა: „ამ ხალხს<sup>28</sup> ადვილად შეეძლო კათოლიკე ეკლესიის ჭეშმარიტი კულტი მიეღო. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მათ ბევრი კარგი ტრადიცია შეინარჩუნეს.<sup>29</sup> მართალია, ეს მოვლენის მარტივი წარმოდგენაა, მაგრამ, ერთი მხრივ, იგი საგულისხმოა სამეგრელოს მაცხოვრებელთა კათოლიკობისადმი კეთილგანწყობილი

---

24 იქვე.

25 იქვე.

26 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 33.

27 იქვე.

28 ე.ი. სამეგრელოს მაცხოვრებლებს.

29 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 34.

დამოკიდებულებისა და, მეორე მხრივ, მისიონერთა მიერ ბევრი ქართული ტრადიციის არა უცხოოდ, არამედ თავისად მიღების აღსაქმელად. სწორედ ეს ორი ასპექტი ედო საფუძვლად იმას, რომ ოდიშარები სიამოვნებით უსმენდნენ კათოლიკე მისიონერების საუბრებს ღმერთზე.<sup>30</sup> ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ფაქტორმა ოდიშართა თვალში კათოლიკე მისიონერები მორალურად ასე შემოსა. „ჩვენ გვექცევთან კეთილად, რადგან მიგვიჩნევენ უფლის სიტყვების მატარებელ წესიერ ადამიანებად. მათ მხურვალედ სურთ გულკეთილ ქრისტიანებად დარჩენა,“<sup>31</sup> – წერს დონ ჯუზეპე ძამპი.

მისიონერებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის, ცხადია, ხიდის როლს ასრულებდა კათოლიკეთა ეკლესია, ჩვენი ვარაუდით, წიფურიაში. ის წერს: „ისინი ხშირად მოდიან ჩვენს ეკლესიაში, რომელიც ქვისაგან ავაგეთ და კარგად ვინახავთ.“<sup>32</sup> ეს ფაქტი თავისთავად იმაზე მიუთითებდა, რომ მისიამ თავისი ამოცანა შეასრულა, რადგან ახლა ეს ეკლესია ასრულებდა თავისთავად მისიონერულ საქმიანობას. ამ ეკლესიაში ღრმა ერთიანობის გრძნობა ეუფლებოდა, ალბათ, იმ მორწმუნე ოდიშარს, რომელიც აქ მოთავსებულ ჯვარცმას უყურებდა და ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა. რელაციაში ვკითხულობთ: „ხედავენ რა ვეშაპის კბილებისაგან [გაკეთებულ] ჯვარცმას, რომელიც ჯვრის თავზე მოვათავსეთ, ცნობისმოყვარეობით გვეკითხებიან: რა არის ეს? ვუხსნით მათ ჯვარცმის საიდუმლოს და გრძნობენ, რომ ქრისტე ჩვენი ცოდვების გამო ეწამა, ხოლო ჯვარცმა არის სიმბოლო ჯვრის გაღმერთებისა, რომელსაც ისინი ეთაყვანებიან. კმაყოფილდებიან რა ასეთი პასუხით, სინაწულით მკერდზე ირტყამენ ხელს და ამ დროს ხმამაღლა ქვითინებენ.“<sup>33</sup> ეკლესიის მისიის ამ არსმა ათქმევინა, ალბათ, ჯუზეპე ძამპის შემდეგი სიტყვები: „ამ ხალხის ჩვენს სარწმუნოებაზე მოქცევა ადვილია. ამის დასტურს წარმოადგენს ის, რომ მშობლებს ძალიან სურთ შვილები ჩვენ მოუნათლოთ. მათი ღვთისმოსაობა და თავმდაბლობა ყოველნაირი ქების ღირსია.“<sup>34</sup> ერთი სიტყვით, ეს ეკლესია ფართოდ უღებდა კარს ერთიანობის გრძნობას. ამას ცხადად ადასტურებს ძამპის შემდეგი

---

30 იქვე.

31 იქვე.

32 იქვე, გვ. 18.

33 იქვე.

34 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 27.

ინფორმაცია: „აქაურ ადამიანებს<sup>35</sup> მოსწონთ ჩვენი კათოლიკური წეს-ჩვეულებები, რადგან ეს მათ სულს ამხნევეს და ამაღლებს...“<sup>36</sup> ძნელია ზუსტად ითქვას, ოდიშის სამთავროს მაცხოვრებლებს კათოლიკური ღვთისმსახურების რომელი წესი, თუ წესები მოსწონდათ და ეს რატომ იწვევდა მათ სულიერ ამაღლებას. თუ ვირწმუნებით ძამპის, უნდა ვთქვათ, რომ კათოლიკე ეკლესიის მართლმადიდებელ ოდიშარ სტუმრებს მოსწონდათ კათოლიკური ღვთისმსახურება. თუმცა იყო ერთი ფაქტორი, რომელიც განსხვავებას ავლენდა და გაუგებრობას იწვევდა ქართველ მართლმადიდებლებში. აქვე ძამპი აგრძელებს „თუმცა... არ ესმით მესას დროს რატომ არ ვაკმევთ საკმევებს“.<sup>37</sup> ეს საკითხი პადრემ მარტივად გადაწყვიტა. ის წერს: „რომ აღმოგვეფხვრა უკმაყოფილების მიზეზი, მსახურებაში შევიტანეთ საკმეველის კმევის წესი და ამას ვაკეთებდით შემალღებულ ადგილას, რათა ყველას დაენახა“.<sup>38</sup> ეს კიდევ ერთი ფაქტია იმის საილუსტრაციოდ, რომ კათოლიკე ეკლესია სამეგრელოს სამთავროში თავისი ყოველდღიური ცხოვრებით დიდ იმპულსს აძლევდა ერთიანობის შეგრძნებას და მართლმადიდებლური წესის თავისად მიღება იდენტობას აშკარად უსვამდა ხაზს. ასევე უდავოა, რომ მესა საერო პირებში ამ გრძნობას უდავოდ გააჩენდა და ისინი პასიური მსმენელები ან მაყურებლები როდი იქნებოდნენ.

რელაციის ბოლო ნაწილი მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში ჩანს დონ ჯუზეპე ძამპის უშუალო წარმოდგენა, რომ დასავლეთ ევროპას საქართველოს, კერძოდ სამეგრელოს სამთავროს სახით, ჰყავდა ერთგული ქრისტიანი მოკავშირე საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოვუსმინოთ საკუთრივ წყაროს: „ან კარგად ჩანს, -ვკითხულობთ მასში, -რა ნაყოფი გამოიღო ჩვენმა შეუპოვრობამ სამეგრელოში, სადაც ქრისტიანულ სარწმუნოებას ადამიანებში არა მხოლოდ ხელი წავაშველეთ, არამედ, აქ ადამიანები [ჩვენი დახმარებით] საკმაოდ ცივილიზებული და ჭკვიანები გახდნენ. და თუკი კათოლიკეებს<sup>39</sup> ოდესმე მოუწდებათ თურქებთან ბრძოლაში ჩაბმა, იპოვიდნენ დაჩაგრულ ხალხებს<sup>40</sup>,

35 სამეგრელოს სამთავროს მაცხოვრებლებს.

36 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 23.

37 იქვე, გვ.24

38 იქვე.

39 იგულისხმება დასავლეთის კათოლიკური ქვეყნები.

40 იგულისხმებიან დასავლეთ საქართველოში მაცხოვრებელი ქართველები და აფხაზები.

რომელთაც სურთ გამდიდრება და ერთსულოვნად ქრისტიანული სარწმუნოებისადმი დახმარება.<sup>41</sup>მათ შეუძლიათ ერთბაშად გამოიყვანონ 200<sup>42</sup> ათასი ჯარისკაცი...“.<sup>43</sup>

ამგვარი ინფორმაციით დატვირთული ეს წყარო კიდევ ბევრჯერ გახდება მკვლევართა ყურადღების საგანი.

**Murman Papashvili**

### **Analysis of a hitherto unknown single piece of information from a Theatin missionary**

One long, unsigned report dated September 19, 1662, which is still unknown to researchers, as we believe, belongs to the Prefect of the Theatin Mission in the Principality of Samegrelo, Dona Giuseppe Dzampi. In this message from another interesting message, the subject of our attention is the analysis of information according to which, as a result of the activities of the Theatin missionaries, the sovereign prince of Megrelia Levan II Dadian and many others, following his example, banned sacrifices in the church. The author of the report interestingly explains why this custom was observed in the Principality of Samegrelo. It turns out that Don Giuseppe Zampi tried very hard to get this rule for the inhabitants of the principality. He achieved a certain result, but he considered it a very difficult task to eliminate it. As a reason for this, he cited the following: firstly, the sovereign prince of Megrelia considered it worthy to distribute a sacrificial animal to the poor and thereby provide them with food; Secondly, in the Principality of Samegrelo, the memory of the dead was treated with special respect, which was manifested in the observance of the annual fast. Although Don Giuseppe Zampi did not like this rule, he considers it a mistake,

---

41 ავტორის ეს აზრი ცალსახად გვიჩვენებს ქართველთა ანტითურქულ განწყობილებას და რეალურ ვითარებაში დასავლეთთან ერთად ქრისტიანული წინააღმდეგობის წინააღმდეგ ბრძოლის მზაობას.

42 ძნელია ივარაუდო, თუ რას ეყრდნობა ამ შემთხვევაში ავტორის მიერ მოტანილი ეს რიცხვი.

43 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)..., გვ. 35.

but takes a soft stance towards it. Besides; He neutralizes this opinion by concluding: "At the same time, they have good morals, even better than in the developed countries of Western Europe." He considered this the basis for the fact that the principality would easily accept the cult of the Catholic Church if educated missionaries were sent from Rome. Although this is a simplistic representation of the event, it is important for depicting a favorable attitude towards Catholicism.



## ზოგი რამ სტამბოლის ქართველ დედათა მონასტრის შესახებ

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში და განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა გაუარესდა, ამ საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის თანდათანობით დაპყრობამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონზეც. კერძოდ, ეს იმით გამოიხატა, რომ კათოლიკური აღმსარებლობის თავისუფლად გავრცელების საშუალება მოიხსოვრა. რუსეთის მთავრობამ მისიონერები 1845 წელს გააძევეს საქართველოდან. ქართველი კათოლიკე მრევლი მღვდლების გარეშე დარჩა. სომხური რიტის კათოლიკე ეკლესია დაეპატრონა ლათინურ რიტზე მდგარ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებს. იმავდროულად, გააძლიერეს უსაფუძვლო ცილისწამება ისტორიულად ქართველ კათოლიკეთა არარსებობის შესახებ. იმ დროიდან ქართველ კათოლიკეთა ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი: კათოლიკობისათვის-ქართველობისათვის ბრძოლის პერიოდი პეტრე ხარისჭირაშვილის მეთაურობით. ის მრევლთან ერთად ეროვნულ პოზიციებზე დარჩა და ყველანაირად ცდილობდა წინააღმდეგობა გაენიათ მოწინააღმდეგეთათვის. მან გადაწყვიტა, დაეარსებინა ქართული ძმობა, რომელიც ქვეყანას მოუშზადებდა ახალ პატრიოტულ ძალებს და ფეხზე დააყენებდა მას [1]. თუმცა ამ მიზნის სამშობლოში განხორციელების საშუალება არ მისცეს. ამიტომ, იგი ოსმალეთში გადავიდა – 1857 წელს. მან რომის პაპის პიუს IX-ის წარმომადგენლის – მთავარეპისკოპოსის ბრუნონის დახმარებით 1859 წელს მიიღო მკვიდრი სამსახური მოწყალების დათა მონასტერში. ასევე, სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის ნება ქართული ენითა და ტიპიკონით. იმავე წელს მამა პეტრემ ცნობილი მეცენატის იაკობ ზუბალაშვილის ფინანსური დახმარებით სტამბოლის გარეუბანში – ფერიქოვში შეიძინა მიწის მოზრდილი ნაკვეთი, სადაც 1861 წელს ააშენა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია [2]. უნდა აღინიშნოს, რომ ფერიქევის ძმობამ იურიდიული ძალმოსილება მიიღო 1861 წელს. აღსანიშნავია ისიც, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა იმთავითვე დაიწყო ზრუნვა ქართველ დედათა მონასტრის დაარსებისათვის. ფერიქოში მამა-

თა სავანის ახლოს გამოუყო მიწის ნაკვეთი, თავისი ხარჯით ააშენა მონასტერი და მათი საცხოვრებელი შენობა. მისი ძალისხმევით დედათა მონასტრის იურიდიული არსებობა საეკლესიოთ აღიარებული იქნა 1871 წლის 9 მკათათვეს [3].

უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის მამათა სავანისაგან განსხვავებით, დღემდე ნაკლებად არის ცნობილი დედათა მონასტრის ისტორია. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ადგილი არ ჰქონია მის შესწავლა-გამომზეურებას. მამათა სავანის ფონდ-არქივში დაცული მასალა ამის საშუალებას იძლევა. პეტრე ხარისჭირაშვილს სურდა რომ სავანეში აღზრდილ მონაფეებს ჰქონოდათ ძლიერი ეროვნული ცნობიერება და საფუძვლიანად სცოდნოდათ მშობლიური ენა. შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ფერიქოის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის სახით შექმნა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანული ეკლესიის მძლავრი კერა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა 1890 წლამდე.

„სავანემ იმთავითვე თავი მოუყარა როგორც ბერებს, აგრეთვე მონაზვნებსაც. ესე იგი დანესდა ფაქტობრივად ორი მონასტერი: მამათა და დედათა. – ორთავე ერთი და იგივე სახელწოდებით: ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის მონები. მონაზვნებმა დაარსებიდანვე ხელი მიჰყვეს საპედაგოგიო მოღვაწეობას, მათ სკოლაში სწავლას იძენენ როგორც ქართველი, აგრეთვე უცხოეთის ქალოშვილებიც“, – წერდა რაფიელ ინგილო. დედათა მონასტრის გამგედ, უფროსად დაინიშნა და ელისაბედ ბეჟანიძე.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლში დაარსებულ მამათა და დედათა სავანეებს შორის, წლების შემდგომ, გარკვეული უთანხმოება ჩამოვარდა. მათ შორის დავამ ბევრი ინფორმაციის გამომზეურება გახდა შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ დედათა სავანის ქომაგი იყო რაფიელ ინგილო. მან თავისი წერილი დაბეჭდა 1930 წელს ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოში“ (N 55) პარიზში. აღნიშნულმა წერილმა დიდი პოლემიკა გამოიწვია. საზოგადოება გაკვირვებული და დაბნეული იყო. არ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას. შეურაცხყოფილი და უკმაყოფილონი დარჩნენ სავანის მამები. იქამდე, სანამ სავანეში მოღვაწენი უპასუხებდნენ წერილის ავტორს, მამა შალვა ვარდიძემ, 1930 წლის 29 აგვისტოს, პირადი წერილი მისწერა გაზეთის რედაქტორს ურატაძეს. აცნობებდა: „სავანის წინამძღვარი შემთხვევით გაეცნო მათ გაზეთში დაბეჭდილ რაფიელ ინგილოს მთლათ სიმართლეს მოკლებულს და სრულიად უტაქტო წერილს, რომელიც ვალდებულს გვხდის მოვთხოვით პასუხი ბატონ ინგილოს [4].

საპასუხო ვრცელი წერილი მოამზადა მამა შალვა ვარდიძემ. სავანის არქივში ინახება 1930 წლის 13 სექტემბრით დათარიღებული წე-

რილი. რომელიც დასაბეჭდად გადაუგზავნა ჟურნალს „დამოუკიდებელი საქართველო“. მამა შალვამ წერილში მკითხველს დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ პეტრე ხარისჭირაშვილმა, თავის დროზე, როგორ მოისურვა და შეძლო დედათა სავანის დაარსება: „მამა პეტრემ მოლოზნების სავანის დაარსებისათვის რამდენიმე ქართველ მანდილოსანს მოუყარა თავი.... 1866 წლიდან დაწყებული გვეუბნება, რომ ამ საქმეს მეტი ცდა დასჭირდებოდა. 1869 წელს მოლოზნების კაი ჯგუფია. მის იურიდიული არსებობა საეკლესიოთ აღიარებულ იქმნა მხოლოდ 9 მკათათვეს 1871 წელს. კათოლიკე მოლოზანთა სავანეც სტამბოლის ეპისკოპოსზეა მინდობილი. ვინაიდან რომელიმე მონასტრის დამტკიცება ეკლესიის მიერ არ შეიძლება, თუ მას ბინა და მტკიცე საცხოვრებელი არ აქვს“. მიუთითებდა, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა ისევე იზრუნა მოლოზნებზე, როგორც ბერებზე. თავისი ხარჯით გაზარდა მოლოზნების ბინა. მამათა სავანემ დაუთმო საკუთარი ადგილი, რაზეც მამა პეტრემ და მისმა მოწაფეებმა გააშენეს მოლოზნებისათვის საკუთარი ბინა და სასწავლებელი. რაც გადაეცათ დებს და ბოლომდე მათ კუთვნილებად დარჩა. „ესეც არ იკმარა მოლოზნებს წესდებულებაში დაუნერა და მამათა სავანესაც უბრძანა, რომ დედათა სავანე ერჩინათ 10-15 წელს. რომელი ვადის შემდეგ მოლოზნებს თავისით ერჩინათ თავი. მამათა სავანემ იტვირთა მოლოზნების კვება და აღზრდა, ვიდრე 1900-1904 წელს“. რამდენადაც მამათა სავანემ დედათა სავანეს საზრდოს მიცემა შეუწყვიტა 1900-1904 წლებში, გამოდის რომ დათქმული ვადა გაცილებით მეტხანს მოიცავს – ოცდაცამეტ წელს.

იმ დროიდან მოყოლებული მამათა სავანის ხელმძღვანელი აღარ იყო დედათა სავანის წინამძღვარი. **ე.ი.** მას აღარ ექვემდებარებოდა. მათი გაყოფა კი პაპის დელეგატის უწყებით გაფორმდა. მონსინიორ ტაჩის ბრძანებით მამათა სავანის წინამძღვარს არ ჰქონდა უფლება დედათა სავანის საქმეებში ჩარევისა. მის შემდგომ სავანის წინამძღვარი აღარ უნდა გარეუღიყო მოლოზნების საქმეში.. სამწუხარო ისიც იყო, რომ „მოლოზნებმა იმ დღიდან აღარ ისურვეს თავიანთი ნებაყოფლობით ჩვენ სავანესთან მეგობრული ურთიერთობა, კავშირი და იყოლიეს ყოველთვის უცხო მოძღვარი დამრიგებლათ და მრჩევლათ...“ [5].

დედათა სავანის დაარსების შემდეგ პეტრე ხარისჭირაშვილმა ხელმეორედ დაწერა ანდერძი 1869 წელს და დაამონმებინა პაპის წარმომადგენელს. მომდევნო წელს 10 აგვისტოს კი დაამონმებინა სამოქალაქო ხელისუფლების კანცელარიაში. კერძოდ, ანდერძში მამა პეტრე მიუთითებდა, რომ მონასტრის ქონება ეკუთვნოდა ქართველ კათოლიკე ბერებს „არც ჩემ ნათესავეებს, არც ქართველ ერს,

არც ერთ სხვა რომელიმე პირს არ ექმნება უფლება უქმნას დავა ზემოხსენებულ საკუთრებაზე ხსენებულ ბერებს“ [6].

სავანის ბერებს არ ჰქონდათ პეტრე ხარისჭირაშვილის ანდერძის დარღვევის უფლება. ამასთანავე, რაც შეეხება სავანის მამულებს, ის დამტკიცებული იყო კერძო პირებზე, „რადგან ოსმალეთში ვახუშის კანონების ძალით სხვანაირად არ შეიძლებოდა. ხოლო კერძო პირები თავიანთი საკონსულოების მეშვეობით აცხადებდნენ, რომ იგინი იყვნენ მხოლოდ სახელის მიმცემნი და არც მათი და არც მათი ჩამომავლობისა, არამედ ქართველ კათოლიკე ბერების ფულით ნაყიდი“ [7]. ამასთანავე, პირველი მსოფლიო ომის დროს მამათა სავანემ, უცხო პირებზე გაფორმებული, მამულები იურიდიული გზით და სასამართლო წესით დაიმტკიცა. მიუთითებდა, რომ „მოლოზნების მამულები და აქტები მათ ხელში იყო და იმჟამადაც მათ ჰქონდათ“. და თუ წარუდგენდა ე.წ. შემონირულობათა აქტებს, პირობად დებდა, რომ ყველაფერს დაუთმოდა მოლოზნებს.

რაფიელ ინგილო საყვედურობდა ქართველ ბერებს იმას, რომ ოცდაექვსი წლის განმავლობაში არ მოისურვეს დედათა სავანის პრობლემების მოგვარება: „იქ ამჟამად უცხოელები დაფარფატებენ. ამას არ უნდა გამოეწვია ჩვენი გულისტკივილი? ეს არ უნდა გვეცნობებია ქართველი საზოგადოებისათვის?“ [8]. მამა შალვამ ქართველ საზოგადოებას გააცნო საქმის ვითარება. რაფიელ ინგილოს კი დასაბუთებული პასუხი გასცა იმასთან დაკავშირებით თუ მამათა სავანემ რატომ ვერ შეძლო დახმარება გაენია დედათა სავანისათვის. დედათა სავანის საკითხისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესი დიდი იყო. მათთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი. შეიძლება ითქვას, რომ რაფიელ ინგილომ, ერთი მხრივ, დიდი სამსახური გაუწია თავისი საგაზეთო სტატიის დაბეჭვდით. როგორც ზემოთ ითქვა, ამას მოჰყვა პოლემიკა, მამა შალვა ვარდიძის საპასუხო წერილები. შესაბამისად საზოგადოებისათვის ყველაფერი გახდა ნათელი და გასაგები.

სტამბოლის დედათა სავანის შესახებ, ჯერ კიდევ 1912 წელს, საზოგადოებამ საინტერესო ინფორმაცია მიიღო „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი დავით ჩიქოვანის სტატიით „სტამბოლის ქართველ დედათა მონასტერი“. ავტორი წერდა, რომ დედათა მონასტერს, მამათა მონასტრის მსგავსად, სურდა თავისი წვლილი შეეტანა ეროვნულ საქმეში. იქ მოღვაწეობდა თექვსმეტი ქართველი და – „მეტწილად უმაღლესი სასულიერო განათლებით“. ეწოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჰქონდათ ორი ფრანგული სკოლა-პანსიონი, სადაც იზრდებოდნენ უცხოელები, რადგან ქართველ მონაფეთა რიცხვი ცოტა იყო. მათ სურდათ, რომ საქართველოდან ჩაეყვანათ ღა-

რიბთა შვილები, მიეცათ ქართულ-ფრანგული განათლება და ასე გაენიათ სამსახური სამშობლოსათვის. რამდენადაც არ ჰქონდა საკმარისი შენობა დახმარებისათვის მიმართეს ცნობილ ქველმოქმედებს ძმებს ზუბალაშვილებს. წინამძღვარმა ელისაბედ ბეჟანიშვილმა იმისათვის, რომ დაკავშირებოდა ზუბალაშვილებს დახმარების თხოვნით მიმართა ფილიპე გოგიჩაიშვილს: „სტამბოლში მყოფ ქართველ კათოლიკე დების სახელით გთხოვთ, გაგვინიოთ სამადლობელი და ეს ჩვენი თხოვნა, რომელიც შეეხება ქართველ კათოლიკეთათვის ფრიად მნიშვნელოვან კითხვას, დანიშნულებისამებრ გადასცეთ სზოგადო ქველმოქმედ ზუბალაშვილებს ჩვენი გაჭირვება და უამბოთ ჩვენი უმწეობაში ჩავარდნილი ყოფის შესახებ. ძალიან გთხოვთ, თქვენო კეთილშობილებავ, უამბოთ არ დაგვტოვოთ უყურადღებოდ ამ უცხო ქვეყანას შეხიზნული დედათა მონასტრის წევრები“ [9].

როგორც სავანის ფონდში არსებული მასალებიდან ჩანს, სტამბოლის ქართველ კათოლიკე დედათა მონასტრის წინამძღვარი ელისაბედ ბეჟანიძე ძალ-ღონეს არ იშურებდა ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად. მას ეიმედებოდა ქველმოქმედი თანამემამულეები – ძმები ზუბალაშვილები. ამიტომაც იყო, რომ პირადად მათ მისწერა წერილი, 1920 წელს. მან დეტალური ინფორმაცია მიანოდა დედათა სავანის შესახებ. კერძოდ, ის რომ დედათა სავაე ჰქონდა ქალთა სკლა. პედაგოგები მხოლოდ ქართველი დები იყვნენ, მონაფენი კი „სხვა ტომის შვილები.... შრომა ხმარდებოდა არა თავის დანიშნულებას... ჩვენს მოვალეობას ჩვენი ერის წინაშე გვაროვნად ვერ ვემსახურეთ“. მოახსენებდა, რომ სურდათ საქართველოდან ჩამოეყვანათ აღსაზრდელები, მომზადებულებს კი სამშობლოში დააბრუნებდნენ. ოცი-ოცდახუთი მოსწავლე ქალის შენახვასა და აღზრდას შეძლებდნენ. შესაბამისად მათ სჭირდებოდათ “მონასტერში ერთი სახლის აშენება სკოლისათვის და მოსწავლე ქალთათვის შიგ სადგომ-ბინისათვის“. თხოვნით მიმართავდა თანადგომას ამ ეროვნული საქმისათვის [10].

დავით ჩიქოვანი მიუთითებდა, რომ დებს ჰქონდათ ქალთა ორი ფრანგული სასწავლებელი. ერთი სტამბოლში და მეორე დარდანელთან: „მონასტრები სამისიონეროა და რასაკვირველია რომის პროპაგანდა მფარველობს. დღევანდლამდე მათი მოღვაწეობა იყო თითქმის მხოლოდ სარწმუნეობრივ ფარგალში, ერისათვის მათ განსაკუთრებით არა შეუმატნიათ რა, რაც აიხსნება მრავლის მიზეზებით“ [11]. ვფიქრობთ, დავით ჩიქოვანის საგაზეთო სტატია, რაც, დავის დაწყებამდე, გაცილებით ადრე დაინერა, მოიცავდა საინტერესო ინფორმაციას და ნათელს ჰფენდა შექმნილ ვითარებას.

სტამბოლის მამათა სავანის დამოკიდებულება დედათა სავანი-სადმი ასევე კარგად სჩანს სავანის წინამძღვრის ალიოზ (შო) ბათ-მანაშვილის დღიურიდანაც. კერძოდ, იგი წერდა:

„დავინიშნე უმფროსად 1922 წლის იანვრის 27-ს....

11.02 ვიზიტათ მოვიდნენ ჩვენი დები. ლოცულობენ ჩვენთვის, რათა შევძლოთ მათი დახმარება. დავარწმუნე, რომ ჩვენს პირველ მიზანს ეგ შეადგენს...

12.02 ჩვენს დებს ვიზიტი გადავუხადე. მარტივად განვუმარტე, რომ ჩვენთვის გაშენებამდე, ჯერ მათთვის გავაშენებთ რიგიან ბინას. მთელი დები მოვიდნენ – რიცხვით 12 სული. ბოლოს კურთხევა მოინდომეს, რომელიც ქართული წესით მივეცი. ვიზიტი გადავუხადე პატარა დებს“ [12].

მამა ალიოზ (შო) ბათმანაშვილის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ სტამბოლში არსებულ დედათა და მამათა სავანეებს შორის არ იყო დაძაბულობა. ერთმანეთის მიმართ ურთიერთ პატივისცემა და პასუხისმგებლობა გააჩნდათ. სავანის წინამძღვრები ყოველთვის იჩენდნენ ყურადღებას დედათა მიმართ. მათზე ზრუნვა თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ. როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, სტამბოლის ქართველ დედათა მონასტრის წინამძღვარი დახმარების თხოვნით ხშირად მიმართავდა ქართველ საზოგადოებას საქართველოშიც და სტამბოლშიც... მამათა სავანის არქივ-ფონდში ინახება 1913 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული წერილი: „თანახმად თქვენის თხოვნისა, ქართველ თავადაზნაურების წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ და მასთან შედგენილმა კომისიამ ორასი მანეთით დახმარება დაუნიშნა თქვენს განკარგულებაში მყოფ პანსიონს“. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი კოტე აფხაზი [13]. ამ თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა სტამბოლის ქართველ დედათა მონასტრის წინამძღვრის ელისაბედ (ანა) ბეჟანიძის მიერ ნიკოლოზ ელიავასადმი გაგზავნილი წერილი: „გიძღვნით გულითად მადლობას იმ სამოცი მეტრი შეშის მოცემისათვის, რომელიც თქვენმა ამხანაგობამ მოგვცა მცირედი გადასახადით“ [14].

სტამბოლის მამათა სავანე დიდი სიხარულით შეხვდა სამშობლოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას – საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას (1918 წლის 26 მაისი). მონასტერში არაერთი დღესაწაული გაიმართა. დედათა მონასტრის დედებმა მისასალმებელი სიტყვა გაუგზავნეს დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელს კონსტანტინეპოლში: „თქვენმა მობრძანებამ, სრულიად აგვივსო გული სიხარულითა... გისურვებთ მტრის დაძლევისა, აღდგენას ჩვენი ტურფა საქართველოსი... ჩვენ სამშობლოთ-

გან, დიდხანს დაშორებული, მოველოდით ამ ბედნიერ მოვლენას. თქვენი შემწეობით ვზრუნავდეთ უძღურთათვის..." [15]. მამათა და დედათა მონასტრების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის აღორძინების გეგმა. ქართველ ქალთა მონასტრის უფროსმა ელისაბედ პეტრეს ასულმა ბეჟანიშვილმა იმთავითვე (1919 წლის 3 სექტემბერს) გაუგზავნა თხოვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგანთა და განათლების მინისტრს ნოე რამიშვილს. იგი წერდა: „ჩვენ კონსტანტინეპოლში პეტრე ხარისჭირასვილის მიერ დაარსებულ უმანკო ჩასახების ქალთა მონასტრის რვა კლასიან სასწავლებლის მთელმა წარმომადგენლებმა გადავწყვიტეთ, რომ ჩვენში, ახლო განთავისუფლებულ ნორჩ სამშობლოში, გაგვეხსნათ საშუალო სასწავლებლები, რათა შევძლოთ ჩვენს სამშობლოში შემოვიტანოთ ევროპული სწავლა-განათლება. რის გამოც უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო მინისტრო, ნება დაგვრთოთ საქართველოს რესპუბლიკაში, სახელდობრ, ახალციხეში გავხსნათ ქართულ და ფრანგულ ენაზედ საშუალო და პირველდნეყბითი სასწავლებლები“ [16]. სწორედ ამ მისიით 1920 წელს ჩავიდა საქართველოში დედათა მონასტრის წინამძღვარი ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე. იგი ხელმძღვანელობდა დედათა მონასტერსაც და მასთან არსებულ ქალთა ქართულ-ფრანგულენოვან სკოლას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსულმა კონსტანტინეპოლში ი. გოგელიშვილმა საქართველოს რესპუბლიკის აცნობა, რომ „კონსტანტინეპოლიდან საქართველოში მიემგზავრებიან ქართველ კათოლიკეთა დების უმანკო ჩასახების მონასტრის წინამძღვარი და სამი მონაზონი. საკონსულო სთხოვს მთავრობის წარმომადგენელთ გაუადვილონ მათ სამშობლოს ტერიტორიაზე მოგზაურობა და საჭიროების დროს ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ მათ“. სამშობლოში ჩაბრძანებულმა სტუმრებმა საქართველოს მთავრობას სთხოვეს ნებართვა ქალაქ ახალციხეში ქალთა სასწავლებლის გახსნისა [17]. როგორც მოძიებული მასალებიდან ჩანს, საქართველოს მთავრობამ თანხმობა განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე. 1920 წლის 18 ოქტომბერს დედათა სავანის წინამძღვარმა ელისაბედ ბეჟანიშვილმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგანთა და განათლების მინისტრს წარუდგინა სასწავლებლის დაარსებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა, სადაც მიუთითებდა: „თანახმად თქვენი ბრძანებისა გიგზავნით ხსენებული სასწავლებლისათვის ხარჯთა აღრიცხვას“. დატალურად იყო ჩამოთვლილი ყველა სახის საჭიროება: შენობა, ინვენტარი, კადრები. თავდაპირველი ხარჯი შეადგენდა ხუთასი ათას მანეთს. ამასთანავე ითხოვდა „საქართველოს რესპუბლიკაში სასწავლებ-

